# კვირის პალიტრა

№ 13 (425) ◆ 31 მარტი – 6 აპრილი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




სანდრო თვალჭრელიძე

საოცარია — ბუნებრივი რესურსების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე თუ გავიანგარიშებთ, საქართველო მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა ყოფილა, ენერგორესურსების მიხედვით კი, ერთ-ერთი უმდიდრესი(!), ამ სფეროსთან დაკავშირებული პირები „ენერგეტიკოსობანას“ თამაშობენ, ხან ყიდულობენ ელექტროენერგიას, ხან თურქეთში ყიდიან, მერე, ეს ყველაფერი ერთმანეთში ირევა და ქაოსის შედეგად ჩაბნელებული ქვეყანა და გამდიდრებული ერთეულები რჩებიან.

საქართველოში სადღეისოდ 420 ათასი ჩინოვნიკია ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 23% სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ჩინოსანია. ერთ სულ მოსახლეზე, დაანგარიშებით, ამ მხრივ, საქართველოს ჩინოსანთა კორპუსი აშშ-ისას 50-ჯერ აღემატება...

გვ.3

## საქართველოდან ფასდაუდებელი საგანძური გაედინება



## თამარ მეფის საფლავი ჯერ არ გვიპოვია და უკვე ვკარგავთ?!

„ერთი კაცი ვიცი, სოფელ ულიანოვკის ხევში, სადაც მდინარე ორლანი ჩამოდის, შემთხვევით რაღაც ბრტყელ, ლამაზ ქვას წააწყდა. თურმე პატარა ჭურის თავსახური ყოფილა. ჭურიდან გლეხს ოქრო-ვერცხლმა შემოანათა...“

„თქვენს საზღვარზე რამდენიმე ბრინჯაოს ნივთს კი არა, საქართველოს მუზეუმის ყველა ექსპონატს ტრაილერებით ისე გადავზიდავთ, უბატონოდ სიტყვას არავინ გვეტყვისო. მათი ვიზიტის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საქართველოს საგანძურის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ აღმოუჩენელია, თვითნებური გათხრების შემდეგ უეჭველად საზღვარგარეთ გავა.“

გვ.6,11



## ჩხაიძის გათავისუფლება კანონიერ ქურდებს უკავშირდება...

გვ.5

### კახა თარგამაძე ტაილანდში მიდის?!

„ტაილანდის ხელისუფლება გარკვეულ ანაზღაურებას ჰპირდება საექსპერტო მუშაობისთვის, ანუ თარგამაძემ რჩევები უნდა მისცეს მათ, ძალოვანი სტრუქტურების რეფორმასთან დაკავშირებით.“

„დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში წარმოუდგენელია ქურდული სამყაროს სერიოზული შევიწროება, ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს გვერდში უდგას რომელიმე „კანონიერი“ ქურდი. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ერთი ჯამიდან ჭამენ...“

გივი თარგამაძე

**ინტერვიუ კახა თარგამაძესთან: ჩემთვის ეგენი დონეები არ არიან...**

**ექსკლუზივი** მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გავრცელებული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოში გამოსაქვეყნებლად აშშ-ის საელჩომ „კვირის პალიტრას“ მოაწოდა გვ.7

## ბესიკ ხარანაული: მტრის სისხლი გვზიზღავს, მოძმისა გვემწყურვალება

გვ.16



ისეთ ხალხს, ახლა რომ ვუცინით, ვკოცნით, მაშინ „გამარჯობას“ არ ეუბნებოდნენ. საზოგადოებრივად იყო მიღებული, რომ საძრახისი — საძრახისია.



## „ბრწყინვალე ინდივიდუალისტთა თაობას“ ამჯერად ირლანდიელებმა „გადაუარეს“

საქართველოს ნაკრებმა თავის გამოჩენის ბოლო შანსი დაკარგა. გვ.32

ჩივაძე წაგებული მატჩის მერე ყოველთვის ერიდება ჟურნალისტებთან შეხვედრას.



გვ.8,9

## ამერიკული ტაქტიკა და სტრატეგია ერაყში...

ბლიც-კრიგი არ შედგა, ემზადეთ გაჭიანურებული და სისხლისმღვრელი ომისთვის

## მხმარმზა თუ არა პუტინი ჰუსეინს?



**პენტაგონი საბრძოლო წარუმატებლობას რუსებს აბრალებს – ერაყელები თქვენი მიწოდებული იარაღით გვიპირისპირდებიანო**

რუსული რადიოელექტრონული ბრძოლის ეს საშუალებები შეიძლება დღეს ერაყის მიწაზე გადის საბრძოლო გამოცდას.

## ყველაზე სიმპათიური ქართველი პოლიტიკოსი

მკითხველის ოლიმპიადა

გვ.35

ვერსია

## დაუდ-ფაშას ანდერძი

„ერთი სურვილიც უნდა შემისრულო — ბრილიანტებიანი ყელსაბამი, რომელსაც ამ ანდერძთან ერთად მიიღებ, გურჯისტანის ეკლესიას გადაეცი. იგი ჩემმა გამზრდელმა, სულეიმან ბუიუქმა მიძღვნა მხედრული მამაცობისათვის. ეს იყო ჩემი პირველი ჯილდო და იგი მხოლოდ დედასამშობლოსათვის მეტება.“ გვ.10

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

## კვლავ ენერგოკრიზისი

ხუთი დღის მანძილზე ქვეყანაში მწვავე ენერგოკრიზისი იყო. ვერ ხერხდებოდა რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის — „კავკასიონის“ აღდგენა. სომხეთიდან დენის იმპორტის გაზრდის მიუხედავად, დედაქალაქის ენერგოგამანაწილებელი კომპანია დღის განმავლობაში ელექტროენერგიას მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს და მოსახლეობის 30%-ს აწოდებდა. თბილისში კვლავაც ძალაში რჩება მკაცრი გრაფიკი. დედაქალაქის უბნებს დენი მონაცვლეობით, 3-3 საათით მიეწოდება.

ენერგოკრიზისთან დაკავშირებით სემეკში გამართულ სხდომას ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილი, „ეი-ი-ეს თელასის“ წარმომადგენლები და ენერგეტიკის სფეროს ყველა პასუხისმგებელი პირი ესწრებოდნენ. თითოეული უწყება შექმნილ მდგომარეობაში ტრადიციულად ერთმანეთს ადანაშაულებდა. შეხვედრა ხმაურს ვერ ასცდა. ელიზბარ ერისთავი, ძირითადად, ენერგეტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული პირების დაწყნარებით იყო დაკავებული. ბოლოს იგი იძულებული გახდა, დარბაზიდან გაეძევებინა ლეიბორისტული პარტიის აქტივისტები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. პროტესტის ნიშნად სხდომაზე დარჩენა აღარ ისურვეს საბითუმო ბაზრისა და ელექტროსისტემის უცხოელმა დირექტორებმა. სიტუაცია ვერც ამის შემდეგ განიმუხტა — ამჯერად ერთმანეთს „ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელები და დავით მირცხულავა დაუპირისპირდნენ. მხარეები მეცხრე ენერგობლოკის გაჩერებისთვის პასუხს ერთმანეთს სთხოვდნენ. მეცხრე ბლოკის გამორთვამ პრეზიდენტიც გააღიზიანა. ამის გამო მთავრობის სხდომაზე მან საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთა. ედუარდ შევარდნაძე აღმასრულებელი ხელისუფლების ნაცვლად ამჯერად უცხოელ ინვესტორებს აკრიტიკებდა. უცხოელი ენერგეტიკოსები შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობდნენ პარლამენტის სხდომაზეც. დეპუტატებმა ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვეს. დავით მირცხულავას იმპიჩმენტს თითქმის ყველა ფრაქცია მიემხრო, თუმცა საკითხის განხილვა კანონმდებლებმა უახლოეს მომავლისთვის გადადეს.

## ისევ აფეთქეს!..

კვირას, დილის 6 საათზე, საქართველოს მთლიანად გაეთიშა ენერგოსისტემა. როგორც გაირკვა, „ბლოკაუტი“ კავკასიონის ხაზზე ჩადენილმა დივერსიულმა აქტმა გამოიწვია. გალის რაიონის სოფელ მოხოქოლოსთან განთავსებულ ერთ-ერთ მაღალი ძაბვის ანძაზე დამონტაჟებული ნაღმი აფეთქდა, ძაბვის უეცარმა ვარდნამ კი მთლიანი ენერგოსისტემის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გავიდნენ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა და პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქია, რომლებიც გალის ადგილობრივ ადმინისტრაციას შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ აფეთქების ადგილიდან 3 კილომეტრში რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტია განთავსებული.

## მერამდენე ამბოხება?

თბილისში სამხედროთა მორიგი ამბოხება მოხდა. ისნის რაიონში მდებარე ეროვნული გვარდიის ყოფილი ოპერატიული პოლკი ვეტერანმა სამხედროებმა დაიკავეს. მათ ხელთ იგდეს მძიმე ჯავშანტექნიკა, რომელიც ნაწილის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. იმავე ღამის პირველის ნახევარზე ამის შესახებ სამხედრო ნაწილის უფროსმა ისნის პოლიციას აცნობა. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სამხედრო ნაწილში არ შეუშვეს. ოპერაცია თავდაცვის სამინისტროს ძალებით ჩატარდა. პარალელურად აჯანყებულებთან მოლაპარაკებას მართავდნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და ყოფილი თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ უშიშროების მინისტრი, გენერალური პროკურორი და შინაგან საქმეთა მინისტრი.

ამბოხებულთა განცხადებით, არანაირი პოლიტიკური მოტივაცია მათ ქმედებას არ ჰქონია. ისინი მხოლოდ ვეტერანი ინვალიდებისა და მათი ოჯახებისთვის ელემენტარული სოციალური პირობების შექმნას მოითხოვდნენ (ვრცლად იხ. გვ. 9).

## თედო ჯაფარიძეს ახსნა-განმარტებები მოსთხოვეს...

უშიშროების საბჭოს მდივნის, თედო ჯაფარიძის ვიზიტი მოსკოვში რამდენიმე დღე გრძელდებოდა. იგი რუსეთის დედაქალაქში გამართულ დსთ-ის უშიშროების ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სხდომას მეთვალყურის სტატუსით დაესწრო და პრეზიდენტ პუტინსაც შეხვდა. შეხვედრის ძირითადი მიზანი სოჭის ხელშეკრულების რეალიზების პროცესში ორი ქვეყნის უშიშროების საბჭოს აპარატების ჩართვა იყო. როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს კრემლში რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების მიცემა მოუხდა — როგორც ჩანს, რუსეთი ჯერაც ვერ შეჰგუებია საქართველოს დამოუკიდებლობას და იმ ფაქტს, რომ თბილისმა შეიძლება გადაწყვეტილებები მისგან დამოუკიდებლადაც მიიღოს! რუსი პოლიტიკოსების აღშფოთებას ყველაზე მეტად ორი ფაქტი იწვევს: საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთთან ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავების გამოჩენასთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა კრემლში განაცხადა, რომ ამერიკის სადაზვერვო ავიაციას რუსეთის საზღვარი არ დაურღვევია, საქართველოს საჰაერო სივრცეში კი თბილისისგან მათ ფრენის უფლება აქვთ მინიჭებული. რაც შეეხება ამერიკის არმიისთვის საქართველოს სამხედრო ბაზების გადაცემას, ჯაფარიძის თქმით, საკითხი ჯერაც განიხილება.

## რუსი სამხედროები ხელფასს ლარებით მიიღებენ —

მომავალი თვიდან საქართველოში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების მოსამსახურეები ხელფასს ლარებით მიიღებენ. საქართველოს ეროვნულმა და რუსეთის ცენტრალურმა ბანკებმა ამის შესახებ შეთანხმებას ხელი უკვე მოაწერეს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გაიხსნება საკორესპონდენტო ანგარიში, საიდანაც შესაძლებელი იქნება საკასო მომსახურება. ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებულ ბაზებში მოსამსახურე სამხედროებისა და სხვა პერსონალისთვის რუსეთის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად 15 მილიონი დოლარის ეკვივალენტ თანხას რუბლებით გამოყოფს, რასაც ლარის სახით ცენტრალური ბანკების ფილიალები გაანაწილებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო. განსაკუთრებულ პრობლემას ახალქალაქში განლაგებული ბაზა ქმნიდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა რუსულ ჯარშია დასაქმებული და ამის გამო, რეგიონის ძირითად ვალუტად ბოლო დრომდე რუსული რუბლი რჩებოდა.

## — გადასახადები გამარტივდება და შემცირდება?

ახალი საგადასახადო კოდექსი პარლამენტში მრეწველთა ფრაქციამ წარადგინა. კანონპროექტი, სადაც საგადასახადო სისტემა ძირეულად არის შეცვლილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის ბაზაზე ორგანიზებულმა ქართველი და ევროპელი სპეციალისტებისგან შემდგარმა ჯგუფმა მოამზადა. ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითადი მიზანი მოქმედი სისტემის გამარტივების გზით საგადასახადო ბაზის ლეგალიზება, კორუფციული გარიგებების შესუსტება და ინვესტიციების სტიმულირებაა. მისი მიხედვით არსებული გადასახადების რაოდენობა მკვეთრად შემცირდება. 12 საერთო-სახელმწიფოებრივი და 6 ადგილობრივი გადასახადიდან სამი სახის საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი გადასახადი დარჩება. ამოქმედდება გადამხდელებისთვის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადების სახაზინო ვალდებულებებით დაბრუნების მექანიზმი.

## მამასახლისებიდა გვაკლდა...

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში მუშაობას მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტები დაიწყებენ. 200-მდე უბანში მამასახლისებს 300-კაციანი საინიციატივო ჯგუფები აირჩევენ. 5 რწმუნებული გამგეობებში ფინანსების განკარგვას გააკონტროლებს. საკრებულოს გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ლეიბორისტებისთვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ორივე სამსახურს „ნაციონალები“ საარჩევნოდ ელექტორატის მოზიდვის მიზნით ქმნიან.

## ბუნდოვანი გეგმები და კონკრეტული მილიონები...

მაშინ, როდესაც საქართველოს უამრავ სფეროში უსახსრობის გამო უამრავი პრობლემა მოუგვარებელი რჩება, ხელისუფლება და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები მილიონებს საკმაოდ ბუნდოვან გეგმებში აბანდებენ. ამჯერად მათ საქართველოში მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ განაცხადეს (საინტერესოა, პირველი ეტაპი როდისღა დაიწყო ან როდის დამთავრდა?). მისი საერთო ღირებულება 30 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. აქედან, მსოფლიო ბანკის წილი 19 მილიონ 900 ათასი დოლარია, საქართველოს მთავრობის თანადაფინანსება კი 500 ათას დოლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის წილები კი თანაბრად — ხუთ-ნახევარ-ხუთ-ნახევარი მილიონი დოლარით განისაზღვრა. მეორე ეტაპის ფარგლებში, ინვესტიციები დაახლოებით 20 ადგილობრივ თვითმმართველობაში განხორციელდება.

## ეკონომიკა ჩანაგდება, მინისტრი კი აღტაცებულია —

მთავრობის სხდომაზე ცხარე კამათი მოჰყვა ფინანსთა მინისტრის წლიურ ანგარიშს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მირიან გოგიაშვილმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულების შედეგებზე საკმაოდ ოპტიმისტურად ისაუბრა. ფინანსთა მინისტრს გადასახადების ამოღების იმედი ჯერ კიდევ აქვს, თუმცა ამ დროისთვის კვარტალის მხოლოდ 55%-ია შესრულებული. მირიან გოგიაშვილის მოხსენებას ტრადიციულად მწვავედ გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი.

## სააკაშვილი კვლავ მთავრობას ექიდავება —

მიხეილ სააკაშვილი მთავრობას თბილისის ბიუჯეტისთვის თანხების დაბლოკვაში ადანაშაულებს. საკრებულოს თავმჯდომარეს განსაკუთრებით ის ფაქტი აღიზიანებს, რომ ამის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პენსიების სამი ლარით გაზრდის პროექტის განხორციელება. საკრებულოს არ რჩება სახსრები ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლადაც. შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს ორი კვირის წინ დამტკიცებული 2 მილიონ 220-ათასიანი თბილისის ბიუჯეტის სეკვესტრირების საკითხი. ლეიბორისტები და მემარჯვენეები სეკვესტრის წინააღმდეგნი არიან. მათი განცხადებით, „ნაციონალების“ მიერ ბიუჯეტში სოციალური პროექტის ჩადება იმთავითვე აბსურდული იყო.

## — ექვმიტანილი თავდებით გაათავისუფლეს

ვაკე-საბურთალოს სასამართლო დარბაზიდან დროებით თავდებით გაათავისუფლეს „ეი-ი-ეს თელასის“ გენერალური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დავით მჭედლიძე. 2002 წლის 13 აგვისტოს ნიკა ლომინაძის მკვლელობასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების შედეგების მიხედვით არ შეიკრიბა საკმარისი მტკიცებულებები ეჭვმიტანილისთვის ბრალდების დასადასტურებლად, ვერ დადგინდა მკვლელობის მოტივი. მკვლელობის ადგილზე ამოღებული ნივთმტკიცებები და თითის ანაბეჭდები არ ემთხვევა ეჭვმიტანილის მონაცემებს. ორი თვის წინ ვაშინგტონში გაგზავნილი მასალების ბიოლოგიური ექსპერტიზის პასუხები კი, სავარაუდოდ, 6 თვეში გახდება ცნობილი. გამოძიება გრძელდება. მიმდინარეობს მუშაობა „ეი-ი-ეს თელასის“ გენერალური მენეჯერის მკვლელობის მეორე შესაძლო ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც ნიკა ლომინაძის მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება.

## „პატრონს“ გულით გამოესარჩლნენ...

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ყოფილი შეფის მხრიდან კრიტიკა მტკივნეულად აღიქვეს და ნარჩემაშვილის ღირსების დაცვას საგანგებო ბრიფინგიც მიუძღვნეს. როგორც ცნობილია, კახა თარგამაძემ პრესის საშუალებით თავის ყოფილ უწყებას არაკომპეტენტური, მინისტრ ნარჩემაშვილსა და მის მოადგილეებს კი დოყლაპიები უწოდა. შოთა ასათიანი და რუბენ ასანიძე, რომლებიც ცოტა ხნის წინ კობა ნარჩემაშვილის მოადგილეებად დაინიშნენ, ჟურნალისტებისთვის თავისი პროფესიონალიზმის დამტკიცებას ცდილობდნენ. ისინი მინისტრსაც გამოექომაგნენ. ასათიანისა და ასანიძის თქმით, კობა ნარჩემაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ სწორედ თარგამაძის რეკომენდაციით დაინიშნა (იხ. გვ. 5).

## — უსაფრთხოების საბჭოს ვიზიტი

თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს დელეგაცია სერ გარი ჯონსონის ხელმძღვანელობით. საბჭო საქართველოს ხელისუფლებასთან უკვე სამი წელია თანამშრომლობს და საგანგებო რეკომენდაციებს აძლევს. მომავალ კვირაში საბჭოს ხელმძღვანელობა საქართველოს ხელისუფლების წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგება, სადაც შეფასებული იქნება, თუ რამდენად ითვალისწინებს ქართული მხარე მათ რჩევებს. ამ ეტაპზე უცხოელი მრჩევლები საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებით უკმაყოფილონი არიან. დელეგაციის ვიზიტის მთავარი თემაა ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე რეგიონის უსაფრთხოების საკითხები. ამავე საკითხებზე მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს დელეგაცია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდა.

## თბილისს ლონდონის მერი ეწვია

საქართველოში ვიზიტით მყოფმა ლონდონის ლორდ-მერმა ალდერმან გევინ არტურმა პარლამენტს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისკენ მოუწოდა. უცხოელი სტუმრის უკმაყოფილება საკანონმდებლო ორგანოს იმ დადგენილებამ გამოიწვია, რომლის შედეგადაც ბრიტანეთისა და თურქეთის ავიახაზები ჩვენს ქვეყანასთან პირდაპირ რეისებს შეწყვეტენ. ქართველი კანონმდებლების თქმით, ავიაკომპანიებს საქართველოს მიმართ 14 მილიონამდე დოლარის დავალიანება დაუგროვდათ.

## ჰუსეინი კონტრშეტევაზე გადადის?!




ერაყელები მოკავშირეთა პოზიციებზე შეტევას განაგრძობენ. საპასუხო იერიში მათ ქუვეითზე მიიტანეს. ქუვეითის დედაქალაქ ელ-ქუვეითში მძლავრი აფეთქება დაფიქსირდა. აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე ქალაქში საჰაერო განგაში გამოცხადდა. ამერიკულმა რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარმა „პეტრიოტმა“ სამი რაკეტის ჩამოგდება მოახერხა. მოკავშირეებს ჯერ არ დაუკონკრეტებიათ, რა ტიპის რაკეტები ისროლეს ერაყელებმა. ყოველი შემთხვევისთვის, მოკავშირეთა ბაზებზე ყველამ აირწინაღის გაკეთების ბრძანება მიიღო. აქამდე ბაღდადი მხოლოდ „სკადის“ ტიპის ჭურვებს იყენებდა. ერაყის მხრიდან ელ-ქუვეითზე დარტყმას წინ მოკავშირეების მორიგი ავიაიერიში უძღოდა.

## — ბუშმა ვადები შეცვალა

ჯორჯ ბუში ერაყში ომის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე აღიარებს, რომ ომი ბაღდადისთვის ჯერ არ დამთავრდება. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფლორიდაში, ქალაქ ტამპაში მდებარე გაერთიანებული შტაბების ოპერატიულ ცენტრში, ამერიკელ სამხედროებს სიტყვით მიმართა. მისი განცხადებით, „ერაყის ომი დასრულებისგან შორს არის. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ავღანეთის ოპერაციისგან კარდინალურად განსხვავდება, მაგრამ უპირატესობა მაინც ამერიკელთა მხარეზეა.“

## რეალობა თუ სპეკულაცია?

ერაყში მიმდინარე მოვლენებს საფონდო ბირჟებზე ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა. ნავთობის ფასმა ისევ დაიკლო. ომის გაჭიანურების გამო აზიის, ევროპისა და ამერიკის ბირჟებზე ტექნოლოგიურმა ინდექსმა ნაზდაკმა და საქმიანი აქტივობის დოუ ჯონსმა საგრძნობლად დაიწია. კიდევ რამდენიმე პუნქტით დაიწია ამერიკულმა დოლარმაც. ბირჟაზე ვითარება ვერც ბუშის განცხადებამ გამოასწორა. პრეზიდენტი ეკონომისტებს სამხედრო ოპერაციის მაქსიმუმ ერთ თვეში დასრულებას ჰპირდება, მაგრამ ჯერჯერობით ბირჟაზე გავლენას მხოლოდ ფრონტიდან მიღებული ქრონიკა ახდენს.

## — მაშინ ქიმიური იარაღიც ექნება...

მოკავშირეებმა ერაყში ქიმიური იარაღის მწარმოებელი ქარხანა აღმოაჩინეს. გარედან ქარხანა შენიღბული იყო, ამიტომაც კოსმოსიდან გადაღებული ფოტოების საფუძველზე პენტაგონს ეჭვი არ გასჩენია. საწარმოს ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 40 ჰექტარია. ქარხანა ბაღდადიდან სამხრეთით 160 კილომეტრშია განლაგებული. საწარმოს დირექტორი და ხელმძღვანელობა უკვე დაპატიმრებულია. მათთან სპეციალისტები მუშაობენ. თუ ამერიკა-ბრიტანეთის ალიანსმა დაამტკიცა, რომ ქარხანაში მართლა მასობრივი განადგურების იარაღი მზადდებოდა, ვაშინგტონი ჰუსეინის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების პირველ რეალურ სამხილს მოიპოვებს.

## იაპონიას კოსმოსში საკუთარი მზვერავი ჰყავს —

პირველად იაპონიის ისტორიაში ოფიციალურმა ტოკიომ სადაზვერვო თანამგზავრები გაუშვა. ორი თანამგზავრი ორბიტაზე **A2H** ტიპის რაკეტამ გაიყვანა. ჯაშუში-თანამგზავრების ძირითადი მიზანი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის გაკონტროლებაა. ერთ-ერთი თანამგზავრი ვიზუალურ მასალაზე იმუშავებს, მეორე კი რადარით არის აღჭურვილი. ოფიციალურმა ფხენიანმა ტოკიოს ნაბიჯი „მტრულ აქტად“ შეაფასა. იაპონიამ ჯაშუშ-თანამგზავრებზე მუშაობა 1998 წელს დაიწყო, როცა ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტის გამოცდებისას შემთხვევით იაპონიის სასაზღვრო ზოლი დაარღვია.

## — დააპატიმრეს რუსი ოლიგარქი

ბრიტანელმა სამართალდამცველებმა ლონდონში ცნობილი რუსი ოლიგარქი, ბორის ბერეზოვსკი დააკავეს. პოლიციამ იგი რუსეთის გენპროკურატურის მოკვლევის მასალებზე დაყრდნობით დააპატიმრა. რუსეთში ბიზნესმენს ბრალად სდებენ დიდი ოდენობით თანხების გატაცებასა და თაღლითობას. სკოტლენდ-იარდის პრესმდივნის განცხადებით, ბერეზოვსკი კომპანია „ლოგოვაზთან“ ურთიერთობის მასალების საფუძველზე აიყვანეს. რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, ბერეზოვსკიმ რუსეთის მოსახლეობა მატერიალურად დააზარალა. ბერეზოვსკისთან ერთად „ლოგოვაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი იული დუბოვიც დააპატიმრეს — ორივე 200 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს. ბიზნესმენები ლონდონის სასამართლოს წინაშე 2 აპრილს წარდგებიან.

## ტერაქტები ისრაელსა და ქაშმირში —

კვირას, 30 მარტს ისრაელის საკურორტო ქალაქ ნეთანიაში ტერორისტული აქტი მოხდა. ტერორისტმა-თვითმკვლელმა რესტორან „ლონდონის“ შენობაში თავი აიფეთქა. წინასწარი მონაცემებით, დაჭრილია 27 კაცი. შემთხვევის ადგილი უშიშროების ძალებითაა ალყაშემორტყმული. ინდოეთში კი ერაყელთა მხარდამჭერი აქციების მიუხედავად, ისლამისტებმა მორიგი ტერაქტი მოაწყვეს. 24 კაცი ადგილზე დაიღუპა. ინციდენტი ქაშმირში მოხდა. ეს შტატი პაკისტანის საზღვარზე მდებარეობს და, ძირითადად, მუსლიმანებით არის დასახლებული. წინასწარი მონაცემებით, ისლამისტთა ჯგუფი დასახლებაში შეიჭრა და მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნა. დაღუპულთა შორის 11 ქალი და ორი მცირეწლოვანი ბავშვია. მთავრობის განცხადებით, ასეთი მასშტაბის ტერაქტი ქაშმირში არჩევნების შემდეგ არ მომხდარა.

# „შენი წილში გადმომაზარე და შენ შენს „სტაკანს“ მიიღებ...“



უკანასკნელი ათი წელია, საქართველოში დიდი და პატარა პოლიტიკურ დებატებშია ჩართული. სამწუხაროდ, პროფესიულ დონეზე ვერც ამას ვახერხებთ, რადგან ისევე, როგორც ყველა სფეროში, პროფესიონალების ნაკლებობას პოლიტიკაშიც საკმაოდ მწვავედ განვიცდით. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პანსიონატის ბიბლიოთეკას უფრო ჰგავს, სადაც დამსვენებლები (ანუ დეპუტატები), ძირითადად, კროსვორდების შევსებით და ჟურნალ-გაზეთების კითხვით, ან ერთმანეთთან ჭორაობით არიან გართულნი. გამოცოცხლება პარლამენტში რომელიმე მინისტრის მოსვლისას თუ შეინიშნება, რომელსაც უმისამართო კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდება ხოლმე თავს. სიტუაციას კი ამ შემთხვევაში ის ამძიმებს, რომ თავისი საქმის ცოდნითა და მონდომებით ვერც აღმასრულებელი ხელისუფლება დაიკვეხნის და არის ხოლმე ცოდვა-მადლის ტრიალი, რომლისგანაც ერთადერთი ხეირი მაყურებლის გართობა გახლავთ. სამაგიეროდ, ჩრდილოვან ეკონომიკაში (საბჭოური ტერმინოლოგიით — „ლევი“) მილიონები ტრიალებს. თუ რამე შეიცვალა — უარესობისკენ, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დიადი საბჭოეთიდან მკვებავი „ჭიპლარები“ ჩაგვიხსნეს და ჩვენი თავის ანაბარა დავრჩით...

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობიდან (თუ ასეთი რამ კიდევ არსებობს...) გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის აყვავების ხანაში საუბრები საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე, გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და ზღაპრულ ბუნებაზე მხოლოდ ილუზია და ეფემერა ყოფილა, რადგან მას შემდეგ ერთადერთი აღმოცენებული და განვითარებული დარგი ქართულ ეკონომიკაში „საჯიხურე“ კომერცია და ქალაქის ცენტრში გამართული ბაზრობა გახლავთ... უამრავი პროექტის, დახმარებების და საერთაშორისო მისიათა რეკომენდაციების ფონზეც კი საქართველო უმწეო წიწილას ჰგავს, პირდაფჩენილი ხან რუსეთს რომ დასდევს და ხან — ამერიკას. უკანასკნელ ათწლეულში ენერგეტიკის

**სად არის პარტიები საქართველოში — ერთკაციანი ლოკომოტივებია, რომლებსაც „ვაგონებად“ უსახური მასა ჰყავთ ჩაბმული. აქედან მოდის კოლექტიური აზროვნების აბსურდული პრინციპებიც.**

რეაბილიტაციაზე დახარჯული ფულით საქართველოს თითოეული ოჯახი გენერატორს იყიდდა და მისი საწვავის ფულიც დარჩებოდა, მაგრამ... ქალაქის ჩაბნელებისთანავე ბავშვებიც კი „კავკასიონის“ ხაზსა და მტკივნეულ ლეგენდად ქცეულ მე-9 ბლოკზე ლაპარაკობენ, რომელსაც ჯერაც უცნობი(!) გველეშაპი გვითიშავს ხოლმე... და ასეთ შემთხვევაში მოუწესრიგებელი პარლამენტარებისგან უგერგილო მინისტრის ლანძღვა ან იმპიჩმენტი ვერაფერი შეღავათია, რადგან წასულ-მოსული მინისტრიც ბევრი გვინახავს და პარლამენტარიც. მათი ქონებისა რა გითხრათ, საქართველოს კი ჯერ არაფერი დასტყობია. უკვე დავიბენით — ჩვენი უბედურება ქვეყნის რესურსების სიმწირის ბრალია თუ ეს სიმწირე ქართველი ჩინოსნების თავებში უნდა ვეძებოთ? ვესაუბრებით ეკონომიკის ექსპერტს **სანდრო თვალჭრელიძეს:**

— ბუნებრივი რესურსების მაკროეკონომიკა ყველაზე რთული დარგი გახლავთ. საქართველოს ამ სფეროში ძალიან ცოტა სპეციალისტი ჰყავს და დღეს არც ერთი მათგანი ხელისუფლებაში არ არის. არის მეორე მომენტიც — საბჭოთა კავშირის დროს ბუნებრივი, და განსაკუთრებით, მინერალური რესურსები, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა და ამის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცოდა. პირადად მე, ჯერ კიდევ 1992 წელს დავსვი საკითხი, რომ საქართველოში რესურსების მართვის სამინისტრო შექმნილიყო. სამწუხაროდ, მაშინ ამას ყურადღება არ მიაქციეს, რადგან ისევე, როგორც დღეს, საკითხს საბჭოური მენტალიტეტით უდგებიან — ბუნებრივ რესურსებს ჩვეულებრივ ნედლეულად თვლიან... სინამდვილეში, ეს ქვეყნის უპირველესი სიმდიდრე, უძრავი ქონებაა, რომელსაც გონივრული მართვა სჭირდება, რაც ჩვენს ხელისუფლებას, უბრალოდ, არ შეუძლია, რადგან ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნია. საოცარია — ბუნებრივი რესურსების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე თუ გავიანგარიშებთ, საქართველო მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა ყოფილა, ენერგორესურსების მიხედვით კი — ერთ-ერთი უმდიდრესი(!), მაგრამ მათი ეფექტიანად გამოყენების მაჩვენებელი ერთ პროცენტზე ნაკლებია...

**— გამოდის, რომ საქართველოს ენერგეტიკაში შექმნილი მძიმე ვითარების გამოსწორება ადგილობრივი რესურსებითაც ადვილი შესაძლებელი ყოფილა. თუ ამას ენერგეტიკაში დახარჯულ მილიონობით დოლარსაც დავუმატებთ, პრობლემა დიდი ხნის მოგვარებული უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, ქართველ ჩინოსანთა უსაზღვრო სიხარბესთან გვაქვს საქმე თუ უსაზღვრო უგუნურებასთან?**

— ვშიშობ, რომ ორივე მოვლენას თავისი, ჯეროვანი წვლილი მიუძღვის. ჩემი აზრით, ენერგეტიკის მინისტრი „ფიდერის“ სპეციალისტი კი არა, ფინანსური ნაკადების მართვის სპეციალისტი უნდა იყოს. საერთოდ, ფინანსური თვალსაზრისით, ასეთ სტრატეგიულ პოსტებზე მყოფმა პირებმა პირველ რიგში ის უნდა იცოდნენ, თუ როგორ ხდება თანამედროვე მსოფლიოში ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაცია არა თავისი, არამედ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. ამ შემთხვევაში საქართველოს კიდევ ერთი პრობლემა აქვს — მისი ენერგეტიკა ძირითადად ჰიდრორესურსებს ეყრდნობა, ანუ სეზონურია. ამის გამო საბჭოთა პერიოდში, ჩვენ ჯაჭვური სისტემის პროექტებში ვიყავით ჩართულნი — ზაფხულის მანძილზე გიგანტურ ელექტროსადგურებში გამომუშავებული ქართული ელექტროენერგია საბჭოთა რესპუბლიკებს მიეწოდებოდა — სამაგიეროდ, ზამთარში ეს ენერგია გაზის, სხვა საწვავის თუ იმავე ელექტრობის სახით, გვიბრუნდებოდა. ასეთ უზარმაზარ პროექტებს უკვე დამოუკიდებელი, პატარა საქართველოს ეკონომიკა ვერ გაუძლებს. დღეს ამ სფეროსთან დაკავშირებული პირები „ენერგეტიკოსობანას“ თამაშობენ — ხან ყიდულობენ ელექტროენერგიას, ხან თურქეთში ყიდიან, მერე ეს ყველაფერი ერთმანეთში ირევა და ქაოსის შედეგად ჩაბნელებული ქვეყანა და გამდიდრებული ერთეულები რჩებიან. თქვენ მიერ ნახსენები მილიონები ენერგეტიკის რეაბილიტაციაში კი არა, ინფრასტრუქტურის განვითარებაში უნდა ჩადებულიყო. მით უმეტეს, რომ არავინ იცის, დაიხარჯა თუ არა ეს ფული საერთოდ ენერგეტიკაში. ყოველ შემთხვევაში, ვიზუალურად არაფერი ჩანს — განებავთ, პირდაპირი, განებავთ, გადატანითი მნიშვნელობით... თავისი მოვალეობა პირველ რიგში სემეკს არ შეუსრულებია. მას თავიდანვე სახელმწიფო ვალების სრული, დეტალური ინვენტარიზაცია უნდა განეხორციელებინა, რომ დღევანდელი ბუნდოვანი გადასახადის ნაცვლად, მოსახლეობას ზუსტად სცოდნოდა, რაში იხდის ფულს. კვლავაც გაურკვეველი რჩება მე-10 ენერგობლოკის აფეთქების მიზეზი. წელიწადი გადის და კაცმა არ იცის, ვინ არის დამნაშავე. „რეაბილიტაციაში“ დახარჯულია 60 მილიონი. ეს საქართველოსთვის კი არა, განვითარებული ქვეყნისთვისაც სერიოზული თანხაა. თუ მიდგომა არ შეიცვალა, საქართველო მუდმივ ენერგოკრიზისში იქნება, თუნდაც ყოველდღიურად ვცვალოთ მინისტრები და რაიმეს იმედად ყოფნაც, ასეთ შემთხვევაში, ილუზია იქნება. მაგრამ მერწმუნეთ, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ფინანსური ნაკადების სწორი, პატიოსნად მართვის შემთხვევაში, სიტუაციის გამოსწორება 6 თვეშიც შეიძლება, თანაც ისე, რომ მთელ ქვეყანაში ენერგოკრიზისი, როგორც ცნება, დაგვავიწყდება.

**კვლავაც გაურკვეველი რჩება მე-10 ენერგობლოკის აფეთქების მიზეზი. წელიწადი გადის და კაცმა არ იცის, ვინ არის დამნაშავე. „რეაბილიტაციაში“ დახარჯულია 60 მილიონი. ეს საქართველოსთვის კი არა, განვითარებული ქვეყნისთვისაც სერიოზული თანხაა.**

**— ნებისმიერ შემთხვევაში, ენერგეტიკის გამოსწორება მნიშვნელოვანწილად გადასახადების ამოღებაზეა დამოკიდებული. ანალოგიური პრობლემა იქმნება ზოგადად, საგადასახადო სისტემაშიც. ხალხი არ იხდის უაზროდ და უსამართლოდ დაწესებულ გადასახადებს და, შესაბამისად, ვერ იღებს პენსიებსა და ხელფასებს. მთავარი დატვირთვა კი კვლავ ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოდის...**

— რატომღაც საქართველოში გადასახადები ისეთივე მძიმე და რთულია, როგორც განვითარებულ ქვეყნებში. ამის გამოც არის, რომ 1997 წლამდე, სანამ დღეს არსებული საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდოდა, სახელმწიფო რეესტრში 67 ათასი სუბიექტი იყო რეგისტრირებული, ხოლო საგადასახადო ინსპექციაში მხოლოდ 41 ათასი გადამხდელი. დღეს ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალი, კატასტროფულიც კია — ოფიციალურად დაახლოებით 100 ათასი სუბიექტი არსებობს, მათგან კი გადამხდელად მხოლოდ 18 ათასი ფიქსირდება. გამოდის, რომ უდიდესი ნაწილი ქართული ეკონომიკისა, ბიუჯეტის მიღმა მოქმედებს — გადასახადებს კი იხდი, მაგრამ ჩინოსნების ჯიბეში მიდის. ახლახან პარლამენტში სავსებით მართებულად დაისვა საგადასახადო კოდექსის შეცვლის საკითხი. მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესული როგორც გამარტივების, ისე გადასახადების შემცირების სახით, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნება. თუ სხვა ყველაფერი უცვლელად დარჩა, ასეთი კოდექსითაც მაინც იმდენს ამოვიღებთ, რამდენსაც დღეს ვიღებთ. დღეს კი გადასახადების მხოლოდ 40% იკრიბება. არადა საქართველოში ეკონომიკის განვითარება ფანტასტიკის სფეროს სულაც არ განეკუთვნება. კოდექსის მიღებასთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების სრული რეფორმაციის შემთხვევაში, დღეს არსებული შემოსავლების გაორმაგებაც შეიძლება. მაგრამ დაფიქრებულა კი ვინმე, რომ საქართველოში სადღეისოდ 420 ათასი ჩინოვნიკია? ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 23% სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ჩინოსანია. ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით, ამ მხრივ, საქართველოს ჩინოსანთა კორპუსი ამერიკის შეერთებული შტატებისას 50-ჯერ აღემატება... სასაცილოა, მაგრამ ჩვენთან თითოკაციანი სამმართველოები და დეპარტამენტებიც არსებობს. ალოგიკურია, მაგრამ უფროსი უფრო მეტია, ვიდრე ხელქვეითი. როდესაც შემცირებამდე მიდის საქმე, სწორედ დაბალი რანგის ხელქვეითებს ამცირებენ და ასე სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება. როგორ შეიძლება ჭკუათამყოფელმა ადამიანმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე იმსჯელოს ქვეყანაში, სადაც მინისტრს 150 ლარი აქვს ხელფასი, სადაც გადასახადები, მთლიანობაში, შემოსავლის 57%-ს შეადგენს?.. საქართველოში არც ენერგეტიკული, არც საბიუჯეტო და არც საპარლამენტო კრიზისი არ არსებობს. არსებობს ერთადერთი — მართვის კრიზისი და პროფესიონალიზმის კატასტროფული ნაკლებობა. თუ ამ საკითხს მოევლება, მაშინ სხვა დანარჩენი სულ რამდენიმე თვეში მოგვარდება — ჩვენ ხომ პატარა ქვეყანა ვართ და ეკონომიკის ფეხზე დაყენება უსაშველო ნამდვილად არ არის.

ზემოთ ნახსენები ზედმეტი ხალხი სამართლიანი სისტემით უნდა შემცირდეს და გამოთავისუფლებული თანხები ხელფასების გაზრდაზე გადანაწილდეს. არანაირ სოციალურ რევოლუციას ეს არ გამოიწვევს, თუ დათხოვნილ ხალხს კომპენსაციის სახით ერთი წლის ანაზღაურებას მივცემთ — მათ საშუალება ექნებათ, მცირე ბიზნესი წამოიწყონ, ან ეს ფული რაიმე სხვა ბიზნესში ჩადონ, რის შედეგადაც თავის რჩენას შეძლებენ. სხვათა შორის, დღეს ზოგიერთ სამინისტროში საკმაოდ სოლიდურ ხელფასებს იღებენ, რაც უსამართლობად მიმაჩნია, რის საფუძველზე უნდა იყოს ერთ საბიუჯეტო უწყებაში საშუალო ხელფასი 2000 ლარი, მეორეში კი — 30?

**— თქვენ მიერ ნახსენები რეფორმის გატარება დღევანდელი ბიუჯეტისა და პარლამენტის პირობებში ალბათ შეუძლებელი იქნება... იმისთვის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება პატიოსანი პროფესიონალებით დააკომპლექტო, პირველ რიგში, ასეთი ხალხის ყოლაა საჭირო. მაგრამ, ჯერჯერობით, ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ ფულის საშოვნელად მოდიან...**

— რაზე უნდა ილაპარაკო, როცა ბიუჯეტის მიღებაზე ლამის ერთმანეთი დახოცეს და დეპუტატთა 90%-ს იგი ბოლომდე წაკითხული არ ჰქონდა... ზოგჯერ მეჩვენება, რომ ქართველი პარლამენტარები პირდაპირ ეთერში თამაშობენ „სახლობანას“. დააკვირდით, რა მდორედ მიმდინარეობს პარლამენტის ჩვეულებრივი სხდომები. დარბაზში ხუთი კაცი ზის ხოლმე, მათგან ერთს სძინავს, მეორე გაზეთს კითხულობს, სამნი კი სპიკერისგან ზურგშექცეულნი(!) თავის საქმეზე ლაპარაკობენ. მაგრამ სხვაა, როდესაც ე.წ. კანონმდებლები რომელიმე მინისტრის ანგარიშს იბარებენ. აი, იქ ატყდება ხოლმე ერთი ამბავი და იციან თუ არ იციან, ყველა ცდილობს, მომხსენებელი გააკრიტიკოს (რბილად რომ ვთქვათ). ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მის დარგს იცნობენ, ან იქ არსებული პრობლემები ადარდებთ. უბრალოდ, მერე, გაჩუმების შემთხვევაში, გარიგება რომ შესთავაზონ... როდესაც პარლამენტში კომიტეტების თავმჯდომარეები შეიცვალნენ, ერთ ჩემს ახლობელს, ყოფილ თავმჯდომარეს, ახლადარჩეულმა უთხრა, ბარემ შენი წილები გადმომაზარე და შენ შენს „სტაკანს“ მიიღებ, ახალი გზების შექმნაზე რომ არ ვიწვალოო... წარმოგიდგენიათ, რა ხდება? ან სად არის პარტიები საქართველოში — ერთკაციანი ლოკომოტივებია, რომლებსაც „ვაგონებად“ უსახური მასა ჰყავთ ჩაბმული. აქედან მოდის კოლექტიური აზროვნების აბსურდული პრინციპებიც. რატომღაც, მიაჩნიათ, რომ ფრაქციის წევრს მისი თავმჯდომარისგან განსხვავებული აზრი არ შეიძლება ჰქონდეს... უარესი ვითარებაა კანცელარიაში. ვინმეს შეუძლია ამიხსნას, რად სჭირდება საქართველოს პრეზიდენტს 350 მრჩეველი, როცა ზოგიერთი მათგანი იმას ვერ გირჩევთ, წვიმაში ლაბადის ჩაცმა სჯობს თუ ქოლგის დაჭერა...

ერთადერთ გამოსავლად ისევ ხალხის მიერ სწორად გაკეთებული არჩევანი მესახება, რათა შემთხვევითი პირები პოლიტიკაში ველარ მოხვდნენ.

***დაჩი გრძელიშვილი***

---

**ზურაბ მჭედლიშვილი**
**საკუთარი კორესპონდენტი ამერიკიდან**

# გაეროში სკანდალების სერია გრძელდება

„ამერიკა თავისი სიგიჟისა და სიცოფის ისეთ ხანაში შევიდა, რომლის მსგავსიც ცოტა თუა ამ ქვეყნის ისტორიაში“, — წერდა ერაყში ომის დაწყებამდე ბრიტანული ჟურნალი „ტაიმსი“, რითაც გმობდა ბუშის ადმინისტრაციის განზრახვასა და გეგმებს ერაყის წინააღმდეგ.

„სიგიჟისა და სიცოფისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ შეიძლება ითქვას, გასულ კვირას ამერიკელებს ცოტაღა დააკლდათ, ამ „კონდიციამდე“ რომ მისულიყვნენ, როცა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე მოისმინეს კოფი ანანისა და კოლეგა-დიპლომატების მოთხოვნა — ომის შემდგომი ერაყის მმართველობა გაერომ უნდა აიღოს ხელშიო! მართალია, ერაყის კრიზისმა უკვე მერამდენედ დაადასტურა, რომ აუცილებელია „უმოქმედო“ გაეროსა და მისი უშიშროების საბჭოს რეფორმირება და თუნდაც ამ ეტაპზე მაინც გარკვეული კონსენსუსის გამომუშავება რიგ სადავო საკითხებზე, მაგრამ უშიშროების საბჭო კვლავაც რჩება დაპირისპირებებისა და სკანდალების ასპარეზად. კოფი ანანისავე განცხადებით (რომელიც აღნიშნულ სხდომაზე გამოვიდა სიტყვით და რატომღაც „შესანიშნავ“ გუნებაზე გახლდათ), „ჩვენ ვცხოვრობთ ღრმა განხეთქილების პერიოდში და თუ მას არ აღმოვფხვრით, ის შეიძლება მთელ საერთაშორისო სისტემასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსაც დაემუქროს.“ ამ თემაზე საუბრის შემდეგ გენერალურმა მდივანმა ტონი შეიცვალა, თავის ხმას დრამატიზმი შესძინა და ჩაიკითხა ის ფრაზები, რამაც აშშ-ის დელეგაცია „გამოაცოცხლა“: „გაეროს გაუცრუვდა ერაყის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების ყველა მცდელობა და დადგა დრო, მთელი ჩვენი ძალისხმევა გავაერთიანოთ ერაყელი ხალხის დასახმარებლად!“ ანანის ამ მოწოდებამ ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში მორიგი „დიპლომატიური დრამა“ დაატრიალა. საქმე ის გახლდათ, რომ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევის ინიციატორები იყვნენ არაბული სახელმწიფოები და იმ ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც არ არიან ანტიერაყული კოალიციის წევრები. ისინი აპირებენ უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომაზე რეზოლუციის გატანას, რომელიც გმობს ამერიკის აგრესიას ერაყში, თუმცა ამთავითვე იციან, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი ვეტოს დაადებენ მას. სახელმწიფოთა ჯგუფის ინიციატივით ფრთაშესხმულ გაეროში ერაყის წარმომადგენელი მოჰამედ ალ დაური თავის გამოსვლაში მიდგა და სულ ბდღვირი ადინა „ერაყელი ხალხის გამანადგურებელ და ერაყის ოკუპაციის“ მოსურნე ამერიკას და არც ისეთი არადიპლომატიური სიტყვები დაუშურებია ვაშინგტონის მისამართით, როგორებიცაა: ჯალათი, ჰეგემონი, იმპერიალისტი, ჟანდარმი, ქალებისა და ბავშვების მკვლელი... ამერიკელთა დელეგაციის წევრებმა ფრაზის დასრულება აცალეს სადამ ჰუსეინის ელჩს და შემდეგ გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის თავკაცობით, დემონსტრაციულად დატოვეს უშიშროების საბჭოს სხდომა!

ამ სკანდალამდე ცოტა ხნით ადრე კოლინ პაუელმა „ცეცხლი შეუნთო“ გაეროსაც და აშშ-ის ოპონენტ სახელმწიფოებსაც: „ჩვენს პარტნიორებთან ერთად (იგულისხმება ანტიერაყული კოალიცია, რომელშიც საქართველოც შედის) ეს მძიმე უღელი ვიკისრეთ არა იმიტომ, რომ ომის შემდეგ არ გვქონდეს გადამწყვეტი და დომინირებადი გავლენა მოვლენათა განვითარებაზე... ჩვენ არ ვუჭერთ მხარს წინადადებას, რომ ერაყის მმართველობა გადაეცეს გაეროს, რათა შემდეგ ქვეყანა მართოს მან, ვისაც ის დანიშნავს“... მეტიც, ბუშის ბევრი მრჩეველი, რომლებიც გაეროსადმი არასოდეს გამოხატავდნენ სიმპათიას, ერაყის მმართველობაზე გაეროს მხრიდან პრეტენზიის გაცხადებისთანავე მძაფრი განცხადებებით დაესხნენ თავს საერთაშორისო თანამეგობრობის ამ ციტატებს, რომელსაც უკვე უწოდებენ „გათიშულ ერთა ორგანიზაციას“ და იმ ქვეყნებს (გერმანიას, რუსეთს და, განსაკუთრებით, საფრანგეთს), რომლებიც კოლინ პაუელის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, მუხანათურად მოექცნენ ვაშინგტონსაც და ზურგში დანა ჩასცეს. ვაშინგტონში აღარ მალავენ, რომ ამერიკელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ერაყის ახალმა მთავრობამ არ გაითვალისწინოს საფრანგეთისა და რუსეთის ეკონომიკური ინტერესები. პოსტსადამისტურმა ერაყმა უნდა გააუქმოს ის შეღავათიანი კონტრაქტები, რომლებიც სადამ ჰუსეინის რეჟიმმა გააფორმა პარიზსა და მოსკოვთან ბაღდადის მხარდაჭერისა და იარაღის მიწოდებისთვის მადლიერების ნიშნად. ამ იარაღში, უწინარესად, გულისხმობენ რუსულ „კორნეტს“, რომლის წყალობითაც ამერიკელებს უკვე აუფეთქეს რამდენიმე ტანკი „აბრაამსი“...

საინტერესოა, რომ ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებების პარალელურად ამერიკული მასმედია სულ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნავთობის გამო არ დაწყებულა ომი და ამერიკას, მიუხედავად თავისი ძლიერებისა, არ შეუძლია გააკონტროლოს „ერაყის, ანუ უცხო სახელმწიფოს სანავთობე პოლიტიკა“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნავთობზე ფასების დაცემა უახლოეს ათწლეულში მაინც ვერ აანაზღაურებს იმ კოლოსალურ თანხებს, რასაც ამერიკა ამ ომში ხარჯავს და დახარჯავს.

ექსპერტთა მტკიცებით, ერაყში 1990 წლამდე არსებული სანავთობე ინდუსტრიის დონის მისაღწევად საჭირო იქნება 3 წელიწადი და დამატებით 5 მლრდ დოლარი, რაც მსოფლიოში ნავთობის მოპოვებას გაზრდის და ისიც მხოლოდ 4%-ით. ამიტომ გულუბრყვილობაა იმის იმედად ყოფნა, რომ ეს დაასტაბილურებს ნავთობის ფასს... ამგვარად, აშშ-ს ნავთობზე მეტად მასობრივი განადგურების იარაღი და ბაღდადელი დიქტატორის აგრესიული ზრახვანი აღელვებს, რაც იქცა კიდეც ომის დაწყების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, — აღნიშნავს ამერიკული პრესა.

# მგოსნის გახსენება



იოსებ ნონეშვილს აპრილში 85 წელი შეუსრულდებოდა. მქონდა ბედნიერება, გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, შემთხვევით შევხვედროდი ამ შესანიშნავ მგოსანსა და მამულიშვილს. დიღომში, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, პროფკავშირის თავმჯდომარედ ჩემი მეგობარი ყარამან ბერიძე მუშაობდა. იმ ხანებში მე ვაშლიჯვარში ვმუშაობდი და ყარამანის ხშირი სტუმარი ვიყავი. აქ რამდენჯერმე შევხვდი იოსებ ნონეშვილს.

1980 წლის სექტემბერი იყო. კომბინატში მივედი და ლიფტს დაველოდე. უცებ გაიღო ლიფტის კარი და ბატონი იოსები გამოვიდა. სალამს ხომ ვერ დაასწრებდით! შლაპა მოიხადა, ოფლიანი შუბლი შეიმშრალა და თავი დამიკრა. ლიფტში რომ შევედი, იატაკზე ოთხად გაკეცილი ფურცელი შევნიშნე. ავიღე. ნონეშვილის ლექსი აღმოჩნდა — ალბათ ცხვირსახოცის ამოღებისას ამოუვარდა.

ყარამანთან ავედი და ვუთხარი, რაც მოხდა. ლექსი გადაიწერე და დედანი მომეცი. ვიცი, აქ ვისთანაც მოდის და უსათუოდ გადავცემო.

ასეც მოვიქეცი. ერთი კვირის შემდეგ ყარამანი გულის შეტევით გარდაიცვალა და არ ვიცი, გადასცა თუ არა პოეტს თავისი დაკარგული ლექსი. მალე ნონეშვილის გარდაცვალების ამბავიც მოედო მთელ საქართველოს.

ეს ლექსი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, არც პრესაში მინახავს გამოქვეყნებული და არც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ კრებულებში.

***დავით ყანდაშვილი***

## თქვენი მგოსანი

*„შენი ჭირიმე, სიკვდილო,*
*სიცოცხლე შვენობს შენითა.“*
*ვაჟა-ფშაველა*

*სულში ჩასახლდა სიკვდილის ლანდი,*
*აღარ მშორდება არც დღე, არც ღამით,*
*ამბობს: მგოსანო, შენ შემიყვარდი.*
*თვალს არ მაშორებს არც ერთი წამით.*
*სიკვდილისაგან კარგს რას მოელი,*
*ვიცი, რომ მალე მომიღებს ბოლოს,*
*გემშვიდობებით, მომეცით ხელი.*
*სიკეთე რჩება ამ ქვეყნად მხოლოდ.*
*მომაკვდავია ყველა სულდგმული,*
*ადამიანი, მხეცი, ფრთოსანი,*
*იცხოვრე ქვეყნად კეთილი გულით,*
*ო, ამას გირჩევთ თქვენი მგოსანი.*
*არავინ ხვდება სიკვდილს ღიმილით,*
*არ დამანახოთ თვალზე ცრემლები,*
*არ გამაგონოთ მოთქმით ტირილი, —*
*სუყველას თავზე შემოგევლებით...*
*მე არ დამკრძალოთ შორს, სადმე, მარტო,*
*მე ჩემს მამულში დამასაფლავეთ,*
*ჩემი საფლავი რომ მიემატოს*
*ჩვენს წინაპართა უკვდავ საფლავებს.*
*ნიშნად ხსოვნისა გულს ქვა დამადეთ,*
*გინდა შავი და გინდა სოსანი,*
*ზედ დააწერეთ ოთხიოდ სიტყვა:*
*„აქ განისვენებს თქვენი მგოსანი“.*

***იოსებ ნონეშვილი***
***1980 წ., სექტემბერი***

# „ჯენტლმენი“ ჯიბგირებისა და მადლობისგან „შენუხებული“ კაცის ამბავი

ორი პატარა ამბავი, რომელიც თბილისში, სამარშრუტო ტაქსებში მოხდა, ვიღაცისთვის შეიძლება უბრალო, ცხოვრებისეული, არაფრისმთქმელი ეპიზოდები იყოს, ვიღაცისთვის კი...

ორიოდე დღის წინ რედაქციის თანამშრომელ ქალბატონებს უცნაური ამბავი შეემთხვათ. სამარშრუტო ტაქსიში ერთ-ერთ მათგანს პალტოს ჯიბიდან ფული ამოაცალეს. რა არის ამაში უცნაური, ჯიბგირების მსხვერპლი დღეში ათასობით ადამიანი ხდება თბილისში, მაგრამ საქმე უჩვეულოდ დამთავრდა. დაზარალებულმა ჯიბე მოიჩხრიკა და აღმოაჩინა, რომ ოთხიოდე ლარიდან, ლარიანის ამოცოცება მოეხერხებინა „მეზობელ“ ყმაწვილს. გულიანი სიცილი წასკდომია და მეგობრისთვის ხმამაღლა უთქვამს, — წარმოგიდგენია, ლარი ამომაცალეს ჯიბიდან, როგორც ჩანს, ვიღაცას გზის ფული დარჩა შინ და უფასოდ მგზავრობაც მოერიდაო. დამნაშავემ თურმე ტრანსპორტი გააჩერა და ჩაიძურწა. მისმა თანმხლებმა კი მძღოლს ორლარიანი მიაწოდა, ქალბატონებს დაუბღვირა და დამადლებით ჩაიბურტყუნა, — ამ ქალების გადახდილიაო.

მისმა საქციელმა, როგორც ჩანს, მძღოლიც გააოცა და ქალბატონებს ჰკითხა, — თქვენი ნაცნობი იყოო? არა, ბატონო, ჯენტლმენი გახლდათ და ნეტავ მას ყველა მისი კოლეგა მიბაძავდესო.

ზრდილობიანი ჯიბგირის გამო არა მარტო მგზავრები, არამედ თვით სამარშრუტო ტაქსიც კი სიცილით თუხთუხებდა...

მეორე ამბავი თქვენს მონა-მორჩილს შეემთხვა. ბავშვობიდანვე მშობლებიც და პედაგოგებიც მასწავლიდნენ, მადლობის გადახდა ზრდილობის გამომხატველიაო. ეს წესი ჩვევად მექცა.

ამას წინათ, სამარშრუტო ტაქსიში ჩაჯდომისთანავე, მძღოლს მადლობა გადავუხადე უადგილო ადგილზე გაჩერებისთვის. ხურდა რომ მომაწოდა — გმადლობთ-მეთქი, ჩასვლისას კიდევ ერთხელ „მოვიწონე“ თავი ზრდილობით. ვის აშაყირებს ბიძია, შენო, — დასჭექა მძღოლმა. დავიბენი. რას ბრძანებთ, ბატონო-მეთქი. რა მადლობები აგიტყდაო. ვიფიქრე, ეს ვიღაცა ახირებულია-მეთქი და ვკითხე, — აბა, რა უნდა მეთქვა?

მართლა გულით მადლობელი ხარო?

გაოცებული მგზავრები თვალებდაჭყეტილი მოგვჩერებოდნენ.

რატომღაც მძღოლებს ალმაცერად გვიყურებენ, გვაგინებენ. შენმა მადლობამ საგონებელში ჩამაგდო. „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობაო“ — წინათ ახსოვდათ, მაგრამ ახლა ხალხს ეშმაკი ჰყავს შეჩენილი და მადლობის და კაი სიტყვის თქმა აღარ ეხერხებათ. წადი, ბიძია, წადი. კაი გზით გატაროს ღმერთმა და მადლობელი მე ვარ, თავი კაცად რომ მაგრძნობინეო...

რაღაც მეტკინა გულში და თვალებისკენ დაიძრა. ნუთუ მართლა დავძაბუნდით, სათნოებისგან დავიცალეთ, ერთმანეთისთვის ავი სიტყვა უფრო გვემატება, ვიდრე სითბო და თუნდაც ერთი მადლობა, რითაც შეიძლება წაქცეული წამოაყენო, სასოწარკვეთილს ნუგეში სცე.

რას ვერჩით ერთმანეთს?

***ეკა ლომიძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** ***რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.***

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ახალი დეტალები დურუ ხურცილავას ცხოვრებიდან“ — 135 ხმა
2. **ეთერ თარიმანი** — „ქედუხნელი „ამორძალები“ — 68
3. **მარინა მამისაშვილი** — „ვის დარჩება ქართული ავიაბიზნესი?!“ — 56
4. **ზურაბ მჭედლიშვილი** — „რა ხდება დღეს ამერიკაში?!“ — 37
5. **ჯაბა ლეონიძე** — „ერთადერთი შანსი მქონდა, რომ გადამერჩინა მსოფლიოს დონის ძალოსანი კახი კახიაშვილი“ — 30
6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 26
7. **მარინა ბაბუნაშვილი** — „საკუთარ ბედნიერებას სხვის უბედურებაზე ვერ ააგებ...“ — 21

8-9. **იზო რიკაძე** — „არ ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე...“ — 16

8-9. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „არსებობს თუ არა საქართველოში სიგარეტის ყალბი აქციზური მარკები?!“ — 16

10. **მაია ყალაბეგაშვილი** — „ქალი, რომელიც სამ საუკუნეს მოესწრო, ოჯახს თვითონ ინახავს!“ — 13

თქვენს პრემიას **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 488 რესპონდენტმა გამოავლინა.

# რა პროფესიის იყო აკაკი ბაქრაძე?

რა პროფესიისა იყო აკაკი ბაქრაძეო, — მკითხა ერთმა უცნობმა, ჟურნალისტიკას თავშეფარებულმა არაპროფესიონალმა, როცა ძველ თბილისში, ლესელიძის №18-ში, ამ სულმნათი მოღვაწის საცხოვრებელ სახლზე, მემორიალურ დაფას საბურველი ჩამოხსნა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ მიხეილ ქურდიანმა. დაფაზე ვკითხულობთ: **„ამ სახლში ცხოვრობდა XX საუკუნის დიდი მოქალაქე“.** უასაკო „კოლეგამ“ კითხვა გამიმეორა, კითხვა მარტივზე მარტივი და რთულზე რთული. ვუპასუხე, — საქართველოს ისტორიის უერთგულესი... ერთგულება დიდი პროფესიაა და ხშირად ისჯება კიდეც...



მიხვდა, ჩემთან საუბრის გაგრძელება აღარ ღირდა და გამეცალა. მე კი ჩემთვის ვფიქრობდი: მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ბაქრაძესაც იმ დამახინჯებულ საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ, რომელსაც ჩვენ, გამოგონილი დღესასწაულების, კომკავშირულ-პარტიული ყალბი ფაციფუცის ტოტალიტარულ სახელმწიფოში, მან უცდომლად იცოდა და ჩვენც მარტივად გვიხსნიდა, გეორგიევსკის ტრაქტატამდე საქართველოს დაკნინებას რა ოთხი საუკუნე უძღოდა წინ... რომ გენერალ ტოტლებენს არც გზაკვალი აბნევია და არც საკუთარი კაპრიზებით დადგომია ღალატის გზას... მოხუცი ერეკლე მცირე ლაშქრით როგორ შეატოვეს აღა მაჰმად-ხანის ურიცხვ ჯარს... იცოდა, რა გარემოცვაში იყო თამარ მეფის ტახტი, როცა ქართველმა ზაქარია მხარგრძელმა მხოლოდ და მხოლოდ თამარის ერთგულებით არ დაიდგა თავს სომეხ-ბაგრატუნთა სამეფო გვირგვინი... ეს ყველაფერი, ისტორიის ფოლიანტებში ძნელად მისაგნები და მოსაპოვებელი ცოდნა, მას ინფორმაციულ შემოტევებშიც ეხმარებოდა, გრიგოლ ვერმიშევისა და მისთანათა წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რომლებიც საქართველო-სომხეთის ისტორიულ ურთიერთობათა დამახინჯებას ლამობდნენ ჩვენი წარსულის განქიქებით...

აკაკი ბაქრაძემ განჭვრიტა, რომ მხოლოდ ზნეობის გადარჩენით და წარსულის პირუთვნელი შეფასებით შეიძლებოდა ერის გამოღვიძება და მისი წინამძღოლობა იტვირთა. შეძლო და მონახა ზუსტად ის ინტონაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა გულებისკენ მიიკვლევს გზას და ამიტომ მთელი საქართველო მის აუდიტორიად გადაიქცა.

აკაკი ბაქრაძემ იმ კონკრეტულ დროსა და ვითარებაში შეძლო ენის, რწმენის, მამულის ერთგულების ორიენტირი გამხდარიყო.

ეს პროცესი, სამწუხაროდ, ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ყველაზე რთული — იმ პირქუშ ეპოქაში დაწყება იყო.

ეს — პროცესია... ანუ ჩვენს სულებში დღესაც მუშაობს შეფასების ის კრიტერიუმები, აკაკი ბაქრაძის გაკვეთილები რომ გვამოძღვრავდა.

მწერალმა, დრამატურგმა, კრიტიკოსმა, ისტორიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ — შურსა და ბოროტებაზეც კი უფაქიზესი ნააზრევი თავის ერს სულის საზრდოდ დაუტოვა.

ერმა იცის დიდი შვილის დაფასება: მომავალი თაობა ხალხის ხარჯზე გამდიდრებულ მედროვეთა არც ერთ სრა-სასახლეს არ გაუკეთებს მემორიალურ დაფას წარწერით: „აქ ცხოვრობდა XX საუკუნის დიდი მოქალაქე“.

ერთი სიტყვით, აკაკი ბაქრაძემ შეუძლებელი შეძლო, პირქუშ, ტოტალიტარულ, ათეისტურ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანისათვის მოქალაქეობის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გაეღვიძებინა და თავის საფლავის ქვაზე საოცრად ღრმა ქრისტიანული, სანუგეშო სიტყვები დაეტოვებინა: „მე იმ ადამიანებს განვეკუთვნები, ვისაც სულის უკვდავების სჯერათ, ამიტომ არ გემშვიდობებით“.

***დოდო იორდანიშვილი***

# ფრთხილად, პირველი აპრილი მოდის!



— ტელეფონთან გეძახიან! — უთხრა ერთ მშვენიერ დღეს ამერიკაში სასწავლებლად წასულმა დათო გორგოძემ გერმანიიდან ამავე მიზნით ემიგრირებულ თავის უახლოეს მეგობარ ინგე ბერგერს. ინგემ გაკვირვების ნიშნად მხრები აიწურა და ბარის კუთხისკენ გაემართა, სადაც ტელეფონი ეგულებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც არავის გახსენებია და, მით უმეტეს, ტელეფონითაც არავინ დაჰკავშირებია. მაგიდასთან დაბრუნებულს თურმე სიცილით შეხვდნენ დათო და მისი მეგობრები.

— რად დაგჭირდა ჩემი მოტყუება? — გაოცდა ინგე...

— დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია,— უთარგმნა დათომ ქართული ხალხური ფრთიანი ფრაზა... ამის თქმა და ინგეს ატირება ერთი აღმოჩნდა.

— ჩვენში ასეთი წესია, პირველ აპრილს ერთმანეთს ტყუილებით ეხუმრებიან...

— ისეთი ხომ არაფერი მომხდარა, გეხუმრეთ, — ბოდიშობდნენ ბიჭები. ინგე კი მანამ სლუკუნებდა, სანამ ყვავილები არ მიიღო საჩუქრად და დათო არ დაემუქრა, — თუ არ გაჩერდები, მეთხუთმეტე სართულიდან გადმოვხტებიო...

— ასე რატომ გეწყინა? — ფრთხილად შეაპარეს კითხვა დამშვიდებულს...

— გერმანიაში პირველი აპრილი არც ისე ბედნიერ დღედ ითვლება, — თქვა ინგემ, — ამ დღეს თუ მოტყუვდი, იმას ნიშნავს, რომ არც საქმეში გაგიმართლებს, არც სიყვარულში...

— ეგ ცრურწმენაა, ცრურწმენა კი ცოდვაა, — კონტრარგუმენტი მოიშველია დათომ.

— ჩვენში იმდენი ხანია არსებობს ასეთი წარმოდგენა, რომ ძალაუნებურად იჯერებ.

— ჩვენთან კი ამ დღეს ერთობიან, — აუხსნა დათომ, — მხოლოდ პირველ აპრილს გაპატიებენ ტყუილს, ოღონდ, ცხადია, არა ბოროტს... თუმცა ესეც ცრურწმენაა... რატომ დამკვიდრდა თქვენში ასეთი წარმოდგენა?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ინგემ, — თქვენთან?

— არც მე ვიცი, — უპასუხა დათომ...

ამის შემდეგ ვის აღარ ჰკითხა, მაგრამ ვერაფერი გაიგო ამ ტრადიციის შესახებ...

აქ კი... რა დაგვავიწყებს...

— მგონი კაბა გაქვს დასვრილი... — შეშფოთებით რომ შემოგხედავდნენ კლასელები...

— აბა სად? — თავს აბრუნებდი და უცებ...

„დღეს პირველი აპრილია“... მართლაც, ერთადერთი დღეა წელიწადში, როცა უფროსებსაც შეუძლიათ მოიტყუონ, ანუ უწყინრად იხუმრონ...

გერმანელების მსგავსად, ავსტრიელებსაც არ უყვართ პირველი აპრილი — მას უბედურების მომტან დღედ თვლიან... რატომ? — ამას ვერავინ ხსნის. დანარჩენ მსოფლიოში კი იგი ყველასთვის მხიარულ დღედ ითვლება...

ვარაუდობენ, რომ „სიცრუის დღე“ ევროპის ქვეყნებში აზიიდან შემოვიდა. თურმე ძველ ინდოეთში მართლაც აღინიშნებოდა ოინების დღე, მაგრამ მარტის ბოლოს... ამ დღის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა გაზეთებში. 1889 წელს გაზეთი „ივერია“ (№78) წერდა: *„ჯერ არც ერთს გამომკვლეველს არა აქვს ჯეროვნად გამოკვლეული, თუ პირველ აპრილს ჩვეულებად რად არის ერთმანეთის მოტყუება, გაცრუება, გასულელება... ეს ჩვეულება ძველისძველია და ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში, 1417 წელს დამკვიდრდა, როცა ბურგგრაფი ფრიდრიხ ნიურენბერგი 1 აპრილს ბოროტად ეხუმრა ხალხს. მას შემდეგ, პირველი აპრილი თვით გვირგვინოსანთაც კი სახუმარო, საცდუნებელ დღედ ჰქონდათ მიჩნეული“.*

თუ ვინ იყო ბურგგრაფი ნიურენბერგი და რომელ ბოროტ ხუმრობაზე იყო ლაპარაკი, ამის შესახებ არც „ივერია“ ამბობს არაფერს და ვერც ვერავინ მითხრა...

ისე, ინდოელები რატომ გვჯობნიან ტყუილებში, არც ეს იცის ვინმემ... ქართულმა ფოლკლორმა ხომ შემოგვინახა ზღაპარი სამ ქოსატყუილაზე, რომლებიც სხედან და დილიდან საღამომდე თავს იმტვრევენ „ყველაზე ცოცხალი ტყუილის“ მოსაგონებლად...

პასუხებს ამ კითხვებზე ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ მაინც... ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება... პირველი აპრილი დადგება თუ არა, დილიდანვე გაისმის — „მოტყუება ადვილია!..“ ისე, მართალი რომ ვთქვათ, მოტყუებულად თავის აღიარება არც ჩვენში სიამოვნებთ დიდად... ასე რომ, ფრთხილად და ყურადღებით იყავით, ერიდეთ ქოსატყუილებს, პირველი აპრილი მოდის...

***ეკა მახარაშვილი***

***P.S. საპირველაპრილო ტყუილის სათავე კი სულ სხვაგვარი, მკრეხელური ყოფილა... (იხ. გვ.12., — რედ.)***



# ჩხაიძის გათავისუფლება კანონიერ ქურდებს უკავშირდება

## კახა თარგამაძე ტაილანდში მიდის?!



მაშ ასე! მიუხედავად იმისა, რომ აქამდე კახა თარგამაძისა და კობა ნარჩემაშვილის დაპირისპირება შსს-ში ფარული ომის ხასიათს ატარებდა, დღეს უკვე გაცხადდა. კახა თარგამაძის უკანასკნელი კადრის, ზურაბ ჩხაიძის შსს-დან წასვლა ბოლო წვეთი აღმოჩნდა თარგამაძისთვის, რომ ახალგაზრდა მინისტრის „დონესა და პროფესიონალიზმზე“ ალაპარაკებულიყო. საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ ჩხაიძე მაშინაც კი, როცა კახა თარგამაძე შს მინისტრი აღარ იყო, შსს-ში მის შეუცვლელ საყრდენად და სიტუაციის მართვის საუკეთესო საშუალებად რჩებოდა. როგორც ჩანს, კახა თარგამაძისთვის ჩხაიძის შსს-დან წასვლა ძველ სტრუქტურაში სამოძრაოდ მარჯვენა ხელის მოკვეთას ნიშნავდა. ალბათ, ამითაც იყო გაპირობებული, რომ კახა თარგამაძემ, რომელიც სამინისტროდან წასვლის შემდეგ ტელეფონითაც კი არავითარ კომენტარს არ აკეთებდა, დღეს უკვე დუმილი დაარღვია და ჩვეულ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. მეორე მხრივ, მისი მოგვარე და ოპონენტი გივი თარგამაძე კახა თარგამაძის საქართველოდან წასვლაზე ალაპარაკდა. საუბარია იმაზე, რომ ტაილანდის ხელისუფლება კახა თარგამაძეს ექსპერტად იწვევს. მართალია, თავად „რკინის“ მინისტრი ამას არ ადასტურებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ასე კატეგორიული ტონით ნარჩემაშვილზე, სწორედ ამის გამო ლაპარაკობდეს. ისე კი, ტაილანდი, ლაოსთან და ბირმასთან ერთად, ე.წ. „ოქროს სამკუთხედის“ შემადგენელი ქვეყანაა. „ოქროს სამკუთხედში“ შემავალმა ქვეყნებმა კი ნარკოტიკების წარმოებით გაითქვეს სახელი.

და მაინც, რატომ წავიდა ზურაბ ჩხაიძე შსს-დან? ამ საკითხებზე „კვირის პალიტრა“ ანტიკორუფციული საბჭოს წევრს **გივი თარგამაძეს** ესაუბრა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დათმო ნარჩემაშვილმა ზურაბ ჩხაიძე და რას უკავშირდება მისი შსს-დან წასვლა?**

— მე არ ვთვლი, რომ ნარჩემაშვილმა ჩხაიძე დათმო. თავიდანვე იყო მინისტრის დიდი სურვილი, რომ ჩხაიძე არ ყოფილიყო მისი მოადგილე, თუმცა იმასაც ამბობდა, რომ ჩხაიძე არის პროფესიონალი. მინისტრი იმასაც არ მალავდა, რომ ერთი წელი მაინც ვერ დათმობდა ჩხაიძეს მისი პროფესიონალიზმის გამო. ჩხაიძე რომ კახა თარამაძის კაცი და მარჯვენა ხელი იყო, ამაში მგონი არავის ეპარება ეჭვი. ამიტომ ბუნებრივია, ნარჩემაშვილისთვის ის არასასურველი მოადგილე იყო. თავისთავად, ნარჩემაშვილმა თარგამაძის სტილში დაიწყო „თამაში“. მან ჩხაიძეს დაავალა შეუსრულებელი ამოცანის გადაწყვეტა — დაეპატიმრებინა „კანონიერი ქურდები“. ბუნებრივია, დღევანდელ სიტუაციაში „სერიოზულ“ ქურდებს ვერავინ დააპატიმრებს, რადგან თითოეული მათგანის უკან დგას რომელიმე პოლიტიკური ფიგურა ან ხელისუფლების წარმომადგენელი. მაგალითად, იგივე ჩხაიძე ვერ დააპატიმრებდა იმავე კალაშოვს, რომელიც კახა თარგამაძის ერთ-ერთი ყველაზე ახლო პარტნიორია. აი, ასეთი ამოცანის შეუსრულებლობის გამო ჩხაიძე იძულებული გახდა, დაეწერა განცხადება და წასულიყო.

ვფიქრობ, ჩხაიძე შეგუებული იყო, რომ მას ადრე თუ გვიან, დაატოვებინებდნენ თანამდებობას.

**— გავრცელდა ასეთი ვერსიაც, რომ ბოლო ხანს ქვეყანაში გამწვავებული კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი მიმართული იყო ნარჩემაშვილის გადაყენებისკენ. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ამ აჟიოტაჟს ჩხაიძე შეეწირა...**

— შესაძლებელია, რომ აჟიოტაჟი ხელოვნურად ატყდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ნარჩემაშვილმა თარგამაძის მოადგილეობის პერიოდში მისგან გარკვეული გამოცდილება მიიღო. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ ახდენდა კახა თარგამაძე დაძაბულობის ესკალაციის სიმულაციას, შემდეგ განმუხტავდა და კიდევ ერთ ქულას ჩაიწერდა ხოლმე აქტივში. ძნელი სათქმელია გადაჭრით, კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება ნარჩემაშვილის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, თუ ნარჩემაშვილის მიერ ინსცენირებული. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც ამბობენ, კახა თარგამაძე ასე აქტიურად აღარ აპირებს ჩვენი ქვეყნის საქმეებში ჩარევას. ამბობენ, რომ ის საერთოდ ტოვებს საქართველოს.

**— იქნებ უფრო დაგვიკონკრეტოთ?**

— არის საუბარი, რომ ის აპირებს ტაილანდში გადასვლას. როგორც მითხრეს, ტაილანდის ხელისუფლება გარკვეულ ანაზღაურებას ჰპირდება საექსპერტო მუშაობისთვის, ანუ თარგამაძემ რჩევები უნდა მისცეს ტაილანდის ხელისუფლებას ძალოვანი სტრუქტურების რეფორმასთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს გავრცელებული ინფორმაციაა და მის რეალურობაზე თავს ვერ დავდებ.

**— ჩხაიძე რომ თარგამაძის ბოლო კადრი იყო შსს-ში, არავისთვის არ არის უცხო. ისე კი, კახა თარგამაძემ პრესის საშუალებით კომენტარი გააკეთა, რომ შსს-ში არაპროფესიონალები და დოყლაპიები დარჩნენ. იშვიათად, ყოფილმა მინისტრმა თავისი მოადგილე ასე დაიცვას. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ჩხაიძე თარგამაძისთვის?**

— ჩხაიძე თარგამაძისთვის ამ პერიოდშიც ნიშნავდა გარკვეულ კონტროლს ქვეყანაში ოპერატიულ ვითარებაზე და აგრეთვე ოპერატიული სიტუაციის გარკვეულწილად მართვის შესაძლებლობას. დღეს მან ეს ბერკეტი დაკარგა და, ბუნებრივია, გაღიზიანებულია. ნარჩემაშვილთან თარგამაძეს არათუ მეგობრობა, არამედ საკმაოდ დიდი დაპირისპირება ჰქონდა მისი სამინისტროდან წასვლის დღიდან. თარგამაძეს მართლაც მიაჩნია, რომ თავად პროფესიონალია და ნარჩემაშვილი არაპროფესიონალი. მე პირადად, არც კახა თარგამაძის პროფესიონალიზმისა მჯერა და არც ნარჩემაშვილის. ვფიქრობ, რომ კახა თარგამაძე უფრო ძლიერი ფიგურა იყო, ნარჩემაშვილი და მისი კადრები კი უფრო სუსტი ფიგურები არიან. თუ გავიხსენებთ, რომ პანკისის ანკლავი თავიდან ბოლომდე თარგამაძის შექმნილი იყო, მაშინ გასაგებია, რომ ჩხაიძე მას ძალიან მჭიდრო თანამშრომლობას უწევდა.

**— ინტერვიუს დასაწყისში აღნიშნეთ, რომ ჩხაიძე ქურდების პრობლემას ვერ გადაჭრიდა. რატომ უნდა მუშაობდნენ შსს-ში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ისეთი პიროვნებები, რომლებსაც ასეთი პრობლემის გადაჭრა არ შეუძლიათ?**

— დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში წარმოუდგენელია, ჩხაიძე იქნება, ნარჩემაშვილი თუ ხაბურძანია, თუნდაც ეს პრეზიდენტის ნება იყოს, რომ რომელიმე მათგანმა მოახერხოს ქურდული სამყაროს სერიოზული შევიწროება და მით უმეტეს, აყვანა, რადგან ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს გვერდში უდგას რომელიმე „კანონიერი“ ქურდი. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ერთი ჯამიდან ჭამენ...

**— გამოდის, რომ იმავე ძალოვნებს ქურდული სამყარო მართავს?**

— გარკვეულ დონემდე, რა თქმა უნდა, მართავს. უფრო კი ეს არის ურთიერთხელსაყრელი თანაცხოვრების სიმბიოზი.

**— დღევანდელი გადასახედიდან, მას შემდეგ, რაც თარგამაძე გადადგა, როგორ ფიქრობთ, უკეთესობისკენ რამე შეიცვალა შსს-ში?**

— შსს-ში, სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა, მაგრამ რეფორმაზე თავად პრეზიდენტმა ბრძანა, აჩქარება არაფერში არ არის კარგიო. პრაქტიკულად, მან პირდაპირ თქვა, რომ არჩევნებამდე ეს რეფორმა არ უნდა ჩატარდეს. მას კიდევ უნდა არჩევნებში ამ ბერკეტის გამოყენება. ზოგადად შეიცვალა ის, რომ ეს სტრუქტურები შედარებით ნაკლებად საშიშია, ვთქვათ, საზოგადოებისთვის და ოპოზიციური პოლიტიკური ძალებისთვის.

**— რას გულისხმობთ?**

— კახა თარგამაძის მინისტრობის შემთხვევაში, ნოემბრის მოვლენები რომ არ მომხდარიყო, ორ-სამ კვირაში ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობა დაპატიმრებული იქნებოდა. ჟვანია-სააკაშვილის გარდა, მეც მომიწევდა ამ ბედის გაზიარება. ასეთ ღონისძიებას, დარწმუნებული ვარ, ნარჩემაშვილი ვერანაირად ვერ ჩაატარებს.

**— თუ ეთანხმებით თქვენი მოგვარის განცხადებას, რომ შსს-ში დოყლაპიები დარჩნენ?**

— გააჩნია, რას ნიშნავს დოყლაპია. ისე, მესმის, რასაც გულისხმობს კახა თარგამაძე. კერძო საუბრებში მას არაერთხელ უთქვამს, თუნდაც ჩემთან, რომ მას ბალეტის სკოლა არ აქვს მოწყობილი პოლიციაში და მამაძაღლობების დიდი ნაწილი მისი მოგონილია. მისი აზრით, ვინც ასეთი ტიპის მამაძაღლობებს ვერ ახორციელებს, ის დოყლაპიაა.

**— რას გულისხმობდა?**

— ვერ გეტყვით.

„კვირის პალიტრა“ **კახა თარგამაძეს** დაუკავშირდა, რომელიც ვრცელ ინტერვიუზე უარს აცხადებს. თუმცა, როცა ვუთხარით, რომ მხოლოდ ერთი შეკითხვა გვქონდა, ხერხმა გაჭრა და ზემოაღნიშნულ საკითხზე მისთვის დამახასიათებელი სკანდალური პასუხები მივიღე.

**— ბატონო კახა, ამბობენ, რომ საქართველოდან წასვლას აპირებთ, მართალია?**

— ... არსად არ მივდივარ (იცინის).

**— ამბობენ, თითქოს ტაილანდის ხელისუფლებამ მიგიწვიათ ექსპერტად...**

— ასე შორს რატომ მიშვებთ. უკეთესი არაფერი გემეტებათ ჩემთვის? საიდან გავრცელდა ხმები?. არსად არ მივდივარ. საქართველოში ვიქნები. ნუ ინერვიულებთ.

**— მართალია, რომ გათავისუფლების შემდეგ ჩხაიძე თქვენთან წამოვიდა?**

— ჩემთან იყო ყოველთვის და ჩემგან არასოდეს წასულა.

> **დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, წარმოუდგენელია, ჩხაიძე იქნება, ნარჩემაშვილი თუ ხაბურძანია, თუნდაც ეს პრეზიდენტის ნება იყოს, რომ რომელიმე მათგანმა მოახერხოს ქურდული სამყაროს სერიოზული შევიწროება და მით უმეტეს აყვანა, რადგან ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს გვერდში უდგას რომელიმე „კანონიერი“ ქურდი. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ერთი ჯამიდან ჭამენ...**

**— რა ინფორმაციას ფლობთ, რატომ დატოვა ჩხაიძემ შსს?**

— ერთი კითხვაო და უკვე ინტერვიუს მართმევთ?

**— მხოლოდ მითხარით, კანონიერი ქურდების აყვანას უკავშირდება ჩხაიძის წამოსვლა?**

— უკავშირდება იმ ნაწილში, რომ ქურდებს ჩხაიძე იჭერდა და ამათ არ უნდათ, რომ დაიჭირონ.

**— პირიქით არის საუბარი, რომ დღეს ავტორიტეტული ქურდების დაჭერა შეუძლებელია. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— შეუძლებელია იმ ხალხის ხელში, ვინც დღეს მუშაობს შსს-ში.

**— მართალია, რომ დღეს ვინც დარჩა შსს-ში, დოყლაპიებს უწოდებთ?**

— მე ვთქვი, რომ ვინც სარკეში ჩაიხედავს და დაინახავს, რომ დოყლაპიაა, ის არის დოყლაპია. ჩაიხედოს ყველამ სარკეში. კოლექტივს არ ეხება. ეს ეხება იმ ხალხს, რომლებიც სარკეში იყურებიან დილით და დოყლაპიებად ხედავენ თავიანთ თავს.

**— მართალია, რომ თქვენსა და ნარჩემაშვილს შორის სერიოზული დაპირისპირებაა?**

— დონეზე მელაპარაკეთ რა! ჩემთვის ეგენი დონეები არ არიან.

**— ბატონო კახა, პრეზიდენტობა კიდევ გინდათ?**

— რას ჰქვია, მინდა.

**— აპირებთ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია, ვნახოთ.

**— ბატონო კახა, ვრცელ ინტერვიუს როდის მოგვცემთ?**

— მოვიფიქრებ და გეტყვით, როცა ჩამოვყალიბდები. ჯერ არ გეტყვით.

***მარინა მამისაშვილი***

# „მრავალ ლტოლვილებს კორიდორი სასაზღვრო დეპარტამენტმა მისცა“



## „ნათესაობის გამო ნაკლებად წყალობს ვინმეს ბატონი ასლანი“

*„ალორძინების“ ბანაკმა გასულ კვირასაც ჩვენს ძალოვან უწყებებზე ადრე გაახმოვანა კონფიდენციალური ინფორმაცია — რკონში ერაყელი ლტოლვილები გამოჩნდნენო. ჯემალ გოგიტიძემ ამის გამო შს მინისტრს პარლამენტში მისვლა მოსთხოვა, მაგრამ დეპუტატის ინფორმაცია ნარჩემაშვილმა და სხვა ძალოვნებმაც ყურს იქით გაუშვეს. გოგიტიძეს სახელმწიფო სტრუქტურების უდარდელი პოზა ეჭვის საფუძველს აძლევს და გვაფრთხილებს, — ხელისუფლება მორიგი პროვოკაციისთვის ემზადებაო.*

*ეტყობა, აჭარის ბანაკი პრეზიდენტის მორიგმა მიპატიჟებამ ააფორიაქა. შევარდნაძემ ასლან აბაშიძე თბილისში მოიწვია და თან გაამხნევა კიდეც, — თუ ვინმეს თბილისში ტერაქტის მოწყობა უნდოდა, მე, ედუარდ შევარდნაძეს მომიწყობდაო...*

*ამ და „ალორძინების“ შესახებ გავრცელებულ ზოგიერთ კულუარულ ინფორმაციაზე* **ჯემალ გოგიტიძეს** *ვესაუბრეთ.*

**— რამდენად სარწმუნო წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია, რომ კასპის რაიონში ერაყელი ლტოლვილები გამოჩნდნენ?**

— ინფორმაცია სანდო წყაროსგან მაქვს. ყველა რაიონში გვყავს მხარდამჭერები და ინფორმაციაც მათ მოგვაწოდეს. ეჭვი არც მეპარება, რომ მართლაც ასეა. ადრე, როცა პანკისზე ავლაპარაკდი, ყველა სტრუქტურამ წყალი ჩაიგუბა პირში და ხომ გახსოვთ, როგორ შემოგვიტრიალდა საქმე. შესაძლოა, საქართველოს მალე ბრალდებად წაუყენონ, — თუ ამერიკის მხარდამჭერი ხარ, ერაყელ ლტოლვილებს რატომ იღებო. რატომ შემოუშვეს ეს ხალხი, თუ არ უნდოდათ?! ამასთან, თუ ჩეჩენ ლტოლვილებს ჰუმანურად მოვექეცით, ირანელებმა და ერაყელებმა რა დააშავეს?

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლებაში ეს ამბავი იციან და განგებ იყრუებენ ყურს?**

— პრეზიდენტიც საქმის კურსშია და ყველა სტრუქტურაც. უფრო მეტიც, ვიცი, რომ პირველი ინფორმაცია სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტმა კი არა, იოსელიანის უწყებამ მიაწოდა პრეზიდენტს. ფაქტია, რომ სასაზღვრო დეპარტამენტმა ლტოლვილებს კორიდორი მისცა. არ გამოვრიცხავ (ჩემს განცხადებამდე), ეს ხალხი აჭარაში შეეშვათ.

**— რაიმე კონკრეტული მიზნით შეუშვებდნენ ლტოლვილებს აჭარაში?**

— რა თქმა უნდა... დაძაბულობის შექმნას ეცდებოდნენ.

**— ალბათ, გეცოდინებათ, რატომ მოიწვია შევარდნაძემ აბაშიძე თბილისში?**

— შევარდნაძეს არაერთხელ უთქვამს ცინიკურად — აბაშიძე თბილისში არ ჩამოდისო. ამით მისი ურჩობის დემონსტრირებას ახდენს. როგორ აძლევს შევარდნაძე ბატონ ასლანს უსაფრთხოების გარანტიას, როდესაც თვითონ მას მოუწყვეს (თუ მოაწყო) ტერაქტები?! ამერიკელების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, ძირითადად, შევარდნაძის უსაფრთხოებისთვის ხორციელდება. წარმოგიდგენიათ, ამერიკელების 64 მილიონი, პლუს 11 მილიონი ბიუჯეტიდან ერთი კაცის უსაფრთხოებას ხმარდება. შევარდნაძეს ამ ფასად უჯდება საკუთარი მოსახლეობისგან დაცვა. ეტყობა, დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, რაკი სჯერა, რომ მხოლოდ მას მოუწყობენ საქართველოში ტერაქტს.

*(გაგრძელება იხ. გვ.7)*

# საქართველოდან ფასდაუდებელი საგანძური გაედინება

## თამარ მეფის საფლავი ჯერ არ გვიპოვია და უკვე ვკარგავთ?!

გაოცებული შევცქეროდი ულიანოვკელ გლეხს, უშველებელი ჩანთიდან ერთიმეორის მიყოლებით რომ ამოჰქონდა ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით ორი ათასი წლის წინ დამზადებული კერამიკული ნაკეთობები: დოქები, სურები, თასები, ფიალები და სხვ. როგორც იქნა, ჩანთა დაცარიელდა, მაგრამ საწოლზე, რომელზეც ეს არქეოლოგიური მონაპოვარი დალაგდა, ადგილიც აღარ დარჩა. მეორე გლეხმა უკანონო არქეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოპოვებული ქრისტეს დაბადებამდე შექმნილი ლითონის ნივთები დამილაგა წინ, ხოლო მესამე „არქეოლოგმა“ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ქალის პატარა ქანდაკება ამოაცურა ჯიბიდან... აი, მეტყველების უნარი კი რამდენიმე წუთით მაშინ დავკარგე, როცა გლეხებმა თავიანთი არქეოლოგიური მონაპოვრით გავსებული სახლების სხვენები, სარდაფები, სასიმინდეები და სხვა დამხმარე სათავსები მაჩვენეს. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ჩემ წინაშე ფასდაუდებელი არქეოლოგიური მონაპოვარი იყო. გლეხებთან საუბრისას, რომლებსაც საარსებო წყაროდ უკანონო არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ისტორიული ღირებულების ნივთების მოპოვება გაუხდიათ, ისიც გავიგე, რომ რამდენიმე დღეში ეს ფასდაუდებელი განძი საზღვარგარეთ გაემგზავრება. საქართველოს მთავრობას არა აქვს საშუალება ძვირფასი ექსპონატები კაპიკებად მაინც შეიძინოს. სამაგიეროდ, უცხოელები არ იშურებენ ფულს. საქართველოს მუზეუმების თანამშრომლებსა და არქეოლოგებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, ნაპოვნი უნიკალური ნიმუშები დაათვალიერონ და გულდაწყვეტილებმა უკან დაუბრუნონ გლეხებს. მათ კლიენტის მონახვა არ უჭირთ — შუამავლების მეშვეობით უცხოელებთან ასაღებენ „საქონელს“.

რამდენიმე დღის წინ, ჩვენი რედაქციის თანამშრომლის მეშვეობით, ისტორიკოსი **დავით ჯაფარიძე** დამიკავშირდა და სასწრაფოდ შეხვედრა მთხოვა. ბატონი დავითი მეორე დღეს რედაქციაში მოვიწვიე. ჩვენი რესპონდენტი ძალზე აღელვებული ჩანდა. სავარძლებში მოვკალათდით და ყურადღებად ვიქეცი. დავით ჯაფარიძე: „არქეოლოგიური კვლევა-ძიების დარგში საკმაო გამოცდილება მაქვს. მამაჩემი, ვახტანგ ჯაფარიძე, ცნობილი არქეოლოგი გახლდათ. იგი ხელმძღვანელობდა დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას და

**— ერთი კაცი ვიცი, სოფელ ულიანოვკის ხევში, სადაც მდინარე ორღანი ჩამოდის, შემთხვევით რაღაც ბრტყელ, ლამაზ ქვას წააწყდა. თურმე პატარა ჭურის თავსახური ყოფილა. ჭურიდან გლეხს ოქრო-ვერცხლმა შემოანათა. მე არ მინახავს, მაგრამ ხალხი საოცრებებს ჰყვება ნაპოვნ განძზე. ამბობენ, განძი თურქებმა იყიდესო.**

მეც თან ვახლდი. სტუდენტობისას ვმონაწილეობდი სხვადასხვა არქეოლოგიურ კვლევაში. აქტიური მონაწილე გახლდით ბრინჯაოს ხანის კვლევის ექსპედიციისა, რომლის გათხრები წარმოებდა თბილისში, კერძოდ, დიღომში არქეოლოგ როსტომ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. ახლა მინდა ერთი ფაქტის შესახებ გიამბოთ, რომლის მომსწრეც თვითონ შევიქენი. ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში, ე. წ. მშრალ ხიდთან არსებულ ძველმანების ბაზრობაზე გავიარე. იქ შემთხვევით აღმოვაჩინე ბრინჯაოს მახვილი, რომელიც დაახლოებით სამი ათასი წლისაა. მასზე პატინა შევნიშნე (პატინა — ბრინჯაოს ჟანგი, მომწვანო ფერის. — ზ. ჩ.). ამან ძალიან გამაკვირვა, მახვილი ნამდვილის ასლი, ანუ მულაჟი მეგონა. დავინტერესდი და გამყიდველს გამოვკითხე. როგორც გავარკვიე, მახვილი ნამდვილი ყოფილა და პირვანდელი სახით ჰქონდათ გამოტანილი გასაყიდად. აქვე ვნახე ბრინჯაოსა და სხვა ლითონების მეტად საინტერესო პატარ-პატარა ფრაგმენტები. გამყიდველმა მითხრა, მახვილი ერთმა გლეხმა მომიტანა, რომელიც თვითნებურად აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს თავისი სოფლის ტერიტორიაზე. თუ გაინტერესებთ, შეიძლება შევუკვეთოთ და რამდენიმე დღეში არქეოლოგიური გათხრებიდან მოპოვებულ ბევრ საინტერესო ნივთს ჩამოიტანს თბილისშიო. თურმე ამ საქმეს, ძირითადად, ლაგოდეხის, ქარელის, ვანისა და სხვა რაიონების მოსახლეობა მისდევს. როგორც კოლეგებისგან შევიტყვე, ამ ვაიარქეოლოგების წინააღმდეგ ვერაფერს აკეთებენ, — აქამდე კანონმდებლობა ამ პრობლემას არ ითვალისწინებდა. მხოლოდ რამდენიმე თვის წინ მიიღო პარლამენტმა კანონი, რომლის თანახმადაც, მიწაში არსებული ყველა ნივთი, მათ შორის არქეოლოგიური მონაპოვარი, სახელმწიფოს კუთვნილებად ითვლება. არც ეს არის საშველი — მიდი და გაარკვიე, როდის მოიპოვა გლეხმა ესა თუ ის ნივთი — კანონამდე თუ კანონის შემდეგ. ერთი რამ ფაქტია, ზოგიერთ რაიონში დღესაც გრძელდება უკანონო, ანუ თვითნებური არქეოლოგიური გათხრები.“



გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ქალის ქანდაკება მალე საზღვარგარეთ ამოყოფს თავს

ამ შემაშფოთებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩვენ დავუკავშირდით სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელს, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ **იულონ გაგოშიძეს:** — თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის არამდგრად ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, არქეოლოგიისა და სიძველეების მიმართ გულგრილობა გასაკვირი აღარ არის. საბჭოთა პერიოდში არქეოლოგიურ გათხრებსა და კვლევა-ძიებით სამუშაოებს სახელმწიფო აფინანსებდა, — მაშინ თვითნებურად არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება დაუშვებელი იყო. საზღვარიც ძნელად გადასალახავი გვქონდა და არქეოლოგიურ სიძველეს იოლად ვერ გაიტანდი უცხოეთში. ეს კანონით მკაცრად ისჯებოდა. თუ რაიმე არქეოლოგიურ სიძველეს ან განძს იპოვიდი, მისი ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში, სახელმწიფო ნაპოვნის ღირებულების 25%-ით გაჯილდოებდა. რა თქმა უნდა, მაშინაც არსებობდა არქეოლოგიურ სიძველეთა შავი ბაზარი, მაგრამ ვცდილობდით ნაპოვნი იქ არ მოხვედრილიყო. ამიტომ მუზეუმის თანამშრომლები არცთუ იშვიათად, ზოგიერთ ნივთში იმაზე მეტ თანხას ვიხდიდით, ვიდრე ამის საშუალებას სამუზეუმო სახსრები გვაძლევდა. მახსოვს, ქარელის რაიონის სოფელ ზღუდედან ძვირფასი ოქროსა და ვერცხლის თასების შეძენა მოვახერხეთ, რომელიც გლეხმა შემთხვევით იპოვა ხვნისას. ჩვენ მას კბილის ტექნიკოსზე მეტი თანხა შევპირდით. მხოლოდ ამის შემდეგ გვაჩვენა გლეხმა უნიკალური ნივთები. იმავე რაიონში იპოვეს ორი ბრინჯაოს პატარა ქანდაკება, რომლებიც ქრისტესშობიდან II-III საუკუნეებით თარიღდებოდა. მპოვნელს კანონით გათვალისწინებულზე მეტი გადავუხადეთ. მერე გლეხმა ის ადგილიც გვაჩვენა, სადაც „გათხრებს“ აწარმოებდა — მოგვიანებით იქ უამრავი ძვირფასი ნივთი აღმოვაჩინეთ. ეს მაგალითები იმიტომ მოგიყვანეთ, რათა მეთქვა — ნაპოვნის ნებით ჩაბარება თითქმის გამორიცხულია, თუ არ იქნა მნიშვნელოვანი მატერიალური დაინტერესება. მპოვნელმა უნდა იცოდეს, რომ მას მუზეუმში უფრო მეტს გადაუხდიან, ვიდრე ბაზარზე. ახლა კი ჩვენმა მთავრობამ პრობლემა მარტივად გადაწყვიტა და მიწაში ნაპოვნი ყველა ნივთი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა და ჯილდო არ გაითვალისწინა მპოვნელისათვის. დარწმუნებული ვარ, მუზეუმში ალარავინ ალარაფერს მოიტანს.

— **ამბობენ, ძირითადად, ლაგოდეხის რაიონში ხდება უკანონო არქეოლოგიური გათხრებიო.**



2500 წლის ასაკის ქვევრები ღია ცის ქვეშ მყიდველს ელოდება.

— დიახ, ამ რაიონის სოფელ ულიანოვკის მიმდებარე ტერიტორიაზეა აღმოჩენილი უძველესი სამარხები. გლეხობამ ჩვენთან, მუზეუმში, რამდენჯერმე ჩამოიტანა სხვადასხვა ნივთი. მათ შორის იყო ათწახნაგა ლურჯი მინის საბეჭდავები, მძივები, დათარიღებული ძვ. წ. აღ-ის I საუკუნით. საბედნიეროდ, მინიმალურ ფასად დაგვითმეს გლეხებმა ძვირფასი ექსპონატები. შემდეგ ხელოვნების მუზეუმშიც მიიტანეს ორი უნიკალური ვერცხლის მოოქრული თასი. ისინი თარიღდებოდნენ ძვ. წ. აღ-ის II-I საუკუნეებით. ასევე იყო ცხენის შუბლის საფარი, გასაოცარი სილამაზის ქალის ბრინჯაოს იშვიათი ქანდაკება, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ მუზეუმში არ არსებობს. სამწუხაროდ, ვერც საქართველოს ხელოვნებისა და ვერც სახელმწიფო მუზეუმმა ვერ შევძელით მათი შეძენა. ვფიქრობ, ყველაფერი საზღვარგარეთის რომელიმე



მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატი

მუზეუმმა შეისყიდა. ეროვნული საგანძური იოლად გააქვთ დიპლომატიური ფოსტითა და დიპლომატიური ბარგითაც — არც ერთი საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება...

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს, აკადემიკოს ვახტანგ ჯაფარიძეს. ბატონ ვახტანგთან კახეთის რეგიონალური განყოფილების გამგე კიაზო ფიცხელაურიც დაგვხვდა. **კიაზო ფიცხელაური:** „ჩვენს არქეოლოგიურ ცენტრში რამდენიმე თვის წინ მოვიდნენ თურქი ბიზნესმენები, რომლებმაც მაინცდამაინც ჩემთან შეხვედრა ისურვეს. თურმე გერმანიაში გამოცემული ჩემი წიგნი „გვიანი ბრინჯაოს ხანის იარაღები“ წაუკითხავთ და ამ ხანის ბრინჯაოს იარაღის ნიმუშების შეძენას ითხოვდნენ. რომ ვუთხარი, ასეთი ნივთები ისტორიული მნიშვნელობისაა და მათი გაყიდვა არ შეიძლება, თანაც საზღვარზეც ვერ გადაიტანთ-მეთქი, „მანუგეშეს“ — თქვენს საზღვარზე რამდენიმე ბრინჯაოს ნივთს კი არა, საქართველოს მუზეუმის ყველა ექსპონატს ტრაილერებით ისე გადავზიდავთ, უბატონოდ სიტყვას არავინ გვეტყვისო. მათი ვიზიტის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საქართველოს საგანძურის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ აღმოუჩენელია, თვითნებური გათხრების შემდეგ უეჭველად საზღვარგარეთ გავა. რამდენიმე ხნის წინ კახეთში, სოფელ მუკუზანში ერთ-ერთი გლეხის მარანში აღმოვაჩინეთ მოოქრული ვერცხლის თასი, რომელიც V საუკუნის, ვახტანგ გორგასლის ეპოქის გახლდათ. გლეხს რამდენიმე წლის წინ უპოვია და ღვინოს ამ თასით გეახლებოდათ. სასწრაფოდ გავეშურეთ სოფელ მუკუზანში. გლეხს რომ მივაგენით, იქ უკვე თურქები დაგვხვდნენ, რომლებიც რამდენიმე ათეულ ათას დოლარს სთავაზობდნენ. საქმეში პოლიცია ჩავრიეთ, გლეხშიც პატრიოტული გრძნობა გავაღვიძეთ და ერთ-ერთი კომერციული ბანკის მეშვეობით ათი ათას დოლარად გამოვისყიდეთ ის თასი, რომელიც ამჟამად სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.“ **ვახტანგ ჯაფარიძე:** — საქართველოს ბევრ რეგიონში სისტემატურად მიმდინარეობს თვითნებური არქეოლოგიური გათხრები. მაგალითად, ულიანოვკელები დიდად დაინტერესებულნი არიან ამ საქმით. სახლები სავსე აქვთ არქეოლოგიური მონაპოვრებით. გათხრილი აქვთ უძველესი სამარხები, რომლებსაც ხელით კი არა, ტრაქტორებითა და ბულდოზერებით თხრიან. როგორ შეიძლება სამარხზე ტექნიკის თუნდაც ახლოს მიყვანა? ამ არალეგალური ბიზნესით პოლიციაც კარგად ითბობს ხელს და აქტიურად მონაწილეობს არქეოლოგიური ნივთების ყიდვა-გაყიდვაში. იგივე მდგომარეობაა ქართლში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, თიანეთში, დუშეთში. ასე იკარგება უნიკალური ნივთები. თქვენ წარმოიდგინეთ, მოსახლეობა ისე გათვითცნობიერდა არქეოლოგიურ საკითხებში, აქეთ გვითითებენ, სად შეიძლება სიძველეების ძიება.

**— თქვენს საზღვარზე რამდენიმე ბრინჯაოს ნივთს კი არა, საქართველოს მუზეუმის ყველა ექსპონატს ტრაილერებით ისე გადავზიდავთ, უბატონოდ სიტყვას არავინ გვეტყვისო. მათი ვიზიტის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საქართველოს საგანძურის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ აღმოუჩენელია, თვითნებური გათხრების შემდეგ უეჭველად საზღვარგარეთ გავა.**

არქეოლოგიის დარგის კომპეტენტური პირების ამ განცხადებების შემდეგ, გავემგზავრეთ ერთ-ერთ რაიონში, სადაც არქეოლოგიური არალეგალური ბიზნესი ყვავის. ლაგოდეხის რაიონის სოფელი ულიანოვკა მთავარი საგზაო მაგისტრალიდან ათიოდე კილომეტრითაა დაშორებული. „ამ სოფელში, უმეტესად, იმერეთიდან ჩასახლებული ხალხი ცხოვრობს, — მითხრა საკუთარი ტაქსის მფლობელმა, **ილო წიწილაშვილმა** და განაგრძო, — აქ კარგა ხანია, დაიწყეს თვითნებური გათხრები. ზოგიერთმა კარგად მოითბო ხელი. ერთი კაცი ვიცი, სოფელ ულიანოვკის ხევში, სადაც მდინარე ორღანი ჩამოდის, შემთხვევით რაღაც ბრტყელ, ლამაზ ქვას წააწყდა. თურმე პატარა ჭურის თავსახური ყოფილა. ჭურიდან გლეხს ოქრო-ვერცხლმა შემოანათა. მე არ მინახავს, მაგრამ ხალხი საოცრებებს ჰყვება ნაპოვნ განძზე. ამბობენ, განძი თურქებმა იყიდესო. მერე უშიშროებამ შეიტყო ეს ამბავი და იმდენი აწვალეს, კაცმა ინფარქტი მიიღო და გარდაიცვალა“. ამ საუბარში ულიანოვკაშიც შევედით და მძღოლმა მანქანა ერთ-ერთ სახლთან გააჩერა. მაშინვე შევამჩნიე ეზოში რამდენიმე ქვევრი.

სახლიდან შუახნის გლეხმა გამომხედა და მიმიპატიჟა.

— **მე „ბრიტანეთის მუზეუმის“ წარმომადგენელი ვარ (ვიცრუე გლეხის თვალში პრესტიჟის ასამაღლებლად. — ზ.ჩ.) საქართველოში. ბევრი საინტერესო ნივთი გიპოვიათ. იქნებ გვაჩვენოთ. თუ მოგვეწონება, კარგ თანხას გადაგიხდით.**

— აი, ეს ქვევრები დაახლოებით 2500 წლისაა. ხედავთ, როგორ კარგად არის შენახული, ნახატებიც ეტყობა... — მითხრა გლეხმა.

— **მე უფრო ლითონის იარაღი და ქანდაკებები მაინტერესებს.**

— კერამიკული ნაკეთობებიც მაქვს და უამრავი თიხის ჭურჭელიც, აგერ, სასიმინდეში მიწყვია... — გლეხმა კიბით სასიმინდეში ამიყვანა, კარი გამიღო და გაოცებისაგან თვალები გამიფართოვდა — უამრავი თიხის ჭურჭელი ეწყო. აქა-იქ კერამიკული სამშვენისებიც ჩანდა.

— **ბრინჯაოს ქანდაკებები ხომ არ გაქვთ?**

— დაიგვიანე, რამდენიმე დღის წინ თბილისიდან ჩამოსულმა კაცმა წაიღო. ფული მჭირდებოდა და იაფად მივეცი. თუმცა ახლახან ქალის მძივები და მონეტები ვნახე ერთ-ერთ სამარხში. როგორც ამბობენ, სპარსული მონეტებია. თუ გინდა, მოგყიდი.

— **იქნებ შენს „კოლეგებს“ ჰქონდეთ კიდევ სხვა ნივთები.**

— ჯერ ჩემგან იყიდე და მერე სხვებსაც გაჩვენებ, მაგრამ მათ არაფერი არა აქვთ. ყველაფერი უკვე გაყიდეს. თვითონ დადიან თბილისში და იქ ასაღებენ...

სოფელში ხმა „ბრიტანეთის მუზეუმის“ წარმომადგენლის ჩამოსვლაზე, ელვის სისწრაფით გავარდა. ერთ-ერთი გლეხის სახლთან რამდენიმე ადგილობრივი „არქეოლოგი“ მოვიდა. თავდაპირველად, უნდობლად მიცქეროდნენ, მაგრამ ჩემმა საქმიანმა გამომეტყველებამ და საუბარმა ისინი დაარწმუნა, რომ ნამდვილად „ბრიტანეთის მუზეუმის“ წარმომადგენელი ვიყავი. თუმცა ჩემს ფოტოაპარატს ეჭვის თვალით მაინც უყურებდნენ. ამ სიტუაციიდანაც ვიპოვე გამოსავალი.

— **ფოტოებს იმიტომ ვიღებ, ინტერნეტის მეშვეობით ინგლისში უნდა გადავაგზავნო. თუ ნივთები მოეწონებათ, ფულს გამომიგზავნიან და ყველაფერს შევისყიდი.**

ამ განცხადებამ უნდობლობის ფაქტორი საბოლოოდ გააქარწყლა. ახალგაზრდა „არქეოლოგმა“ გვერდზე გამიყვანა და მითხრა: „წამოდი ჩემთან და ყველაფერს გაჩვენებ. თორემ ხვალ დილას თბილისში ვაპირებ წასვლას ჩემს კლიენტებთან. თუ მეტს გადამიხდი, მოვრიგდებით“.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „ლაწირაკებმა, რომლებსაც სააკაშვილი ალაპარაკებს, სჯობს საკუთარ ოჯახებს მიხედონ“

*საკრებულო და მერია ერთმანეთს პინგ-პონგს ეთამაშება. ზოდელავასთვის მიუღებელი მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტი სააკაშვილს ჰაერივით სჭირდება და ამიტომაც ქალაქის მერის ვეტოს იმავეთი პასუხობს. მალე ალბათ,* ***ვანო ზოდელავასა*** *და სააკაშვილის დავა სასამართლოში გადაინაცვლებს. მანამდე კი ქალაქის მერს რამდენიმე (შესაძლოა, მისთვის არცთუ სასურველი) კითხვით მივმართეთ.*

— **ბატონო ვანო, რა ხდება თბილისში, მართლა ორხელისუფლებიანობაა?**

— მხოლოდ დედაქალაქში კი არა, მთელ ქვეყანაშია ორხელისუფლებიანობა. ნახეთ,



რა ამბავში არიან მთავრობა და პარლამენტი. ორხელისუფლებიანობა ოჯახშიც არ არის კარგი — ქმარს თავისი ადგილი აქვს, ცოლს — თავისი. ქვეყანაში კი, როცა ასეთი ვითარებაა, ბუნებრივია, პრობლემა ჩნდება.

საკრებულო ზედმეტად ამბიციურია და, ვფიქრობ, ზოგიერთები თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც არ იცნობენ ხეირიანად. აქაოდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ზოგჯერ ისეთ საკითხებს წამოაყენებენ საკრებულოში, იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, არალოგიკურია. ჩემი უნდობლობის საკითხი დასვეს, მაგრამ თავიდანვე იციან, მერს უნდობლობა მაშინ უნდა გამოუცხადო, როცა იგი კონსტიტუციას არღვევს, ან სისხლის სამართლის დამნაშავეა. სათქმელად უნდათ, — ვანო ზოდელავას უნდობლობა გამოვუცხადეთო. იყვირონ, ხალხი დაიღალა უკვე მათი ლაქლაქით, დემაგოგიითა და პოპულიზმით. რომ მოვიდნენ, რა გააკეთეს საკრებულოში? — ერთ დროშას გადააყოლეს თბილისი. დროშის გარდა, საქმე არ გვაქვს?

— **რატომ, 3 ლარით პენსიის გაზრდა, შენობების გადახურვა და ლიფტების ამუშავება საქმე არ არის?**

— ხომ არ უნდა გადაგვაყოლონ ამ ლიფტებს... ამასთან, 150 ლიფტის ამუშავება მსოფლიო ბანკმა დააფინანსა შარშან, ძველი საკრებულოს დროს. სააკაშვილს ნათელაშვილის მსგავსად ცუდი მრჩევლები ჰყავს, ორგანიზატორული ნიჭიც აკლიათ, ამიტომ ვერ ჩერდებიან ერთ ადგილზე. ხალხი ხვდება ყველაფერს. მივესალმები პენსიების 3 ლარით გაზრდას, მაგრამ რატომ 10 ლარით არ გაზარდეს? თავისთვის არ დაენიშნათ 400-400 ლარი საკრებულოს წევრებს და ხალხს მეტად გაუმართავდნენ ხელს.

მერიის სტრუქტურებზე რომ ამბობს სააკაშვილი, კორუმპირებულები არიანო,

> ვითომ დემოკრატიულობის გამო, ამ პროცესში არასამთავრობოების ჩართვას აპირებენ, მაგრამ ხომ ცხადია, ვისიც არის ეს NGO-ები. უბრალოდ, წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა ლუკმების გადანაწილება დაიწყო.

საკრებულოში არ ჰყავს კორუმპირებულები?

— **ვის გულისხმობთ?**

— მას ჰკითხეთ. ბევრი კორუმპირებული ჰყავს და იმ ლაწირაკებმა, რომლებსაც სააკაშვილი ალაპარაკებს, სჯობს საკუთარ ოჯახებს მიხედონ... თავის დროზე, სანეპიდსადგურის უფროსად იმიტომ დანიშნეს ჯულული ახვლედიანი, რომ რამდენიმე დღის წინ პომპეზურად მოეხსნათ? ახვლედიანის ხუთივე მოადგილე არაპროფესიონალია — მათგან ოთხი კი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია. ეტყობა, ვილაცებმა რაღაც ვერ გაიყვეს ახვლედიანთან და ამიტომ მოხსნეს.

> ერთი-ორი საცოდავი საწარმო აქვს. 1.300 დოლარად ჰქონია შვიდი შენობა ნაყიდი. რა უფლება აქვს ასეთ კაცს, კორუფციაზე ლაპარაკობდეს და სხვას ამოწმებდეს? ურჩევნიათ, ჭკუით იყვნენ და არ ამალაპარაკონ! ასეთი კაცი დადის და მიწების გაყიდვის საკითხს სწავლობს.

— **უკაცრავად, მაგრამ თქვენ თავად 180 ლარზე ცხოვრობთ?**

— არც ვმალავ, რომ ბანკში ანგარიშები მაქვს. მე ბიზნესიდან ვარ მოსული. რომელია ბიზნესმენი საკრებულოში?

— **თუნდაც ჯუღელი...**

— არ მინდოდა მისი ხსენება. ერთი-ორი საცოდავი საწარმო აქვს. 1.300 დოლარად ჰქონია შვიდი შენობა ნაყიდი. რა უფლება აქვს ასეთ კაცს, კორუფციაზე ლაპარაკობდეს და სხვას ამოწმებდეს? ურჩევნიათ, ჭკუით იყვნენ და არ ამალაპარაკონ! ასეთი კაცი დადის და მიწების გაყიდვის საკითხს სწავლობს. ჩემზე უთქვამს, — ზოდელავა დასაჭერიაო. დასაჭერები თავისთან მოიკითხოს, პარტიიდან პარტიაში დარბის და სამეგრელოში რასაც აკეთებს, ხალხმა იცის.

— **რას გულისხმობთ?**

— რასაც ვგულისხმობ, იცის მაგან...

— **მამასახლისისა და რწმუნებულის ინსტიტუტის გამო ატეხილ დავაზე რას იტყვით?**

— მომხრე ვარ, მამასახლისი ყველა კორპუსში აირჩიონ. მათ ხელფასი მოსახლეობიდან ამოღებული გადასახადის პროცენტიდან მიეცემოდათ, მაგრამ სააკაშვილმა ეს იდეა მომპარა, გადაასხვაფერა და უბნის მამასახლისის ინსტიტუტს ითხოვს, რომელსაც ხელფასი ბიუჯეტიდან დაენიშნება. ვითომ დემოკრატიულობის გამო, ამ პროცესში არასამთავრობოების ჩართვას აპირებენ, მაგრამ ხომ ცხადია, ვისიც არის ეს NGO-ები. უბრალოდ, წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა ლუკმების გადანაწილება დაიწყო. თავდაპირველად, ლეიბორისტები მამასახლისების ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ოღონდაც ჩემი ვეტო გაუქმებულიყო, მხარი „ნაციონალებს“ დაუჭირეს და ამით დაამტკიცეს, რომ მათ ხალხის კი არა, პარტიული ინტერესები ამოძრავებთ. სააკაშვილი და ნათელაშვილი საკრებულოში მორიგდნენ — ლეიბორისტული ფრაქცია რომ არ დაშლილიყო, მიშამ მათ 3 კომისიის თავმჯდომარე დაუნიშნა. არადა, არც ერთ მათგანს თავი არ უსკდება. ერთს ვაჭრობის კურსები აქვს დამთავრებული და კომუნალური დარგი ჩააბარეს, მეორეს — ქიმიკოსს, — იურიდიული სამსახური, მესამეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიპლომი ჰქონია და დედაქალაქის სოციალური სფერო და კულტურა ანდეს. ერთი ჰკითხეთ კულტურის მოღვაწეებს, რამხელა „პატივს სცემენ“ ბატონ შატბერაშვილს...

— **იქნებ დამიკონკრეტოთ, წინასაარჩევნოდ, რა დივიდენდებს მოუტანს სააკაშვილს მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტის შემოღება?**

— 200 კაცს ხელფასს დაუნიშნავს და მერე არბენინებს იმ ხალხს პოლიტიკური აგიტაციის გასაწევად, — მიშიკო კარგი ბიჭია, არჩევნებში ხმა მიეცითო... ნათელაშვილი იმიტომ არ იყო ამ ინსტიტუტის მომხრე, იცოდა, სააკაშვილი თავის ხალხს დანიშნავდა, მაგრამ...

— **ბატონო ვანო, მიწების უკანონო გაყიდვის ფაქტები რომ გამოამზეურა საკრებულომ, ის ხომ არ გწყინთ?**

— ეს აბსურდია, ყველა მიწა კანონიერადაა გაყიდული. ბესო ჯუღელი ამაზე არ უნდა ლაპარაკობდეს.

— **თქვენ ხომ არ მოგადგათ მიწჩამორთმეული ხალხი?**

— ჩემთან რა უნდათ. მათ თუ ჭკუა აქვთ, სასამართლოში წავლენ, — ბესო ჯუღელს უჩივლებენ და ფულსაც დაადებინებენ. არც ერთი „ბენზინკალონკა“, არც ერთი ობიექტი არ დაუნგრევია სააკაშვილს, თუ გინდათ, შეამოწმეთ.

თუ ასე გააგრძელებს, ნაციონალების რეიტინგი ნულამდე დავა. მიშას ვურჩევ, თავისი პარტია გაწმინდოს, ნათელაშვილს კი საპარლამენტო არჩევნების წინ (ვიცი დიდი ამბიციები აქვს) ისეთი სია შეადგინოს, მერე ზოდელავას არაფერი დააბრალოს.

## ექსკლუზივი

**მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გავრცელებული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოში გამოსაქვეყნებლად აშშ-ის საელჩომ „კვირის პალიტრას“ მოაწოდა**



## ვაშინგტონი



***კონდოლიზა რაისი***

— კოალიცია, რომელიც დღეს ერაყის განიარაღების მძიმე და სახიფათო საქმეშია ჩართული, ძლიერი, ფართო და სხვადასხვაგვაროვანია. თითქმის 50 სახელმწიფო თავის მოვალეობად მიიჩნევს, ჩამოართვას სადამ ჰუსეინის რეჟიმს მის ხელთ არსებული მომაკვდინებელი და უკანონო იარაღი. თუ ამ საკითხს უფრო ფართო სპექტრით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ კოალიციური ქვეყნების მთლიანი მოსახლეობა დაახლოებით 1, 23 მილიარდ კაცს, ხოლო ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი კი — 22 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ეს ქვეყნები ყველა კონტინენტზეა განლაგებული და მსოფლიოს ნებისმიერ რასას, რელიგიასა და ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. მიუხედავად კოალიციურ ქვეყნებს შორის დიდი სხვაობისა, მათ ერთი საერთო მიზანი ამოძრავებთ — შეუქმნან თავიანთ ხალხს უსაფრთხო გარემო. კოალიციის ბევრი წევრი-ქვეყანა თვითონ დაზარალდა ტერორიზმისაგან; ყველას გაცნობიერებული აქვს ტერორიზმის საშიშროება და ის კატასტროფული საფრთხე, რაც მასობრივი განადგურების იარაღს მოაქვს.

ჩვენი დროის ყველაზე მძიმე საფრთხესთან შებრძოლება კოალიციის ყველა ქვეყნის ნებაა — ამ საფრთხეს უკანონო მთავრობებს, მასობრივი განადგურების იარაღსა და ტერორიზმს შორის კავშირი წარმოშობს. მსოფლიომ ნათლად დაინახა, რა შეიძლება მოხდეს, თუკი მომავალ ან არსებულ საფრთხეს წინ არ აღუდგებიან. გასულ საუკუნეში — და უკანასკნელი ათწლეულის მანძილზეც — მსოფლიომ კრიზისის თავიდან აცილებისა და საფრთხის აღმოფხვრის თვალსაზრისით დროულად ვერ იმოქმედა. დღევანდელი კოალიციის ზოგიერთი წევრი ათწლეულების მანძილზე იმკიდა თავისი შეცდომების საშინელ შედეგებს.

ზოგიერთი ქვეყანა მხოლოდ ახლახან გათავისუფლდა უმოქმედობის გამო გამეფებული ტირანიისაგან. რამდენიმე თვის წინ, ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრისას განაცხადა, მე არ მჭირდება იმის ახსნა, რატომ არის საჭირო ერაყთან დაპირისპირებაო. იმის გამო, რომ 1930-იან წლებში დიდ დემოკრატიულ ქვეყნებს არაფერი უღონიათ, ესტონელმა ხალხმა 50 წელი მონობაში გაატარა.

დღევანდელი კოალიციის ქვეყნებმა დროულად იმოქმედეს. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრიტანეთის პირველი ჯავშანტანკსაწინააღმდეგო დივიზია კარგად შეიარაღებულ ერაყის ჯარებს ებრძვის ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში და იცავს სამხრეთის ნავთობის საბადოებსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის პორტს უმ ყასრს, სადაც მალე ტონობით ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი გაივლის. ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი სამხრეთ ერაყში საარტილერიო დახმარებას უწევს კოალიციურ ჯარებს და ამასთან, ახორციელებს უმ ყასრის პორტის განაღმვას. ერაყის მთავარ ნავთობის პლატოს სპარსეთის ყურეში პოლონეთის სპეციალური დანიშნულების ჯარი იცავს. ერაყის დაზვერვას დანიის წყალქვეშა ნავი უწევს მონიტორინგს და წინასწარ გამაფრთხილებელ ნიშნებს გვაძლევს. ქიმიურ და ბიოლოგიურ მომწამვლელ ნივთიერებებზე პირველადი რეაგირების სპეციალიზებული ჯგუფები ჩეხეთსა და სლოვაკეთიდან ქუვეითში იმყოფებიან და მზად არიან, იმოქმედონ, ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შემთხვევაში, ფრონტის ნებისმიერ ადგილას.

ბევრი სხვა ქვეყანა ტექნიკურ, საორგანიზაციო და სადაზვერვო დახმარებას უწევს კოალიციას, აძლევს მას საჰაერო სივრცისა და ბაზების გამოყენების უფლებას და ჰუმანიტარულ დახმარებას სთავაზობს ქვეყნის აღდგენის სამომავალო პროცესისთვის. ზოგიერთ ქვეყანას უდიდესი სურვილი აქვს, წინ აღუდგეს ტერორიზმს, მაგრამ არ აქვს ამ ოპერაციაში მონაწილეობის საშუალება. ნებისმიერი ქვეყნის მიერ გაწეულ ნებისმიერ დახმარებას — დიდი იქნება იგი თუ მცირე — მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კოალიციის გამარჯვებაში; ყველას დახმარება ფასეულია.

ომის მსვლელობისდა კვალად იზრდება კოალიციის წევრი ბევრი ქვეყნის როლი. რაც უფრო ღრმად შევლენ კოალიციური ძალები ერაყის ტერიტორიაზე, მით გაიზრდება სპეციალიზებული ჯარების გამოყენების საჭიროება. რაც უფრო გაძლიერდება უსაფრთხოება, მით სწრაფად დაიწყება ერაყის ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოები და კოალიციის წევრი-ქვეყნების მით უფრო დიდი დახმარება გახდება საჭირო.

რაც უფრო ფართო მასშტაბებს იძენს ტერორიზმის წინააღმდეგ ომი და ბრძოლა ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ, მით მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვადასხვა ქვეყანამ და წინ აღუდგნენ ჩვენი დროის უდიდეს საფრთხეს.

დიდი ხნის წინ შექმნილი ალიანსები და ტრადიციული ინსტიტუტები ახლა გამოცდის წინაშე დგას. საერთაშორისო საზოგადოებრიობას შესწევს ძალა, რათა წინ აღუდგეს ამ პრობლემებს ისევე, როგორც ეს წარსულში არაერთხელ მომხდარა. ამის მაგალითია, კოალიციის დღევანდელი კავშირი ერაყის განიარაღების მიზნით.

ერთობლივი ბრძოლით ჩვენ შევძლებთ დიქტატურისა თუ ტერორიზმის ალკვეთას და არ დავუშვებთ 11 სექტემბრის ტრაგედიის უფრო ფართო მასშტაბით განმეორებას. ურთიერთთანამშრომლობისა და სხვა წევრების ამ ბრძოლაში ჩართვის გზით, ჩვენ შევძლებთ ანალოგიური ან უარესი კატასტროფების თავიდან აცილებას, რა დროს და რომელი წყაროდანაც უნდა მომდინარეობდეს ისინი.

# „ერაყელ ლტოლვილებს კორიდორი სასაზღვრო დეპარტამენტმა მისცა“

**„ნათესაობის გამო ნაკლებად წყალობს ვინმეს ბატონი ასლანი“**

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

— **ხომ არ გგონიათ, რომ ჯიუტი აბაშიძის მოთვინიერება იმიჯისთვის სურს პრეზიდენტს?**

— დიახ, ამისთვის უნდა. პიარს მიმართავს, — ნახეთ, აბაშიძეც გავტეხეო.

— **ბატონო ჯემალ, ამბობენ, „აღორძინებაში“ არცთუ სასიამოვნო ამბები ხდებაო. ეს გიორგი თარგამაძემაც განაცხადა...**

— ზოგიერთები ილუზიებს ნუ აჰყვებიან. პარტიის ღერძი აბაშიძეა, ჩვენ შავ სამუშაოს ვასრულებთ... პარტიაში კი ყველაფერი რიგზე გვაქვს. „ტრადიციონალისტები“ და „სოციალისტები“ ალბათ მაღალ მატერიებზე არ ფიქრობდნენ, როცა ჩვენთან მოდიოდნენ. არადა, ეს ხალხი 3 წლის წინ თვალებში შესციცინებდა აბაშიძეს. უბრალოდ, დღეს მათ უფრო მომგებიანი პოზიცია აირჩიეს და ლოკომოტივიც ამიტომ გამოიცვალეს.

— **თქვენი პარტიისთვის წინასაარჩევნოდ აშკარად წამგებიანია თენგიზ ასანიძის ციხეში ყოფნა. გჯერათ, რომ მას მართლა შეუძლია ავნოს აბაშიძეს?**

— აბაშიძისთვის ვნების მიყენება ასანიძეს არ შეუძლია, ის სასჯელს დანაშაულის გამო იხდის. ასანიძემ სასჯელი ეკონომიკური დანაშაულის გამო მოიხადა, თორემ ასანიძეების ბანდის საქმიანობის გამო იგი მოგვიანებით გასამართლდა. მსჯავრდადებულმა დოლიძემ 100 ათასი დოლარი გადაუხადა ასანიძეს აბაშიძის მოსაკლავად — ეს პოლიტიკური შეკვეთა იყო. შემკვეთები საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირები (შესაძლოა, პრეზიდენტიც) იყვნენ. იმიტომ უნდათ ასანიძის ციხიდან გაყვანა, ეშინიათ, არ ალაპარაკდეს. როცა საბოლოოდ დარწმუნდება ასანიძე, მისი მფარველები ყოვლისშემძლეები არ არიან, მაშინვე დაფქვავს ყველაფერს...

— **აბაშიძე იოლად არავის ენდობა. ამბობენ, გოგიტიძე მისი მეუღლის ნათესავია და ამიტომაც გამოარჩიაო.**

— ნათესაობის გამო ნაკლებად წყალობს ვინმეს ბატონი ასლანი. არაერთხელ დაუსჯია ნათესავები. ერთ-ერთი, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, ციხეშიც კი მოხვდა. აბაშიძე საქმის გამო საკუთარ შვილსაც არ დაინდობს. მე და მაგული გოგიტიძე (ბატონი ასლანის მეუღლე) გარებიძაშვილები ვართ, მაგრამ თუ უღირს საქციელს ჩავიდენ, დანდობის იმედი არა მაქვს. ერთგულება ძაღლსაც შეუძლია, ადამიანებს კი მეტი მოგვეთხოვება. ერთგულებაა მთავარი ბატონი ასლანისთვის.

— **წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსები ხშირად იცვლიან იმიჯს, თქვენც ამიტომ შეელიეთ სათვალეს?**

— იმიჯი არ შემიცვლია. ადრე ქიმიურ ლაბორატორიაში ვმუშაობდი, ეტყობა, მავნე ნივთიერებებისგან განმივითარდა ახლომხედველობა და სათვალეც დამჭირდა. რამდენიმე თვის წინ ოპერაცია გავიკეთე და მობეზრებული სათვალეც მოვიხსენი. ნამდვილად არ ვატარებ არც კონტაქტურ და არც ფერად ლინზებს (როგორც ჭორებს მივრცელებენ), ზოგიერთმა ისიც თქვა, ლურჯი თვალები ლინზების დამსახურებააო. ეს ის თვალებია, რომელიც ჩემმა მშობლებმა შექმნეს.

***მოამზადა***

***იზო რიკაძემ***

# სამხედრო ბუნტის საშინელი ტრადიცია გრძელდება



„ტრადიცია“ გრძელდება: მორიგ ქართულ სამხედრო ნაწილს ღამეულმა დაუპატიჟებელმა „სტუმრებმა“ მიაკითხეს

24 მარტს, გამთენიისას, როდესაც პენტაგონი სადამ ჰუსეინზე იერიშის მიტანას „ტომაჰავკების“ მორიგი პარტიით გეგმავდა, თბილისის ერთ-ერთ უბანში ტანკებს ჩუმად ქოქავდნენ. თუმცა ისინი არც სადამ ჰუსეინის დასახმარებლად აპირებდნენ ლაშქრობას შორეულ ერაყში და არც ამერიკელთა მხარეში დადგომას ეშურებოდნენ, არამედ აქვე, თბილისში, „სიტუაციის“ გასარკვევად ემზადებოდნენ...

დღეს 24 მარტის ბუნტის (ან სულერთია, რას დაარქმევთ ამ მოვლენას) მონაწილეთა საქციელს ვეტერანების დუხჭირი მდგომარეობისადმი პროტესტად აღიქვამენ.

დღევანდელი ხელისუფლება თავისი სავარძლების გამაგრებისა და ჯიბეებისთვის აქტიურობას კვლავ აგრძელებს, ნაკლებად ანაღვლებს არმიის გასაჭირი, მაგრამ შეიძლება კი სამხედრო ნაწილში შეჭრა და ტანკების ამუშავება?

ამ ჩაშლილ ამბოხზე თითქმის ყველაფერი დაიწერა, მაგრამ „კვირის პალიტრა“ რამდენიმე აქამდე უცნობ დეტალზე გაამახვილებს ყურადღებას.

ბევრ სამხედრო ნაწილში შეიძლება საბრძოლო განგაშის დროსაც ისე დროულად ვერ შეძლონ მძიმე საბრძოლო ტექნიკის დაქოქვა, როგორც ეს 24 მარტის ალიონზე თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის ოპერატიულ პოლკში (სამხედრო ნაწილი №55099) მოხდა — უმოკლეს დროში დაიქოქა სამი ტანკი და ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა. და იცით, რატომ? ჯგუფმა, რომელმაც ნაწილში შეაღწია, საბრძოლო ტექნიკისთვის დიზელის საწვავი ЗиЛ-131 ტიპის სატვირთო ავტომობილით შეიტანა. მათ გაითვალისწინეს ქართული არმიის მუდმივი გასაჭირი — დამჯდარი აკუმულატორები და 8 აკუმულატორიც შეაყოლეს.

ჰგავს ეს სპონტანურ ქმედებას? მგონი, არა.

მეორე ფაქტი: იმ ავტობუსში, რომელიც ხანდაკიდან თბილისში დაბრუნდა, 70 კაცი ნამდვილად არ იჯდა. არადა თვითმხილველთა თქმით, ხელში ჩაგდებულ ამ ნაწილში მოლაპარაკებების დროს 70 კაცი მაინც ტრიალებდა, მათ შორის რამდენიმე ნიღბოსანიც. მოლაპარაკებების შემდეგ კი 19 ადამიანი დააკავეს.

ემუქრებოდა თუ არა იქვე, 50-ოდე მეტრში მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას ეს შეიარაღებული ბუნტი?

რა თქმა უნდა, ემუქრებოდა, ოღონდ არა მარტო მათ. სამხედრო ნაწილში შეჭრილებმა საიარაღო ოთახიდან აიღეს 16 „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატი და ერთი ტყვიამფრქვევი, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფარეხებიდან გამოყვანილ საბრძოლო ტექნიკაში უფრო სახიფათო იარაღი — ჭურვები იყო. მართალია, დღეს სამხედროები ცდილობენ, უარყონ ეს გარემოება, მაგრამ ფაქტია, რომ სამივე ტანკში რამდენიმე ათეული სატანკო ქვემეხის ჭურვი ინახებოდა.

ინფორმაციისთვის: ბუნტის თაოსნებმა სამი T-55 ტიპის ტანკი აამუშავეს, რომელთაც ნაწილობრივ გააჩნდათ საბრძოლო მარაგი. ამ ტანკის Д-10Т ტიპის ქვემეხი ფუგასურ-მსხვრევად ჭურვს პირდაპირი დამიზნებით თითქმის 2 კმ-ზე ისვრის, მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, ტანკიდან ჭურვის სროლა მაქსიმალურ სიშორეზე, ჰაუბიცის მაგვარად შეიძლება, მაშინ სროლის სიშორე თითქმის 15 კმ-ს აღწევს. ისნის სამხედრო ნაწილიდან სწორედ ამ 15 კმ-ის რადიუსში ხვდება როგორც ქვეყნის ხელისუფლების სამუშაო კანცელარია, ისე კრწანისის რეზიდენცია.

მანამდე კი თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით, ვაზიანიდან სპეციალურად მოიყვანეს „კომანდოს“ ბატალიონის მებრძოლები. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნებით იმ შემთხვევისთვის, თუკი ბუნტისთავები ეცდებოდნენ სამხედრო ნაწილიდან ტანკების დედაქალაქის ქუჩებში გამოყვანას.

ამ დაძაბული ვითარებისას მოხდა სამწუხარო ინციდენტი, რომელსაც, წესით, ცალკე გამოძიება სჭირდება — „კომანდოელებმა“ ავტომატის ჯერით გააჩერეს მოქალაქეთა მსუბუქი მანქანა, რადგან მძღოლი არ დაემორჩილა სამხედროთა ნიშანს და არ გააჩერა. დაიჭრა ორი უდანაშაულო ადამიანი, რომლებიც სრულიად შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს. მძღოლის გამტყუნება არ შეიძლება — იგი არ იყო ვალდებული, ავტომობილი სამხედროფორმიანი შეიარაღებული ხალხისთვის გაეჩერებინა. დამნაშავენი არც „კომანდოს“ მებრძოლები არიან — მათ ზუსტად შეასრულეს საბრძოლო დავალება — არავინ გაეტარებინათ დაპყრობილი სამხედრო ნაწილის ჭიშკართან. დამნაშავეები არიან თავდაცვის სამინისტროსა და შეიძლება უფრო შინაგან საქმეთა სამინისტროს ის ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც გადაკეტილი გზის თავსა და ბოლოში (და სხვა გასასვლელებში) არ დააყენეს ავტოინსპექტორები, რომლებსაც აუცილებლად უნდა დამორჩილებოდა მძღოლი. და თუ ავტოინსპექტორები იდგნენ და მათ გაჩერება უბრძანეს მძღოლს, მაშინ დამნაშავე ეს უკანასკნელია.

კიდევ ერთი შემზარავი ფაქტი კი ის არის, რომ გრძელდება საშინელი ტრადიცია — სამხედრო ნაწილებზე თავდასხმები და მათი ხელში აღება.

მცირე ისტორიული ექსკურსი:

— 1992 წლის 24 ივნისის დილა. შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ პოლკს — ყოფილ მე-8 პოლკს თავს ესხმიან ზვიადისტები, რომლებიც ხელში იგდებენ რამდენიმე ათეულ ცეცხლსასროლ იარაღს და, რაც მთავარია, ტანკს, რომლის საშუალებითაც ცოტა ხანში სახელმწიფო ტელევიზიის შენობას იპყრობენ.

— 1993 წლის შემოდგომა. ცხინვალის რეგიონში განთავსებული შერეული სამშვიდობო ძალების ერთი ქართული ოცეული მთლიანად ტოვებს ქართული სოფლის პოზიციას და სრული შემადგენლობითა და საშტატო შეიარაღებით დასავლეთ საქართველოში გადადის ზვიადისტების მხარეზე საბრძოლველად.

— 1998 წლის შემოდგომა. აკაკი ელიავა და მისი თანამზრახველები ხელში იგდებენ თავდაცვის სამინისტროს სენაკის ბრიგადის შეიარაღებას და ტანკებით ქუთაისისკენ მიემართებიან.

— 2001 წლის 25 მაისს მუხროვანში დისლოცირებული შსს შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ბრიგადაში იჭრებიან ეროვნული გვარდიის მოქმედი და ვეტერანი ოფიცრები და იქ თავის კონტროლს აწესებენ.

— 2002 წელს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი ასზე მეტ ოფიცერთან ერთად „კომანდოს“ ბატალიონში სრულ დაუმორჩილებლობას უცხადებს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას.

ამ შემზარავი ფაქტების კვალდაკვალ უკვე აღარ ვაქცევთ ყურადღებას თავდაცვის სამინისტროსა თუ შინაგანი ჯარების ჯარისკაცთა 40-40-კაციანი ჯგუფების (მათ შორის შეიარაღებულების) სამხედრო ნაწილებიდან თვითნებურად წასვლის ფაქტებს.

„კვირის პალიტრა“ მეშვიდე წელია წერს, — ერთხელაც იქნება და ასეთი თამაში ისეთივე ტრაგედიით დამთავრდება, როგორც ეს 12 წლის თბილისის ცენტრში მოხდა.

**P.S.** აუცილებლად აღსანიშნავია კიდევ ერთი ყველაზე საგანგაშო საკითხი — ასე ადვილად როგორ იპყრობენ სამხედრო ნაწილებს? თუ არ ვცდებით, ისნის სამხედრო ნაწილის ყარაულში იმ ღამეს მხოლოდ ხუთი სამხედრო იდგა, მათგან სამი — საყარაულო შენობაში ისვენებდა. არადა, მთელი გვარდიის მძიმე შეიარაღება (რაოდენობას არ დავაზუსტებთ) თითქმის ამ ნაწილშია თავმოყრილი.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროს ჰქონდა წინასწარი ოპერატიული ინფორმაცია შესაძლო თავდასხმაზე, გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში მხოლოდ მე-11 ბრიგადა და ფოთის საზღვაო თავდაცვის ძალების ნაწილები იქნა მოყვანილი.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან სამხედრო ნაწილების „ინტერვენციას“ ისევ ქართველები ახდენდნენ, რომლებიც მაინც ერიდებოდნენ დიდ მსხვერპლს, მაგრამ ხომ შეიძლება ერთხელაც რომელიმე ქართულ, და მით უმეტეს, დედაქალაქში განთავსებულ, სამხედრო ნაწილში რომელიმე უცხო ქვეყნის ტერორისტული ჯგუფი შევარდეს, რომელთა კამიკაძეებისთვის მთავარი მიზანი იქნება, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ აშშ-ის აქტიურად მხარდამჭერ საქართველოს.

# ამერიკული ტაქტიკა და სტრატეგია ერაყში

## ბლიც-კრიგი არ შედგა, ემზადეთ გაჭიანურებული და სისხლისმღვრელი ომისთვის

ყოველკვირეულ გაზეთში ძნელია ოპერატიულად მიმოიხილო ის საბრძოლო სიტუაცია, რომლებიც ერაყის ტერიტორიაზე წარამარა იცვლება.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ომის მეორე კვირის თავზე უკვე გამოჩნდა ის სიმპტომები, რაც ერაყის დღევანდელ ომს ადრინდელებისგან განასხვავებს. პირველი და მთავარი ნიშანი — ამერიკელმა და ბრიტანელმა სამხედროებმა ვერ შეძლეს ბლიც-კრიგის ჩატარება და ინიციატივა ხელთ ვერ იგდეს. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ გაეროს რეზოლუციის მოლოდინში ვაშინგტონმა და ლონდონმა გადამწყვეტი 25-30 დღე დაკარგეს, დაიკარგა სწრაფი შეტევის მოულოდნელობის ეფექტი. ერაყელებმა მეტ-ნაკლებად მოასწრეს თავდაცვითი ზღუდეების აგება და ჯარების გადანაწილება იერიშსაშიშ მიმართულებებზე.

გარდა ამისა, ორი, ორთვე-ნახევარი ქუვეითსა თუ თურქეთის სანაპიროსთან მოყურყუტე ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაკარგეს ის საბრძოლო შემართება, რითაც ისინი ერაყისკენ მიიწევდნენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: პენტაგონმა ინგლისელებთან ერთად სახმელეთო შეტევითი ოპერაციები ნაუცბათევი საჰაერო და საარტილერიო საცეცხლე მომზადების შემდეგ დაიწყო. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ თეთრი სახლის კატეგორიული მითითებით, ამერიკელი გენერლები ელვისებურად აპირებდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას, რათა ომის გახანგრძლივებით (არადა მარტო საჰაერო დაბომბვების სერიალი შეიძლება ორი კვირა მაინც გაგრძელებულიყო) არ გაერთულებინათ ამ ომის მიმართ მთელი მსოფლიოს ისედაც ძალზე უარყოფითი განწყობა.

შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონი თავისსავე ანკესს წამოეგო — სადამ ჰუსეინის რეჟიმს ერთ თვეში გადავაგდებთ, ხოლო თავად ბაღდადს 3-4 დღეში ავიღებთო, — აცხადებდნენ თეთრ სახლში. დღეს თავად ამერიკელ ჯარისკაცებს უკვირთ თავიანთი გენერლებისა — აკი ამბობდით, ერაყელი სამხედროები ჯგუფ-ჯგუფად ჩაგვბარდებიან და ჩვენ მხოლოდ მათ კვებაზე ზრუნვა დაგვჭირდებაო?

ამერიკელ გენერლებს იგივე დაემართათ, რაც თავის დროზე რუსეთის თავდაცვის მინისტრ გრაჩოვს, რომელიც ტრაბახობდა — გროზნოს ორი საპარაშუტო-სადესანტო პოლკით ერთ დღეში ავიღებთო!

არადა ბრძოლები ჯერ არ მიახლოებია ბაღდადს. საპორტო ქალაქ უმ-ქასრის მეტ-ნაკლებად კონტროლის ქვეშ აღების შემდეგ მთავარი ბრძოლები ბასრასთან და ნასირიასთან მიდის. ამ შეუპოვარ ბრძოლებში ამერიკელი ჯარისკაცების საბრძოლო სული ნამდვილად არ მაღლდება, რადგან ისინი ერაყელთა არატრადიციული ბრძოლის ტაქტიკას წააწყდნენ.

ავტოკოლონების გასანადგურებლად გზებზე ჩასაფრებები, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ერაყელი ჯარისკაცების ახლო დისტანციიდან თავდასხმა, კამიკაძეები, სასიკვდილო „სიურპრიზები“ ქალაქის ქუჩებში და ბევრი სხვა, ამერიკელი ქვეითებისთვის სრულიად მოულოდნელ ამბად იქცა.

თუმცა ეს დიდად გასაკვირი არც არის. ერაყელი სამხედროები, რომლებიც ამერიკელებსა და დიდ ბრიტანელებს საკმაოდ ჩამოუვარდებიან საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების ხარისხით, იძულებულნი არიან, ამოირჩიონ საბრძოლო ტაქტიკის სულ სხვა სახე, რომელიც უფრო პარტიზანულს ემსგავსება.

ერაყელთა მიერ არჩეული საბრძოლო ტაქტიკა ითვალისწინებს ცეცხლის წარმოებას ახლო და ძალიან ახლო მანძილებზე — 200-დან 30-40 მ-მდე. ასეთ შემთხვევაში ამერიკელი სამხედროები (რომლებიც ცხადია, ბევრად უფრო ცუდად იცნობენ ადგილობრივ ლანდშაფტს) იძულებულნი არიან, მხარდაჭერისთვის გამოიძახონ საბრძოლო შვეულმფრენები, მოიერიშე თვითმფრინავები და არტილერია. ხშირად ამინდი, განსაკუთრებით კი ქვიშის ქარიშხალი, გამორიცხავს ავიაციის დაბალ სიმაღლეზე მოქმედებას, ხოლო საარტილერიო გათვლებისთვის ძალზე ძნელია, ისე გაანადგუროს მოწინააღმდეგე, რომელიც სულ რამდენიმე ათეული მეტრითაა დაშორებული კოალიციური დანაყოფებისგან, რომ თავისიანებიც არ დააზიანოს.

ბოლო ინფორმაციებით, კოალიციური ძალების მხედართმთავრობა ომში 5-6-დღიან „ტაიმ-აუტს“ იღებს. შეიძლება ეს ვინმეს ამერიკელთა მარცხად მოეჩვენოს, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით, სრულიად გამართლებული ნაბიჯია. არ გამოვიდა ელვისებური შეტევა, ამიტომაც საჭიროა დროებით შეჩერება. შექმნილი არც ისე სახარბიელო სიტუაციის ღრმა ანალიზი, შემტევი ნაწილების ჩანაცვლება ახალი დანაყოფებით (ამერიკიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მე-4 მექანიზებული დივიზიის საბრძოლო ტექნიკის, 200 „აბრამსის“ ტიპის ტანკისა და პირადი შემადგენლობის — 12 ათასი კაცის — გადმოსროლა. სულ პენტაგონს განსაზღვრული აქვს, უშუალოდ ბრძოლაში ჩაბმულ 90-ათასიან კონტინგენტს ერთ თვეში კიდევ 120 ათასი კაცი დაუმატოს), საბრძოლო საჭურვლის მარაგის შევსება და ახალი შეტევითი გეგმების დასახვა.

ბუნებრივია, რომ თურქების უარმა, თავის ტერიტორიაზე გაეტარებინათ 62-ათასიანი ამერიკული სამხედრო კონტინგენტი, პენტაგონი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ამჟამად მიმდინარეობს საჰაერო დესანტის გადასხმა ქუვეითიდან ჩრდილოეთ ერაყში. ამ დაჯგუფებას, ეტყობა, ორმაგი საბრძოლო ამოცანის შესრულება დაევალება — შეუტიოს ჩრდილოეთიდან ერაყს და, რაც მთავარია, არ დაუშვას ერაყის ჩრდილოეთ საზღვარზე გადასული თურქი სამხედროების სადამსჯელო ოპერაციები თავიანთი მოკავშირეების — ქურთების წინააღმდეგ.

ერაყში ომი, ეტყობა, მალე არ დამთავრდება — ერაყელები მასობრივად ტყვედ ჩაბარებას არ აპირებენ, თავის მხრივ, არც პრეზიდენტი ბუში დაიხევს უკან. ბრძოლები ერაყში თანდათანობით უფრო სისხლისმღვრელი გახდება.

# მხარდამხარ თუ არა პუტინი ჰუსეინს?

## პენტაგონი საბრძოლო წარუმატებლობას რუსებს აბრალებს – ერაყელები თქვენი მიწოდებული იარაღით გვიპირისპირდებიანო




რუსული რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები ბაღდადის თავზე ამ წუთში შეიძლება ამერიკულ „ჭკვიან“ ბომბებს „აგიჟებენ“

მოსკოვს არასოდეს დაუმალავს, რომ სადამ ჰუსეინს იარაღის უზარმაზარ პარტიებს აწვდიდა წლების განმავლობაში, ამიტომ ერაყის არმიის შეიარაღების 95% სწორედ საბჭოთა-რუსულია.

მაგრამ ამერიკა ბრალს სდებს სამ რუსულ კომპანიას, რომლებმაც ბოლო წლებში, მიუხედავად გაეროს სანქციებისა, იარაღის პარტიები მაინც ჩუმად მიაწოდეს ჰუსეინს. ლაპარაკია ღამის ხედვის მოწყობილობებზე, ტანკსაწინააღმდეგო მართვად იარაღზე და, რაც მთავარია, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებზე.

ღამის ხედვის ხელსაწყოების საშუალებით თავდაცვის ზღუდეებზე მდგარი ერაყელი სამხედროები ნათლად ადევნებენ თვალს იმ ამერიკულ სადაზვერვო-სადივერსიო მცირერიცხოვან რაზმებს, რომლებიც ცდილობენ ერაყელთა ზურგში შეღწევას და მოწინააღმდეგის რიგებში არეულობის შეტანას.

რუსული ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებიდან ამერიკულებისთვის მოულოდნელ და ამასთანვე უსიამოვნო „სიურპრიზად“ იქცა Конкурс-М ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები. მისგან გაშვებული მართვადი კუმულატიური რაკეტა მოწინააღმდეგის ტანკს დღისით მაქსიმალურ მანძილზე — 4 კმ-ზე ხვდება. მას ტანდემურად (ერთმანეთის მიყოლებით განთავსებული) ორი კუმულატიური მუხტი გააჩნია. პირველი აფეთქებს ტანკის დინამიკური დაცვის ელემენტს, ხოლო მეორე, ძირითადი კუმულატიური მუხტი კი, ხვრეტს არანაკლებ 800 მმ სისქის მონოლითური ჯავშნის ეკვივალენტ კომბინირებულ ჯავშანს. ეს კი მეტ-ნაკლებად საკმარისია თვით უახლესი ამერიკული ტანკის M-1A2 Abrams-სა და ინგლისური Challenger II-ის მწყობრიდან გამოსაყვანად. თუმცა პენტაგონისთვის უფრო სერიოზულ დარტყმას წარმოადგენს ის რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები, რომლებიც სადამ ჰუსეინის ხელში აღმოჩნდა. ჯერჯერობით, არ კონკრეტდება, თუ რა სახის დანადგარებზეა ლაპარაკი, მაგრამ სავარაუდოდ, ერაყელებმა მოასწრეს ომის დაწყებამდე შეესყიდათ „აქტიური წინააღმდეგობის შემქმნელი“ სადგურები СПН-2 ან უფრო თანამედროვე СПН-4. ეს მობილური სადგურები გამოასხივებენ მაღალი სიხშირის რადიოტალღებს და 30 მ-იდან 30 კმ-ის სიმაღლეების დიაპაზონებში აფერხებენ როგორც თვითმფრინავების, ისე შვეულმფრენების რადიოელექტრონულ აპარატურას, ზუსტი დაბომბვების განხორციელებაში. შეიძლება ამიტომაცაა, რომ ასე ნაქები ამერიკული „უზუსტესი“ მართვადი ბომბი და რაკეტა ბოლო დღეებში ხშირად სცდება სამიზნეს და მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავს ბაღდადის ბაზარში. თავის დროზე ეს რუსული რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები სწორედ ამერიკული „წერტილოვანი“ დარტყმების თავიდან ასაცილებლად იქმნებოდა და შეიძლება დღეს ერაყის მიწაზე გადის საბრძოლო გამოცდას.

არ არის გამორიცხული, ამერიკელთა პრეტენზიები მომავალშიც გაგრძელდეს და არა მარტო რომელიმე რუსული ნახევრად კერძო ფირმების, არამედ საერთოდ კრემლის მიმართაც — პირით პარტნიორობას გვეფიცებით, საქმით კი სადამ ჰუსეინს აძლიერებთო.

# კონტრაბანდული იარაღი ყაზახეთიდან კი არა, საქართველოდან გაჰქონდათ?!

## უშიშროების სამინისტრო თურქეთში იარაღის უკანონო გადატანასთან დაკავშირებით ინტენსიურ გამოძიებას შეუდგა




როგორც უშიშროების სამინისტროში ვარაუდობენ, თურქების მიერ დაკავებულ ამ სატვირთო ტრაილერში კონტრაბანდული იარაღის პარტია ყაზახეთში კი არა, სწორედ ჩვენთან, საქართველოში ჩაიტვირთა

3-9 მარტის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ავტომობილის ექსკლუზიური ფოტოსურათი, რომლითაც საქართველოდან თურქეთში კონტრაბანდული იარაღის დიდი პარტია გაიტანეს.

შარშან, 15 ნოემბერს, ვალეს სასაზღვრო ტერმინალის გადალახვისთანავე თურქმა მესაზღვრეებმა და სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა დააკავეს ქურთული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე, რომელიც ტრაილერს მართავდა.

ავტომობილის გრძელ ძარაში ოსტატურად იყო დამალული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მოზრდილი პარტია. მაშინ ფიქრობდნენ, რომ კონტრაბანდული იარაღი ყაზახეთიდან იყო წამოღებული. ავტომანქანამ ტრანზიტით გამოიარა აზერბაიჯანი, გადალახა საქართველოს ტერიტორია და ასე მოხვდა თურქეთში.

მაგრამ 25 მარტს სულ სხვა ვერსია წარმოჩნდა: საქართველოს უშიშროების სამინისტრომ, სპეცღონისძიების შედეგად, მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელში დააკავა ამ სოფლის მცხოვრები თამაზ მუმლაძე, როგორც ექვმიტანილი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე „ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონო შენახვისა და გადატანის“ მუხლით. ექვმიტანილი მუმლაძის სახლიდან, უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ამოღებულია ორი „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატი.

თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ჩანს უშიშროების სამინისტროს ვერსია — შარშან, 15 ნოემბერს, თურქეთის სასაზღვრო საგუშაგოზე დაკავებულ ტრაილერს ყაზახეთიდან კი არ მოჰქონდა კონტრაბანდული იარაღი, არამედ იარაღის ეს პარტია საქართველოში, მარნეულის რაიონის სოფ. წერეთელში დაიტვირთა და მასში, სავარაუდოდ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ექვმიტანილი თამაზ მუმლაძე.

თურქეთის სპეცსამსახურებმა ტრაილერიდან ამოიღეს ავტომატები, რამდენიმე ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარები, ვაზნები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, დეტონატორები და უმართავი რაკეტებიც კი.

მათ ამ იარაღის საიდენტიფიკაციო ნომრები თავის ქართველ კოლეგებს გამოუგზავნეს, რომლითაც უნდა გაირკვეს, თუ საიდან არის გატანილი იარაღის ეს პარტია.

თუ დადგინდა, რომ იგი ქართული არმიის საწყობებიდანაა, მაშინ მორიგი სკანდალია მოსალოდნელი.

# ჰუსეინს შეუძლია აღარ იომოს — ამერიკელები და ბრიტანელები ერთმანეთს ანადგურებენ

## კოალიციური ჯარები შეცდომას შეცდომაზე უშვებენ — თავისივე იარაღით უფრო მეტი ამერიკელი და ბრიტანელი სამხედრო დაიღუპა, ვიდრე ერაყელთა ხელით

საბედისწერო შეცდომა ყველა ომში ხდება, როდესაც ჯარისკაცები მოწინააღმდეგის კი არა, თანამებრძოლების ტყვიებით იღუპებიან. ასე ხდებოდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებშიც, ვიეტნამშიც, ავღანეთშიც, ჩვენთან — აფხაზეთშიც, ჩეჩნეთშიც, მაგრამ ის, რაც ერაყში ომის დაწყებიდან სულ რაღაც ათიოდე დღეში მოხდა, დაუჯერებელიც კია:

— ომის დაწყების მეორე დღესვე, 21 მარტის ღამეს, ამერიკულმა დამრტყმელმა შვეულმფრენმა AH-1 Cobra-მ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა ასევე ამერიკულ ტანკს M1 Abrams-ს მოარტყა. ტანკი მწყობრიდან გამოვიდა, ეკიპაჟის ერთი წევრი დაიჭრა.

— 22 მარტს ამერიკელმა სამხედრო ინჟინერმა სამი ხელყუმბარა შეყარა იმ კარვებში, რომლებშიც „პენსილვანიის“ სამხედრო ბანაკის (ქუვეითი) მეთაურობა იყო. 14 კაცი დაიჭრა, მათგან 6 — მძიმედ. შემდგომში ერთი ჰოსპიტალში გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, ეს ამერიკელი სამხედრო ისლამს სცემდა პატივს.

— 22 მარტს თავი „ისახელა“ ნაქებმა ამერიკულმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა — Patriot-მა, რომლის რაკეტამ ქუვეით-ერაყის საზღვარზე ჩამოაგდო ის ინგლისური გამანადგურებელ-ბომბდამშენი Tornado, რომელიც ბაღდადის დაბომბვიდან ბაზაში ბრუნდებოდა. ეკიპაჟის ორივე წევრი დაიღუპა.

— ომის მეოთხე დღეს უკვე ინგლისელებს აერიათ სამიზნეები. ქ. ბასრის დასავლეთით, გაცხარებულ ბრძოლებში ორი ბრიტანული ტანკი ერთმანეთს „შეება“. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ერთმა Challenger II-მა მეორე დაჯაბნა. ჭურვის პირდაპირი მორტყმის შედეგად ორი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა, ორიც — სერიოზულად დაიჭრა.

— 27 მარტს ნასირიასთან ამერიკული დანაყოფების არტილერიამ შეცდომით თავისსავე კოლონას დაარტყა. შედეგი — დაიჭრა 37 ამერიკელი საზღვაო ქვეითი, აფეთქდა 6 სატრანსპორტო საშუალება.

ალბათ ეს საბედისწერო სია ბრძოლის გააქტიურებისა და გაფართოების კვალდაკვალ გაგრძელდება.

შესაძლოა ერაყელები ჩრჩნების გამოცდილებასაც იყენებენ, რომლებმაც, თავის მხრივ, ის ავღანელი მოჯაჰედებისგან „აითვისეს“: მოწინააღმდეგის ორ პოზიციას შორის შეიპარება 2-3-კაციანი ჯგუფი და საპირისპირო მხარეს იწყებს სროლას, რასაც საპასუხო ცეცხლი მოჰყვება. „ბუნტისთავები“ თვალის დახამხამებაში ქრებიან, ხოლო ორივე პოზიცია ერთმანეთის მიმართულებით გამანადგურებელ ცეცხლს მანამდე არ წყვეტს, ვიდრე მეთაურობა, ბოლოს და ბოლოს, არ დაადგენს, რომ მათი ჯარისკაცები ერთმანეთს ესვრიან.

# პენტაგონმა „ელექტრონული“ შეტევაც დაიწყო ბაღდადზე

## არასასიკვდილო ბომბებით ამერიკა ერაყის არმიის მართვის მოშლასა და ჰუსეინის პროპაგანდისტული „მანქანის“ განადგურებას ცდილობს



პენტაგონი ერაყში სულ ახალ-ახალი იარაღის სახეობებს იყენებს, მათ შორის არასასიკვდილო დანიშნულებისას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკელი გენერლები მაინცდამაინც ბაღდადელთა სიცოცხლეს უფრთხილდებიან — უბრალოდ, არასასიკვდილო, სპეციალური დანიშნულების ბომბებს უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლიათ ჰუსეინისათვის, ვიდრე ატტონიან სუპერბომბებს.

27 მარტს ბაღდადში ამერიკელებმა „მიკროტალღური ელექტრონული ბომბი“ ჩამოაგდეს, რომელმაც ერაყის არმიის მართვის ელექტრონული სისტემები გამოიყვანა მწყობრიდან. ამერიკელებმა ბომბი პირველად სწორედ იმ დღეს გამოიყენეს, თუმცა არსებობს ეჭვი, რომ ამგვარივე ბომბი ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ, 19 მარტს, ჩამოაგდეს.

„მიკროტალღური ელექტრონული ბომბი“ მძლავრი ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივებას ახდენს. მცირეხნიანი მიკროტალღური გამოსხივების შედეგად მწყობრიდან გამოდიან კომპიუტერები, ტელევიზორები, რადიომიმღებები და გადამცემები, რადიოლოკაციური სადგურები და მანქანების ელექტრომოწყობილობებიც კი.

ამ იარაღს ბომბად კი ნათლავენ, მაგრამ სინამდვილეში ფრთოსან რაკეტაში მოთავსებულია მძლავრი მიკროტალღოვანი გამოსხივების მოწყობილობა, რომელიც მიზანთან მიახლოებისას ირთვება.

სავარაუდოა, რომ მალე ამერიკელები ერაყში ჩამოყრიან ე.წ. „გრაფიტულ“ ბომბებსაც. ესეც არასასიკვდილო იარაღის სახეობაა და მიზანთან მიახლოებისას გამსკდარი ბომბიდან იყრება დაკეცილი გრაფიტის ღეროები, რომლებიც დაშვებისას ჰაერში იშლებიან და ეფინებიან ელექტროგადამცემ ხაზებს — გრაფიტის ღერო, მოგეხსენებათ, ელექტროდენის საუკეთესო გამტარია, ახდენს მოკლე ჩართვას და მოწინააღმდეგის სტრატეგიულ ობიექტს დენი ეთიშება.

# დაფარული ბრძოლა საიდუმლო იარაღის მოსაპარად

## ერაყში ახალი ამერიკული საიდუმლო იარაღის ხელში ჩაგდებას რუსეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები ცდილობენ



2003 წ. ერაყი. ერაყელი გლეხი იფიცება, ამერიკული სუპერშვეულმფრენი AH-64D Apache Longbow უბრალო შაშხანით ჩამოვაგდეო

25 მარტს, თბილისის დროით 9.30 სთ-ზე, ბაღდადიდან 80 კმ-ის დაშორებით, ამერიკულმა ავიაციამ ერთი უზუსტესი წერტილოვანი დარტყმა განახორციელა და მიწაზე გაანადგურა... ამერიკული შვეულმფრენი „აპაჩი“.

მართალია, ერაყის ამ ომში კოალიციურ ძალებს ბევრი შეცდომა მოსდით და უნებლიეთ ერთმანეთის თვითმფრინავებსაც კი აფეთქებენ, მაგრამ ამჯერად მიწაზე მდგარი ამერიკული შვეულმფრენი გამიზნულად განადგურდა და ამერიკელმა გენერლებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს.

ეს სწორედ ის ამერიკული „აპაჩი“ იყო, რომელიც 24 მარტს, ორშაბათს, ავარიულად დაჯდა ერაყის ტერიტორიაზე. როგორც ერაყელები იუწყებოდნენ, ამერიკის მე-11 საშვეულმფრენო პოლკის კუთვნილი „აპაჩი“, რომლის საბორტო ნომერია 95135, ერაყელმა გლეხმა უბრალო შაშხანით ჩამოაგდო. ვიდეოკადრებზე თვითმფრინავს დიდი არაფერი დაზიანება არ ეტყობა, გარდა იმისა, რომ ავარიული დაჯდომისას შასი გაუტყდა (თუმცა „აპაჩის“ ეკიპაჟს არ გააჩნია კატაპულტირების საშუალება და მიწაზე ავარიული დაჯდომისას სწორედ შასის სპეციალურმა ამორტიზატორებმა უნდა შეამსუბუქოს დანარცხების ძალა). ეკიპაჟის ორივე წევრი ცოცხალი გადარჩა და ისინი ერაყელებმა დაატყვევეს.

შეჯავშნული „აპაჩის“ შაშხანით ჩამოგდების ამბავი ერაყულ პროპაგანდას ჰგავს. შეიძლება შვეულმფრენს რაიმე გაუფუჭდა და პილოტებმაც ავარიულად იმიტომ დასვეს. თუმცა ავღანეთის ომის დასაწყისში ერთი მოიერიშე Су-25 შაშხანით მართლაც ჩამოაგდეს მოჯაჰედებმა. მაშინ ხეობაში მფრენი მოიერიშის კაბინის შეუჯავშნელ გვერდით მინას შაშხანის ტყვია მოხვდა, რომელმაც პილოტის ჟანგბადის სასუნთქი მოწყობილობის გოფრირებული მილი გახვრიტა. ეს პილოტმა ვერ შეამჩნია და მაღლა აფრინდა. Су-25-ის კაბინა არაჰერმეტულია. პილოტს გახვრეტილი მილიდან ჟანგბადი აღარ მიეწოდებოდა. მან გონება დაკარგა და უმართავი მოიერიშე ჩამოვარდა.

1999 წ. იუგოსლავია. სერბები ჩამოგდებული „უხილავი“ F-117A-ს ფრთაზე ცეკვავენ



თავისივე „აპაჩის“ განადგურებით პენტაგონმა ბოლო მოუღო ერაყელთა ტრაბახსა და შვეულმფრენის გარშემო ცეკვებს და რაც მთავარია, სერიოზული საქმე გააკეთა: მტერს ხელიდან გამოაცალა „აპაჩის“ უახლესი მოდიფიკაცია — AH-64D Apache Longbow, რომელზეც ბევრი ქვეყნის დაზვერვა ნადირობს.

**ჩვენი ცნობა: AH-64D Apache Longbow-ს, წინამორბედისგან განსხვავებით, ხრახნების თავზე დამონტაჟებული აქვს მილიმეტრულ დიაპაზონში მოქმედი რადიოლოკაციური სისტემა, რომლის მეოხებითაც AGM-114 „ჰელფაირის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვად კუმულატიურ რაკეტებს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლიათ მიზანში უზუსტესად გარტყმა.**

რუსეთის დაზვერვისთვის (არადა, თავად რუსეთის პრესა იტყობინება, რომ ერაყის ტერიტორიაზე უკვე გადასხმულია რუსეთის სამხედრო დაზვერვის რამდენიმე ჯგუფი) „ლონგბოუ აპაჩის“ ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი რადიოლოკაციური სისტემისა და „ჰელფაირების“ ხელში ჩაგდება დიდი წარმატება იქნებოდა — 20 წელია რუსი ავიაკონსტრუქტორები ოფლს ღვრიან ღამითაც ეფექტურად მოქმედი საბრძოლო შვეულმფრენის შესაქმნელად, მაგრამ მათი Ми-28Н და Ка-50-2 ჯერ საცდელ ნიმუშებს ვერ გასცდა.

ძნელი სათქმელია, იმ ერთი დღის განმავლობაში, სანამ თითქმის უვნებელი ამერიკული შვეულმფრენი ერაყის მიწაზე იდგა, მოასწრო თუ არა რუსეთის დაზვერვამ მასში „კირკიტი“; ისე, ამ აპარატზე არც ჩინელი მზვერავები იტყოდნენ უარს.



1969 წ. ვიეტნამი. დაღუპული ამერიკელი პილოტი და მისი F-111-ის ნარჩენები

საერთოდ, ომში იარაღის უახლეს ნიმუშებზე ნადირობა სულაც არ არის გასაკვირი. ამერიკელებმა მხოლოდ ახლახან აღმოაჩინეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში იმ F-111 გამანადგურებელ-ბომბდამშენის ეკიპაჟის კაბინა, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ვიეტნამში დაკარგეს. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლების შემდეგ ამერიკის მუზეუმებში აღმოჩნდა საბჭოთა გამანადგურებელი МиГ-21 და T-72 ტიპის ტანკები.

ვარაუდობენ, როდესაც 1999 წელს სერბებმა, ბელგრადის ახლოს, ამერიკული „უხილავი“ F-117 „სტელსის“ სისტემის თვითმფრინავი C-125 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის რაკეტით ჩამოაგდეს, მისი ნაწილები (მათ შორის „სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებული!) მოსკოვს მიჰყიდეს.

სამწუხაროა, მაგრამ საბრძოლო ტექნიკა სწორედ რეალურ ბრძოლებში გამოიცდება და იხვეწება

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# დაუდ-ფაშას ანდერძი

„ჩემო ერთგულო, ჩემო უმცროსო მეგობარო სულეიმან! შენს სახელზე ვწერ ამ ანდერძს. ათწლეულების მანძილზე აღმოსავლეთის მრავალი ფაშა მოწიწებით ხრიდა თავს ჩემი ტახტის ძლევამოსილების წინაშე. მე ვიყავი ერაყის პირველი ფაშა, ვინც უარი თქვა თურქეთის კარნახით ემართა ქვეყანა. მე შევქმენი ერაყში ევროპული ყაიდის არმია, გავხსენი პირველი სტამბა და ავაღორძინე ვაჭრობა: არ მაპატიეს თურქებმა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის გაწეული გარჯა და თხუთმეტწლიანი ომი მათი გამარჯვებით დასრულდა. თუმცა მაინც ვერ გამიმეტეს და სულთნის ჯარი ჩამაბარეს მაშინ, როცა იგი ანატოლიაში მუჰამედ ალის ლაშქარს ებრძოდა. ვიყავი ბოსნიისა და ანკარის ვილაიეთის გამგებელი, ხუთი წლის წინ კი სახელმწიფო სამსახურიდან გადავდექი და აქ, მედინაში, ჩემივე თხოვნით მუჰამედის საფლავის მცველად დამნიშნეს. ამასობაში მეცხრამეტე საუკუნის ნახევარი და ჩემი სიცოცხლეც გაილია. ვიცი, ხვალ თუ ზეგ სიკვდილი მეწვევა და რადგან შენზე უახლოესი არავინ მყავს, შენ განდობ ჩემს ყველაზე დიდ საიდუმლოს: — მე მამლუქი ვარ. ნუ გაიოცებ! დიახ, ქართველი ვარ, გვარად მანველაშვილი. უკანასკნელი მამლუქი მე ვიყავი — ჩემით დასრულდა მამლუქთა 82-წლიანი ბატონობა ამ მიწაზე. ყველანი იმ წელს ამოხოცეს, როცა თურქული ზვავის ქვეშ მოვყევი და ერაყის ტახტი დავთმე. ჩემამდე ამ ქვეყანას ოთხი ქართველი ფაშა მართავდა: სულეიმან აბუ ლაილი, სულეიმან ბუიუქი, ჰაფიზ ალი, სულეიმან ქუჩუქი და მე, დაუდ-ფაშა გურჯი. შენც გურჯი ხარ — „სულეიმანი“ ჩვენებურად „სოლომონს“ ნიშნავს. ასე რომ, ჩემო სოლომონ, ჩემო ერთადერთო დამტირებელო, გევედრები: აქვე, მექაში, დამმარხე ხალიფა ოსმანის გვერდით. ერთი სურვილიც უნდა შემისრულო — ბრილიანტებიანი ყელსაბამი, რომელსაც ამ ანდერძთან ერთად მიიღებ, გურჯისტანის ეკლესიას გადაეცი. იგი ჩემმა გამზრდელმა, სულეიმან ბუიუქმა მიძღვნა მხედრული მამაცობისათვის. ეს იყო ჩემი პირველი ჯილდო და იგი მხოლოდ დედასამშობლოსათვის მემეტება.“

გამართლდა თეთრი მონა-მონარქის წინათგრძნობა. დაუდ-ფაშა გურჯი 1851 წელს გარდაიცვალა მექაში და სულეიმანმაც უმალვე აუსრულა სურვილი — ანდერძის თანახმად, ხალიფა ოსმანის გვერდით დამარხა მექაში. მეორე სურვილის ასრულება კი არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ფიქრობდა: — სამშობლოსაც ვნახავ და უფროსი მეგობრის ანდერძსაც ავასრულებო.

წლები გადიოდა, მაგრამ ვერ იქნა და დედასამშობლოსაკენ სავალ გზას ვერ დაადგა. ხან რა უშლიდა ხელს, ხან — რა. მხოლოდ 27 წლის შემდეგ მიადგა ბათუმს მისი გემი. მართალია, მეჩეთიდან კვლავაც მუეძინის მოძახილს ისმენდა ქალაქი, მაგრამ ბათუმი თურქეთის კი არა, უკვე რუსეთის იმპერიის საკუთრება იყო და სულეიმანის გემსაც რუსი მებაჟეები დაუხვდნენ. დაიბნა კაცი. ეგონა, სამშობლოში დავბრუნდიო და უცებ რუსეთში ამოყო თავი. არავინ მოუსმინა — რის ანდერძი, რის დაუდ-ფაშა და რის საქართველო. ეგ საკენკი მექაში შენიანებს დაუყარეო და ყელსაბამიც წაართვეს და ისიც, რაც მოგზაურობისათვის ჰქონდა გადადებული, — რომ იტყვიან, კუდის რიკამდე გაფცქვნილი გემის კაპიტანმა წაიყვანა უფასოდ სტამბოლამდე.

## ყელსაბამი... სხვისი სატრფოსათვის

ყელსაბამი იმდენად ძვირფასი იყო, საბაჟოს მოხელემ ვერ გაბედა მისი მისაკუთრება და პეტერბურგში, სამეფო ხაზინას გადაუგზავნა. იქიდან კი იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მიართვეს ძღვნად. იმპერატორმა, თავის მხრივ, თავის საყვარელს აჩუქა (დავარქვათ მას „ანა“, რადგან ავტორი შიშობს, რომ თუ კარგად გაქექავს მის წარმომავლობას, შესაძლოა ამ ქალში ქართული სისხლიც აღმოჩნდეს — დანარჩენ გვარსახელებსაც შევცვლი მკითხველის ნებართვით. — ვ. გ.).

მაშ ასე, იმავე 1872 წელს დაუდ-ფაშას საქართველოსთვის ნაანდერძევი ყელსაბამი ალექსანდრე მეორის საყვარლის საკუთრება გახდა.

ალექსანდრე ის რეაქციონერი მონარქი გახლდათ, ციხეები რომ აავსო რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდებით. ყოველივე ეს მონარქის მოკვლის საბაბი შეიქნა და თუ პირველმა თავდასხმამ ვერ გაამართლა, სამაგიეროდ, მეორე ცდაზე მოკლეს იგი „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

თუმცა, ამჯერად ჩვენ ალექსანდრე მეორეზე მეტად, ყელსაბამი გვაინტერესებს, რომელიც, რაც მართალია, მართალია, იუველირული ხელოვნების ბრწყინვალე შედევრი იყო. თუმცა ამ ყელსაბამის გარდა, მონარქის საყვარელს იმხელა სიმდიდრე დარჩა, სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად იცხოვრებს. მაგრამ მშვენიერ ანას სიმდიდრე არაფრად ულირს უსიყვარულოდ, მას ნამდვილი სიყვარული სწყურია და ამის მოთხოვნის უფლებაც აქვს... ამიერიდან თვითონ განაგებს საკუთარ ბედს. ამიტომაც დიდი ინტერესით აკვირდება საიმპერატორო კარზე მოფუსფუსე ფრანტებს. თუმცა, ძებნა რა საჭიროა, განა თვითონ უკეთ არ უწყის, რომ აი, ის, მარმარილოს სვეტს რომ აჰკვრია, ბატონიშვილ ალექსანდრედ რომ უხმობენ, აგერ უკვე მერამდენე თვეა სულ იმას ცდილობს, როგორმე დაიმარტოხელოს და მერე ვინ, იმპერატორის საყვარელი. ენით აუწერელი თავხედობაა! თუმცა მადლობა მას თავხედობისათვის. ეს ხომ გმირობის ტოლფასია — თუ გაუგეს, ვისზე აქვს თვალი დადგმული, უმალ კატორღის გზას გაუყენებენ. ჰოდა, ამ გულად რაინდს მიუძღვნის გულს...

— იცით, ბატონიშვილო, ეს ყელსაბამი ბათუმის პორტში ჩამოუტანია ვილაც მაჰმადიანს. უთქვამს, ერაყის ყოფილმა ფაშამ, გურჯმა დაუდმა უანდერძაო საქართველოს. თუმცა ამ ზღაპარს ვინ დაუჯერებდა — სად ერაყის ფაშა და სად საქართველო?! როგორც ვიცი, ფაშები იქით ძარცვავდნენ შენს სამშობლოს, ასე არ არის?

— დიახ, ასეა, მაგრამ ის ფაშები გურჯები არ იყვნენ, თავადის ქალო. დაუდ-ფაშა კი გურჯი, ანუ ქართველი იყო და არცაა გასაკვირი, სამშობლოს მცირედი სახსოვარი რომ უძღვნა.

— თუ ასეა, ეს ყელსაბამი თქვენ გეკუთვნით, თქვენც ხომ ქართველი ხართ. საქართველომ მე თქვენი თავი მაჩუქა. სამაგიეროდ, მას თავის კუთვნილ ნივთს ვუბრუნებ — დიდად დამავალებთ, თუ გადააგზავნით ყელსაბამს სამშობლოში...

ბატონიშვილმა თავის ოჯახში გამოაგზავნა ყელსაბამი. წერილში კი ზუსტად განმარტავდა დაუდ-ფაშას ანდერძის შინაარსს, ზეპირ საბუთად რომ დაჰყვებოდა თან სამკაულს, მაგრამ მისმა ხელმოკლე და-ძმებმა ეკლესიისათვის ვერ გაიმეტეს ძვირფასი ნივთი და მოგვიანებით ერთ ახალგამოჩეკილ ფულიან მეწარმეს მიჰყიდეს.





მას შემდეგ რამდენიმე პატრონი შეიცვალა დაუდ-ფაშას საჩუქარმა. ბევრმა წყალმაც ჩაიარა და მისი დაუფლების ბევრ მსურველსაც დასწყვიტა გული. საუკუნეზე მეტხანს ინახებოდა ყელსაბამი საქართველოში, მაგრამ სახალხოდ არც ერთ ქართველ ბანოვანს არ გაუბედავს მისით თავმოწონება. მეტისმეტად დიდი იყო რისკი...

## ყელსაბამი ქურდების საგანძურში

იმ საღამოს მოსკოველი სტუმრები ჰყავდა ბატონ გრიშას. მცხეთაში მიიპატიჟა, საქართველოს ძველ დედაქალაქს დაგათვალიერებინებთო. სუფრაც იქვე შეუკვეთა, რესტორანში. იცოდა, შინ რომ მიეწვია, რუსები უჩივლებდნენ — საიდან ამდენი სიმდიდრეო. შინ მხოლოდ თავისთანა შეძლებულები მიჰყავდა. ისიც იმიტომ, შურისაგან გულები დახეთქვოდათ, თორემ სულაც არ ეპიტნავებოდა მათი მასპინძლობა. დღეს კი, რაკი რევიზორებმა, როგორც იქნა, აქტი დაწერეს, სადაც ერთი სიტყვაც კი არ თქმულა დირექტორის ბნელი საქმიანობის შესახებ, ქეიფის ხასიათზე მოვიდა. მეუღლეს დაურეკა, გვიანობამდე ვერ დავბრუნდები, რევიზორებმა გადაწყვიტეს, ღამითაც „იმუშაონო“. ასე რომ არ მოქცეულიყო, ისევ მოუწევდა ციალას გაუთავებელი შეგონებების მოსმენა — ხომ იცი, წნევა გაქვს, შენ რომ რამე მოგივიდეს, ჩვენ რაღა გვეშველებაო. ახლა კი თავი ქუდში აქვს, თუ უნდა დილამდე შეუბერავს. ოღონდ ის ვერ გაუგია, ცხვირსახოცი სად დაკარგა. ამ სიცხეში სტუმრებთან ცხვირსახოცის გარეშე ჯდომა ნამდვილად უხერხული იყო. მაგრამ რაღას იზამდა და ხელი ჩაიქნია. ღამის თერთმეტზე, როცა ის იყო, ქალბატონი ციალა დასაწოლად ემზადებოდა, კარზე მიუკაკუნეს:

— მილიციიდან ვარ, ქალბატონო, ბატონი გრიშას დავალებით მოვედი, — თითქმის ჩურჩულებდა კარს უკან ღამის სტუმარი, მილიციის ლეიტენანტისფორმიანი მამაკაცი. სამზერით ისიც გაარჩია, ახალგაზრდას რომ კეთილი მზერა ჰქონდა და რაკი ყოველთვის ცდილობდა მეზობლებს არაფერი შეეტყოთ მისი ოჯახის შესახებ, სასწრაფოდ გაუღო კარი.

— არა ვარ კარგის მახარობელი, ქალბატონო. რევიზორების დაჟინებული მოთხოვნით ბატონი გრიშა დააკავეს, მოახერხა და გადმომცა თქვენთან მოვსულიყავი. შემოგითვალათ, თუ რამ ძვირფასეულობა და ფული გვაქვს, ვიდრე გასაჩხრეკად მოვიდოდნენ, მე გამატანოთ. წერილის გამოგზავნის საშუალება არ იყო და ნიშნად ეს ცხვირსახოცი გამომატანა. თუ დაიჯერებთ, ხომ კარგი, არადა, როგორც მოვედი, ისევე წავალ...

ქალი ერთბაშად კანკალმა აიტანა — წყალიო, მუდარით შესთხოვა მოსულს. მილიციელი არ დაბნეულა, სამზარეულოდან წყალი მოურბენინა მასპინძელს.

— ვეუბნებოდი, ფრთხილად იყავი-მეთქი. ახლა რა გვეშველება. ღმერთო, შენ დაგვიფარე! — აბიტურიენტობის შემდეგ პირველად გაახსენდა ღმერთი ციალას. მაშინ უშველა, მამის ფულები მოეხმარა. ახლაც უშველის, ფული ახლა მაშინდელზე მეტი აქვთ. ვეებერთელა ჩანთა პირთამდე აავსო და ლეიტენანტს გადასცა — ფრთხილად, შიგ ძველებური ნივთებიცაა და ეცადეთ, არ დააზიანოთ... მაგრამ, რომ არ ვიცი, ვინ ხართ?

— ლეიტენანტი ქუჩმაზაშვილი ვარ, ქალბატონო. უფლება არა მაქვს, მაგრამ ჩემს პირადობის მოწმობას დაგიტოვებთ ბატონი გრიშას ხათრით. ხვალ დილით გეახლებით და ყველაფერს აგიხსნით საქმის მიმდინარეობის შესახებ. ახლა კი უნდა ვიჩქარო...

მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ლეიტენანტი ერთი ჯიბიდან გავარდნილი თაღლითი, ანუ ქურდის ქურდი იყო. შესანიშნავად გაითამაშა მილიციელის როლი და ნადავლითაც მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა, — მით უმეტეს, ციალას ჩანთაში ერთი ისეთი ყელსაბამიც იყო, თბილისის ერთ გამორჩეულ ქუჩას რომ იყიდდა... ნათქვამია — ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო და როცა ერთ-ერთი უიღბლო „ოპერაციისას“ თაღლითი დააკავეს, ის ყელსაბამიც, უამრავი სხვა ძვირფასეულობა და ფული იმაში გადაიხადა, ციხეში რომ არ გაეშვათ.

მას შემდეგ კიდევ რამდენიმე პატრონი გამოიცვალა დაუდ-ფაშას ყელსაბამმა, ვიდრე თბილისელი აბუთიძეების ოჯახში მოხვდებოდა. როცა საქართველოში ცხოვრება გაჭირდა, აბუთიძეებმა მისი გაყიდვა დააპირეს... რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ. ყელსაბამს თან ახლდა სერტიფიკატიც, რომლის მიხედვითაც იგი 17 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

გარდაცვლილი როდამ აბუთიძე წინდახედული კაცი იყო, კაგებეს ძველი თანამშრომელი და ადამიანებსაც კარგად იცნობდა. სანდო ხალხი მონახა, უღალატო — მსგავს საქმეებში გამოცდილი თბილისელი ცოლქმარი: გივი და ნინო ბაგაურიძეები

ერთი სურვილიც უნდა შემისრულო — ბრილიანტებიანი ყელსაბამი, რომელსაც ამ ანდერძთან ერთად მიიღებ, გურჯისტანის ეკლესიას გადაეცი. იგი ჩემმა გამზრდელმა, სულეიმან ბუიუქმა მიძღვნა მხედრული მამაცობისათვის. ეს იყო ჩემი პირველი ჯილდო და იგი მხოლოდ დედასამშობლოსათვის მემეტება.

და გზა დაულოცა... თურქეთისაკენ.

## აღმოსავლური აფერა

თურქებს თვალი დარჩათ უძვირფასეს სამკაულზე...

— რაო, ჩვიდმეტ მილიონ დოლარს ითხოვენ გურჯები მართლმორწმუნე მაჰმადიანი ოქრომჭედლის ნამუშევარში? ნივთი ალბათ ამდენი ღირს კიდეც, მაგრამ უეჭველად უნდა დავაკლებინოთ ერთი-ორი მილიონი.

— ოცი ათას დოლარზე მეტს არ იძლევიან — ასეთი ყელსაბამები სტამბოლის ბაზარში ყრიაო, — განუცხადა ბაგაურიძეებს ნაცნობმა თურქმა ალი დემირმა და მელასავით გაიტრუნა პასუხის მოლოდინში.

— ფასის სხვაობა გამიგია, მაგრამ ამხელა — არა. მის პატრონს უნდა დავეკითხო, — უპასუხა გივიმ და მობილური მოიმარჯვა...

— პატრონი ამბობს, ნივთი უკან წამოიღე, მაგათთან ვაჭრობას აზრი არ აქვსო. ასე რომ, ბოდიში, ალი, ტყუილად გაგაწვალე.

— მოდი, კიდევ ვცადოთ. ერთი ნაცნობი იუველირი გამახსენდა, იმასთანაც მოვსინჯავ, — მოგების დაკარგვის შიში ვერ დაფარა ალი დემირმა. მეორე დღესვე გივისთან ერთად მიაკითხა როდვან ბარკერს, რომელთანაც წინასწარ დადგმული სცენა ასე გათამაშდა:

— თუ ყელსაბამს დამიტოვებთ, შეიძლება ხუთასათასიანი სერტიფიკატი ავიღო. თუ ღმერთი გაწყრა და ვერ მოვახერხე, ნივთი უკანვე წაიღეთ. აქვე დაგიწერთ ხელწერილს და ჩემივე ფირმის ბეჭდით დაგიდასტურებთ. ოღონდ წინასწარ გაფრთხილებთ, ათი დღე მოგიწევთ ლოდინი.

წარმოდგენა დაიწყო. უფრო სწორად, შესანიშნავად გათამაშდა მისი პირველი და მეორე აქტი. მესამე კი ის იყო, რომ გარიგებიდან მეექვსე დღეს როდვანის ფირმაში მისულ გივი ბაგაურიძეს შეატყობინეს, ბარკერი ფინანსური მაქინაციებისთვის ჩაამწყვდიეს, მაგრამ თქვენ ნუ დარდობთ, ნივთში ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებთო. ესეც სპექტაკლის ნაწილი იყო. თაღლითებს სულაც არ აძლევდა ხელს, ბაგაურიძეს ადგილობრივი სამართალდამცველებისთვის მიემართა. თუმცა ამას მაინც ვერ ასცდნენ და ეს გააკეთა არა ბაგაურიძემ, არამედ თურქმა ალი დემირმა. ისიც ხომ გადააგდო როდვან ბარკერმა.

პოლიციამ ბარკერი ქალაქ მანისაში დააკავა და რაკი აღმოჩნდა, სავალდებულო სამხედრო სამსახური არ ჰქონია გავლილი, ყაზარმაში უკრეს თავი. ალი დემირმა უმალვე ჩააკითხა მას.

— გურჯებს შეეშვი, შენსას კი მიიღებ, — ანუგეშა იგი როდვანმა, რომელიც ორიოდ კვირაში, როგორც სამხედრო სამსახურისთვის შეუფერებელი, ნაწილიდან გაათავისუფლეს.

სამ თვეზე მეტხანს ეძებეს როდვანი და ალი დემირი თბილისიდან საგანგებოდ ჩასულმა როდამის ვაჟმა, მამუკა აბუთიძემ და გივი ბაგაურიძემ. მათ კვალს რომ ველარ მიაგნეს, დასახმარებლად თბილისელ ნოვრუზ ალიევს მიმართეს, რომელიც იმ დროს თურქეთში ჩალიჩობდა.

— აქაური მაფიის გავლენიან წარმომადგენელს, რეჯებ ილმაზს ვიცნობ. თურქეთის ამჟამინდელი პრემიერის, ილმაზის ნათესავია და უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს. მას დაველაპარაკებიო, — ანუგეშა ქართველები ალიევმა.

რეჯებ ილმაზმა საქმის მოკვარახჭინებაში ამოსაღები თანხის, ანუ ნახევარი მილიონი დოლარის ნახევარი მოითხოვა. სამაგიეროდ, იფიცებოდა — თუ ფულის ამოღებას ვერ შევძლებ, თქვენს კუთვნილ ნახევარს მე გადაგიხდითო...

## თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო

რეჯებს აბუთიძე-ბაგაურიძეებისთვის ფულის მიცემა გუნებაშიც არ გაუვლია. მეტიც, შუაკაცი ნოვრუზ ალიევიც გადააგდო. ნოვრუზმა შეურაცხყოფა გადაყლაპა და რეჯებს ამგვარი რამ შესთავაზა: — ვაჟკაცი ხარ, შენს სიტყვას ვენდობი. მერე რა, რომ ყელსაბამის საქმე არ გამოგვივიდა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ჩვენ გვინდა. მანამდე კი, თბილისში მოგზაურობას გთავაზობ. ჩემს საგვარეულოში იმ ყელსაბამის მსგავსი რამდენიმე ნივთი ინახება. მოგეხსენება, ახლა საქართველოსა და აზერბაიჯანშიც გაჭირვებაა. ხალხს აღარც ოქრო აინტერესებს და აღარც ბრილიანტი. თუ გვერდით მეყოლები — ვიტყვი, თურქეთის პრემიერის ბიძაშვილი აპირებს მაგ ნივთების შესყიდვას-მეთქი და კაპიკებად მოგვცემენ. მერე კი შუაკაცობის წილს მოგცემ და შენაძენსაც დაგილოცავ. როგორ მოგწონს?

რეჯებ ილმაზს სიამოვნებისგან გააკანკალა, მაგრამ არ შეიმჩნია და ვითომ სხვათა შორის, ჰკითხა:

— საქმეში ორი დიდი კითხვის ნიშანია. პირველი — ნივთებისთვის საჭირო ფულით საზღვარს ვერ გადავკვეთთ და მეორე, — როგორ გავივლით ნივთებით საბაჟოზე?

— ხომ არ გგონია, აქ საბაჟოს გავლით დავდივარ. ახალციხესთან საქართველოში გადასასვლელი უამრავი ბილიკია. შენ არაფერი გეკარგება, ჩემიანები კი მე უფულოდაც მანდობენ ნივთებს. აქეთობას კიდეც რომ ჩავვარდეთ, ჩემს საქონელს წაგვართმევენ, შენსას ხომ არა. ბოლოს და ბოლოს, მაინც თურქეთში დაგაბრუნებენ, მე კი საქართველოში, რაღა გაეჭვებს?

— თუ ეგრეა, ნუღარ გადავდებთ — რეჯებს ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიგდებდა ხელთ მუქთა ნადავლს.

მეორე საღამოს ახალციხეს მიადგნენ, გამთენიისას კი აბუთიძეებს მიუკაკუნა ნოვრუზმა.

— როგორც დამარიგე, ისე მოვიქეცი, როდამ. ტყუილად როდი გიმუშავია კაგებეში. ბაგაურიძეებთან დავაბინავე რეჯები. ახლა როგორ მოვიქცე?

— დღესვე უნდა წავიდეთ ბაქოში, დანარჩენს გზაში შეიტყობ...

მეორე დღეს ბაქოს ერთ-ერთ ცენტრალურ ბანკში როდამ აბუთიძის სახელზე გაიხსნა ანგარიში.

— ამ ანგარიშზე დაჯდება თურქეთიდან გადმორიცხული სამასი ათასი დოლარი — რეჯებ ილმაზის ნათესავები ალბათ უკან არ დაიხევენ, რა თქმა უნდა, თუ რამედ ულირთ მისი სიცოცხლე. დღეიდან იგი ჩვენი ტყვეა გამოსასყიდის მიღებამდე. ბაგაურიძეების სახლი ამისათვის ზედგამოჭრილია. სურსათით მე მოვამარაგებ. ახლა ნახონ თურქებმა ვინ ვის აჯობებს. დარდი ნურაფრისა გექნება, მე ნამდვილად არ გადაგაგდებ, ანუგეშა აბუთიძემ ნოვრუზი.

## ეპილოგი

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ავტორი მკითხველთან ერთად, რაღა თქმა უნდა, აქეთა მხარეს თანაუგრძნობს და სიცოცხლეში პირველად ამგვარ სიტუაციაში ხმარობს სიტყვას „სამწუხაროდ“. დიახ, სამწუხაროდ, თბილისის პოლიციამ შეიტყო თურქი მოქალაქის გატაცების შესახებ და ისიც, რომ გამოსასყიდს ითხოვდნენ ქართველები. მალე რეჯებ ილმაზიც გაათავისუფლეს და თურქებსაც აცნობეს, ფული არ გადმორიცხოთ, მძევალს დღესვე უკან გიბრუნებთო. 1997 წლის 23 სექტემბერი თენდებოდა...

P.S. აქ კიდევ ერთხელ წყდება ცნობები უძვირფასესი ყელსაბამის შესახებ. დასანანია, რომ დიდი მონდომების მიუხედავად, ამ ნივთის ფოტოსაც ვერ მივაკვლიეთ. თუმცა ოქრო ოქროა, მიწაში არ დაიმალება. იმედს არ ვკარგავთ, ეს ისტორია კვლავაც გაგრძელდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

*ვაჟა გაგაშელი*

# „ჯერ არ დადგა ქვეყნის მოღალატეების გამომზეურების დრო“(?!)




*ერაყში ომის დაწყების პირველ დღეებში ისრაელში მყოფ მეგობარს ვესაუბრე ტელეფონით. ვურჩიე, სანამ ომი დამთავრდება და ისრაელს დაბომბვის საფრთხე ემუქრება, ჩამოდი აქ, მშვიდად იქნები, სიცოცხლეს საფრთხეში რად იგდებთ-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? — საქართველოზე ყოველდღე ისეთი ამბები მესმის, მანდ მშვიდად რა მამყოფებს. ისრაელის ძალოვანი სტრუქტურები, სპეცსამსახურები ისე ზრუნავენ თითოეული მოქალაქის სიცოცხლეზე, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული მუდმივი საფრთხისა, შინიდან ყოველთვის გულდამშვიდებული გამოვდივარ. აბა, მაგ დაქცეულ ქვეყანაში რა მინდაო? საუბრის დამთავრების შემდეგ დიდხანს ვდუმდი. თითქოს ახალი არაფერი უთქვამს ჩემს მეგობარს, მაგრამ რატომღაც მისმა ნათქვამმა კიდევ ერთხელ დამიდასტურა მტკივნეული განცდა, რომ მართლაც მიუხედავად იმისა, რომ ათ წელზე მეტია ყველა სტრუქტურაში ტარდება რეფორმა (ან ტარდება და ან არა), ვერა და ვერ დავდექით ფეხზე, არა გვყავს ჯარი, სრულფასოვანი პოლიცია, სპეცსამსახურები და სხვა. ვესაუბრებით დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მთავარ კონსულტანტს გენერალ-მაიორ* ***ანზორ მაისურაძეს.***

— საქართველოს ქვეყანა ჰქვია, მაგრამ სახელმწიფო, სამწუხაროდ, მართლაც არ არის. სახელმწიფო რომ იყოს, ყველა სტრუქტურა ერთ უღელში იქნება შებმული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი ერთად გაიტანს გუთანს და არა ისე, როგორც ახლა ხდება, ყველა თავისკენ ექაჩება, თავისი ცოლის ბიკინისათვის დღევანდელი პოლიტიკოსები სამშობლოს ყიდიან. საუბედუროდ, ასეთი ერთი და ორი არ არის საქართველოში.

— **სპეცსამსახურები ქვეყანაში მომრავლებული მოღალატეების გამოსავლენად არ უნდა მუშაობდნენ?**

— მუშაობენ სპეცსამსახურები. ვიცით, ვინ ვინ არის, მაგრამ ჯერ არ დადგა მათი გამომზეურების დრო(?!). ჯერ ეს სახელმწიფოებრივი ინტერესი არ გამხდარა. საქართველოში ყველა დაინტერესებულ დიდ ქვეყანას ჰყავს საკუთარი ინტერესების დამცველი აგენტურა. ბუნებრივია, ხდება მათი ინტერესების შეჯახება, რის შედეგადაც ჩვენ ვზარალდებით და რაც, ცხადია, ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. ჩვენ ვაფიქსირებთ ამ პროცესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს არ აწყობს ამ ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვა. შესაბამისად, ქართული სპეცსამსახურების მუშაობაც არ ჩანს.

— **უცხო ქვეყნების სპეცსამსახურთა ხელმძღვანელები კი ამ დროს საქართველოს პრეზიდენტს სთხოვენ, დაამყაროს ქვეყანაში წესრიგი და დასაჯოს მათ მიერ გრძელი სიით წარმოდგენილი ქვეყნის მოღალატეები?**

— სანამ უცხოელები გვეტყვიან, აქაც კარგად იციან, ვინ ვინ არის, მაგრამ... ხომ იცით, ნათქვამია, — ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სტრუქტურებს. შეუძლებელია სამსახურში არ გქონდეს სინათლე, ტელეფონი და საწერი ქაღალდი(?!). მანქანასა და ბენზინზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ამ სტრუქტურის გარეშე სახელმწფოს არსებობა წარმოუდგენელია და მას, სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებისა და სათანადო დაფინანსების გარდა, კადრების შერჩევაც უნდა. ყველა ვიგინდარა კი არ უნდა აიყვანო და დასვა ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

— **მგონი, სწორედ არასწორი საკადრო პოლიტიკა ანგრევს დღეს როგორც ძალოვან, ისე სხვა სტრუქტურებს. როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში დღეს კრიმინალური ქაოსის საფრთხე იმიტომ ხომ არ შეიქმნა, რომ შსს-ში, უშიშროებისა და სხვა შესაბამის სამსახურებში თავმოყრილმა კრიმინალურმა ელემენტებმა დააუძლურეს ეს სტრუქტურები?**

— როცა ადრე სამსახურში ახალი თანამშრომელი აგვყავდა, მას ყველანაირად ვამოწმებდით. ვუნიშნავდით საგამოცდო პერიოდს, ვიკვლევდით მის წინაპრებს და ზოგჯერ მაინც ხდებოდა, რომ ასე ყოველმხრივ შემოწმებული კაციც ვერ ამართლებდა. დღეს ეს ყველაფერი მოიშალა. კადრებს სათანადოდ აღარ სწავლობენ. სწორედ ესაა ამ სტრუქტურების ნგრევის საფუძველი.

— **ლუსტრაციის კანონთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— ლუსტრაციის იდეა იმ ხალხისგან მოდის, ვისაც ჩვევად აქვთ, ერთმანეთს ნიშნის მოგებით ეძახონ, — შე აგენტოო. იმიტომ, რომ ეს სიტყვა აქ გაუკუღმართებულად ისმის და რატომღაც ჩამშვებს ნიშნავს. ასე რომ ეფიქრათ დავით აღმაშენებლის დროს, როგორ ფიქრობთ, იარსებებდა მსტოვართა ინსტიტუტი? დღეს უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი, ვიდრე სსრკ-ის დროინდელი უშიშროების სისტემის ჩხრეკა. ქვეყანა ფეხზეა დასაყენებელი. ეროვნული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გატარება უნდა იყოს ყველას ნება.

— **მოსახლეობის უმრავლესობის ნება ნამდვილად არის მიმართული ქვეყნის კეთილდღეობისაკენ, მაგრამ ძალა დღეს უმცირესობას აქვს რატომღაც. ამდენი ხანია ქვეყანას ახრჩობს ენერგეტიკის პრობლემა, ყველა ხმამაღლა საუბრობს ენერგომაფიაზე, უშიშროების სამსახურებისთვის ალბათ ამ მაფიის შემადგენლობაც ცნობილია, მაგრამ მათ არავინ ებრძვის.**

— რატომ? ებრძვიან, იჭერენ დამნაშავეებს, გახსოვთ ენერგეტიკის საქმეზე სამი კაცი რომ დაიჭირეს, მაგრამ ისევ გამოუშვეს. აი, ასე მიდის ბრძოლა (ეღიმება)... 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების ავად სახსენებელ დღეს, დაიწყო ზაჰესის მშენებლობა და სამ წელში წერაქვით, ნიჩბითა და ურიკით ააშენეს და გაანათეს კიდეც ქვეყანა. მერე, 70 წლის განმავლობაში 75 მცირე და დიდი ჰესი ააშენეს. ამათ კი 12 წლის განმავლობაში, რაც იყო, ყველაფერი გაასხვისეს, გაანადგურეს. აქაც არანაირი სახელმწიფოებრივი მიდგომა არ ჩანს. დღეს ადამიანის, პატიმრების და სხვათა და სხვათა უფლებების დაცვაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ ქვეყნის ინტერესების დაცვაზე. ადამიანის უმთავრესი მოვალეობა და უფლება ქვეყნის ინტერესების სამსახურში ყოფნა უნდა იყოს და არა მისი ჩაძირვა.

წინათ დედა, ქალი, რომელმაც ქვეყანა გადაგვირჩინა, შვილს აკვანშივე ასწავლიდა, რომ სამშობლოსთვის სიკვდილი ყველაზე ძვირფასი რამ იყო. ახლა კი ყველა იმაზე ფიქრობს, ვინ უკეთესად ჩაიცვამს, იცხოვრებს, დაანგრევს ქვეყანას... ასეთი ხალხი საქართველოს ვერ გადაარჩენს. ისევ დედებმა, ქალებმა უნდა გაზარდონ ქვეყნის მხსნელები და მარტო ქალიც ვერას გახდება, თუ კაცი არ დაუდგება მხარში.

— **ახლახან შევარდნაძემ განაცხადა, რომ აფხაზეთში შესვლა შეცდომა იყო. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ახლა აღმოაჩინეს, რომ შეცდომა იყო? მაშინ, მე, ანზორ მაისურაძე დაჩოქილი რომ ვევედრებოდი, ნუ შეხვალთ აფხაზეთში-მეთქი, რატომ არ მისმინეს? აფხაზეთი უნდა ავიღოთო, 300 000 ქართველი იქ ცხოვრობდა, აღებული არ იყო, შენი მიწა არ იყო? ასაღები ახლაა, მაგრამ...

— **ახლა კი ჩვენით არაფრის ამღები არა ვართ და ისევ ვილაცის იმედად ვრჩებით.**

— სამწუხაროდ, ასეა. თუ აშშ და რუსეთი მორიგდებიან, ეს პრობლემაც მოგვარდება, მაგრამ ვიმეორებ, მანამდე სახელმწიფოებრივი აზროვნება უნდა ვისწავლოთ და ერთი მიზნისკენ დავიწყოთ ცქერა. ქვეყნის საგარეო და შინაპოლიტიკის კურსი ერთიანი უნდა იყოს და პრეზიდენტი რომ ეტყვის ამერიკას, შენი მხარდამჭერი ვაროო, შეიძლება სუბიექტურად არ ეთანხმებოდე ამ პოლიტიკას, მაგრამ თუ ქვეყანას ასე აწყობს, ყოველგვარი პირადი ინტერესი უნდა უკუაგდო. ასე რომ, მთავარია, პოლიტიკური ნება და ყველა პრობლემის მოგვარება შესაძლებელი გახდება.

***ეკა ლომიძე***




# საქართველოდან ფასდაუდებელი საგანძური გაედინება

## თამარ მეფის საფლავი ჯერ არ გვიპოვია და უკვე ვკარგავთ?!

***(დასაწყისი იხ. გვ. 6)***

გავყევი. ჩემმა მასპინძელმა დიდი ჩანთიდან სხვადასხვა ნივთის ამოღება დაიწყო. სულ ბოლოს ბრინჯაოს სამაჯური და ქალის ბრინჯაოს ქანდაკება დამიწყო წინ და ორი ათასი დოლარი მომთხოვა. ყველაზე უფრო ქალის ქანდაკებამ დამაინტერესა — ზომებით ემთხვეოდა იმ ქანდაკებას, რომელიც ჩემმა რესპონდენტებმა მოიხსენიეს საუბრისას. „ბიძაჩემმა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია, უცხოელებთან დამაკავშირა, ის ოჯახებიც გამაცნო, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი განძის ყიდვა. კვირაში სამჯერ(?!) მაინც ჩავდივარ თბილისში და მათზე ვასაღებ. ზოგჯერ კოლექციონერებიც მიკავშირდებიან“.

დაახლოებით იგივე საუბარი უკვე სხვა გლეხთან მქონდა: „თუ მართლა ძვირფასი ნივთები გინდა, მე უნდა დამელაპარაკო. მთელ სოფელში მხოლოდ მე მაქვს V-X საუკუნეებში დამზადებული ძვირფასი ლითონის ნივთები. სამ ვერცხლის ფიალას, ერთ მოოქრულ თასს თავის ოქროს ორ სასმისთან ერთად გაჩვენებ. თასი ძვირფასი ქვებით არის შემკული. ოღონდ ფოტოაპარატი არ დამანახვო. ძვირფასთვლიანი ოქროს ბეჭდები და ოქროს სამაჯურებიც მაქვს გადანახული. თურქებმა 150 ათასი დოლარი მაძლიეს, მაგრამ არ მივეცი. ამერიკელებმა 200 ათასი შემომთავაზეს. მე ვერავინ მომატყუებს — მათი ფასი მილიონი დოლარია. საზღვარგარეთ აუქციონზე შეიძლება ორ ან სამ მილიონადაც გაიყიდოს.“. უკან დაბრუნებული ისევ პირველი გლეხის ოჯახთან გამაჩერეს და ახლა რკინისაგან დამზადებული საბრძოლო და შრომის იარაღების ყიდვა შემომთავაზეს. კიდევ ბევრი რამის ნახვა შეიძლებოდა, მაგრამ ამასობაში მოსაღამოვდა და სოფლიდან გამოვემგზავრე. თბილისში ჩამოსულმა კომენტარი ვთხოვე ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ამირან დავითაშვილს**: „რაც ბრძანეთ, აბსოლუტური სიმართლეა. ორიოდე დღის წინ ერთმა მოქალაქემ ბრინჯაოს უნიკალური სამაჯური მოგვიტანა, თავის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოუჩენია. სამაჯურის შესაძენად ფული არ გვაქვს და მხოლოდ დათვალიერებას დავჯერდით. ამჟამად არც იმის სახსრები გვაქვს, მინიშნებულ ადგილებზე გავიდეთ და არქეოლოგიური გათხრები ვაწარმოოთ. პრობლემაა ისიც, რომ თბილისში არქეოლოგების ნებართვის გარეშე იჭრება უზარმაზარი ქვაბულები მრავალსართულიანი სახლების საძირკვლებისთვის. თბილისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია და საძირკვლების ამოღების დროს უამრავი არქეოლოგიური მასალა ნადგურდება.“

ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ **ჯაბა ჯანხოთელს** ვთხოვეთ კომენტარი: „ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, შარშან საქართველოს საპატრიარქოს დავუბრუნეთ ორი უნიკალური ხატი (ერთ-ერთი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატი იყო). ქვემო სვანეთში, კერძოდ, ლენტეხის რაიონში გასაყიდად გამზადებული ჰქონდათ უძველესი ხატები. შუამავალმა 150 ათას დოლარად შეაფასა. მეორე დღესვე ჩავიდა ლენტეხში ჩვენი ოპერატიული ჯგუფი. გაირკვა, რომ უცხოელზე გასაყიდად გამზადებული ხატები მართლაც უიშვიათესი ქმნილებები ყოფილა. ხატწერის ექსპერტების დასკვნით, ხატები X-X საუკუნეშია შექმნილი. ხატები მაშინ მოუპარავთ, როცა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა კოდორის ხეობით გადმოდიოდა სამშვიდობოს“.

ჯაბა ჯანხოთელმა წარმატებულად დამთავრებული ოპერაციის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან სამადლობელი წერილი მიიღო. სამაგიეროდ, ზოგიერთი პოლიციელი ასეთ ჯილდოს ვერასოდეს ეღირსება. პოლიციის ზოგიერთი მაღალჩინოსანი თვითონ მფარველობს თურმე ეროვნული სიწმინდეების არალეგალურ ბიზნესს.

**P. S.** საქართველოდან უამრავი ძვირფასი არქეოლოგიური, ისტორიული ღირებულების მასალა გაედინება. თვით თამარ დედოფლის საფლავიც კი რომ აღმოაჩინონ, ქართველი ერისათვის იგი სამუდამოდ დაკარგული იქნებაო, — ამბობენ დღეს ქართველი არქეოლოგები(?!).

***ზვიად ჩაკვეტაძე***



## სათნომყოფელი უფლისა

### უარ-ჰყავნ თავი თვისი

ეს არის პირველი პირობა, რომელსა მოითხოვს ჩვენგან უფალი იესო ქრისტე! იგი გიბრძანებს შენ, ძმაო, რათა დაივიწყო, მოიძულო ის შენი მანუგეშებელი ცოდვა, რომელი სუფევს შენს ბუნებასა შინა, გარნა ნაცვლად ამისა რასა იქმ შენ? ცოდვას არ უარ-ჰყოფ, სიბოროტეს, სიცუდეს არ მოიძულებ, არამედ მხოლოდ საჭმელს გამოიცვლი ამ დღეებში; ჰგონებ, რომ მხალის და ზეთის ჭამით, ნაცვლად ხორცისა, აღსრულდება ეს დიდი მცნება თავის უარ-ყოფისა. მართალია, ეკლესიამ კი გამცნო მარხვა, ესე იგი დატევება დროებით ხორცისა, გარნა რისთვის? მისთვის, რათა მოუძლურდეს დაძველებული ცოდვა, სხეულსა შინა შენსა მყოფი. ხოლო შენ, თუმცა ხორცის ჭამას უარ-ჰყოფ, გარნა უწინდელსა ცოდვასა და ცუდსა ჩვეულებასა არ ივიწყებ. არა, ძმანო, ჩემნო, საჭმლის გამოცლით არ ცხოვნდება კაცი, არამედ ცუდის ყოფა-ქცევის გამოცვლით, ცოდვის უარისყოფით. ამას ვეძიებდეთ და ამის მსურველნი ვიყვნეთ მარადის, რომელსა შინა ღმერთი იყოს შემწე ჩვენი. ამინ.

### აღიღენ ჯვარი თვისი

რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, აღიღენ ჯვარი თვისი. ჯვარი, ძმანო ქრისტიანენო, ძველსა დროებასა შინა იყო ის მახვილი, რომლითაცა დასჯიდენ სჯულის გარდამხდომელთა კაცთა. ჯვარის აღება, ანუ ჯვარის ზიდვა საღმრთო წერილის ენაზედ ნიშნავს ყოველსა მას შრომასა, იწროებასა, ჭირსა და განსაცდელსა, რომელნი უნდა მოითმინოს ქრისტეს სჯულის აღმასრულებელმან კაცმან. ყოველი იგი მოღვაწება, განსაცდელი, მწუხარება, იწროება, რომელი შეგემთხვევა შენ, მიმავალსა შემდგომად ქრისტესა, უკეთუ იგინი მიიღე სიმდაბლით და მოითმინე სულგრძელობით, მიგეთვლება შენ, ვითარცა ქრისტეს ჯვარის ზიდვა. ღმერთმან ყოველს კაცს თავისი ჯვარი დაუნიშნა: ერთს სიღარიბე, მეორეს სნეულება; ამას შეურაცხყოფა, სხვას ცილის წამება ბოროტთა კაცთაგან, ზოგს სიკვდილი მოყვასთა, სხვას უსამართლობა მსაჯულთა. გარნა თუ კაცმან ჭეშმარიტად უარ-ჰყო თავი თვისი და შეუდგა ქრისტესა, მაშინ არათუ სიღარიბე და იწროება, არამედ თვით დიდი პატივი და მაღალი ხარისხიცა გარდაიქცევა მისთვის ჯვარად. რა სახით? ესრეთ, რომც იგი პატივსა მისსა და დიდსა ხარისხსა მოიხმარს არა თავის განსაცხრომლად და სანუგეშოდ, არამედ ღვთის-მომსახურებისთვის; იგი შეიყვარებს სიმართლესა და ყოველ საქმეში იქმნება მართლ-მსაჯული და ჭეშმარიტების მეძიებელი; ხოლო ვინაითგან ამ სოფელს არ უყვარს სიმართლე, უთუოდ რომ მრავალი მწუხარება და განსაცდელი უნდა მოითმინოს მან სიმართლისათვის. ერთი სიტყვით, არ შეიძლება, რომ ამ ქვეყანაში ქრისტეს სჯულის მოყვარემან თვინიერ ჯვარის აღებისა განატაროს ცხოვრება თვისი. წმიდა იყო და სულის წმიდისგან განათლებული მოციქული პავლე; რაღა საჭირო იყო მისთვის ჯვარის ზიდვა? გარნა რას მოგვითხრობს, იგი ჩვენდა განსაკვირვებლად? მოგვითხრობს, რომ მას სჭირდა ერთი საშინელი სნეულება, რომელი ფრიად სტანჯავდა სხეულსა მისსა. სამჯერ მხურვალედ ევედრა ღმერთსა, რათა განათავისუფლოს იგი მისგან, გარნა რა უპასუხა ღმერთმან? საკმაო არს შენდა მადლი იგი ჩემი, რომელი მოგეც; ძალი ჩემი უძლურებასა შინა აღსრულდება და ესრეთ არ ისმინა ლოცვა მისი. თუ პავლესთვის საჭიროდ შერაცხა ღმერთმან ზიდვა ჯვარისა, შენ ვინ ხარ, ძმაო ჩემო, რომ თვინიერ მწუხარებისა ხვიდოდე შემდგომად ქრისტესა და იქმნე მოწაფე მისი? რისთვის განაჩინა ღმერთმან ესრეთ? რისთვის არის, რომ მხოლოდ მწუხარებითა და მოთმინებითა ძალ-უძს კაცსა სვლა შემდგომად ქრისტესა? ეს ღმერთმან კი არ განაჩინა, ძმაო, არამედ თვით ჩვენმა სიცოდვემ და სიბოროტემ. ღმერთმა სამოთხის ცხოვრება და ნუგეში დაუნიშნა კაცსა თვით ამ ქვეყანასა ზედა; გარნა ცოდვამან ჩვენმან და ბოროტებამან გვიყო ესე, რომელ ახლა აღარ შეიძლება ნუგეშითა და ნეტარებითა განტარება სოფლურის ცხოვრებისა. ახლა მხოლოდ ჯვარის ზიდვით შეიძლება მოპოვება სამოთხის ნეტარებისა...

# „საჭმლის გამოცვლით არ ცხოვნდება კაცი...“

**ქვემოთ გთავაზობთ ფრაგმენტებს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) მიერ დიდმარხვის იმ მესამესა და მეოთხე კვირიაკეებში წარმოთქმული ქადაგებებიდან, რომელთა მიჯნაზეც ამჟამად ჩვენც ვიმყოფებით...**



ხატი — ორი გზა

### ...და შემომიდეგინ მე

მესამე უკანასკნელი პირობა, რომელსა მოითხოვს მაცხოვარი მისთა მოწაფეთაგან, არის შემდგომად მისსა სვლა. შემდგომად ქრისტეს სვლა იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანი წინ უნდა მიდიოდეს, არ დარჩეს უკან, ყოველთვის იყოს მოძრაობაში; სვლა, ანუ მოძრაობა აქ ნიშნავს ქრისტეს მცნებათა აღსრულებას ნაყოფის გამოღებასა, ანუ სულიერთა წარმატებათა სათნოებათა შინა. მარტო თავის უარის-ყოფა, ანუ ცოდვისაგან გაშორება და ჯვარის აღება, ანუ მოთმინება განსაცდელისა არ არის საკმაო ქრისტიანისათვის, უკეთუ იგი ამასთანავე არ არის სვლასა ანუ სულიერსა წარმატებასა შინა, ესე იგი, მდაბლის ხარისხის სათნოებისგან აქ წარემართება უმაღლესისა ხარისხისადმი. როგორათაც რომ კაცი, რაც გინდა მრთელი და მაგარის აგებულების სხეული ჰქონდეს, უკეთუ იგი უძრავად ატარებს თვისსა ცხოვრებასა, ერთს ადგილს ზის, დაეკარგება მას სიმრთელე და შთავარდება სნეულებასა შინა და ბოლოს, სიცოცხლეც მოაკლდება; აგრეთვე სულიცა ჩვენი, უკეთუ იგი მარად-დღე არ არის წარმატებული უდიდესისა მადლისა და სიწმინდისადმი, არამედ მოისვენა და დაიძინა, მოაკლდება ძალსაცა მას, რომელიცა აქ აქვს; ვითარცა მონა იგი ხსენებული იგავსა შინა მაცხოვრისასა ტალანტთა ზედა, რომელმან მიიღო მხოლოდ ერთი ტალანტი და არ განამრავლა იგი, არამედ შთაფლა მიწასა შინა და ბოლოს დაჰკარგა იგიცა ერთი და იქმნა დასჯილი; ეგრეთვე სულიცა ჩვენი, უკეთუ არა ცდილობს, წარმატებასა, არა ცდილობს რომ თან და თან შეიქმნეს უმჯობეს და უმახლობელეს ქრისტესა, ბოლოს მოაკლდება მადლსაცა მისსა და იქმნება დასჯილ.

აჰა, ძმანო, სამი იგი პირობა, რომელსა გამოუცხადებს მაცხოვარი მისთა მოწაფეთა...



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ახლა დიდმარხვაა და, ბუნებრივია, ოთხშაბათისა და პარასკევის დღეებშიც საგანგებოდ ვიცავთ მარხვას. მაგრამ წლის განმავლობაში ზოგჯერ ამ დღეებში არ მარხულობენ. როდის არ არის ოთხშაბათი და პარასკევი სამარხვო დღეები?**

— ოთხშაბათი და პარასკევი სამარხვო არ არის:

1. მეზვერისა და ფარისევლის კვირაში; 2. ქრისტეს აღდგომის შემდგომ შვიდეულში; 3. სულთმოფენობის მომდევნო შვიდეულში; 4. ქრისტეშობიდან 17(4) იანვრის ჩათვლით.

**— ეკლესიის სწავლების მიხედვით, კონკრეტულად, რა ქმედებები არსებობს, რომლებიც მოეთხოვება ქრისტიანს მოყვასის მიმართ?**

— გარდა იმისა, რომ მოყვასს უნდა ავარიდოთ მისი ცხოვრებისა და ჯანმრთელობისთვის მავნე ზემოქმედება, არ უნდა დაგვავიწყდეს, ეკლესია გამოყოფს შვიდ სათნო საქმეს: 1. ჭმევა მშიერთა; 2. სმევა მწყურვალთა; 3. შემოსვა შიშველთა; 4. შეწყნარება უცხოთა; 5. მოკითხვა სნეულთა; 6. მიხედვა პატიმართა და 7. დაფლვა მიცვალებულთა. ყველა ეს საქმიანობა, რომელიც დახმარებას უწევს მოყვასს, იწოდება მოწყალებათა ხორციელ საქმეებად.

სულიერი დახმარებაც ასევე განიყოფება შვიდმოწყალებათა საქმედ: 1. მოქცევა ცოდვილთა; 2. სწავლება უმეცართა. 3. განმართვა დაბრკოლებულთა; 4. ნუგეშისცემა მწუხარეთა. 5. მოთმინებით ატანა უსამართლობისა; 6. მოტევება შემცოდეთა (თანამდებთა); 7. ღმერთთან ვედრება მოყვასთა საცხონებლად.

**— თუკი მღვდელმსახური თვლის, რომ ის უფრო სწორად აღასრულებს ღმრთის სიტყვას და თავის მრევლთან ერთად გამოეყოფა ოფიციალურ ეკლესიას, რატომ იმსახურებს სასჯელსა და გაკიცხვას?**

— „ვინც გამოეყოფა ეკლესიას... ის თვითონ სჯის თავის თავს; სწორედ მათ შესახებ ამბობს პავლე მოციქული, რომ პირველი და მეორე შეგონების შემდეგ მათ განეშორეო“.

„სადაც ეკლესიაა, იქ არის სულიწმიდაც... ამიტომ, ვისაც მასთან (ეკლესიასთან) წილი არა აქვს, იგი არ საზრდოობს ქრისტეს სხეულიდან მომდინარე უწმინდესი წყაროდან, რომელიც გვთავაზობს მარადიულ ცხოვნებას“ (წმ. ირინეოს ლეონგი)

# როგორ დაინგრა ძველი იერისოსი

იერისოსი არის დაბა, რომელიც მდებარეობს წმიდა მთის საზღვართან, ათონის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

ზღვის სანაპიროზე, ახლანდელი იერისოსის მახლობლად, დღემდეა შემორჩენილი ძველი იერისოსის ნანგრევები, რომელიც სრულიად დაინგრა 1932 წელს მომხდარი საშინელი მიწისძვრის შედეგად.

იმდროინდელი მცხოვრებლების ცოდვებმა, განსაკუთრებით კი დანაშაულებრივმა მამათმავლობამ, ღვთის სამართლიანი რისხვა მოაწია დაბაზე და მათზე, ვინც იქ ცხოვრობდა.

უფალმა, როგორც „ყოვლადბრძენმა ექიმმა“ ცოდვისმიერი განგრენის მოსაკვეთად და მთლიანი სხეულის ამ მანკისგან გასათავისუფლებლად, კატასტროფა დაუშვა იმისათვის, რათა სამართლიანად დაესაჯა ცოდვაში ჩაფლულნი, სხვები დაშინებით მოექცია, მესამენი კი, შეუბილწავი და სულიერად ჯანმრთელნი, დაეცვა.

1932 წლის 13 სექტემბრის წყნარ ღამეს, როდესაც დაბის მცხოვრებთ უზრუნველად ეძინათ და არაფერი მოასწავებდა რაიმე ცუდს, მოულოდნელად მოიწია დიდი უბედურება. დიდმა და საშინელმა მიწისძვრამ შეარყია დედამიწა და იმის მსგავსი კატასტროფა გამოიწვია, რომლის შესახებაც ბიბლიაში ვკითხულობთ.

ამ გამანადგურებელი მიწისძვრის შედეგი იყო ნანგრევების გროვა. თითქმის ყველა სახლი ჩამოიქცა, ხოლო ის რამდენიმე, რომელიც გადარჩა, გამოუსადეგარი იყო საცხოვრებლად. როგორც ერთი იერისონელი ჰყვებოდა, ნანგრევებში 172 მცხოვრებმა პოვა სიკვდილი, მათ შორის იყო ადგილობრივი მღვდელიც მამა იოანე. მრავლად იყვნენ დაშავებულებიც. მოკლედ რომ ვთქვათ, იერისსონი აღიგავა პირისაგან მიწისა და სრულიად გაუკაცრიელდა.

როგორც ჩვენ ვიცით ძველი აღთქმიდან, ღმერთმა სრულიად მოსპო სოდომის, გომორის და ზოგიერთი სხვა ქალაქის მცხოვრებნი. მათ ადგილას დღემდე არსებობს მკვდარი ზღვა, რომელშიც თევზებიც კი ვერ ცოცხლობენ. ასევე იყო ამ შემთხვევაშიც, ღმერთმა ისე დაარბია ძველი იერისოსი, რომ იქ ვერავინ შეძლო დასახლება. გადარჩენილებმა კი ააშენეს ახალი დაბა იქ, სადაც ახლა მდებარეობს იგი.

იერისოსის ახლანდელი მკვიდრნი არათუ არ ჰგავნან საქმეებით თავიანთ წინაპრებს, არამედ პირიქით, ძალიან წესიერად ცხოვრობენ და ბევრ რამეში ეხმარებიან მრავალ მთაწმინდელ მამას, განსაკუთრებით კი წმინდა მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებთ.

## აპოსტასიური ქამი

**ქრისტეს შობამდე რამდენიმე ათეული საუკუნით ადრე, ძველი აღთქმის პერიოდში, უფალმა პირისაგან მიწისა აღგავა ტურფად ნაშენი და აყვავებული ქალაქები — სოდომი და გომორი. ასეთი მსჯავრი ქალაქებმა დაიმსახურეს მცხოვრებთა ზნეობრივი მანკიერების და გარყვნილების გამო. ამით ღმერთმა მაგალითი დაუდო კაცობრიობას — როდესაც ადამიანები გადადიან უფლის მცნებებს და ბოროტს შეუდგებიან, ამით ისინი თავად შეიძლება გახდნენ მიზეზი მათზე ავადმოწეული სტიქიური მოვლენებისა!**

**ეშმაკისგან იღებს სათავეს ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი ცოდვაც — ტყუილიც: სატანა, ხომ უმთავრესად სულ ტყუილით მოქმედებს — აცდუნებს ადამიანს და ამ გზით სურს მისი დაღუპვა.**

# ჩაშლილი „დღესასწაული“

უკანაკნელ ხანს, საინფორმაციო საშუალებებით, განუწყვეტლივ მოდის ცნობები დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან: გახშირებული მიწისძვრების, წყალდიდობების, გრიგალების და სხვა სტიქიური უბედურებების შესახებ.

თანამედროვე ადამიანი იშვიათად რომ ცდილობდეს, ბუნებრივი მოვლენები განსაზღვროს რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური პირობადებულებებით, მაგრამ ზოგჯერ, რიგი ფაქტებისა თავისთავად აღძრავს ხოლმე მსგავს საფიქრალს.

გასულ შემოდგომაზე, სამხრეთ იტალიაში მოხდა მიწისძვრა — ერთ საცხოვრებელ უბანში დაინგრა სკოლა და სხვა სამშენებლო ნაგებობები.

3000 კაცი დარჩა უსახლკაროდ და ყველაფერი მხოლოდ ბუნების ჭირვეულობას შეიძლება დაბრალებოდა, რომ არა ერთი გარემოება: მიწისძვრა მოხდა 31 ოქტომბერს — როდესაც სკოლა ჰელოუინის „დღესასწაულს“ ზეიმობდა.

მცირე განმარტებისათვის მოგახსენებთ, რომ ჰელოუინი სატანისტების მთავარი დღესასწაულია, რომელსაც ისინი აღდგომასავით ზეიმობენ. ეს დღე საგანგებოდ აღინიშნება ევროპასა და აშშ-ში. ამ დღეს ამერიკელი ბავშვები ჯადოქრების, ეშმაკების, შავი კატების და ჯოჯოების კოსტიუმებში გამოწყობილნი კარდაკარ უვლიან სახლებს, თავისებურ სატანისტურ „ალილოზე“ და სასუსნავ-სანოვაგეს გამოითხოვენ მასპინძლებისგან. თუ არ უნდათ, რომ რამე დაუშავონ...

ეს „შავი კატები“ და „ჯოჯოები“ ძველი, დრუიდული კულტის პერიოდიდან არის შემორჩენილი, რომელთა ჩვეულებაშიც, სხვათა შორის, თავიანთი ღმერთისათვის ადამიანის შეწირვაც შედიოდა!

# ხვალ პირველი აპრილია...

ტყუილი ბოროტმა სულმა — ეშმაკმა დაჰბადა ამქვეყნად, როცა პირველი ადამიანები აცთუნა, მოტყუებით დაარღვევინა საღმრთო მცნება და ამით ცოდვასა და სიკვდილს დაუქვემდებარა.

ადამიანებიც, მოშორებულნი ღმერთს, მისმიერ სიმართლეს, ხშირად ატყუებენ ერთმანეთს და ამით დაღუპვის გზას ადგებიან. რა თქმა უნდა, ტყუილიც არის და ტყუილიც (ისევე, როგორც ცოდვებშიც არის გარჩევა — უნებლიე, უმნიშვნელო ცოდვასთან ერთად, არსებობს მომაკვდინებელი ცოდვებიც!): შეიძლება გამოტირებულ ბავშვს ეცრუო, ხუთ წუთში დავბრუნდებიო და რამდენიმე დღით შენს საქმეზე წახვიდე და შენი უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი ამით სამუდამოდ გააწბილო. მაგრამ ტყუილის არსი მაინც ყოველთვის ბოროტია და შედეგებიც ასეთივე ექნება, რამეთუ მაშინაც კი, როცა ბავშვს რაღაცას ვატყუებთ, თითქოსდა უწყინრად და უმტკივნეულოდ, მის სულში ფუჭი ოცნებისა და ამაო იმედების ბოროტ მარცვალს ვთესავთ, რაც ადრე თუ გვიან, უსათუოდ იჩენს თავს მის ცხოვრებაში... მაგრამ არსებობს ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთი, თითქოსდა ყველასთვის უწყინარი, სახუმარო და ლამის აუცილებელი ტყუილი, რომელიც ბავშვობიდანვე ჩაგვინერგეს, ეს არის საპირველაპრილო ტყუილი: დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია! ამ დღეს ზოგჯერ სერიოზული გაზეთები და სხვა საინფორმაციო საშუალებებიც კი მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში აქვეყნებენ „უწყინარ“ ტყუილებს, როგორც სრულ სიმართლეს. ისე რომ, ზოგჯერ საქმე კურიოზებამდეც მიდის...

ამ უცნაურ ტყუილებს ჩვენშიც ბევრი ამბობს და, ამასთან, წარმოდგენაც არა აქვს, თუ საიდან იღებს დასაბამს იგი და რა მკრეხელობის თანამონაწილე ხდება ყველა, ვინც ასე იქცევა!

დიახ, ეს „უწყინარი“ ჩვეულება — საპირველაპრილო ტყუილი, ღმერთის უარყოფიდან და გმობიდან იღებს სათავეს!

როგორც მოგეხსენებათ, გაზაფხული და, განსაკუთრებით აპრილის თვე, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის დროა. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანთა ეს უნათლესი დღესასწაულთა დღესასწაული, რომელიც გარდამავალია, ანუ მოძრავია, უმეტესწილად, სწორედ აპრილის თვეზე მოდიოდა. არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე სწორედ პირველ აპრილს აღდგა მკვდრეთით. ისიც ყველამ კარგად ვიცით, თუ რა საზიზღარი ტყუილი მოიგონეს მაშინ უფლის ჯვარმცმელმა და უარმყოფელმა ფარისევლებმა — იესო ნაზარეველის სხეული ღამით ფარულად მოიპარეს მისმა მოწაფეებმა და ახლა გაიძახიან, მკვდრეთით აღდგაო!

— აი, სწორედ ამ ყოვლად მკრეხელურმა სიცრუემ დაუდო დასაბამი საპირველაპრილო ტყუილებს, რადგან ვინც ეს ჩვეულება მოიგონა და დაამკვიდრა, მისთვის ქრისტეს აღდგომაც ტყუილია, ღმერთის ამქვეყნად ხორციელი შობაც და მისი ყოვლადმხსნელი საზოგადო მსახურებაც. სწორედ ამიტომ დაამკვიდრეს ეს ტრადიცია ქრისტეს მოწინააღმდეგეებმა — 1 აპრილის გამასხარავება და აბუჩად აგდება.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი, ნუ წამოვეგებით ანკესზე.

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.



გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა

პ არლამენტის წინ გამართული ნოემბრის გახმაურებული აქციების შემდეგ, **ირაკლი წერეთელს**, როგორც ამბობენ, ოროთახიანი ბინა პრესტიჟული უბნის ნაცვლად, ელიავაზე მისცეს.

*ეროვნული მოძრაობის ერთადერთი ცოცხალი ლიდერი (ასე იხსენიებს საკუთარ თავს) ძველი დისიდენტებისათვის ყოველთვიურად 5-ათასდოლარიანი პენსიის დანიშვნას ითხოვს...*





# „ვაფრთხილებ — იმ თხის დღეში არ ჩაცვივდნენ...“

## „ხალხმა სასახლეები აიშენა და ოროთახიან ბინას დავჯერდები?“

— **როგორც გავიგეთ, ამერიკისა და ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტებთან გადაგიწყვეტიათ შეხვედრა.**

— ის პოლიტიკოსი ვარ, რომელმაც პირველმა ჩამოვაყალიბე დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების დოქტრინა. მე ვამბობდი, რომ ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტული იყო სტრატეგიული მეგობრობა და მოკავშირეობა აშშ-თან, რომ აუცილებელი იყო საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზების გახსნა და ნატოში გაწევრება. ამაზე მაშინ ბევრს ეცინებოდა.

მე გამოვთქვი მზადყოფნა, პრეზიდენტთან შესახვედრად სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ და კანცელარიიდან სამადლობელი წერილიც მივიღეთ.

— **ბოლოს და ბოლოს, შეგხვდებათ პრეზიდენტი?**

— შემომითვალა, როცა საჭირო იქნება, მაშინ შეგხვდებიო და რა ვქნა, კისერზე ვერ ჩამოვეკიდები... ბუშთან შეხვედრის სურვილიც გამოვთქვი, მაგრამ ნამეტანი მომივა. ახლა სად აქვს ამერიკის პრეზიდენტს იმდენი დრო, რომ საქართველოს არასაპარლამენტო ძალის ლიდერს შეხვდეს. თუ ოდესმე შევხვდები, ორ საკითხზე დაველაპარაკები — დააჩქაროს საქართველოში აშშ-ის სამხედრო ძალების შემოყვანა და გააღრმავოს საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისთვის მუშაობა. აშშ-ის პრეზიდენტის ზუსტი საიმეილო მისამართიც გავიგე და ბოლო 3 თვის მანძილზე 17 დოკუმენტი გავუგზავნე.

— **რა გიპასუხეს ვაშინგტონიდან?**

— დოკუმენტები მივიღეთო... ვწუხვარ, რომ ამერიკას სხვას ვერაფერს ვუკეთებ. მილიარდერი რომ ვიყო, უთუოდ დავეხმარებოდი...

— **მოხალისედ რომ წასულიყავით ომში?**

— არ არის ურიგო იდეა. ამჟამად ფეხზე ართროზული მოვლენები მაქვს და ასკურავასთან ვმკურნალობ. ფორმას რომ დავიბრუნებ, შესაძლოა წავიდე კიდეც.

— **ნატოსთან დაკავშირებით მართლაც გამართლდა თქვენი პროგნოზი, მაგრამ ამბობენ, — წერეთელს ამ შემთხვევაში ყარაულის თოფივით გაუვარდაო.**

— პოლიტიკოსები შურიანები არიან და ეგ ალაპარაკებთ. რაც მაინტერესებდა, იმ საკითხზე ხომ სწორად ვფიქრობ, აბა, კორუფცია და მექრთამეობა არც მაინტერესებს. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობას 115 ლარიც არა აქვს ხელფასი, კორუფციასთან ბრძოლა უზნეობად მიმაჩნია. ამ საკითხებზე სალაპარაკოდ ღმერთმა შალიკო, ჟვანიები და სააკაშვილები გააჩინა. როდის იყო ლომებზე მონადირე ჩიტებზე ნადირობდა? მე უფრო მეტისთვის ვარ გაჩენილი. თუ ოდესმე საშუალება მომეცა, ხალხს ხელფასსა და პენსიას 3 ლარით კი არა, 1000-ით გავუზრდი. ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობამ უნდა მიიღოს საშვილთაშვილო გარანტიები, როცა ამას მივაღწევთ, გაჭირვებულებისთვის მერე მოვიცლი.

— **არჩევნებზე რას აპირებთ?**

— ჭიათურის მაჟორიტარობა მინდა. თუ აკაკი ჩხაიძემ „მოქალაქეებთან“ არ გააკეთა ბლოკი, მასთან ერთად ვიქნები არჩევნებში.

— **რამდენადაც ვიცი, აკაკი ჩხაიძე სწორედ ძირძველი „მოქალაქეების“ კონგლომერატთან აპირებს ბლოკის შექმნას.**

— თუ აკაკი ჩხაიძესთან ბლოკი გავაკეთე, ერთ-ერთი ლიდერი ვიქნები. რიგითი „მოქალაქეები“ თუ მოვლენ ჩვენთან, გამოსწორების საშუალებას მივცემთ. რჩეულიშვილსა და ჯორბენაძესთან ბლოკის შექმნა კი ნამდვილად არ მსურს. როცა შევარდნაძე იყო „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელი, იქ მაშინ არ მივსულვარ და ახლა მივალ?

— **ეროვნული მოძრაობის დროს პოპულარული პარტიები ჩრდილში მოექეცით.**

— იმიტომ, რომ თავის დროზე ფულზე არ ვიზრუნეთ. უფინანსობის გამო არ ვართ ხელისუფლებაში. ყველა ხელისუფლებაში მყოფ პარტიას დღეს დიდი ფული აქვს. „ახლებსა“ და „მრეწველებს“ თავიანთი ბიზნესიდან, სააკაშვილსაც, რამდენადაც ვიცი, ყვავილების ბიზნესიდან აქვს შემოსავალი — უნიკალური ჯიშის ყვავილები გააქვს ჰოლანდიაში და იქიდანაც შემოაქვს... ფულის შოვნაზე რომ გვეფიქრა, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მე იმდენს ვიშოვიდით, ბიძინა ივანიშვილს არ მოელანდებოდა, მაგრამ მაშინ არ გვინდოდა... ნეტავ გვეშოვა... ამაში ვერ გავარტყი, არ მეგონა, თუ ქართველები ასეთი ღორები იყვნენ. დღეს ქართველებს უჭირთ და ფულიან ხალხზე იყიდებიან, მაგრამ მოვა დრო, როცა მეტ-ნაკლებად ყველას გაუჩნდება ფული და ფულიანი ხალხი ისე ველარ იგრიალებს, როგორც დღეს.

— **სხვათა შორის, ამბობენ, რომ ნოემბრის აქციებში უანგაროდ არ ჩართულხართ.**

— ვინც ამას იტყვის, მინიმუმ 1 მლნ დოლარს გადავახდევინებ... ქუჩაში ერთი კვირა გავიყინეთ. ეტყობა, ის ახალგაზრდები იყვნენ მოსყიდულები, რომლებიც თავიდან დადიოდნენ აქციებზე, შემდეგ კი გაქრნენ. აქციის ორგანიზატორები ჩვენ ვიყავით და ვის უნდა მოვესყიდეთ? პირველები ჩვენ მივედით პარლამენტთან და მივქარე, რომ სტუდენტები მივუშვი იქ. სამი დღე რომ კიდევ მდგარიყვნენ სტუდენტები, მთავრობა გადადგებოდა და პრეზიდენტიც მიჰყვებოდა. სააკაშვილი შემპირდა, 6-ში მოვალ, ხალხს მოვიყვანო და არ მოვიდა, ზუგდიდში გაიქცა, შევარდნაძე კი — ბათუმში. რა უნდოდა იქ სააკაშვილს, როცა საქართველოს ბედი თბილისში წყდებოდა?! თვითონ გასვრილი პოლიტიკოსები ალაპარაკდნენ ჩემზე. მას შემდეგ, ვინც მელაპარაკება შევარდნაძის გადადგომაზე, ყველას ვცემ. მისი გადადგომა თუ უნდოდათ, ჰქონდათ რეალური შანსი და გამოეყენებინათ. გვარებს არ დავასახელებ და აქციის დროს მქონდა საიდუმლო შეხვედრები უშიშროებისა და შსს-ს მაღალჩინოსნებთან — თუ 30 ათასი კაცი გამოვა, შევარდნაძე წავაო, მითხრეს... ისეთი ამბავი მოხდა, როგორიც კრწანისის ომის წინ — ტყუილად რომ ელოდა მეფე ერეკლე 40 ათას მეომარს, რომელთაც ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, ჭირის სუფრაზე კარგად იქეიფეს... მაშინ ვიფიქრე — რა იდიოტი ვარ-მეთქი... არასოდეს გავყიდულვარ. იმ აქციაში მონაწილეობით ფული მომცეს, მანქანა თუ ბინა?

— **ბინაო, ითქვა...**

— ვინც მაგას იტყვის, თვალებს ამოვუღებ. ბინის თაობაზე 3 წლის წინ შევიტანე განცხადება. როგორ, ოროთახიან ბინაზე გავცვლიდი ამხელა ამბავს? როცა ამგვარი გარიგებით მოდიან ჩემთან, სულ მცირე — პრეზიდენტობას ვითხოვ.

— **რა ბინაზეა მაინც ლაპარაკი?**

— ელიავაზე ოროთახიანი ბინაა, მე-8 სართულზე, კორპუსი ჯერ აშენებულიც არ არის. ბინის მოცემის საკითხი აქციიდან 9 თვის შემდეგ გადაწყვიტეს გია შერაძემ და ვანო ზოდელავამ. თუ შეპირებულები იყვნენ, მანამდე არ მომცემდნენ? ის ჩემი ბინა არც არის, ცოლს და ბავშვს მივეცი. ხალხმა სასახლეები აიშენა და ოროთახიანს დავჯერდები?

— **ვის მოსთხოვთ ახალ ბინას?**

— როცა პარლამენტის არჩევნები დასრულდება, მიხეილ სააკაშვილს... საქართველოში ამერიკის ჯარი რომ შემოვა, რაკი ამაში ჩემი წვლილიც არის, ბევრ რამეს მოვითხოვ. იმ ხალხს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, პენსიად 5 ათასი დოლარი უნდა მისცენ (40 ლარი დამინიშნეს დისიდენტობისთვის, მაგათ მათხოვარი ხომ არ ვგონივარ?). მოვითხოვ, რომ უცხოური მარკის მანქანა მემსახურებოდეს, ასევე მოვითხოვ ჩემი პარტიის ოფისისთვის იმელის შენობის გადმოცემას. ადრე ჩვენი პარტიის ოფისი იქ იყო და აწ განსვენებული ჯაბა იოსელიანის თხოვნას გავუწიე ანგარიში, — მთავრობის სახლი დანგრეულია და შევარდნაძე იმელში შეუშვიო.

ზოგიერთები პოლიტიკაში ბიზნესიდან რომ მოვიდნენ, მაშინ სად იყვნენ, ჩვენ რომ ციხეში ვისხედით?!. თოფაძე მაშინ საპნებს ყიდდა... ახლა კი... ისინი ჩვენი ნაამაგარით გასუქდნენ, გამდიდრდნენ და ჩაჩოჩება მოგვინდომეს. ისე გამოდის, თხა გასუქდა და მგელს შეჭმა დაუპირაო. ბოლოს იმ თხას მგლის შეჭმა-შეჭმაში ცუდი რაღაც შეემთხვა და ვაფრთხილებ ზოგიერთებს, — ჭკუით იყვნენ, იმ თხის დღეში არ ჩაცვივდნენ.

**იზო რიკაძე**

# „ჩვენ პროცესში ჩავერთვებით განაჩენის შემდეგ“

გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გრძელდება გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიება. გასულ კვირას სხდომაზე გამოქვეყნდა „ეფ-ბი-აის“ დასკვნა, რომლის თანახმად, ლუდის ბოთლზე აღმოჩნდა ბრალდებულ ხურცილავას თითის ანაბეჭდები. მოწმეთა დაკითხვითა და ექსპერტიზის დასკვნების გამოქვეყნებით ბრალდების მხარე ყველანაირად ცდილობდა, მკვლელობის ვერსიად გაემყარებინა სექსუალური ძალადობის მცდელობა. ეს კარგად გამოიკვეთა ელენე თევდორაძის დაკითხვითაც. მას შემდეგ, რაც ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ მას მკვლელობის მოტივად პოლიტიკური დაკვეთა მიაჩნია, ბრალდების მხარე ზედმეტად გააქტიურდა და დაკითხვა ლამის კამათში გადაიზარდა. პროკურატურა ყველანაირად შეეცადა, რომ თევდორაძის მიერ გახმაურებული კასეტის ვერსია აბსურდულად გამოეჩინა. პროცესი ამ კვირას განახლდება და ამჯერად სასამართლოს ჩვენებას გრიგოლ ხურცილავა მისცემს. თუმცა საეჭვოა, რომ ის ამ პროცესზე „ალაპარაკდეს“.

ისე კი, პროცესი რომ სხვა დინებით მიდის, ყველაზე მეტად მაშინ გამჟღავნდა, როცა სასამართლო კოლეგიამ დაზარალებულის მხარეს, ხათუნა ჩხაიძის ადვოკატს, ზვიად კორძაძეს საქმის გასაცნობად დრო არ მისცა და ადვოკატმა პროტესტის ნიშნად პროცესი დატოვა. ფაქტია, რომ დღეს სასამართლო დაზარალებული მხარის გარეშე მიმდინარეობს, რაც კიდევ



ერთხელ მიუთითებს, რომ ამ გახმაურებულ საქმეში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ვესაუბრებით ადვოკატ **ზვიად კორძაძეს**.

— **თქვენ გიორგი სანაიას ქვრივის, ხათუნა ჩხაიძის ადვოკატი ბრძანდებით. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა თქვენი შუამდგომლობა საქმის გაცნობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდით...**

— როგორც ჩანს, მოსამართლეს არ სურდა, რომ აღნიშნული საქმე დაზარალებული მხარის მონაწილეობით განეხილა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროცესში მონაწილეობას არ მივიღებთ. სულაც არ ვაპირებთ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენას.

— **რამდენად კანონიერი იყო მოსამართლის ეს ქმედება და როდის აპირებთ საქმეში ჩართვას?**

— უკანონო იყო, რადგან ფაქტობრივად, დაზარალებულს დაცვის უფლება ჩამოართვა. სწორედ ეს გახდება მოსამართლის მიერ მომავალში გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველი. ამ გადაწყვეტილებამ წაგვართვა უფლება, რაიონული ინსტანციის სასამართლოში მიგვეღო მონაწილეობა. ჩვენ ჩავერთვებით სააპელაციო ინსტანციაში.

— **თქვენ საზოგადოება უფრო სამოქალაქო საქმეებით გიცნობთ. რატომ გადაწყვიტეთ ამ საქმის აღება?**

— არ ვიტყოდი ასე. სისხლის სამართლის საქმეებიც ბლომად მაქვს. რაც შეეხება სანაიას საქმეს, მისი აღება მთხოვა „რუსთავი-2“-მა.

— **თუ მტკიცებულებები გაფუჭებულია, რამდენად შეძლებთ ჭეშმარიტების დადგენას?**

— შევეცდებით დავაფიქსიროთ, რომ მტკიცებულება გაფუჭებულია. ჯერჯერობით, საქმე პირველ ინსტანციაშია. დარჩენილია კიდევ ორი ინსტანცია. ყველაფერი წინ არის.

— **როდესაც ეს პროცესი დაიწყო, ხათუნა ჩხაიძეს საქმის ძიებაში დაბრუნება სურდა. მეორე მხრივ, საქმის გაცნობის მოტივით, დროის გადავადება მოითხოვეთ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დარჩა შთაბეჭდილება, რომ საქმე შეგნებულად ჭიანურდებოდა და თითქოს გათვლილი იყო მისი არჩევნებამდე გადაწევა. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ მკვლელობის უკან ისეთი პოლიტიკური მოტივია, რომელიც არჩევნების შემდეგ, ანუ ძალთა გადანაწილების შემდეგ უნდა ამოტივტივდეს?**

— ჩვენ ორი კვირა მოვითხოვეთ, არც ხათუნა ჩხაიძეს მოუთხოვია დიდი დრო. რაც შეეხება მკვლელობის პოლიტიკურ მოტივს, ამაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა დეტალურად გავეცნობი საქმეს.

— **დღევანდელ ეტაპზე გაქვთ თუ არა მოპოვებული ისეთი მტკიცებულებები, რომელიც დაასაბუთებს, რომ ხურცილავა არ არის მკვლელი, ან კიდევ, რომ არასწორია მკვლელობის მოტივი, რომელიც სასამართლო პროცესზე მუსირებს...**

— ჯერჯერობით ხმამაღლა არ ვსაუბრობ, გვაქვს თუ არა რაიმე მტკიცებულება. როცა ჩავერთვები პროცესში, მაშინ წარმოვადგენ ყველაფერს. ჩვენ პროცესში ჩავერთვებით განაჩენის შემდეგ.

**მარინა მამისაშვილი**



# საქართველო ომში მიიჩქარის



ამერიკელი ექსპერტები საქართველოს აეროდრომებს მუშტრის თვალით უყურებენ. მას შემდეგ, რაც ანკარამ უარი თქვა ამერიკის და დიდი ბრიტანეთის ავიაციების თურქეთის აეროდრომებზე განლაგებაზე, შეიძლება ერაყზე დასარტყმელად საქართველოს ინფრასტრუქტურა გამოიყენონ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ადასტურებენ ამერიკელი სპეციალისტების მიერ ორი აეროდრომის — კოპიტნარისა და მარნეულის ბაზების ინსპექტირების ფაქტს. როგორც იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი ამბობს, კოპიტნარის აეროდრომი დღესვე მზადაა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების მისაღებად. მარნეულის აეროდრომი კი ცოტა ხნის წინ თურქმა სპეციალისტებმა თანამედროვე ტექნიკით გაამდიდრეს და მოაწესრიგეს. ამჟამად ფლორიდაში, აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა ცენტრალურ შტაბში, იმყოფება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც კონსულტაციებს იღებს პენტაგონის ექსპერტებისგან. თბილისში არ გამორიცხავენ, რომ პენტაგონის ინტერესების სფეროში ვაზიანიც მოხვდება. თუ პენტაგონის ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ საქართველოს აეროდრომების გამოყენებას ერაყის ომში, მაშინ თვითონ მოაწესრიგებენ გაუმართავ აეროდრომებს და წინ არაფერი აღუდგებათ, რადგან საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც ამერიკის სამხედროებსა და მძიმე ტექნიკას თავისუფლად შეუძლიათ საქართველოში მიმოსვლა. სამხრეთელი მეზობლის ასეთ ნაბიჯს მოსკოვმა ეჭვის თვალით შეხედა, თანაც ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოს ცაში ამერიკულმა U-2-მა გაიელვა. პრეტენზიები მაშინვე წაუყენეს საქართველოს, რაზედაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთის უკმაყოფილების მიუხედავად, საქართველომ უნდა შეასრულოს მოკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებაო. ასე რომ, ამერიკა-ბრიტანეთის გაჭიანურებული ბლიც-კრიგის რუკაზე შესაძლოა, მოკლე ხანში „ქართული წერტილი“ გამოჩნდეს.

***ნეზავისიმაია. რუ***

# რუსეთი საქართველოდან არ წავა!



აპრილის დასაწყისში თბილისში გაგრძელდება მოლაპარაკებები საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის თაობაზე. თბილისი მკაცრად მოითხოვს ამ საკითხის გადაწყვეტას, რაზედაც სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა მოსკოვში, შემდეგ შევარდნაძემ შეუტია პუტინს კიევის სამიტზე, მერე მოსკოვს საქართველოს საგანგებო წარმომადგენელი ასლან აბაშიძე ეწვია. მისი ვიზიტი შემთხვევითი არ ყოფილა: რუსეთის ერთ-ერთი ბაზა ბათუმშია, მეორე — აუღიარებელ აფხაზეთში...

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ რუსულ ბაზებზე შეტევის სიგნალი თბილისმა პენტაგონიდან მიიღო. მაგრამ რუსეთმა აშკარად მიანიშნა საქართველოს, რომ უახლოეს წლებში ეს თემა დახურულია, ვაშინგტონს კი აგრძნობინა, რომ ძალიან შეტოპა და საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის დაშვებულ ზღვარს გადააბიჯა. საქართველოში რუსეთის სამი სამხედრო ბაზაა დარჩენილი, სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი 5-7 ათასია, თანაც რუსეთი სამხედროთა რაოდენობას განზრახ ზრდის... რფ-ის მრეწველობის მინისტრი ილია კლებანოვი ამბობს, ეს ეკონომიკური საკითხია და არა პოლიტიკური, ბაზების გაყვანას 11 მლრდ 743 მლნ რუბლი დასჭირდებაო. მაგრამ როცა 90-იანი წლების ბოლოს, იმავე საქართველოდან, რუსეთმა საზღვრის სამსახურის მრავალრიცხოვანი დაჯგუფება გაიყვანა და რუსეთ-ყაზახეთის საზღვარზე გადაისროლა, მაშინ არავის უზრუნია მესაზღვრეების კეთილდღეობაზე; ანდა ბალტიისპირეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან, განსაკუთრებით გერმანიიდან ჯარების გაყვანას ათწლეულები როდი დასჭირდა. ახლა რა ხდება? პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი სერგეი მარკედონოვი ამბობს, — „როცა რუსეთი ამ ქვეყნებიდან გადიოდა, იცოდა, რომ მისი გავლენა აღარ იქნებოდა ისეთი, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს, რაც შეეხება საქართველოს, ამას რუსეთისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ის რომ აქედან წავიდეს, მერე ვერაფრით მოახერხებს ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პრობლემების მოგვარებას“. ამიტომაც კრემლი გულგრილად ვერ შეხედავს ამერიკელი სამხედროების ყოფნას საქართველოში, რუსეთის საზღვრებთან, თავისი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების ზონაში.

და მოსკოვმა თბილისთან სამხედრო თანამშრომლობის შესაძლებლობის ნიადაგის მოსინჯვა დაიწყო. საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი სწორედ ამ თემაზე ესაუბრა დავით თევზაძეს. ქართულმა მხარემ ეს წინადადება „საინტერესოდ“, მაგრამ „მაინცდამაინც რეალურად“ არ მიიჩნია. აქ ლოკალური პოლიტიკური ქვეტექსტი იმალება: რუსების გასვლის შემდეგ გუდაუთის ბაზებს აფხაზები დაიკავებენ, ასეთ „პრივატიზაციაში“ საქართველო ჩარევას ვერ შეძლებს, რუსეთი კი ამბობს, აქ ბაზები დიდი ხანია აღარ გვაქვსო. ასლან აბაშიძეც დაინტერესებულია რუსული ბაზების აჭარაში ყოფნით... რუსეთი კი იმდენ ხანს აპირებს საქართველოში დარჩენას, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის!

***იზვესტია. რუ***

# მშიერი ბუნტი...



„კომანდოსის“ ელიტურმა ნაწილებმა მშიერი ჭლექიანები დაარბიეს

საქართველოში სამხედროების მორიგი აჯანყება მოხდა. უკუნეთ ღამეში ეროვნული გვარდიის ვეტერანები ისანი-სამგორის სამხედრო ნაწილში შეიჭრნენ, განაიარაღეს პირადი შემადგენლობა, სოციალური მოთხოვნები წამოაყენეს, თანაც შესაშინებლად რამდენიმე ტანკიც გამოიყვანეს და ტელეარხებს შეატყობინეს — თუ დაგვჭირდა, დედაქალაქის ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორებსაც გამოვიყვანთო. ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად სახელმწიფო მინისტრი, დეპუტატები და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მივიდნენ, ხოლო დასაშოშმინებლად — „კომანდოსის“ ნაწილები დაირაზმნენ. დილის 9 საათისთვის ცხრამეტივე მეამბოხე ხელისუფლებას ჩაბარდა. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, ამბოხების მზადების შესახებ ძალოვანებმა სამი დღით ადრე იცოდნენ, მაგრამ ინფორმაციის სიმწირის გამო ვერაფერი ვიღონეთო. გენპროკურორმა კი თქვა, აჯანყებულები თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, თენგიზ კიტოვანთან იყვნენ კონტაქტში და ცხრამეტნი კი არა, ორმოცდაათნი გახლდნენ. ისინი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ, გარედან შემოიჭრნენო. მოსკოვში მცხოვრებმა კიტოვანმა ბრძანა, — „ამის მთქმელები იდიოტები არიან“. ყოფილი მინისტრის მონაცემებით, გვარდიელების ამბოხი აუტანელი სოციალური პირობებითაა გამოწვეული — „ბიჭები ტუბერკულოზით, ფაქტობრივად, შიმშილით მკვდარი ერთ-ერთი გვარდიელის დასაფლავებაზე იყვნენ... აევსოთ მოთმინების ფიალა, ქელეხში დალიეს და ეს აქცია წამოიწყეს. ამ ბიჭებმა თავის დროზე შევარდნაძე ხელისუფლებაში მოიყვანეს. ახალ ისინი საშინელ სიდუხჭირეში ცხოვრობენ, სამხედრო ბობოლები კი სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრდნენ“.

ვეტერანების აქციას, ეტყობა, კიდევ ერთმა ფაქტმა შეუწყო ხელი: ამბოხებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ვეტერანთა ლიგის ყრილობაზე უცებ საქმის გარჩევა დაიწყო: ვინ და რატომ დაიწყო ომი აფხაზეთში; მდინარე გუმისთაზე აფხაზების შემოტევისას, მათ პირისპირ მარტო(?!) რატომ აღმოვჩნდიო.

აღშფოთებულმა ყოფილმა გვარდიელებმა მაშინვე მოიხსნეს სახელმწიფო ჯილდოები და რამდენიმე ემოციური პრესკონფერენციაც გამართეს...

***ლენტა. რუ***

# ვის უთვალთვალებს U-2?



ამერიკულმა საჰაერო მზვერავმა U-2-მა ამ ბოლო თვეში სამჯერ ჩაუქროლა საქართველო-რუსეთის საზღვარს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, სადაც ამ ფაქტს „დაძაბულობის დამატებითი მაპროვოცირებელი მომენტი“ უწოდა.

ამერიკელები არ უარყოფენ, რომ რეგიონში საერთაშორისო ტერორისტების ბაზებს ზვერავენ. „ჩვენ ერთად ვმუშაობთ, რათა ბოლო მოვუღოთ „ალ-ქაიდას“ და მოჯაჰედების ყოფნას პანკისის ხეობაში“, — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ რიჩარდ არმიტეჯმა.

რუსეთმა კარგად იცის, რომ პანკისი „ბოევიკების“ ბუდეა, მაგრამ რა საჭიროა მათი ჰაერიდან ძებნა, როცა შევარდნაძე დიდი სიამოვნებით გაუხსნის ამერიკელებს გზას ხმელეთზეც. რატომ დაინტერესდა აშშ კავკასიელი „ბოევიკებით“ მაინცდამაინც ახლა, ერაყზე თავდასხმის დროს? ეს მხოლოდ შირმაა, ირწმუნება სამხედრო ექსპერტი, — მზვერავი თვითმფრინავის საშუალებით, ამერიკელებს საქართველოს საზღვარზე რუსეთის სამხედრო ობიექტების დაზვერვის საშუალება ექნებათ; უნდათ შეამოწმონ, რუსეთის კოსმოსური დაზვერვის სადგურების მოქმედების აქტივობა, მათ შორის, აზერბაიჯანში გაბალინის სადგურისა. ამერიკელებს ეშინიათ, ამ სადგურებიდან მიღებული ცნობები კოალიციური ჯარების გადაადგილების შესახებ, რუსებმა ერაყის სამხედროებს არ აცნობონ.

U-2-ის ფრენებს თავდაცვის სამინისტროს ექსპერტები ამერიკელი მფრინავების საქართველოს აეროდრომებზე შესაძლო განლაგებას უკავშირებენ — სანამ იქ „ფანტომებს“ და „ჰერკულესებს“ დასვამენ, ალბათ ავიაბაზის გარშემო მიდამოს დათვალიერება გადაწყვიტესო.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №64***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





3 აპრილიდან!!!

საბავშვო მოთხრობათა შემეცნებით-გასართობი სერიალი

„ბუთქუნა და მეგობრები“

ბავშვებო!

I სერიაში გაეცნობით ბუთქუნს და შეიტყობთ, როგორ იმოგზაურა მან სოფელში, რა გადახდა თავს და როგორ გადაარჩინა ჩიტუნა.



საუკეთესო საჩუქარი თქვენი ბავშვისთვის!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიცინიან

**თათია მუკბანიანის** მამამ ერთ-ერთი ახალი ტელეკომპანიის გადაცემა დაიწუნა, თათიამ შენიშნა:

— ეს იმიტომ, რომ საცდელი მოუწყობლობაა, ასე აწერია ეკრანზე (ეკრანზე ეწერა საცდელი მაუწყებლობა).

***

**6 წლის გიორგი ბერძენიშვილს** უნდა მოეფიქრებინა და დაეწერა სიტყვები, რომლებიც დედა-თი იწყება.

— დედაქალაქი, დედამიწა, დედაბოძი, — კარნახობენ უფროსები. იგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე თვალებგაბრწყინებულმა წამოიძახა:

— დედალი!

***

**წლინახევრის ანა თათულაშვილი** ბებომ ახალ ჩექმებში გამოაწყო და თოვლში გაიყვანა. თოვლმა ანა მუხლებამდე დაფარა და ტირილი მორთო.

— ვაიმე, ბებო, თოვლმა ჩექმები მომპარა.

***

**4 წლის გიორგი ნოზაძეს** დედა ეუბნება:

— გიორგი, შეხედე ტელევიზორს, ეს ბუბა კიკაბიძე მღერის და დაიმახსოვრე.

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგიმ ყვირილი მორთო:

— მოდით, ჩქარა მოდით, კიკა ბიძია მღერის (ეკრანზე ბუბა კიკაბიძეა).




### I ანა, გამოიცანი

1. **რომელ ქალაქშია ბუკინგემის სასახლე?**
ა) ლონდონში; ბ) ჰამბურგში; გ) ვარშავაში; დ) ჰააგაში.

2. **სად მოკლეს ილია?**
ა) საგურამოში; ბ) ყვარელში; გ) წიწამურთან; დ) თბილისში.

3. **ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ვინ იცავს ჯოჯოხეთის კარს?**
ა) კენტავრი; ბ) ცერბერი; გ) გველეშაპი; დ) ციკლოპი.

4. **რომელი ნაწარმოები არ ეკუთვნის ბეთჰოვენს?**
ა) მზის სერენადა; ბ) პათეტიკური სონატა; გ) ზაზუნა; დ) მთვარის სონატა.

5. **სად მოიპოვა დავით აღმაშენებელმა საარაკო გამარჯვება?**
ა) კრწანისში; ბ) ბასიანში; გ) შავნაბადასთან; დ) დიდგორში.

## იპოვე 10 განსხვავება



### II რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „მაღალ სახლის შესასვლელში მუდამ მზად დგას იგი, ზევით აჰყავს და ჩამოჰყავს პატარა და დიდი“.

### III






ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

### IV



საკმარისია თუ არა ქვემოთ მოცემული ქვები კოშკის აღსადგენად თუ ზედმეტი დარჩება?



ისრების მიხედვით გაიარე კლოუნის ლაბირინთში




ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაშუკა ხუციშვილმა

# ბესიკ ხარანაული: მტრის სისხლი გვზიზღავს, მოძმისა გვემწყურვალება

**პოეზია რომ სამყაროსთან პოეტური დამოკიდებულებაა, ეს აღიარებული ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუკი თანამოსაუბრე პოეტია, მაშინ სამყაროსთან სულ სხვაგვარი შეხება გელოდება.**

**„მდინარე მიდის, ადამიანი მილაპარაკობს", და ამ მუდმივად მოდუდუნე, მორაკრაკე, ხანაც ამღვრეულ დინებაში გამორჩეულია ის, ვისაც ზენაარმა ჩააჭედა „ლურსმანივით ზეჯებში ნიჭი". ამ ლურსმნის მზიდველია ბესიკ ხარანაული... მისი გვარის ხსენებისას კი ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ეს ლურსმანიც და სამყაროში პოეზიის ძიების უნარიც მთებიდან მოაქვს. ეს რომ ვუთხარი ბატონ ბესიკს, გაეღიმა.**

— მთის ხალხს ორ თვისებას უკავშირებენ — გმირობას და პოეზიის ნიჭს. მართლაც ასეა. მე ფშაველი ვარ, მაგრამ ხევსურები, განსაკუთრებით არხოტიონნი, სულ საბრძოლო სიტუაციაში ცხოვრობდნენ: „ყმანი ვართ ნაპირისანიო", — ამბობდნენ კიდეც. ერთადერთი ხელოვნება კი, რაც მთაში ხარობს, პოეზიაა. სიტყვა იყო მნიშვნელოვანი მთიელი კაცისთვის.

**— ის მთა, მე პოეზიით რომ ვიცნობდი, თითქოს დღეს არარეალურიც კია. თქვენ არ გეჩვენებათ, რომ დღევანდელობამ ძალიან დააშორა სულიერად ხალხი პოეზიას?**

— მთაში ჩვენი ადამიანური იდეალები გვეგულება. შეიძლება ყველაფერი ისე არც არის, როგორც გვგონია, მაგრამ... მთაში გმირი თუ არ იყავი, ვერ გადარჩებოდი. სულ მომხდურებს ებრძოდნენ მთიელები... თუკი ამოისუნთქავდნენ გარეშე მტრისაგან, ერთმანეთსაც მიუბრუნდებოდნენ...

**— ეს არ გვიკვირს ქართველებს.**

— ქართული ბუნება ყველას აბნევს, ჩვენზე გაცილებით ჭკვიან ხალხსაც კი.

**— ალბათ ბევრ საინტერესო, ქართული ბუნებისა და ზნეობის ადამიანს იცნობდით...**

— მე ას წელიწადზე მეტის ვარ... რამდენი ადამიანი მინახავს...

**— ას წელიწადზე მეტის?** — ვკითხე 64 წლის პოეტას.

— დიახ, თუ ვაღიარებ, რომ ლამის პატრიარქალურ წყობას ვარ მოსწრებული... სოფელში კოლმეურნეობებიც მინახავს, რაიკომის მდივნებიც, მაგრამ მაინც ურმის ყოფა იყო. იმასაც შევსწრებივარ, როცა პირველად დააჩნდა მიწას მანქანის ნავალი. ერთ ჩემს ამხანაგს გოგო შეუყვარდა. გოგო თბილისელი იყო. მამა შოფერი ჰყავდა. უცებ დაკარგა ის გოგო. არ იცოდა, საით უნდა წასულიყო, რომ ენახა. მე ვუპოვე: მანქანის ნაკვალევს მივყევი და იმ გოგოს სახლს მივაგენი... ისეთი სახეები მინახავს, თავისუფლად შეიძლება XIX საუკუნის სახეებად ჩაითვალოს. სულ თვალწინ მიდგანან ისინი. პაპაჩემსაც ქიტუა ერქვა და პაპაჩემის ბიძაშვილსაც. პაპას ვერ შევესწარი, მაგრამ მეორე ქიტუა მახსოვს. ღვთისნიერი კაცი იყო. მაშინ ამბობდნენ ხოლმე სოფელში — ქრისტიანი არა ხარო? აი, ქიტუა იყო ნამდვილი ქრისტიანი. ხალხი კი არ იყო იდეალური, მაგრამ გამოერეოდნენ ხოლმე სულიერად ძალიან მაღლა მდგარი ადამიანები. მე მახსოვს მირზა გელოვანის დედა ევა ბებო, დედაჩემი და რუსუდან გელოვანი (მირზას და) ახლო მეგობრები იყვნენ. გვიან ვკითხე დედაჩემს, — სად აქვს ნასწავლი ევა ბებოსმეთქი? მე როგორ წარმოვიდგენდი, რომ მას კლასიკური განათლება არ ჰქონდა მიღებული! არადა მერე და მერე მივხვდი, მარტო წიგნების კითხვით არ გამოირჩევა ადამიანი. მე მინახავს ნაკითხი ხალხი. დღედაღამ რომ წიგნს კითხულობს, მაგრამ მნიშვნელოვანი ადამიანები არ არიან... რატომ?.. რაღაცა, ადამიანურობის აღარა სცხიათ არაფერი. მათ კი, შეიძლება წიგნი არ წაეკითხათ, მაგრამ გამორჩეულები იყვნენ. „ოთარაანთ ქვრივი" ხომ გახსოვთ, აი, ისეთი ეზო-კარი ჰქონდათ. ისე, არც ასეთი აფორიაქებული ცხოვრება იყო ადრე. ახლა, იცი, როგორი ცხოვრებაა?! აი, კრუხს რომ კვერცხებზე არ დასვამ, აუქშევ, არ დააყენებ, აი, ისეთი ცხოვრებაა. ხალხისათვის მთავარი თემა გადარჩენაა... გაბოგანოებულია ხალხი.

**— ცოტა წიგნის კითხვის ნაკლებობაც გვჭირს...**

— მკითხველი სადღა არი?.. ვერ ყიდულობს წიგნს, ვისაც აინტერესებს, ვისაც არა და... წიგნებზე ერთი ამბავი გამახსენდა. სხვანაირი შიში იყო ჩემს ბავშვობაში. მე გამიგონია, როგორ ამბობდნენ, „კედლებსაც ყურები აქვთო". შინ გვქონდა წიგნები, ჩვეულებრივ, ცოტაოდენი. ისე კი, შემჩნეული მქონდა, რომ დედა ხშირად ადიოდა სხვენზე და იქ შეაგვიანდებოდა ხოლმე. როცა ისე მოვიზარდე, რომ სხვენის საიდუმლოს ზიარება შევძელი, მეც ავედი და რა ვნახე! წიგნებით იყო გავსებული მთელი სხვენი. რა წიგნი აღარ იყო იქ: მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი", გალაკტიონის „არტისტული ყვავილები"... ავდექი და ჩამოვიტანე ზოგიერთი წიგნი. მერე ჩემთვის მქონდა, ვინახავდი. სხვათა შორის, „არტისტულ ყვავილებს" მკრთალად ეწერა „ჩემს დას — ვარას მირზასაგან" და გადაშლილი იყო... ეტყობა, მთლად ვერ გაიმეტეს წასაშლელად... ერთხელ რუსუდან დეიდამ ნახა ეს წარწერა და გამიბრაზდა: ეს რა გიქნია, რად გადაშალე მირზას ნაწერიო... მე არ გადამიშლია-მეთქი. დედამ გაახსენა, — გახსოვს, ჩვენ რომ გადავშალეთო?! მართლაც გაიხსენა რუსუდანმა... მირზა ისეთი ბიჭი იყო — შეუგუებელი, ერთხანს ტყეშიც იმალებოდა. ბოლომდე არ ვიცი, რატომ... არ ვიცი, იმიტომ, რომ არ მიამბობდნენ. ეტყობა, მისი წარწერაც იმიტომ გადაშალეს წიგნზე...

**— წარმომიდგენია, რა დაემართებოდა მირზა გელოვანის დედასა და დას, მეზობლებს, როცა მისი სიკვდილის ამბავს გაიგებდნენ.**

— არა სჯეროდათ. ბოლომდე არ დაიჯერა რუსუდანმა. ის კი არა და, გაბრიელ ჯაბუშანური იყო მირზას მეგობარი. ის მეტყოდა ხოლმე: არ დაიჯერო, რომ მირზა აღარ არის. ის ისეთი ვაჟკაცი იყო, იმისი სიკვდილი წარმოუდგენელია. ალბათ ტყვედ იყო და დარჩა სადმე, ახლაც ცოცხალი იქნებაო.

**— თქვენ რომ მთა გახსოვთ — სავსე, ხმაურიანი, ვეჭვობ, დღესაც ასევე იყოს.**

— 35 სოფელი იყო ივრის ხეობაში. ერთხელ ჩარგალში წავედით თიანეთიდან მე, ნოდარ ებრალიძე და დავით წერედიანი. არც ერთი სოფელი აღარ დაგვხვდა... ყველა ჩამოვიდა ბარად — ან თიანეთში, ან კახეთში ჩასახლდა. ულამაზოდ დარჩა მთა ხალხის გარეშე... ამ ხევსურებსაც ხომ არ დაადგათ კარგი დღე ბარში. სულ ჭლექმა გაჟუჟა ხალხი. ან რა გადასახადები ჰქონდათ, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ახლანდელი დრო არაფერია იმასთან შედარებით... მე მახსოვს, რომ კაცი აღარ იყო თიანეთში. რუსუდანიც არ გათხოვილა იმიტომ, რომ არავინ იყო მისი შესაფერისი... გულმა ხომ უნდა შეიყვაროს თანასწორი... თიანეთში კი ერთი-ორი მოხუცი კაცი მახსოვს... ეგ იყო და ეგ. სამაგიეროდ, ახლა რა ხდება? კაცები არიან, მაგრამ ქალებისგან დაიცალა სოფელი. ზოგი საბერძნეთშია, ზოგი ისრაელში... რომ ვუყურებ, ასე მგონია, მატარებელი უკვე წავიდა და მე ბოლო ვაგონსღა ვხედავ, ესეც წავა და დამთავრდება ყველაფერი.

**— ამბობენ, ვაჟაც კი სტუმრობდაო ხშირად თიანეთს. გიამბობდნენ ვაჟას შესახებ?**

— ერთი ფოტო არსებობს, პაპაჩემი და ვაჟა ერთად არიან გადაღებულნი ხატობაზე... სხვათა შორის, მაშინ ისეთი პოპულარული არ ყოფილა ვაჟა. თიანეთში რამდენიმე სახლს აწერია — აქ მოდიოდა და ღამეს ათევდა ვაჟა-ფშაველაო. ვისთანაც ვაჟა დადიოდა, ცოტა შეძლებული ოჯახები იყვნენ და განათლებაც ჰქონდათ. თიანეთში, ჩვენგან მესამე სახლში, ილიკო ფიცხელაური ცხოვრობდა, იმასთან დადიოდაო ვაჟა. ილიკოს ვერ შევესწარი, მაგრამ მოხუც მაშოს შევესწარი... კულტურული ქალი იყო, ვინმე რომ სტუდენტი გახდებოდა თიანეთში, დაიბარებდა, ჩაიზე მიიწვევდა, თეთრ სუფრას გადააფარებდა. დასაძახებლად მე გამგზავნიდა ხოლმე. ისე, კაი ოხერი ვიყავი, ყველას ვიცნობდი, ყველასთან ახლო ვიყავი...

**— სოფლის ნებიერი ხომ არ იყავით?**

— დედისერთა ვიყავი და... ნებიერიც... მაგრამ ცხოვრება იყო ისეთი, არ გაგანებივრებდა. დილიდან წავიდოდი ხბოების სამწყემსად და საღამოს ვბრუნდებოდი ივრისპირებიდან. ერთფეროვნად კი ვცხოვრობდი, მაგრამ კარგი ის იყო, რომ იქ ბევრი მზე მოვკრიფე და კიდევ მათბობს. მარაგიც მაქვს და უფრო და უფრო დამიწყებს თბობას. რაღაცები მენატრება ძალიან. უნდა დაველოდო. წლები გავა, ვნახოთ, რა გემო გაუჩნდება ამ მონატრებას. თუ გემოს კარგად არ ვგრძნობ, ვერც ვერაფერს გავიხსენებ, ვერც მივუმატებ რამეს სათქმელს, არ შემიძლია.

**— გამიგონია, განსაკუთრებული ურთიერთობა გქონდათ დედასთან.**



— მამაკაცს სხვანაირი სინაზე აქვს. ქალი კიდევ სხვანაირია. ქალი დედად იბადება. იცი, ჩვენთან პატარა გოგოებს როგორ ეფერებოდნენ? „უი, დედა-ქალოო". ბიჭებს კი სიტყვიერად არ ანებივრებდნენ. მე ისიც მახსოვს, ქალებს სხვა ენა ჰქონდათ, კაცებს — სხვა. ქალის დედობა ენითაც კი დაცული იყო... ახლა ძალაუნებურად ქალი აქტიური გახდა. თუმცა ყოველთვის კი აქტიური იყო. მამაკაცსაც მხარში ედგა, თავისუფალიც იყო, წარმოიდგინეთ, მთაშიც დემოკრატია იყო გარკვეულწილად. ახლა გამახსენდა, ქალზე რომ ვსაუბრობდით... ხვარამზემ რა გააკეთა, ხომ გახსოვთ? ეს არის დემოკრატიის მწვერვალი (ხვარამზე — პოეტი ქალი). მისმა შეყვარებულმა მისი ეზოს ბოლოზე გაიარა, მან კი ღობე აშალა, იქით გადაწია და შეყვარებულის ნაფეხურები შემოიტანა თავის კუთვნილებაში. ხვარამზე მარტო კი არ ცხოვრობდა. მთელმა სოფელმა დაინახა და გაიგო ყველაფერი. ხალხმა შემოინახა ეს ამბავი. აი, რა მაგარი ხალხი იყო ფშავში. წაწლობა ნახეთ. მარტო წაწლობა რა არის, ვერავინ ახსნა. ეძებენ რაღაც მხატვრულ ფორმებს, მაგრამ არავინ იცის ზუსტად, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა ფშაველი.

**— ღირებულებების გადაფასებასთან ერთად ბევრი ჩვეულებაც დაიკარგა, ის კი არა და, ადამიანების შეფასებაც სხვანაირი გახდა.**

— ცხოვრება ტოვებს თავის დაღს, მაგრამ ისეთ ხალხს, ახლა რომ ვუცინით, ვკოცნით, მაშინ „გამარჯობას" არ ეუბნებოდნენ. საზოგადოებრივად იყო მიღებული, რომ საძრახისი — საძრახისია. ღირებულებები ახსენეთ... ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამე მოხდა ერთდროულად. გაიხსნა საზღვრები, კარგიც შემოვიდა და ცუდიც. ადამიანი თვითონ ატარებს ექსპერიმენტს თავის თავზე. იცვლის გემოვნებას, დამოკიდებულებას. მთელი კაცობრიობა სადღაც მიდის. ქართველი ახლა „ბევრნაირ საჭმელს ინელებს"... ბევრნაირი ცვლილება უნდა გადახარშოს თავის თავში. მთავარია, რამდენიმე ქართულ საუნჯეს გავუფრთხილდეთ: ხალხი არ დავკარგოთ, გამრავლება არ შევწყვიტოთ, არ დავაცარიელოთ მიწა, იმიტომ, რომ ცარიელზე სხვა მოვა. ჩვენ ყოველთვის მადას ალვუძრავთ მეზობლებს. ჩვენც რაღაცა უცნაური ხალხი ვართ: თითქოს მტრის სისხლი გვზიზღავს, მოძმისა — გვემწყურვალება. სულელურად ვიქცევით. ვერ მოვაგვარეთ ვერც აფხაზებთან, ვერც ოსებთან ურთიერთობა. ბასკები საფრანგეთშიც არიან, ესპანეთშიც. საფრანგეთში არც ახსენებენ გამორჩეულად. ესპანეთში კი სულ დასცინიან...

ჩვენც ასე არ ვართ? ხან კახელს დავცინით, ხან მეგრელს, ხან იმერელო-კიკინაო, ვამბობთ. ახლა სვანებს არ ვასვენებთ და ვერთობით...

**— მე მგონი, ეს იუმორი მტკივნეული არ უნდა იყოს საზოგადოებისთვის.**

— ჰო, მაგრამ მეტი არაფერი შეგვიძლია და ეგ არის... ჩვენ კაცთმოყვარეები ვართ. ებრაელებს მარტო ჩვენ არ მოვუწყვეთ გენოციდი, მაგრამ ახსოვს ვინმეს? არავის ემახსოვრები, როცა შენი თავისთვის არ ვარგიხარ. ჩვენ რაც დაგვემართა, ის რომ ქვეყანას მოუვა, ბევრი რამის ღირსიც არის. ლტოლვილებით სავსეა ქალაქი. საშინელებაა, რომ ომი მოხდა, აფხაზეთი წაგვართვეს, მაგრამ მე რომ აფხაზეთში ჩავდიოდი, არ ვიყავი კარგად, სულ უბედური ვიყავი, იმიტომ, რომ იქ ქართულად არ ლაპაკობდნენ ქართველები. მიხარია, აქ ყველა ქართულად ლაპარაკობს. ესენი უკვე ნამდვილი ქართველები არიან. მე ქართული ენის გარეშე არაფერი არ მინდა.

**— ჩემთვის, ბუნებრივია, რომ თქვენ ასე ამბობთ, მწერალი ყველაფერს სხვანაირად ხედავს.**

— აი, თუნდაც შეგრძნება ავიღოთ: სიტყვები გადიან ჩემი ცხოვრებიდან. როგორც „დედას" ვერ დავუძახებ ვერავის დედაჩემის გარდა, როგორც ეს სიტყვა წავიდა ჩემგან, ისე ვერ ავუხსნი შვილს, შვილთაშვილს ყველაფერს, ყველა გრძნობაზე ვერ დაველაპარაკები, რაზეც მეგობარს ველაპარაკებოდი. სიტყვები ნელ-ნელა რომ გავიწყდებოდეს, ისე ვარ... თითქოს ბოლოს ყველა სიტყვა დაგავიწყდება და მთავრდება კიდეც ყველაფერი... ეს არის განსხვავება, თორემ მე ისევ ისეთი ვარ, როგორიც 20-30 წლის წინ ვიყავი...

***ლელა ჯიქიაშვილი***

## საიდან მოვდივართ...

# უფსკრულისაკენ მიფრინავდნენ ფერიები...

## ლეგენდა ბოჭორმის ციხისა და თორმეტი ასულისა



ბოჭორმის ციხე თვალშეუდგამია დღესაც. ცაში ატყორცნილი — მედიდურად გადმოჰყურებს მის ფერხთით თავაწყვეტილ, მონავარდე იორს. წარმავალია ყველაფერი ამ ქვეყნად. ბოჭორმის მყარი გალავანიც თანდათან იფხვნება ნოტიო კლდესავით. ისტორიის ფურცლებზე რჩება მისი სიდიადე, განსაცდელი, ზეობის ხანა. მივიწყების ბურუსში ჩაიძირა აბულ კასიმ აბუსაჯის ძის ბარბაროსობის ნაკვალევიც. თორმეტი მზეთუნახავის ამბავი კი ლეგენდად დარჩა.

მეათე საუკუნის თავფურცელი ავისმომასწავებლად შემოუძლვა არაბთა ლაშქარს. ტფილისს მოედვნენ. აქედან კი კახეთისაკენ აიღეს გეზი. სამასი მეციხოვნე იცავდა უჯარმას. ვერ გაუმკლავდნენ მოზღვავებულ სარკინოზებს. სამი დღის მერე მტერმა გზა ბოჭორმისაკენ გაიკაფა. დუმილი და სიცარიელე დახვდათ სისხლმოწყურებულებს. კაცი არ ჭაჭანებდა იმ არემარეში. ვიღაცას უხუმრია კიდეც: „რომელიც ბაკი იყო (უჯარმა), მუნ შინა ფიცხლად შეგვებნენ, ხოლო რომელიც ნამდვილი ციხე ყოფილა (ბოჭორმა) იგი უკაცურად დაუგდიათო" (ბოჭორმის ციხე მართლაც გრანდიოზულია უჯარმასთან შედარებით, — ე.თ.). მკლავები ჩამოყარეს სიმწრით. საჭურველი მიყარ-მოყარეს. საამო მყუდროებამ მოადუნა მათი აზვირთებული გონება. დაანთეს ცეცხლი, მიეცნენ მოსვენებას... გულაღმა გაიშოტა ზოგი. უდაბური ტყის სიღრმიდან ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. პირველყოფილმა მშვენიერებამ ადამიანად ყოფნა მონატრა მოქანცულ მხედრებს. უცებ პირქუში გოდოლიდან გამოვიდა მზეთუნახავი. ღვინით სავსე დოქი შემოედგა მხარზე. მშვიდად გაემართა აბრიალებული კოცონისაკენ. ყვითელ სახეებს შავმა ფერმა გადაუარა. შედრკნენ, დაფეთდნენ. ზოგმა ხანჯალზე გაიკრა ხელი... „მოჩვენება" უსიტყვოდ შეერია შემოჯარულ ბარბაროსებს. ღიმილით გაუწოდა დოქი ვიღაცას, ხელით ანიშნა, დამშვიდებულიყვნენ. ცოტა ხანში მეორე ფერია მიეახლა მტრის ბანაკს, მერე მესამე, ასე... მონარნარებდა თორმეტივე. თავბრუ დაესხათ დაბანაკებულებს, წამოიშალნენ. სარდალმა ჩირაღდნები აანთებინა. მოიარეს ციხის ყველა კუთხე-კუნჭული. ხმლებით ეკვეთნენ გოდოლს, საიდანაც მზეთუნახავი ქალწულები გამოდიოდნენ. კარი ვერ უპოვეს. ცნობისწადილით ალმოდებულებმა ჩააგეს ხმლები. მიეხმატკბილნენ უცნაურად მოვლენილ არსებებს. გაჩაღდა პურობა. ქალწულებმა ჯერ თვითონ შესვეს დოქებიდან თითო ფიალა. მერე შემოჯარულ არაბებს ჩამოურიგეს. ატყდა ბუკის ცემა, დუდუკის ჭყივტინი, გაბმული მოძახილი. ბედნიერების სხივი ციალებდა აღრიანცელებულ, ველურ ჯილაგში... და დაეკონა ერთი მათგანი ხეზე მიყრდნობილ ლამაზმანს. ქალის გაცივებული სხეული უსულოდ დაემხო მიწას...

— ღალატიაო! — იღრიალა ვიღაცამ. გონს მოეგნენ. აირ-დაირივნენ. სასოწარკვეთილმა კივილმა შეაზანზარა არემარე. მხოლოდ ბოჭორმის ციხე იდგა მდუმარედ. თავბრუდახვეულმა ქალიშვილებმა ბარბაცით გასწიეს ქონგურებისაკენ. ფეხდაფეხ მიჰყვნენ გაცოფებული არაბები. ველარ მიუწვდათ ხმალი: წამი და... ციხის გალავნიდან უფსკრულისაკენ გადაეშვნენ ფერიები. მაშინ არაბებმა მახვილით აიტაცეს ძირს დაცემული იმ პირველი ასულის სხეული. ქრებოდა მათი თვალისჩინი. მაინც მოასწრეს და გავარვარებულ კოცონზე დაამხეს უმანკო სხეული.

განთიადისას აიყარა არაბთა ლაშქარი. ბოჭორმის დამრეც კალთებზე მიწამიუყრელი დარჩა ასობით თავზეხელაღებული მეომარი. იმ ღამეს ყველა გამოსალმებოდა სიცოცხლეს, ვინც ულამაზეს ქალწულთა ხელით მირთმეული მოწამლული შარბათი შესვა.

ამ ამბით გაკვირვებულ აბულ კასიმს მეორე დღეს კახეთის ერისთავი კვირიკე სწვევია — დედამ გამომგზავნაო. „ისევ ქალი!" — გაუელვა და ელდანაცემ არაბთა სარდალს თვალწინ დაუდგა თურმე, რა სისხლიც დასდენოდა ბულა თურქს კახეთის მთიანეთში. თბილად მიიღო კახეთის ერისთავი. დაზავდა, მაგრამ თავქუდმოგლეჯილი და გაალმასებული უფლისციხისაკენ წარემართა. ბევრგან იწვნია ქართველთა გულოვანება და მკლავის ძალა... და მაინც: ყველაზე მეტად ძრწოდა იგი ლამაზი ქალის წინაშე.

***ეთერ თარიმანი***

აგრესიულ ყოველდღიურობაში პოლიტიკოსთა უსაგნო პაექრობათა შემყურე და ყოფითი პრობლემებით გადაღლილი მკითხველი, როგორც ჩანს, მაინც იცლის ლექსისთვის. გვეხმიანებიან და გვთხოვენ, „კვირის პალიტრის" გვერდი ზოგჯერ ქართველ პოეტთა ნაცნობ და ახლობელ სტრიქონებს დავუთმოთ, რომ ასე მაინც შეძლონ ჭეშმარიტ პოეზიასთან შეხვედრა, რადგანაც ველარ იცლიან წიგნებისთვის. გაზეთებში კი მიმდინარე მოვლენების ანალიზის ფონზე გამომკრთალი ლექსის სტრიქონი მცირე ხნით მაინც დაგვავიწყებს მოძალებულ სატკივარს და...
პოეზიის ამ გვერდზე ყველასათვის საყვარელი პოეტების საყვარელი ლექსები შემოგთავაზეთ.

## ანა კალანდაძე

### შემოდიოდა ჩვენში კალანდა

და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

***

— თქვი, არჯაკელო ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
— რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა...
— მეც... სხვათა შორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა.

### ფშავში

***

ბროლს მოამსხვრევს თეთრახევა,
ბროლს მოამსხვრევს ბროლიანსა,
შხეფს შეაფრქვევს ვარდკაჭაჭას,
ლამაზს, ცისფერთოლიანსა,
— წამო ჩემთან!
— უკაცრავად, ვერ წაგყვები
ცოლიანსა! —
ესალმება ფხოვის ტყეებს,
ტყეებს, მწვანე მოლიანსა,
დაჯირას და უკადრისას,
სატყრობელას ჭორიანსა...
არაგვისკენ გზას მიიკვლევს,
გზას ძალიან შორიანსა.

***

რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,
შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...
ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი,
გზას წისქვილისკენ გავლევდი...
ბატარაც რამე გწყენოდა,
სულს ხოხობივით დავლევდი...

### ასეთი დარი თუ იყო მაშინ?

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

## მიხეილ ქვლივიძე

***

იქნება-მეთქი! გაგრძელება იქნება... მალე,
სულ ახლო ხანში გაგრძელება უწევს ყველაფერს:
დაუმთავრებელ მოგონებას, შეწყვეტილ ალერსს,
ტანჯვით მიგნებულ ფიქრს, უცოდველ ბავშვის რწმენამდე
რომ ვერ ამაღლდა... გაოცებას და აღმაფრენას
და შთაგონებას, და ხორხიდან ამომსკდარ სიცილს
და დაეჭვებას, და სინანულს, და ნაადრევად
იმედგაწყვეტილ მოლოდინსაც ექნება, ვიცი,
ვიცი, ექნება გაგრძელება!.. დადგება ჟამი,
ნატვრისთვალივით გაცხადდება შვილში მშობელი,
დროის ყამირზე კვალს გაიტანს გუთანი კალმის
და შეცნობილად გადიქცევა შეუცნობელი
და მიეზღვება საკადრისი კეთილს და ბოროტს
და მოეღება ბოლო ყოყმანს და გაორებას
და საკმარისი აღმოჩნდება სტრიქონი მხოლოდ,
ერთი მართალი, გაბედული სტრიქონი მხოლოდ,
რომ გამართლება მოენახოს კაცის ცხოვრებას!

***

კარგია, როცა გზის პირას ზიხარ
და გზა მდუმარებს უკაცრიელი
და შენს წინ, რუხი ასფალტის მიღმა,
ხრიოკ ფერდობზე ჰყვავის იელი.
და ჩუმი ნატვრა თუ მოლოდინი,
რომ ვიღაც უნდა გამოჩნდეს გზაზე,
როგორც ნაცნობი ძველი მოტივი,
გამოუცნობი სიმშვიდით გავსებს...



ლადო გუდიაშვილი — პასტორალი

## მუხრან მაჭავარიანი

***

შენ, სისხლო ჩემო, — სად არ დაღვრილო...
შენ — სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, —
ნადიდგორალი, ნაშამქორალი.
შენ, სისხლო ჩემო, — შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია;
სვეტიცხოველი... ხანძთა... ვარძია
და ისიც — რაც მტერს წარუტაცია...
შენ, სისხლო ჩემო, — შენი დინება
„ვეფხისტყაოსნით" ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა, რომელიც გეჩოთირება —
ვცდილობ, გაშორო, რაც შემიძლია...
შენ, სისხლო ჩემო, — სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ, საბედნიეროდ, —
ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ!

***

თენდება ნელა,
ღამდება ნელა,
და პასუხს ელის
გარშემო ყველა.
და ვისლა ვკითხო,
რაც უნდა ვკითხო,
რა უნდა მითხრას,
კიდეც რომ ვკითხო, —
იმ კითხვის პასუხს
თვით როცა ითხოვს!

## ოთარ ჭილაძე

***

მე ჩემს საყვარელ სიზმრებად ვთვლიდი
ცაში თანდათან გამქრალ მავთულებს,
გადაქანებულ სვეტებს და ხიდებს,
ნათურებს მკრთალებს და გაფანტულებს.
დღეს კი იფეთქებს შენი სახელი.
მე დილიდანვე ვგრძნობ და მოველი,
როდის იფეთქებს შენი სახელი,
ძლივს მიგნებული და მოგროვილი.
მე მის ნამტვრევებს ავკრიფავ ქარში
და მტვერს და მიწას გადავაშორებ
და დავურიგებ მეზობელ ბავშვებს,
როგორც ბრჭყვიალა სათამაშოებს.
დაიტაცებენ ბავშვები უცებ,
ყაჩაღებივით დაიტაცებენ
და ქარზე უმალ მოსდებენ ქუჩებს
ჩემს ძველ ტკივილებს და ალტაცებებს.
ბნელში იცინის კიოსკის მინა.
ირხევა ტოტი და ტოტის ჩრდილი.
ქალაქს კი ძინავს, ძინავს და ბრწყინავს
მთლად გაჟღენთილი წვიმით და ძილით.
და მავთულებზე შერჩენილ წვეთებს
აღარაფერი აღარ აშინებთ.
მე ვაღებ კარებს და ისევ ვკეტავ
და მერე ისევ ვაღებ მაშინვე.

***

როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით
რაღაც ახალი, სულ მთლად ახალი.
და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დანგრეული,
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული.
მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს
სახეგაპობილ კედლის ალმური
და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე
ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც.
მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს,
და ყველაფერი მგონია ჩემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი!

## თამაზ ჭილაძე

### ყინწვისის ანგელოზი

შენი დაღლილი ღიმილი მაკრთობს,
გაბმული სევდა ამქვეყნიური,
ო, ასე ჩუმად და ასე მარტო
მთებში სხივებზე დნება ყინული...
მე ვერ მოგიტან რტოს იასამნის
და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები...
ჩუმია ზეცა და წვიმასავით
შუბლს უგრილებენ შენი თითები...

### დედათა მონასტერი

ეს ჩემი ცხოვრება, დაო პელაგია,
ჩემი სიმარტოვის არქიპელაგია,
თან ამ სიმარტოვეს ველარ შეველიე,
თავი შემაყვარა, ისე ვერაგია.
მთებზე დაძენძილი, მძიმე ღრუბელია,
თითქოს მეწამული ქრისტეს პერანგია,
სულ ქარს წაუღია, რაც კი უმღერია
ჩემს გულს სიყვარულით, დაო პელაგია.
ქარით ნაცემი და ქარით დამსხვრეული
სხვას ვის გაახარებს, თავსაც ვერ არგია,
ფიქრის გალიაში ძალით დამწყვდეული,
მაინც ქარზე ფიქრობს, დაო პელაგია...

## მორის ფოცხიშვილი

### ნადირობა

ჭალაში ბალანაშლილი
თეთრი სეტერი ქრის...
მწყერი ბალახში წრიალებს,
აფრინდება და...
ფრრი...
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს.
ვაიმე, ჩემი სიცოცხლე
იქნებ ასეა დღეს.
ვიდრე მიწაზე დავდივარ,
ყველა სიკეთეს მგვრის, —
ავფრინდები და...
ვაიმე...
ავფრინდები და ფრრი...
ტყვიაც იწივლებს შურისა,
მთლად მიმიმსხვრევენ ფრთებს,
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს.
შავი საფანტი ირევა...
თეთრი სეტერი ქრის...
მე მაინც უნდა ავფრინდე, —
ავფრინდები და...
ფრრი...

### მთვარე უმზეოდ

მთვარე უმზეოდ მთვარე არ იქნება,
აფრა უქაროდ აფრა არ იქნება,
ფიქრის წისქვილში დარდი
დაიფქვება,
ხატი უღმერთოდ ხატი არ იქნება,
გული უგულოდ გული არ იქნება,
ერი უენოდ ერი არ იქნება,
მტერი უმტეროდ მტერი არ იქნება.
ვით მე უშენოდ მე არ ვიქნები,
ჩანგი უსიმოდ ჩანგი არ იქნება!

## არჩილ სულაკაური

### მხოლოდ ერთხელ...

***გიორგი ლეონიძის მონატრება***

მინდა ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!
მივდივარ და სად მივდივარ,
სადაური საითა?
ლელო ერთხელ გავიტანე,
განა კიდევ გავიტან?!
გუმბათს ერთხელ ჩამოვკიდე
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ
ჩამოვხსენი კარები.
მხოლოდ ერთხელ აღვაშენე
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დიდგორისკენ
მხოლოდ ერთხელ დავძარი.
მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა
სიყვარულის სიზმარი
და განმეხვნა ერთხელ მხოლოდ
კარნი სამოთხისანი.
მინდა ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო?!
სადაური სად გაფრინდა,
ვის ცერზე ზის ტიალი,
ვის შეუდგა და ვის ასმევს
შარბათს ოქროს ფიალით?
ახლა გუმბათს მან დაჰკიდოს
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები!
ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დავძარი!
ახლა სხვასაც დაესიზმროს
სიყვარულის სიზმარი
და განეხვნეს ერთხელ სხვასაც
კარნი სამოთხისანი!
მინდა ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ჟღალი მიმინო!

## ელენე ახვლედიანს

ო, როგორ უნდა, თქვენს ნახატს ჰგავდეს
ამ სახლს,
აივანს,
დათოვლილ კრამიტს,
ხოლო მე — ცისფერ ნამქერში ვჩანდე
სულ ერთი წუთით ან ერთი წამით.
ძველ სახლებს შერჩათ თავისი სევდა,
ძველ ქუჩებს მიაქვთ დარდი თავისთვის,
რომელსაც ვხედავთ, ანდა ვერ ვხედავთ,
რასაც განვიცდით, ან ვერ განვიცდით.
თოვს, ქალბატონო!
და ჩუმი თოვლი —
ეს დაწეწილი ჩემი ფიქრია,
წარმავალობა ამ წუთისოფლის
უკვდავ ფერებად რომ დაგიღვრიათ.
იასამნების,
ტის,
იელის
თოვლი ჩემს სულშიც მინდა ჩავტოვო...
თოვს, ქალბატონო!
რა მშვენიერი
თოვლი მოსულა, ო, ქალბატონო!
ამ ქუჩას უნდა, თქვენს ნახატს ჰგავდეს
ამ სახლს,
აივანს,
დათოვლილ კრამიტს,
ხოლო მე — ცისფერ ნამქერში ვჩანდე
სულ ერთი წუთით ან ერთი წამით.

CMYK

# „ყველა სვლა მომგებიანი უნდა იყოს“

## „ჩვენ ცაიტნოტში ვართ“



*ხუთი აპრილიდან ყოველ შაბათს, 20 საათზე, პირდაპირ ეთერში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე კიდევ ერთი ახალი ტოქშოუ „ცაიტნოტი“ გავა. თუ რას წარმოადგენს ტოქშოუ „ცაიტნოტი“, ამას პროექტის ავტორი და გადაცემის წამყვანი, ყოფილი „ალიონელი“* **სულხან მელაძე** *მოგვახსენებს. მანამდე კი რამდენიმე პიროვნული შტრიხი: როგორც თავად სიამაყით აცხადებს, მისი ჰობია ფეხბურთი და თაყვანს სცემს ყველა ხელოვან ფეხბურთელს. ფეხბურთის ფანატ თაყვანისმცემელს თურმე საოცარი ინტუიციაც აქვს და თავისუფლად შეუძლია გამოიცნოს თითქმის ყველა დიდი თამაშის შედეგი. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ მას „ცაიტნოტის“ წევრებთან ერთად შეხვდებით ტოტალიზატორში, სადაც ხშირად იგებს, რადგან თურმე ჭკვიანურად თამაშობს.*

**— როგორც გავიგე, ამ პროექტზე მუშაობა დიდი ხნის წინ დაგიწყიათ, მაგრამ პირველ არხზე მის გაშვებაზე უარი მიგიღიათ.**

— პროექტზე მუშაობა მართლაც 8 წლის წინ დავიწყეთ. როცა ვიგრძენი, რომ ამოვწურე „ალიონის“ ფარგლებში ჩემი შესაძლებლობები, დავიწყე ფიქრი სიახლეზე და ახალი პროექტი ოთარ შაორშაძეს და არჩილ გოგელიას გავაცანი. მოიწონეს. მაგრამ მაშინდელი მწირი ტექნიკურ-მატერიალური ბაზის გამო, შეუძლებელი იყო მისი განხორციელება პირველ არხზე. ვიზუალური თვალსაზრისით ეს გადაცემა ბევრ სამკაულს ითხოვს...

**— ამიტომაც გადაინაცვლეთ ჟურნალისტიკიდან ჩინოსნის სავარძელში?**

— არა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში პრესისა და ინფორმაციის უფროსი გავხდი, ჟურნალისტიკას არ დავშორებივარ და აი, ახლა საბედნიეროდ ეკრანზეც ვბრუნდები.

**— „ცაიტნოტი“ რატომ დაარქვით ახალ გადაცემას. რა სვლებზე, რომელი დროის უკმარისობაზე იქნება ლაპარაკი თქვენს ეთერში?**

— ჩემი აზრით, დღეს ქართული სახელმწიფო ცაიტნოტშია და თუ გვინდა კონკრეტულ მიმართულებას მივაგნოთ, დროის უმოკლეს ვადაში უნდა მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები. ყველა სვლა მომგებიანი უნდა იყოს, ხანგრძლივი და უსარგებლო დებატები უნდა დამთავრდეს, კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემა მოკლედ უნდა შევძლოთ და არ დავიწყოთ იქიდან, თუ რას ფიქრობდა ამაზე ჩვენი წინაპარი. ეს არ არის საჭირო.

**— კონკრეტულად რა სქემა, როგორი სტრუქტურა ექნება თქვენს გადაცემას?**

— იქნება ტოქშოუ — ჩემი. სამი სტუმრისა და აუდიტორიის მონაწილეობით. ექსპერტების ნაცვლად გვეყოლება ორი არბიტრი. ერთი აუცილებლად — იურისტი. მე და აუდიტორიაც დავსვამთ კითხვებს, რაზეც სტუმრებმა უნდა უპასუხონ ერთ წუთში.

**— ეი. თქვენმა სტუმრებმა კითხვებზე პასუხის გაცემით უნდა გააკეთონ სწორი სვლები? ჩემპიონი, გამარჯვებული როგორ გამოვლინდება?**

— დებატების შედეგების შეჯამებით გაირკვევა სამი სტუმრიდან ვინ გადალახა ცაიტნოტი, ვინ მოასწრო ეპასუხა 60 წამში. შემდგომ არბიტრი-იურისტი შეაფასებს გამარჯვებულის პასუხებს და თუ აღმოჩნდება, რომ სტუმარმა უხეში იურიდიული შეცდომები დაუშვა, წაგებული აღმოჩნდება. ასეთივე იქნება შედეგი იმ შემთხვევაშიც, თუ მეორე არბიტრი გამარჯვებულს არაკორექტულობაში დასდებს ბრალს. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ ჩვენთან მოვა ის ხალხი, ვისაც შეეძლება ღირებული სიტყვა თქვას განსაზღვრულ დროში, ანუ დემაგოგიას და ერთის და იმავეს გამეორებას წერტილი დაესმება.

**— თქვენს მოწვევაზე თუ უარს მიიღებთ, ანუ თუ რესპონდენტი თავს „ცაიტნოტში“ წასაგებად არ გაწირავს?**

— უარის მთქმელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ პირდაპირი ეთერით გამოვაცხადებ, ამან და ამან უარი განაცხადა აქ მოსვლაზე. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ დროსთან გაჯიბრება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მე და „ცაიტნოტის“ შემოქმედებითი გუნდი არავის მოვუწყობთ გამოცდას. თუ ვინმეს მოვიწვევთ გადაცემაში, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მიგვაჩნია პიროვნებად, რომელსაც შეუძლია მოკლედ თქვას ღირებული სიტყვა და მერე გული ნურავის დასწყდება, თუ სხვა მასზე უფრო მაგარ სვლას გააკეთებს.

**— როგორი იქნება წამყვანის რეგლამენტი? ხომ არ მოხდება ისე, რომ თუ აქამდე ხშირ შემთხვევაში სტუდიაში მოწვეული სტუმრები ლაყბობდნენ, ახლა წამყვანი შეცვლის მათ.**

— მეც ძალიან ცოტას ვისაუბრებ. ძალიან მაღიზიანებს, როცა წამყვანი სვამს შეკითხვას, ზედ პასუხსაც მიაყოლებს, მერე მიკროფონთან უშვებს ორ ან სამ დაპირისპირებულ პიროვნებას, რითაც მაყურებელს აბამს ეკრანთან. ასეთ შემთხვევაში წამყვანი სულაც არ არის საჭირო, სანახაობა მაინც გამოვა.

**— პარლამენტში მუშაობის დროს მოგეცათ ქართული პოლიტიკის სამზარეულოში ჩახედვის საშუალება...**

— დიახ. ასე იყო, მაგრამ რა სუნი ტრიალებს იქ, ამაზე საუბარი არ მინდა. რაც იქ დავინახე, ის მეც გამომადგება და ჩემს სტუმრებსაც, რომლებსაც ეცოდინებათ, რომ საქმე აქვთ ჟურნალისტთან, რომელმაც იცის, რა ხდებოდა ფარდის მიღმა.

**— სულხან, ბოლო დროს პირველ არხზე რამდენიმე ახალი პროექტი ჩავარდა, როგორც ჩანს, სახელმწიფო ტელევიზიის მაყურებელს სიახლის მიღება უჭირს. ხომ არ გიფიქრიათ, რომ...**

— ჩემმა პროექტმაც არ გაამართლოს? მიფიქრია, რა თქმა უნდა. არა მაქვს პრეტენზია, რომ ეს იქნება ძალიან წარმატებული პროექტი, მაგრამ მჯერა ჩემი პროფესიონალიზმის, თავდადების და „ცაიტნოტის“ თითოეული წევრის. ჩემთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მომეცა დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება. ვნახოთ...

**— ნაღვაწით კმაყოფილება ან უკმაყოფილება ალბათ პირდაპირ ეთერშიც შეგეტყობათ.**

— ჟურნალისტის კარიერა უმალ დასრულდება, როგორც კი მას კმაყოფილება დაეუფლება. ეს მაშინაც კი არ უნდა მოხდეს, როცა ასაკის, სიბერის გამო ჩამოშორდები საქმეს. როგორც კი ჩათვლი, რომ პირველი, ან სულაც მაგარი ხარ, ჩათვალე, რომ ჟურნალისტი აღარა ხარ. თავიც არ უნდა მოაბეზრო მაყურებელს. უნდა მიხვდე, როდის წახვიდე. მახსოვს, მიშა მესხი რომ წავიდა დიდი ფეხბურთიდან, გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ, მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელმა იკითხა, — ნუთუ მართლა ტალანტების ბუდეა საქართველო? თუ მიშა მესხი მიდის, წარმომიდგენია, ვინ მოდის მის შემცვლელადო. მთავარია, გამოიყენო დრო და გახსოვდეს, რომ ეს ის ქარგაა, რომელზეც ჩვენი ცხოვრება იქსოვება. თუ ამას შევძლებთ, მერწმუნეთ, არასოდეს აღმოვჩნდებით ცაიტნოტში.

*ეკა ლომიძე*



# „საერთოდ ვერ ვხედავ სანდო პოლიტიკურ ძალას საქართველოში“



*„იბერვიზია“, პირველი არხი, „რუსთავი-2“, ისევ პირველი არხი და ისევ „იბერვიზია“ ან როგორც ახლა უწოდებენ, ტელეკომპანია „მზე“ — აი, ის „სატელევიზიო საფეხურები“, რომელზეც უკვე რამდენიმე წელია მოძრაობს პოპულარული ტელეწამყვანი* **ეკა ბერიძე**. *იგი ახლახან მეორედ გათხოვდა და უკვე მეორედ ელოდება დედობასაც. ეკა ამჯერად თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ გვიამბობს:*

— ტელეკომპანია „მზის“ საინფორმაციო პროგრამის „მზერის“ წამყვანი ვიქნები. საღამოს მთავარ საინფორმაციო გადაცემას მონაცვლეობით წავიყვანთ მე და ირაკლი იმნაიშვილი. აგვისტოს ბოლოს ველოდები პატარას და თუ ყველაფერი კარგად იქნება, ალბათ ოქტომბრიდან აქტიურად ჩავერთვები მუშაობაში. მხოლოდ საინფორმაციო პროგრამის წამყვანობა არანაირად არ დამაკმაყოფილებს. აუცილებლად ვიფიქრებ ახალ პროექტზეც, თუ „მზის“ სატელევიზიო ეთერი ამის საშუალებას მომცემს.

**— რატომ შეწყდა პირველ არხზე „რას ფიქრობს ხალხი?“**

— იმიტომ, რომ მე წამოვედი პირველი არხიდან. ამ გადაცემას ჩაანაცვლებენ სხვა გადაცემას, რომელსაც სულხან მელაძე წაიყვანს. სახელმწიფო არხისათვის — „რას ფიქრობს ხალხი“? — მიუღებელი აღმოჩნდა დღევანდელ პირობებში. ვისაც არ ეზარება, ყველას აქვს პრეტენზია, რომ ამ არხზე გატარდეს ხელისუფლების პოზიცია — რატომღაც ხელისუფალნი სუბიექტურ პოზიციებს სახელმწიფოს პოზიციებთან აიგივებენ. ხელისუფლებაში ყოფნის დროს დღევანდელ ოპოზიციასაც, ზუსტად ანალოგიური პრეტენზიები ჰქონდა. აუცილებლად ვეცდები, თუ შესაძლებელი იქნება, დამოუკიდებელ ტელეარხზე გავაკეთო ისეთივე გადაცემა, როგორიც იყო „რას ფიქრობს ხალხი?“, თორემ მაქვს დაუკმაყოფილებლობის განცდა.

**— მაშინაც გქონდათ დაუკმაყოფილებლობის განცდა, როცა „პროფილს“ აკეთებდით პირველ არხზე?**

— მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა სტუდია „აუდიენციაში“ მზადდებოდა, საკმაოდ სერიოზული პრობლემები იყო მაშინაც. მახსოვს, მათხოვრების ჩვენების უფლებაც არ მომცეს გადაცემაში. ამიტომაც, როცა „რუსთავი-2“-ზე გადავედი, ვცადე, გადამელახა დაუკმაყოფილებლობის განცდა და ვფიქრობ, ამიტომაც „ღამის კურიერი“ მართლაც კარგი გამოვიდა. ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა არა ხარ დაკომპლექსებული.

**— საკვირველია, როცა პირველი არხის დამოუკიდებლობის „გემო“ გასინჯული გქონდათ და „რუსთავი-2“-ზე თავს უკომპლექსოდ გრძნობდით, უკან რატომღა დაბრუნდით?**

— მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ორ წელზე მეტხანს ვაკეთებდი ყოველდღიურ გადაცემას, რამაც ძალიან დამღალა. სხვა ქვეყნებში ანალოგიური ფორმატის და შინაარსის გადაცემაზე მუშაობს მთელი შემოქმედებითი ჯგუფი. მე და გიორგი სანაია კი გადაცემას პრაქტიკულად მარტონი ვაკეთებდით. როცა პირველი არხიდან მივიღე შემოთავაზება, რომ კვირაში ერთხელ ეთერში მუშაობისათვის გაცილებით უკეთესი ანაზღაურებაც მექნებოდა, უკან დაბრუნება გადავწყვიტე.

**— დღეს უკვე კოკა ყანდიაშვილიც გავიდა პირველ არხზე და თავიდანვე განაცხადა, რომ არავის მისცემს საშუალებას, თავს მოახვიოს მაყურებელს სუბიექტური შეხედულებები.**

— კოკას გადაცემა ნამდვილად საინტერესო და სასიამოვნო საყურებელია. მაგრამ ამ გადაცემას არა აქვს პრეტენზია მწვავე პოლიტიკურ დებატებზე. ამიტომ ის პრობლემები, რაც მე ჩამოვთვალე, მას არ ექნება.

**— სჭირდება კი საზოგადოებას ტელეეთერში მოდად ქცეული სკანდალური, არაფრისმთქმელი დებატები? ხომ არ მივაჩვიეთ პოლიტიკოსები ყბედობას?**

— მაგის გამო წამოვედი „რუსთავი-2“-დანაც. „ღამის კურიერმა“ ამ ფორმატით თავისი თავი ჯერ კიდევ ჩემს წამოსვლამდე ამოწურა. ის, რაც დღეს ხდება „ღამის კურიერში“, უკვე გავიარეთ. „ღამის კურიერის“ და საერთოდ საღამოს საინფორმაციო პროგრამების ნაცვლად რომ ჩავსვათ მხატვრული ფილმი ან კარგი გასართობი შოუ, რეიტინგი გაცილებით მაღალი ექნებათ, ვიდრე ნებისმიერ ღამის საინფორმაციოს...

**— როგორც მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელს, შეგიძლიათ გააკეთოთ პროგნოზი საქართველოში მომავალი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ?**

— მე საერთოდ ვერ ვხედავ ქართველ პოლიტიკოსებში სხვაობას. ჩემთვის ყველა ერთია — პოზიციაც და ოპოზიციაც. საერთოდ ვერ ვხედავ სანდო პოლიტიკურ ძალას საქართველოში. უყვართ სხვისთვის პასუხისმგებლობის აკიდება და გადაბრალება. ძალიან გამიჭირდება პროგნოზის გაკეთება. თითქოს მთავრობაში არის კონფლიქტები და დაპირისპირებები. სინამდვილეში ჩვენს ქვეყანაში არის ძალიან დიდი უძრაობა, ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად, ბრეჟნევის პერიოდში. რასაც ჩვენ ვხედავთ, მხოლოდ გარეგნული ბახაბუხია და არანაირი დინამიკა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არსებობს.

*ეკა ლომიძე*


ქართული და უცხოური

ჟურნალ-გაზეთების

გამოწერა

თბილისის მაცხოვრებელთათვის

და ორგანიზაციებისთვის

ტელ: 33-26-73

სახლიდან გაუსვლელად



შპს „ელგასერვისი“

# 13-დან 19-მდე



ოცნება ბავშვობის თანამდევია და მას უთვალავი ფერი თუ სახე აქვს. სათაურში მოყვანილი ფრაზა ერთი 15 წლის გოგოს „ოცნებაა"... ირინე სკოლაში კარგად სწავლობს. თუმცა უმაღლესში ჩაბარებას არ აპირებს, ხელობის შესწავლა სურს, რაც დამოუკიდებლად ცხოვრებას შეაძლებინებს.

## „ვნატრობ შინიდან წავიდე და... აღარასოდეს დავბრუნდე!.."

— როგორც კი დავამთავრებ სკოლას, სახლიდან წავალ, ქალაქიდანაც და აღარასოდეს დავბრუნდები იმ კედლებში, სადაც ცუდის მეტი არაფერი მინახავს... თქვენთან მოსვლა „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულმა ერთი ქალის (ქალბატონსაც ვერ ვუწოდებ!) აღსარებამ გადამაწყვეტინა, რომელიც წერდა: „მთელი ცხოვრება ქმარმა ეჭვიანობით გამტანჯა, ყოველთვის სასტიკად მექცეოდა, ოჯახის შენარჩუნებას კი მაინც ვცდილობ". ასეთი ქალების არ მესმის, ვფიქრობ, რომ ისინი ავადმყოფები არიან.

უფრო გასაგები რომ გახდეს, რატომ გამაღიზიანა უცნობი ქალის აღსარებამ, ჩემს ამბავს გიამბობთ.

მეც ასეთი „ოჯახის" ბავშვი ვარ: გიჟი მამის და უთავმოყვარეო დედის გვერდით ვიზრდები. რაც თავი მახსოვს, მეშინია მამის, რადგან მისი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა და ამოცნობა ყოვლად შეუძლებელია.

მამა სოფლიდანაა ჩამოსული და დღემდე დედის მშობლების სახლში ვცხოვრობთ. ბებიას, ეჭვიც არ მეპარება, სიძის არაკაცობამ გაუხეთქა გული. დედა კი... დედა ითმენს!.. უფრო მეტიც, ამართლებს კიდეც მამას: „რა ქნას, ამ არეულ წუთისოფელში უჭირს დამკვიდრება, რას აღარ აკეთებს, რომ ორიოდე კაპიკი შემოიტანოს სახლში და თავი გავიტანოთო!..."

მამა ხელოსანია, კერძო სამუშაოს იღებს. როცა კლიენტი არა ჰყავს, დილით გადის სახლიდან და დღიურ მუშადაც მიჰყვება ვიღაცებს.

მამა დედას ხშირად სცემს. ცემის საბაბად კი ნებისმიერი წვრილმანი შეიძლება იქცეს: სადილის გემო, არასწორად დადებული ნივთი, დაგვიანებით გაღებული კარი...

ერთხელ, ჩემი უმცროსი დის, 7 წლის ნუციკოს სიტყვებმა მოთმინებიდან გამომიყვანეს: „მამის ისე მეშინია, სიკვდილი მირჩევნია!.." ერთხელ დედას ვუყვირე: „შენი თავი თუ არ გეცოდება, ჩვენ მაინც შეგვიცოდე" დედას ისტერიკა დაემართა და ჩემზე იყარა ჯავრი.

ერთხელ ნუციკომ სკოლიდან ორიანი მოიტანა. მამაჩემმა ამისთვის ჯერ სცემა და მერე სააბაზანოში თავდაყირა დაკიდა. დედა იქვე იდგა და ხმას არ იღებდა. გამწარებულმა იატაკის საწმენდ ჯოხს დავავლე ხელი და მამას ზურგში დავცხე.... გამხეცებულმა ფეხქვეშ გამიგდო და... არც მაშინ ამოუღია დედას ხმა.

...მეათე კლასის მოსწავლე ვარ, თან კერვას და ქსოვას ვსწავლობ, ქარგვაც მეხერხება, როგორც კი სკოლას დავამთავრებ, სხვა ქალაქში გადავსახლდები და ნუციკოსაც წავიყვან. არც ერთ ნათესავს ჩვენს მისამართს არ გავუმხელ და... დედმამის დაკრძალვაზეც არ ჩამოვალ, იმისი ღირსები არ არიან, რომ შვილების ცრემლი გამყვეთ. კარგად ვიცი, არასოდეს გავთხოვდები, რადგან კაცმა რომ მიყვიროს, შემაგინოს და მით უმეტეს, საცემად აღმართოს ხელი, შეიძლება მოვკლა!..

ა, ეს მოიტანა დედის „კარგმა ქალობამ", ოჯახის შენარჩუნების აუცილებლობის იდეამ... როგორ არ ესმით დიდებს, რომ ასეთ ოჯახებში ბავშვები კი არა, უსულგულო რობოტები იზრდებიან, რომლებსაც ზიზღი და უნდობლობა სამუდამოდ უმახინჯებს სულსაც და ცხოვრებასაც!..

ასეთი დედები და მამები ალბათ უნდა დაისაჯონ ბავშვების სულის დამახინჯებისათვის.

...გაოგნებული ვუსმენდი ირინეს... მძიმე ბავშვობამ უდროოდ დაბრძენებინა ამჯერად სუსტი და კაფანდარა გოგო...

რადგან ბავშვებზე ძალადობის ფაქტი სახეზე იყო, დახმარება შევთავაზე, მაგრამ... არ ისურვა!

— უკვე დიდი ვარ, ახლა თავად შემიძლია თავის დაცვა, ნუციკოსაც მივხედავ — მითხრა, და ნაღვლიანად, სამაგიეროდ, ჩემთან დარჩა უამრავი ეჭვი და შიში, რომ ოჯახური ძალადობა ქართულ სინამდვილეში უკვე მძლავრად იკიდებს ფეხს... მშობლების მკვლელობისთვის გასამართლებული 20 წლის ახიკო ძველგელიშვილი გამახსენდა იმ წუთში... მკვლელები შემთხვევით არ ხდებიან და იმიტომ!..

*ინგა ჯაყელი*



## მე მაინც რატომ მიმატოვა?

მოზარდებზე ჟურნალ-გაზეთებში ბევრს წერენ, მაგრამ არასოდეს გამჩენია სურვილი რედაქციაში წერილი გამეგზავნა და ჩემი ამბავი მომეთხრო. „კვირის პალიტრა" დროდადრო ხელში თუ ჩამივარდებოდა, სიამოვნებით ვკითხულობდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მისი მუდმივი მკითხველი არ ვყოფილვარ. რამდენიმე თვის წინ მეგობარმა გოგონამ გაზეთი მომიტანა და რუბრიკის „13-დან-19-მდე" წაკითხვა მთხოვა. მას შემდეგ, დამერწმუნეთ, ველოდები, როდის დაიბეჭდება ეს რუბრიკა და მეც „კვირის პალიტრის" მუდმივი მკითხველი გავხდი. ამჯერად კი წერილს გწერთ, გნებავთ დაბეჭდეთ, გნებავთ — არა.

12 წლის ვიყავი, გათენებისას, ოთახში ხმაურმა რომ გამაღვიძა. მამა ჩანთაში თავის ტანსაცმელს ალაგებდა, საწოლზე წამომჯდარი რომ დამინახა, მომიახლოვდა, თავისი დიდი ხელის მტევნები ლოყაზე მომადო, შუბლზე მაკოცა, უთქმელად მიტრიალდა და წავიდა. მას შემდეგ აღარ მინახავს. ზოგჯერ, როდესაც ჩემი მეგობრების მამებს ვაკვირდებოდი (მეჩვენებოდა, რომ ისინი საოცრად მზრუნველები იყვნენ), მამაჩემი გამახსენდებოდა, არა მისი სახე, ზურგი, კარებს იქით ჩაკარგული. დედაჩემს ოჯახის დანგრევა დიდად არ განუცდია, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა; ძალიან მალე მეორედ გათხოვდა და სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი უბედურება. დედამ თითქოს მიმივიწყა, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ საერთოდ დავავიწყდი. არავინ მეკითხებოდა, სად მივდიოდი, რას ვაკეთებდი, ღამე შინ რომ არ დავბრუნებულიყავი, დედაჩემი და ჩემი მამინაცვალი არც ამაზე იდარდებდნენ.

ჩემი თანატოლებისგან განსხვავებით, სახლში ჯდომა უფრო მომწონს, ჩავიკეტები ჩემს ოთახში და დღიურებს ვწერ. მხოლოდ მას ვანდობ ჩემს ტკივილს. არ იფიქროთ, თითქოს დედა და მამინაცვალი მეჩხუბებიან, ან მამცირებენ, არა — უბრალოდ მათ არ ვახსოვარ. რამდენჯერ ვთხოვე დედაჩემს, მამის შესახებ რამე მოეთხრო, — ეს შენი საქმე არ არისო, — მეუბნება. უცნაური კი იცით, რა არის? მამის ნათესავები ჭირიანებივით არ გვეკარებიან. ვერაფერი გამიგია, ასე მგონია, დედასა და მამას შორის რაღაც საშინელება მოხდა, თორემ ასეთი გასაიდუმლოება რა საჭიროა. იქნებ მამაჩემმა ეს გაზეთი წაიკითხოს, იქნებ მან მაინც გამაგებინოს რა ხდება, მე მაინც რატომ მიმატოვა, მე ხომ მისი შვილი ვარ.

*ლელა ჭოველიძე,*
*15 წლის, თბილისი*

## საყვარელო „პალიტრავ"

გამარჯობათ, ძვირფასო „კვირისპალიტრელებო". მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. თითქმის ყველა თქვენს ნომერს ვკითხულობ (თითქმის იმიტომ დავწერე, რომ ზაფხულში მოსკოვში ვარ და თქვენს გაზეთს ვერ ვყიდულობ), მე ბრიტნი სპირსის ფანი ვარ და, მაინტერესებს რამდენი წლისაა, დაბადების თვე, რიცხვი და საერთოდ მისი ბიოგრაფია. ვიცი, რომ უყურადღებოდ არავის ტოვებთ და თუ შეიძლება მეც მიპასუხეთ.

*თქვენი ერთგული მკითხველი*
*მარიამ ჩხოლარია*



**ბრიტნი სპირსი** 1981 წელს აშშ-ში ლუიზიანას შტატში, ქალაქ კენტაუდში დაიბადა. სიმაღლე — 176 სმ, წონა — 50 კილოგრამი. ლინზების საშუალებით იცვლის თვალის ფერს. ჰყავს და-ძმა. საყვარელი საჭმელი: ნაყინი, პიცა, ყველის სენდვიჩი. საყვარელი ფერი — ცისფერი; ჰობი — მაღაზიებში სიარული, ფილმების ცქერა და რომანების კითხვა. სკოლაში საყვარელი გაკვეთილები: ინგლისური და ისტორია, საძაგელი — ტრიგონომეტრია. სპორტის სახეობიდან მოსწონს ცურვა, კალათბურთი და ჩოგბურთი. კარგი თვისებები — ორგანიზებულობა, ცუდი — ფრჩხილების კვნეტა; რომ არა სიმღერა, პროფესიად მასწავლებლობას აირჩევდა. მისი აზრით, იდეალური მამაკაცი იუმორით უნდა იყოს დაჯილდოებული, საკუთარ თავში დარწმუნებული და შეეძლოს საიდუმლოს შენახვა.

5 წლის ბრიტნი პირველად წარდგა მაყურებლის წინაშე. კონკურსში, „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს", მონაწილეობის მიღების შემდეგ ტელევიზიაში დაიბარეს. იმ დღიდან გოგონა დედას შეუჩნდა, ნიუ-იორკში გამიშვიო. ასე აღმოჩნდა 11 წლის ბრიტნი უცხო ქალაქში. „როდესაც პირველად ამ ქალაქში ხვდები, შიში გიპყრობს, შემდეგ ნელ-ნელა ეჩვევი იმ რიტმს, რომელიც დიდი ქალაქებისთვის არის დამახასიათებელი". გოგონა ჯერ ბროდვეის ცეკვის ცენტრში, შემდეგ ხელოვნების პროფესიულ სკოლაში განაგრძობს სწავლას. „დედა ყოველთვის მეუბნებოდა, თუ ყველაფერი მოგბეზრდება, სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღია იქნებაო". ბრიტნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „მიკი მაუსის" კლუბში სამუშაოს შემოთავაზება. „კლუბში ძალიან საინტერესო იყო. 20 ბავშვი 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე ვმუშაობდით, როგორც კი შესვენებას გამოგვიცხადებდნენ, თავპირისმტვრევით ატრაქციონებისკენ გავრბოდით". მალე ეს მშვენიერი ხანაც დასრულდა და ბრიტნი ისევ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. 15 წლის შესრულდა თუ არა, კარიერის შესაქმნელად ისევ ნიუ-იორკს ეწვია.

თავიდანვე გაუმართლა. რამდენიმე ჩამწერ სტუდიას გაურიგდა და 1999 წლის 12 იანვარს მისი „Baby, One More Time" — ჰიტად იქცა. მაშინ ბრიტნი 17 წლის იყო. დღეს ბრიტნის მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს. ტინეიჯერების საყვარელი მომღერალი რამდენიმე წლით კარიერის დატოვებას აპირებდა. თუმცა მისი პრესატაშე აცხადებდა, რომ შვებულება სულ რაღაც ექვსი თვე თუ გასტანდა. „ბრიტნი 4 წლის მანძილზე თავდაუზოგავად მუშაობდა და ახლა უბრალოდ ნერვიული შეტევა აქვს". ჟურნალისტები მომღერლის დეპრესიის მიზეზად ჯასტინ ტიმბერლეიკთან განხეთქილებას ასახელებდნენ. მეგობარ მამაკაცთან მას ორი წლის რომანი აკავშირებდა.

2004 წელს უნდა დასრულდეს ახალი ფილმის „შერლოკ ჰოლმსი „221 ხCAUSE"-ს გადაღება, რომელშიც ბრიტნი პოლიციელს განასახიერებს. როგორც ამბობენ, ფილმი „შერლოკ ჰოლმსის" თანამედროვე ვარიანტს წარმოადგენს.

პოპ-ვარსკვლავი ერთი თვის წინ ახალ სკანდალში გაეხვია. მის წინააღმდეგ რამდენიმე კომპანიის წარმომადგენელმა, რომლებმაც მის რესტორან „Nyla"-ში დივიდენდები ჩადეს, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ისინი გაკოტრებული რესტორნიდან ფულის „ამოღებას" მოითხოვენ.

## ჰოროსკოპი

### აპრილი

**ვერძი** — არცთუ სახარბიელო დრო დაგიდგება. დედა გაგინაწყენდება, რომ სწავლას თავი დაანებე და პრინციპში, მართალიც იქნება. იქნებ დაივიწყო ყველაფერი. იცოდე, არავის სჭირდება მუდამ დაღვრემილი, პრობლემებით დახუნძლული ადამიანი.

**კურო** — დარწმუნებული ხარ, რომ ის ადამიანი შენი გულის სწორია? რატომ გგონია, რომ სჯობს მასთან იყო, ვიდრე სულ მარტო დარჩე. თვის მეორე ნახევარში შენს ცხოვრებაში ცვლილება მოხდება, მაგრამ თუ თავიდან სისულელეებს არ ამოიგდებ, შეიძლება დაკარგო ადამიანი, რომელიც, ვინ იცის, იქნებ შენი ცხოვრების თანამგზავრი გახდეს.

**ტყუპები** — ნუ კითხულობ ძველ დღიურებს და ნუ ჩასჩერებიხარ მის ფოტოს. წარსულში დაბრუნება არაფერ კარგს არ მოგიტანს. განა ღირს იმის გახსენება, რა იყო 100 წლის წინ? სამაგიეროდ, გაქვს უამრავი თავისუფალი დრო და უნიკალური საშუალება გააკეთო ის, რაც გსურს.

**მორიელი** — ორივეს უამრავი საქმე გაქვთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთმანეთი მიივიწყოთ. თუ თქვენი ურთიერთობა ასე გაგრძელდება, იცოდეთ, ერთმანეთს დაკარგავთ. ურიგო არ იქნება, მეგობრებს თუ დაელაპარაკებით, რადგან ზოგჯერ სხვის მიერ შეფასებული, გაცილებით უფრო ღირებულია.

**ლომი** — თუ გინდა, რომ ცხოვრება დაიმახინჯო, განაგრძე მასთან შეხვედრა. თუმცა თავადაც კარგად უწყი, რა მოხდება ერთი კვირის, ან თუნდაც ერთი თვის შემდეგ. გაზაფხულზე შეიძლება გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც გულს გაგითბობს, ან არადა იმას მაინც მიხვდები, რომ ამ ქვეყანაზე სხვაც ბევრი რამ არის საინტერესო.

**ქალწული** — მარტო რომ იყავი, ყველგან გელანდებოდა ადამიანი, რომელსაც შენს წარმოსახვაში იდეალს ადარებდი. დღეს კი გამოჩნდა და მის მიმართ გულგრილი ხარ. არ მოგბეზრდა თოვლის დედოფლის თამაში? იცოდე, მალე ისევ მარტო დარჩები.

**სასწორი** — ამ თვეში საოცრად გაზარმაცდები. ეცადე, გარეგნულად მაინც არ შეგამჩნიონ, რომ საშინელმა განწყობილებამ შეგიპყრო. თვის შუა რიცხვებში იმ ადამიანებს, რომლებიც ძალიან გიყვარს, შენი დახმარება დასჭირდებათ.

**კირჩხიბი** — საოცარი სურვილი აგიტანს, დაუსრულებლად ილაპარაკო ტელეფონზე. თუ გარშემომყოფებში არ გამოჩნდება სათანადო პრეტენდენტი, რომელსაც ამ როლის შესრულება შეეძლება, სხვა გზა არაა, ვითარებას უნდა შეეგუო. ამიტომ ეცადე, შენი სითბო და სიყვარული ოჯახის წევრებზე გაანაწილო.

**მშვილდოსანი** — ამ თვეში ყველაფერი თავისით დალაგდება, ისე, რომ შენ არც კი მოგიწევს ხელის განძრევა. საოცრად გიმართლებს, როგორც სწავლაში, ასევე გარშემომყოფებთანაც. მალე შეხვდები იმ ადამიანებს, რომლებიც რომ იტყვიან, ასი წელი არ გინახავს. ერთი სიტყვით, შენთვის მშვენიერი თვეა.

**თხის რქა** — მშობლები ურთიერთობის დარეგულირებას შეეცდებიან და საინტერესო წინადადებებსაც შემოგთავაზებენ. ნუ გაჯიუტდები, დათმობაზე მოგიწევს წასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახში ყველაფერი თავდაყირა დატრიალდება.

**მერწყული** — აპრილში ბედი ყველანაირად გწყალობს. იგი, ვისაც დიდი ხანია თვალი დაადგი, შენ მიმართ ინტერესის გამოჩენას დაიწყებს. ამაზე ხომ დიდი ხანია ოცნებობდი. ნატვრაც სწორედ მაშინ აგიხდება, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდები.

**თევზები** — ამ თვეში შესაძლებელია შენს ცხოვრებაში გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც თავბრუდამხვევად შემოატრიალებს შენს ცხოვრებას. გაურკვევლობას მალე ნათელი მოეფინება და ხშირად გაიმეორებ — ცხოვრება მშვენიერია.

*გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა*

# მჯერა — ეკალი ამოიძირკვება, სახლიც კვლავ აშენდება

ლოზუნგი — „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია" — კარგა ხანია გაიცრიცა წვიმისა და თოვლისგან, გაიცრიცა ხელისუფალთა გულშიც. ერთადერთი, ვისთვისაც აფხაზეთი დღემდე მოუშუშებელი იარად რჩება, ისევ ის მილიონი იძულებით დევნილი ხალხია.

„ზღვისპირეთი თქვენ ზაფხულობით მოგწონდათ მხოლოდ, არადა აფხაზეთი ზამთარ-ზაფხულ მშვენიერია. უცრემლოდ ვერ ვიგონებ იქაურობას", — მეუბნება გუდაუთელი რუსუდანი, რომელიც ადრე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში, ახლა კი თბილისში, ნახევრად დამწვარ სასტუმროს (დღესაც რომ ლტოლვილთა გულის გასახეთქად „აფხაზეთი" ჰქვია) შენობის ერთ-ერთ სასადილოში მუშაობს.

რუსუდანის ცხოვრებაში ბევრი ცრემლი და ტკივილი იყო, რომლის გახსენებისას ახლაც ცრემლიანდება თვალები:

— როცა გავიგე, ქმარი მღალატობდა, მეგონა, თავს არ ვიცოცხლებდი. მეზობლის ქალები დარდის გასაქარვებლად თავიანთი ქმრების „ეშმაკობებს" მიყვებოდნენ...

ხშირად თვალებს დავხუჭავ ხოლმე და ოცნებით გუდაუთაში, ჩემს სახლში აღმოვჩნდები. ძალიან მიჭირს აქ ყოფნა, იმ დღესაც კი შევნატრი, როცა ბორისის გამო თავი მოვიწამლე.

**— იქნებ სჯობს იმ დღეების მოგონებით დავიწყოთ... ტკივილის მიუხედავად, მაინც რომ კარგად გაგონდებათ?**

— მე ბზიფელი ვარ. დეიდაჩემი გუდაუთელ აფხაზს ჰყავდა ცოლად. გენადი ძია ძალიან თბილი ადამიანი იყო, ცოლის ნათესავებს პატივს სცემდა, განსაკუთრებით კი მე ვუყვარდი. დეიდის გაზრდილი ვიყავი და მიჭირდა უმისობა. როგორც კი სასკოლო არდადეგები დაიწყებოდა, გუდაუთაში გავრბოდი. დეიდას ტყუპი ქალ-ვაჟი რომ შეეძინა, დედაჩემმა შესთავაზა დას: რუსიკოს გამოგიგზავნი, მაინც სულ მანდ ყოფნა უნდა, ბავშვების მოვლაშიც დაგეხმარება და შენს სკოლაში უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენო (დეიდა მასწავლებელი იყო, მისი სიყვარულით ავირჩიე პროფესიაც).

...ბორისმა ერთ-ერთი „თავყრილობისას" გამიცნო. მალე ყველა მიხვდა, რომ ვუყვარდი. ქართველი იყო, დედა რუსი ჰყავდა. სკოლა რომ დავამთავრე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩავაბარე. დეიდამ თავის სკოლაში დამაწყებინა მუშაობა.

21 წლის ვიყავი, როცა მე და ბორისი შევუღლდით. სავსე ოჯახი დამხვდა. ციტრუსის დიდი პლანტაცია ჰქონდათ მახლობელ სოფელში. ზაფხულის სეზონის დაწყება განსაკუთრებულად უხაროდათ, რადგან ტურისტები ჩამოდიოდნენ და შემოსავლის ახალი წყარო ჩნდებოდა. მალევე მივხვდი, რომ ჩემი ქმარი დიდი მექალთანე იყო. იმდენად ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა რუს ქალებთან არშიყი, რომ აღარც კი მერიდებოდა — ოჯახი ოჯახია, რუს ქალებთან არშიყს ღალატად არ ვთვლიო. დეიდას კარგა ხანს არ ვუმხელდი ჩემს სატკივარს, ბოლოს, შევჩივლე. გაოცებული დავრჩი იმით, რაც მან მითხრა: ქალისთვის ქმრის ღალატი შეურაცხმყოფელია, მაგრამ რას იზამ. მოსწყინდებათ, დაბერდებიან და კვლავ ოჯახს დაუბრუნდებიან. ჩემი ქმრისგანაც ბევრი წყენა მახსოვს, მაგრამ ოჯახს ხომ არ დავანგრევდი ამის გამოო!

თანდათან შევეჩვიე ბორისის „გარეთ" სიარულს.

**— შეეჩვიეთ და მაინც კინაღამ სიცოცხლეს გამოეთხოვეთ?**

— უეცარ გატაცებებს ასე თუ ისე შევეჩვიე. ასეთი გატაცებების დრო ბორისისთვის საკურორტო სეზონზე დგებოდა ხოლმე... საბედისწერო გადაწყვეტილება უცებ მოდის. ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანისთვის ყველაფერი ღირებული მნიშვნელობას კარგავს და აღარაფერი გინდა ამქვეყნად, რადგან ახლობელმა სულში ჩაგაფურთხა...

ორსულად ვიყავი. ბორისი შეიცვალა, უფრო ყურადღებიანი გახდა და შინ ჩვეულებრივზე ადრე ბრუნდებოდა. ერთხელ ქალთა კონსულტაციიდან ვბრუნდებოდი. დავინახე, ჩემმა ქმარმა მანქანით როგორ გაუხვია ბაზრისკენ. გამიხარდა. დავეწევი, მერე კი შინ ერთად დავბრუნდებით-მეთქი. მართლაც, მას მანქანა იქვე, შესასვლელში გაეჩერებინა, თვითონ კი არ ჩანდა. ვიფიქრე, ამ სიცხეში გარეთ დგომას, ბარემ ბაზარში შევალ, ბორისს პროდუქტების ყიდვაშიც დავეხმარები-მეთქი. ბაზარში ხან ვინ შემხვდა, ხან ვინ, საუბარს



შევყევი. როცა გამოვედი, შორიდან მოვკარი თვალი, საბარგულში პროდუქტები როგორ ჩატვირთა ბორისმა, მერე ჩაჯდა მანქანაში და სულ სხვა მიმართულებით გაემართა. გულმა არ მომითმინა, ტაქსით დავედევნე. გუდაუთას გავცდით, იმ სოფელში შევედით, სადაც ციტრუსის პლანტაცია გვქონდა, მაგრამ ჩვენს ჭიშკართან არ გაჩერებულა, ქვემოთ ჩაუყვა... ერთ სახლთან გაჩერდა და სიგნალი მისცა. სახლიდან ორსული ქალი გამოვიდა. სიხარულით გადაეხვია ჩემს ქმარს და საბარგულიდან სანოვაგის ამოლაგებაში მიეხმარა. შემდეგ ერთად შევიდნენ შინ...

გუდაუთაში დაბრუნებული დეიდაჩემს ქვითინით მივადექი კარზე. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ბორისს საყვარელი ჰყავდა და მისგან ბავშვს ელოდა. დეიდამ კარგა ხანს მისმინა, მერე კი დანანებით თქვა: საყვარელი რომ ჰყავდა, ვიცოდი და არ გეუბნებოდი, მაგრამ ბავშვს თუ ელოდა, ამას კი ნამდვილად ვერ ვიფიქრებდიო.

შინ აღარ მივსულვარ. როცა შემაგვიანდა, ძებნა დამიწყეს; რა თქმა უნდა, პირველად დეიდასთან მომიკითხეს. ბორისის დანახვაც კი არ მინდოდა, მაგრამ იმდენი ქნა, მაინც შემოვიდა ოთახში და ახსნა დამიწყო: არ მეგონა, თუ ასე მოხდებოდა. მერი (ასე ერქვა იმ ქალს) უშვილობის გამო ქმრის ოჯახიდან გამოისტუმრეს. ერთი-ორჯერ გავიარე მასთან და ცოტა ხანში გამომიცხადა — სასწაული მოხდა, ორსულად ვარ, თურმე ჩემი ბრალი არ ყოფილა უშვილობა. თუ გინდა, ნუღარ მოხვალ ჩემთან, არაფერს მოგთხოვ, ბავშვი კი აუცილებლად უნდა გავაჩინოო. აბა, რა უნდა მეთქვა, ძალით ხომ არ წავიყვანდი ექიმთან. ბავშვის გაჩენამდე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მივხედოო.

სიცილ-ტირილი ამივარდა. ვკითხე — მაინც რომელი დავასწრებთ ბავშვის გაჩენას, მე თუ ის-მეთქი. გულუბრყვილოდ მომიგო: ის 2 თვით ადრე ელოდება ბავშვსო. მერე, ვითომც არაფერი მომხდარა, მთხოვა, შინ წამოდიო. დეიდაჩემი რომ აღარ ამეფორიაქებინა, გავყევი. ვიფიქრე, ისეთ რამეს გავაკეთებ, რაც ჩემს ქმარს გაამწარებს-მეთქი და თითქმის მთელი ფლაკონი კლოფელინი დავცალე... სამი დღე ვყოფილვარ რეანიმაციაში. ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლეს, მეც ძლივს მომაბრუნეს იმ ქვეყნიდან.

ვნანობდი ჩემს საქციელს, მაგრამ გვიანღა იყო. ბორისს დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ ჩემთვის სასაყვედურო სიტყვაც არ უთქვამს. სხვების დასანახად შევრიგდით, მაგრამ ჩვენ შორის ცივი დამოკიდებულება დიდხანს გაგრძელდა. ჩემი ქმრის საყვარელმა გოგონა გააჩინა. გაგეცინებათ და, ბორისის სურვილით, ბავშვს ჩემი სახელი დაარქვეს...

დრომ თავისი წაიღო და ყინული გალღვა. მე ისევ ბავშვს ველოდი. ამჯერად, გაათკეცებულ ყურადღებას მაქცევდა ბორისი. ბიჭი გამიჩნდა. ჩემი ქმარი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, მაგრამ არ დაგვცალდა სიხარული — ომი დაიწყო.

ბორისმა დამალული იარაღი გამოიტანა და ქართველებს შეუერთდა. ასე ეგონა, ყველაფერი მალე დამთავრდებოდა, ამიტომ არც უცდია, რომ გუდაუთიდან გავეყვანეთ.

დღითი დღე რთულდებოდა სიტუაცია. თითქოს ნაღმზე ვცხოვრობდით. დაღამებისა მეშინოდა, მაგრამ არც დღეს მოჰქონდა რაიმე სასიკეთო. ბორისი რომ აღარ გამოჩნდა, მამამთილმა აიჩემა, — ვიცი, სადაც არიან ქართველები, მივალ და ჩემი შვილის ამბავს გავიგებო. იმ ღამეს არ მოსულა. დილით დედამთილმა მითხრა, თავს ვუშველოთ, სანამ აფხაზებს ჩვენსავე ეზოში ცოცხლად დავუმარხივართო. ისეთი დაბნეული და შეშინებული ვიყავი, ხან რას მოვედე, ხან რას. ჩემმა დედამთილმა — ოქროულობა, რაც გაგვაჩნდა, ცხვირსახოცში გამოკრა და წელზე შეიბა. ფულიც გადაანაწილა, ცოტა მე, ცოტა ბავშვს, ცოტაც თვითონ დაიკრა ტანზე. გამოსვლას ვაპირებდით, რომ ჭიშკარს დაფეთებული დეიდაჩემი და ჩემი დეიდაშვილები მოადგნენ: აბა, ჩქარა, გენადი ქალაქის ბოლოს გველოდება, ეს კაცი მიგვიყვანს იქამდეო (იქვე მისი რუსი მეზობელი იცდიდა). დედამთილმა ქმარი მოიკითხა. ზაირა დეიდას ტირილი წასკდა. ჩემი მამამთილი თურმე კაზაკთა ჯგუფს გადააწყდა და...

გენადი ძიამ თავისი აფხაზი მეგობრის სახლში მიგვიყვანა — ბორისსაც მოვიყვან და ყველას ერთად გაგიყვანთ აქედანო. მეორე დღეს, განთიადზე, ძახილი მოგვესმა. გარეთ გავიხედეთ. ბორისი იდგა, ხელში პატარა გოგონა ეჭირა. მაშინვე გავვარდი კარის გასაღებად. ფეხში იყო დაჭრილი. გენადი ძიას უთქვამს, სადაც ვიყავით. ეს ბავშვი ჩემი შვილია, შენი სეხნია. დედამისი და ბებია-ბაბუა აფხაზებმა ჩახოცეს, რუსუდანი კი მეზობელმა გადაარჩინაო. ბავშვი კანკალებდა და დედას ეძახდა. ისეთი შეშინებული იყო, ხმამაღლა ტირილს ვერ ბედავდა, ჩუმად ზლუქუნებდა. გული მომიკვდა, ჩავიხუტე და მოვეფერე. საოცარი სითბო იღვრებოდა მისი პატარა სხეულიდან, ის ხომ ჩემი ბიჭის და იყო, ჩემი შვილის სისხლი და ხორცი, იგივე ჩემი შვილი. საღამოს ბორისს სიცხემ აუწია, ეტყობა, ჭრილობაში ინფექცია შეეჭრა. დედამთილი უკვე ხმამაღლა მოთქვამდა: — განგრენა დაემართება, აქედან თუ დროზე არ გავაღწიეთო. ღამე ეზოში ხმაური და სროლა ატყდა, მერე კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. ექვსი კაცი შემოიჭრა სახლში. ზაირა დეიდა უმალ მიხვდა: — ამათ აქ არავინ ეგულებათ, სახლის გასაქურდად მოდიან. იქნებ მოვასწროთ და უკანა კიბით სარდაფში ჩავიდეთო, მაგრამ გვიანი იყო. ჯგუფიდან ორი აფხაზი აღმოჩნდა, დანარჩენები — რუსები. ჩემი დედამთილი მუხლებზე დავარდა და რუსულად შესთხოვა: ჩემს ჭაღარას ეცით პატივი. გთხოვთ, მე მაჩუქეთ ამათი სიცოცხლეო. რუსებმა მოკლედ მოუჭრეს: „Бабуля, заткнись!" მე და ზაირა დეიდა ეჭვით შეგვათვალიერეს; დეიდაჩემს ყელზე ოქროს ძეწკვი ეკეთა. ერთ-ერთი თვალებით მიაცივდა. დეიდამ მაშინვე მოიხსნა ძეწკვი და მისცა, მერე აფხაზებს მიუბრუნდა და უთხრა: — მე აფხაზის ცოლი ვარ, ეს ბავშვები (თავის ტყუპებზე, ჩემს შვილსა და რუსუდანზეც მიუთითა) აფხაზები არიან და იმედია, ცუდს არაფერს უზამთო. აფხაზებმა ფული მოგვთხოვეს. მე და ჩემმა დედამთილმა მაშინვე მივეცით. ის-ის იყო, წასვლას აპირებდნენ, რომ ერთმა რუსმა წიხლი ჰკრა იმ ოთახის კარს, სადაც გონდაკარგული ბორისი იწვა. შეაჯანჯღალარეს. ეტყობა, ტკივილმა გაამწარა და ქართულად შეიგინა. აფხაზებმა კბილები გააღრჭიალეს, ხელი სტაცეს, ეზოში გათრევა მოუნდომეს. კივილით გადავეფარე: ჯერ მე მომკალით-მეთქი. საუკუნეები ვცხოვრობთ ერთად, ყოველთვის ვაჟკაცებად მიმაჩნდით, ნუთუ ისე გადაგვარდით, რომ ქალს ესვრით, ან ამ უბედურს რაღას ერჩით, ვინ იცის, ვეღარც გადარჩეს-მეთქი. ბავშვები საზარლად წიოდნენ. დედამთილი და დეიდაჩემი რას აკეთებდნენ, აღარ მახსოვს. იმ წუთებში მხოლოდ ბორისის გადარჩენას ვფიქრობდი.

— Встань сука, а то выстрелю, — დაიღრიალა რუსმა. უცებ მას ერთმა აფხაზმა კონდახი გაჰკრა ყბაში და უყვირა:

— Отойди от неё, а то я выстрелю в тебя... Суки у вас... Пошли отсюда!

წავიდნენ. თვალებს არ ვუჯერებდი.

ისე დაგვათენდა, რულიც არ მოგვკარებია. ბორისი კვლავ მძიმედ იყო.

გენადი ბიძიამ მანქანით მოგვაკითხა. „საზღვარი" „ოქროს გაღებით" გავიარეთ...

თბილისში ძლივძლივობით ჩამოღწეულებს ახალი უბედურება გველოდა — ბორისს ფეხი მოჰკვეთეს... მაინც ვერ ეგუება უმოქმედობას. მისი ნათესავი ნავთლუღის ბაზართან ვაჭრობს. ბორისიც რაღაცას ცდილობს — ხან ელექტრონივთებს არემონტებს, ხან დანებს ლესავს. ცოტა ფულს აკეთებს. მეც სასადილოში ყოველდღიურად ხუთ ლარს მიხდიან, ზოგჯერ საჭმელსაც მატანენ შინ. დედამთილს დიდხანს არ უცოცხლია, წელიწად-ნახევარში გარდაიცვალა. ზაირა დეიდა და გენადი ბიძია სოჭში ცხოვრობენ. მე კი, თქვენი მონამორჩილი, ათას უბედურებას გადარჩენილი, თქვენს თბილისში ვარ ჩარჩენილი და ვზრდი ორ ბავშვს: რუსუდანს და ლაშას. თქვენს-მეთქი, — იმიტომ ვთქვი, რომ ბევრმა აქაურმა გამაგონა: ჩამოხვედით ჩვენს თბილისში და ძირძველი ქალაქელები შეგვავიწროვეთო... დამაბრუნოს ამ მთავრობამ ჩემს ძირძველ მიწაზე და აქეთ აღარც გამოვიხედავ. ჩვენს სამშობლოში ყველასთვის ზედმეტნი გავხდით, არც აფხაზებს ვუნდივართ, არც ქართველებს... ხელისუფალთ ხომ სულ არ ანაღვლებთ ჩვენი ყოფა. ამიტომაც გითხარით საუბრის დასაწყისში, რომ ტკივილების მიუხედავად, მაინც მენატრება წარსული-მეთქი. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ხომ არ მივიღო რუსეთის მოქალაქეობა, რათა მეღირსოს სახლ-კარის დაბრუნება. ვიცი, რომ ჩემი ეზო-კარი ნანგრევებითა და ეკალ-ბარდებით არის სავსე, მაგრამ ეკალი ამოიძირკვება, ბაღჩა კვლავ გაშენდება, აგური აგურს მიემატება, სახლი თავიდან აშენდება, ურთიერთობა ისევ გათბება, მით უმეტეს, რომ აფხაზებს შორის მრავლად არიან ისეთები, იმ ორის მსგავსი, მაშინ რომ აშკარა სიკვდილს გადაგვარჩინა...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ყველამ ჩადრი აიფარეთ, რომ მე წყნარად ვიარო...

***ყველგან — შინ, ქუჩაში, ტრანსპორტში, ერთი და იგივე ისმის: — რა უბედურებაა, სულ თოვლი და წვიმა, რითი აღარ მოტყდა ზამთარს კუდი, როდისღა უნდა გაზაფხულდესო. როგორც ჩანს, უკანასკნელ წლებში ისე მივეჩვიეთ მარტისა და აპრილის თაკარა მზეს, რომ გაძლება გვიჭირს. ერთი სული გვაქვს, როდის გავიხდით ზამთრის სამოსს და ქუჩებში თბილ სიოსთან ერთად ვინავარდებთ. თუმცა, ჩვენ შორის ისეთებიც ყოფილან, ვისაც, თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არ სურთ გაზაფხულის და მით უფრო, ზაფხულის მოსვლა, მეტიც, თურმე მათი ნება რომ იყოს, მხოლოდ გვიან შემოდგომასა და ზამთარს მისცემდნენ არსებობის უფლებას. ნუ გგონიათ, ამის მთქმელნი ფსიქიკაგადახრილნი იყვნენ, სულაც არა, სავსებით ჯანმრთელი მამაკაცები არიან, მაგრამ ცოტა ახირებულნი.***

***ამჯერად მარტივით ჭირვეულებთან საუბარს გთავაზობთ. უნდა გითხრათ, რომ „ანტიგაზაფხულ-ზაფხულისტთა" რიგებში მხოლოდ მამაკაცები არიან.***

**ნიკუშა (27 წლის):** — სიამოვნებით შევქმნი „ანტიგაზაფხულ-ზაფხულისტთა ლიგას", რომელიც საპროტესტო აქციებს გამართავდა მთელ საქართველოში. მოვითხოვდით წლის ამ ორი სეზონის აკრძალვას და მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდით მთავრობასთან მოლაპარაკებას, თუ საგანგებო კანონს გამოუშვებდნენ. რა კანონს? ო, ეს სულაც არ გესიამოვნებათ, ლამაზმანებო, მაგრამ რა ვქნათ. ჩვენც, მამაკაცებსაც, გული გვაქვს და გაფრთხილება გვინდა. მოკლედ, მოვითხოვთ, კანონით აიკრძალოს გამომწვევი, გამაღიზიანებელი ჩაცმულობა, რასაც უმთავრესად გაზაფხულსა და ზაფხულში ვხვდებით. აღარ შემიძლია ამ მოშიშვლებული ჭიპების, მკერდის, მკლავების



და ფეხების ყურება. განა საკმარისი არ არის, თქვენს მიმზიდველ სახეებს, თვალებს, ტუჩებს და თმას რომ ვემონოთ? თუ თანადგომას არ გაგვიწევთ და ჩვენს ინტერესებს არ გაითვალისწინებთ, იძულებული გავხდებით, ავკრძალოთ გაზაფხულ-ზაფხული! არ იფიქროთ, რომ მზის სხივებზე ალერგია გვაქვს და მხოლოდ ცა-ღრუბლიანი გვიყვარს. მზე ჩვენც გვენატრება, მაგრამ ხომ იცით, როგორ არის სიმღერაში ნათქვამი: „ყველამ ჩადრი აიფარეთ, რომ მე წყნარად ვიარო..."

**დიმიტრი (44 წლის):** — რომ შემეძლოს, ავკრძალავ ზაფხულს, აბა, რას ვიზამ? ჩემი ცოლი და სიდედრი მაისის ბოლოდან შემომიჩნდებიან და არ მახარებენ ოქტომბრის ბოლომდე. მთის, ბარის, ზღვის აგარაკების მანია ეწყებათ და სისხლს მიშრობენ. რაც მე შემიძლია გავუკეთო, ის არ აკმაყოფილებთ, მათ გემოვნებას არ შეეფერება თურმე ქობულეთის „ივერია"! ჩაქვი ან სულაც ანტალია უნდათ... მერე მარტო თავისთვის რომ მაწუხებდნენ, ჯანდაბას. ცოლის და სიდედრის დაქალების საგზურებიც ჩემი გასაჩალიჩებელია. ერთი სიტყვით, ექიმი კი არა, ტურისტული ბიუროს აგენტი მგონია თავი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა შუაშია ზაფხული? ჩემს სიდედრსა და ცოლს ვერ ვერევი და რა დამიშავა წლის შესანიშნავმა სეზონმა?

**გიორგი (31 წლის):** პარლამენტის სხდომებს რომ ვუყურებ, სულ ვფიქრობ, ნეტავ საიდან აქვთ ამ ჩვენს ვაიდეპუტატებს ასეთი ენერგია, თავსაც რომ იღლიან და ჩვენც რომ გვქანცავენ-მეთქი. კვლევა-ძიების შედეგად როგორც დავასკვენი, ეგენი უზარმაზარ სასიცოცხლო ენერგიას იღებენ ზაფხულში, ისვენებენ საუკეთესო აგარაკებზე, პლაჟებზე ნებივრობენ და შემდგომი ზაფხულის მოლოდინში ტვინს გვილაყებენ პარლამენტიდან. აი, მაგათთვის ავკრძალავდი ზაფხულს და ვნახავდი ერთი, როგორ დაირუჯებოდნენ „ნაციონალიტების" და „ახლების" ლიდერები ბაზალეთის ტბისა და შავი ზღვის სანაპიროებზე, დანარჩენი პოლიტიკოსები კიდევ უცხოეთის სხვადასხვა პლაჟზე. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, როგორ ებლატავებიან ერთმანეთს შემოდგომაზე პარლამენტში დაბრუნებული დეპუტატები. აი, აქ ვიყავი და მაგარი დრო გავატარეო. თანაც ტოპმოდელებისა და კინოვარსკვლავების ცვილის ორეულებთან გადაღებულ ფოტოებს აფრიალებენ და „მარიაჟობენ" — აი, ამის გვერდით ვიწექი პლაჟზეო. ნეტავ, ზაფხული და საერთოდ არდადეგები ამაკრძალვინა მაგათთვის, ნეტავ შემეძლოს, სანთლის შუქზე და „კერასინკის" გათბობაზე პარლამანტში მაგათი გამოკეტვა, იქნებ გონს მოვიდნენ მერე.

**ლაშა (18 წლის):** — თუ წელსაც ვერ მოვერიე კოღოების ლაშქარს, მართლა ვიოცნებებ ზაფხულის აკრძალვაზე. შარშან სულ დაგლეჯილი მქონდა მთელი სხეული. უმოწყალოდ დამკბინეს კოღოებმა ბათუმში. არაფერმა მიშველა. არ ვიცი, როგორ შემოდიოდნენ ბადეებაკრულ ოთახში. მთელ ღამეს „კაციჭამია" მწერებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვატარებდი. დილით კი მკვდარივით მეძინა ჩემივე ხელით ნაცემ-ნაბეგვს — კოღო წუილით რომ დამაჯდებოდა სხეულზე ან სახეზე, უმოწყალოდ ვირტყამდი იმ ადგილზე ხელებს.

***ეკა ლომიძე***

P.S. *„ანტიგაზაფხულ-ზაფხულისტთა" გამოკითხვებიდან აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა (ისინი, საბედნიეროდ, ცოტანი არიან) გაზაფხულსა და ზაფხულს მხოლოდ და მხოლოდ ლამაზმანების თამამი ჩაცმულობის გამო აკრძალავდა. ასე რომ, ქალებო, მთელი ქვეყნისა, შეერთდით და რაღაც მოიფიქრეთ, სანამ მართლა ჩადრით დაგვაწყებინებენ სიარულს, სანამ გვიან არ არის, დაიფარეთ ჭიპები, მუხლები, მკერდი...*



ელდარ შენგელაიას კინოფილმი

ნაზბეწვიანი ცხვრის მატყლი

საპირეს ლანჩასთან შემაერთებელი ზოლი

ნაყინის სახეობა

საგაზეთო ჯიხური

ფეხბურთში მსოფ. ჩემპიონატ. დამაარსებ.



ბელგიელი მეთოფის რევოლვერ. სისტემა

კბილის ექიმი

პოლიტიკ. მისიით უცხოეთში გაგზავნილი

„რომეო და ჯულიეტა“ (პერსონაჟი)

ქვეყნის მხარეთა გასარკვევი ხელსაწყო

ასანაში მჯდომი

პარკოსანი მცენარე

დაკოდილი ცხენი

მდინარე პრაღაში

ბოთლში მცხოვრები

ქიმიური ელემენტი

ფულადი დახმარება

ჯადოსნობა

„... უიშვილი“

დასარტყამი მუსიკალური საკრავი

ქალის უძველესი სახელი

ნოტი

მაგარი ქანის ნატეხი

მდინარეში გასასვლელი

სამაგიდო თამაში

კანადის დედაქალაქი

სამი ნაწარმოები ერთი დედააზრით

„ფორმულა 1“-ის ერთ-ერთი საჯინიბო

ვოლტერის ტრაგედია



ელექტრონთა მოწესრიგებული მოძრაობა

დიპლომატიური წერილი

რუსული ვერტმფრენის მარკა

თბილისური საფეხბურთო გუნდი

სიგრძის საზომი ერთეული

შინაგანი მოცულობა

ვაკე ზღვის დონის ზემოთ

ზავი ჭადრაკში

ვულკანის ამონაფრქვევი

ნიკოტინის მჟავა, ვიტამინი

პერუს ძირძველი მოსახლეობა

ყავისფერი საღებავი

სარწმუნოდ მიჩნევა

გაკულტურებული მარწყვი

სამი შემსრულებელი

ლექსთან შეწყობილი მუსიკალური ნაწარმოები

მთარგმნელი

წითელი საღებავი

XIX ს გერმანელი კომპოზიტორი

ჯუჯა კამეჩი

ღვინის ჭურჭელი

გამაბრუებელი ნივთიერება



ფრანგი ფანტასტი მწერალი

სალაროში წარსადგენი ქვითარი

ტბა, აიდში ერთ-ერთი შესასვლელი

უმაღლესი წოდება ბოშათა იერარქიაში

ჩაკეტილი ქუჩა

მაუგლის მეგობარი

ამერიკული ფოტოაპარატი

ბრტყელზურგა კიბო

კაკლის საბერტყი ჯოხი



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. თართი; 2. რა; 3. „სეთი“; 4. ფარსი; 5. „ლიერსი“; 6. ბეწვი; 7. პიონერი; 8. ტიარა; 9. სპარსეთი; 10. ვალი; 11. შუ; 12. ხინკალი; 13. ვახში; 14. წიწვი; 15. სვე; 16. ბაკარა; 17. კონერი; 18. ჯინი; 19. ტაიმი; 20. გენიოსი; 21. ბონერი; 22. ეკერი; 23. ეშვი; 24. ჭლექი; 25. მეანი; 26. პული; 27. კოპი; 28. ეტლი; 29. პიკული; 30. კევრი; 31. ნალი; 32. ერი; 33. ბიძინა; 34. ბარნაველი; 35. საგანი; 36. ლეგიონერი; 37. ჰუვერი; 38. ეთანი; 39. რივერა; 40. ჰილი; 41. დრო; 42. ბიზონი; 43. ნაიბი; 44. პარანა; 45. პონი; 46. ბიჭიკია; 47. ბელი; 48. პაი; 49. „გიაური“; 50. ბე; 51. ისრაელი; 52. აული.

1. თაფლობის თვე; 2. ვაი ჭკუისაგან; 3. ნეპტუნის ბაღი; 4. იაპონური დელიკატესი — შხამიანი ფუგუ; 5. პრანჭია.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანია**

CMYK

# მარილის სასახლე

„პალასიო დე სალი", იგივე „მარილის სასახლე" ბოლივიაში, უინის მარილის ვაკეზეა აშენებული.

ისტორიამდელ ეპოქაში აქ ზღვის დონიდან 3.810მ სიმაღლეზე უზარმაზარი მარილოვანი ტბა იყო. ცივილიზაციისგან შორს მდებარე ეს ეგზოტიკური ოტელი ერთადერთია მსოფლიოში და აქ ყველაფერი მარილისაა: სახურავი, კედლები, მაგიდები, სკამები, ბარი და იატაკიც კი. თორმეტ ნომერში 24 ტურისტი თავსდება და თუმცა ღამით ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვემოთაა, მარილის კედლები დღისით შთანთქმული სხივების სითბოთი ღამითაც ათბობენ.

უინის მარილის ვაკე უკვე ძალზე პოპულარული ტურისტული ობიექტია და მისი უმთავრესი ღირსშესანიშნაობა, რა თქმა უნდა, მარილის ოტელია. ერთადგილიანი ნომერი აქ 50 დოლარი ღირს, ორადგილიანი კი — 60. თითოეულში კედელზე ჰკიდია დაფა თავაზიანი წარწერით: „გთხოვთ, ნუ ალოკავთ კედლებს!"

*ვოკრუგ სვეტა №3*

# საქმოსანი გვირგვინოსნები



ბელგიის სამეფო სახლი თავისი წევრების პორტრეტებით „აკეთებს" ფულს. „ზემოდან" გაცემული გაუხმაურებელი ბრძანების მიხედვით, სამეფო ოჯახის წევრების პორტრეტებიანი მარკები დიდი ტირაჟით გამოდის. ეს იდეა მეფე ალბერტ II-ს გაუჩნდა. გასული წლის დამლევს ქვეყანას პრინცესა ელიზაბეტ ტერეზა მარი ელენი — პრინცი ფილიპისა და პრინცესა მატილდას გოგონა მოევლინა და ქვეყანა საზეიმო ციებ-ცხელებამ შეიპყრო. მონარქიის თაყვანისმცემელი ბელგიელები აღფრთოვანდნენ — სახელგანთქმული ბელგიური შოკოლადის მწარმოებლებმა კი მომავალი დედოფლის პატივსაცემად ახალი კანფეტები გამოუშვეს.

სამეფო სახლმა რომ გაიგო, პრინცესას დაბადებით როგორი ხეირი ნახეს შოკოლადის მეწარმეებმა, სერიოზულად ჩაფიქრდა... ექვსი თვის მანძილზე პრესაში აღარ გამოჩენილა პატარა პრინცესას არც ერთი ფოტო, რამაც ძალზე გაანაწყენა ერთგული ქვეშევრდომები. როგორც იქნა, პრინცესას პირველი დაბადების დღისთვის გამოუშვეს მარკების სერია, რომლის ღირებულების 50% სამეფო საქველმოქმედო ფონდში შევიდა. ახლა საშუალო სტატისტიკურ ბელგიელს სულ ცოტა ასიოდე მარკა მაინც აქვს პატარა პრინცესას გამოსახულებით, ევროპას კი უკვირს: რატომ არ აღბეჭდავენ მარკებზე ბელგიელები სხვა ვინმეს ან... რამეს. სამაგიეროდ, სამეფო ფონდი რამდენიმე ასეული მილიონი ევროთი შეივსო.

*ოკნა №9*

# ყინულის მშობლები

დანიელი ჰანს ბორგის ოჯახში მისული სტუმრები იშვიათად თუ შეექცევიან მასპინძლის შეთავაზებულ ნუგბარს და საერთოდ, ცდილობენ, რაც შეიძლება იშვიათად მივიდნენ მასთან.

საქმე ის არის, რომ გიგანტურ მაცივარში (სადაც ტემპერატურა მინუს 58 გრადუსია) სასმელ-საჭმელი კი არ ინახება, არამედ ბორგის... გაყინული მშობლები. ეს ამბავი 1984 წელს დაიწყო, მაშინ, როცა ჰანსის მამამ, გინეკოლოგმა გოტფრიდ ბორგმა თავისი მომავალი ცოლი გაყინა იმ იმედით, იქნებ ოდესმე მედიცინამ მისი სენის სამკურნალო წამალი გამოიგონოს და გამოაცოცხლონ. უფროსმა ბორგმა ადამიანის გაყინვის შესახებ სამეცნიერო ნაშრომები რომ შეისწავლა, საკუთარი ტექნოლოგიაც შეიმუშავა, ცოლს საგანგებო საინიექციო პრეპარატები გაუკეთა და მაცივარში შეინახა. უნუგეშო ქვრივი ამაყად უჩვენებდა გაყინულ მეუღლეს სტუმრებს, რომლებიც გასაგები მიზეზის გამო, სულ უფრო ნაკლებად სტუმრობდნენ ბორგებს. წელს კი, როცა ბორგმა იგრძნო — დიდხანს ვეღარ გაძლებდა, შვილს შესაბამისი ინსტრუქტაჟი ჩაუტარა და ერთ მშვენიერ დღეს... ცოლს შეუერთდა.

ადგილობრივმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ ის კი არ იცის, რა მუხლი წაუყენოს ბორგ-უმცროსს. ჰანსის აზრით, მშობლებს იგი 2050 წლისთვის გააღვიძებს. თუ მანამდე თვითონაც მიიბარა სული უფალმა, ანდერძის მიხედვით, მასაც გაყინავენ.

*მეგაპოლის-ექსპრესი №18*

# თაღლითობა კავკასიელების „დასახმარებლად"



რუსეთში ფიქტიური ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ის, რაც სარატოვში მოხდა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

„ქორწინების" სქემა ძალიან მარტივია: მმქ-ის ბიუროს თანამშრომლები არჩევდნენ „მეორე ნახევრებს", შემდეგ მათ მაგივრად აქვეყნებდნენ განცხადებას, მონაცემებს შეჰქონდათ ქორწინების მოწმობებში და „საცოლეები" (მარტოხელა მოხუცები, რომლებიც ბევრი ცოცხალიც კი აღარ იყო) კანონიერი ცოლები ხდებოდნენ.

მმქ-ის მომსახურებით, ძირითადად, ამიერკავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკის მამაკაცები სარგებლობდნენ. კავკასიელებს დიდი სურვილი ჰქონდათ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღებისა. რუს ქალზე დაქორწინება კი ორთავიანი არწივისგამოსახულებიანი პასპორტის მისაღები უმოკლესი გზა იყო.

*ექსპრეს-გაზეტა №10*

# თვალი თვალისა წილ!

ტეხასის შტატის ორენჯის საგრაფოს საოლქო სასამართლომ ვინმე კერტის ლი რობინს ძაღლის ბუდრუგანაში 30 დღის გატარება მიუსაჯა. ადგილობრივი პროკურორი ჯონ იმპროუ ხელმძღვანელობდა პრინციპით — „თვალი თვალისა წილ" — თავი დროზე კერტისის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა — მან თავისი გერი ავტომობილის ანტენით სცემა და აიძულა, რამდენიმე დღე ძაღლის ბუდრუგანაში ეცხოვრა. ასე რომ, მამინაცვალს ის არგუნეს, რითაც სხვას „უმასპინძლდებოდა".

*სობესედნიკი №12*

# ერიდეთ ცისფერ ეკრანს!



თუ ადამიანი დღეში 3საათის განმავლობაში უყურებს ტელევიზორს, 75 წლის ასაკში უკვე 9 წელი აქვს დახარჯული, — ამბობენ ფსიქოლოგები. მათ კვლევით დაადასტურეს, რომ ადამიანის ტვინი ტელევიზორის ყურებისას მოდუნებულია, მოდუნება გამორთვის შემდეგაც გრძელდება — ცდისპირები ადასტურებენ, რომ ტელევიზორმა მათ თითქოს მთელი ენერგია გამოსწოვა, კადრების ხშირი ცვლა და მუსიკალური ფონი ხელს უშლის ინფორმაციის დამახსოვრებას.

ფსიქოლოგები გვირჩევენ: 1. ჩართეთ ტელევიზორი მხოლოდ მაშინ, როცა თქვენთვის საინტერესო გადაცემა იწყება და გამორთეთ დამთავრებისთანავე; 2. არ მიიღოთ საკვები ტელეგადაცემის დროს. ადამიანი მაშინ უფრო მეტსა და სწრაფად ჭამს, ვიდრე ჩვეულებრივ; 3. გახსოვდეთ, რომ ტვინისთვის მავნებელია სწრაფად ცვალებადი კადრები: სარეკლამო რგოლები, კლიპები. ნაკლებად ვნებს მსხვილპლანიანი პეიზაჟები, ინტერვიუები; 4. სკოლამდელებს შეუძლიათ გაატარონ ტელევიზორთან დღეში 15 წუთი. უმცროსკლასელებს — 40 წუთი. ტელევიზორი ბავშვის ოთახში არ უნდა იყოს, მით უფრო იგი არ უნდა იყოს ჩართული მეცადინეობისას; 5. გადაცემების ერთად ყურებისას იმსჯელეთ, ეს უნარჩუნებს ტვინს აქტიურობას. თუ გადაცემა მთქნარებას იწვევს, სჯობს გამორთოთ ტელევიზორი.

*მირ ნოვოსტეი №11*

# რას გადაწყვეტს თემიდა?



სამართალმა უნდა იზეიმოს, — როგორც დაზარალებულებს, კომპენსაცია გვეკუთვნისო, განაცხადა ერთმა ჰანოვერელმა ცოლ-ქმარმა. ჩივილისთვის მართლაც რომ „საფუძვლიანი" საბაბი აქვთ: კუბაში რომ ვიყავით, რამდენჯერმე შეგვაწყვეტინეს სექსიო და ზარალი 4 000 დოლარად შეაფასეს. მათი მტკიცებით, სასტუმროს მოსამსახურემ ორგზის, თავისი დაჟინებული კაკუნით მოსწყვიტა სტუმრები სანეტარო საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ კარზე აბრაც ეკიდა წარწერით — „ნუ შეგვაწყვეტინებთ". კაკუნმა კაცი თურმე გაამხეცა, ქალი კი ისტერიკამდე მიიყვანა, რადგან ყველაზე საინტერესო ადგილას გაისმა. ამ „ხარვეზებმა" ორივე ლამის იმპოტენტად გვაქციაო, ჩივის ცოლ-ქმარი. ტურისტული კომპანია, რომელსაც უჩივიან, თავს იმართლებს: იურისტების აზრით, მოსამსახურე ქალის ქმედება „მსუბუქი დისკომფორტის გამოწვევად" კვალიფიცირდება და ფირმის გარანტიების სფეროში არ შედისო.

*ნიუ ზუიქი*

# 50 მილიონი — შანტაჟისთვის



— ასე შეაფასა ბრედ პიტმა თავისი პრეტენზია იტალიური იუველირული ფირმის „დამიანის" მიმართ და მისდა გასაოცრად... მიიღო კიდეც ფული.

ბრედის თქმით, იუველირებმა მას ნიშნობის ბეჭდების დიზაინი მოჰპარეს. ბეჭდების დიზაინი მსახიობმა შექმნა ჯენიფერ ენისტონთან ქორწინების წინ. „დამიანი" თურმე დიდი წარმატებით ყიდის ბეჭდებს, ამასთან, მისი სახელით და აზრადაც არ მოსვლია, პიტისთვის საავტორო თანხა გადაეხადა. „დამიანის" ხელმძღვანელობა თავის მართლებას შეეცადა — პიტმა ჩვენგან შეთავაზებული ასეულობით ესკიზიდან ერთ-ერთი აირჩია და რაკი მოდელი ჩვენი მარკეტინგის სპეციალისტებსაც მოეწონათ, ბეჭდები გასაყიდად გავიტანეთო. მიუხედავად ამისა, „დამიანი" მიხვდა, რომ სასამართლო უეჭველად ამერიკელების მხარეს დაიჭერდა, დაზავება გადაწყვიტა — პიტსა და მის მეუღლესთან 50 მლნ-იანი კონტრაქტი გააფორმა. როგორც პიტის მეგობრები ამბობენ, მსახიობი ბედნიერია — მან ხომ სარჩელი ალალბედზე აღძრა — მხოლოდ რამდენიმე მილიონის იმედი ჰქონდა. მეტიც, თავი გმირად მიაჩნია: მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ფულს როგორ გამოიმუშავებს — როლებით თუ შანტაჟით. მთავარია, რამდენს იშოვის!

*პარი მატჩი*

# შეგიძლიათ თავისუფლად გააბოლოთ

არამწეველები, ჩვეულებრივ, სუფთა ჰაერისთვის იბრძვიან, მწეველები — გაბოლების სიამოვნებისთვის, თუნდაც სიცოცხლისთვის რისკის ფასად. თამბაქოს კომპანიები კი კომპრომისს ეძებენ და ზოგჯერ არცთუ უშედეგოდ.

მაგალითად, ამერიკულმა კომპანია „ფილიპ მორისმა" „ციფრული მოწევის" სისტემა შეიმუშავა, რომლის მიხედვით, მწეველი სიგარეტს არ მოუკიდებს და, შესაბამისად, არც გარემოს დააბინძურებს. თამბაქო საგანგებო გამათბობლით აღჭურვილ მოწყობილობაში თავსდება. ჩაირთვება თუ არა, მწეველი სიგარეტის სუნითა და გემოთი ტკბება, თამბაქოს კვამლიც მხოლოდ და მხოლოდ მას „ერგება". მეტიც, ასე მოწეულ სიგარეტს არც ფერფლი აქვს და არც სუნს ტოვებს.

მოწევის ახალი ხერხი უკვე გამოსცადეს მოხალისე მწეველებზე ვირჯინიის შტატში, სადაც „ფილიპ მორისის" შტაბბინაც მდებარეობს. იაპონიის ქალაქ ოსაკაში კი ოც ჯიხურში უკვე იყიდება სიგარეტის საცდელი ეგზემპლარები.

*მირ ნოვოსტეი*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში მიხეილ ლერმონტოვის ფრაზას ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი | კ | ი | თ | ხ | ე | მ | ხ | ო | ლ | ო | დ | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბ | ი | | ზ | თ | ე | ნ | ი | ო | ო | | ო | ე | ე | ი | ი | უ | ა | ა | ზ | ვ | ს | ა | რ | ო |

**ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად გაყიდეს; **კ.** გვაროვნული თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში; **ი.** მადა, სურვილი; **თ.** ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ხ.** ფათერაკი, განსაცდელი, საფრთხე; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავარაკე; **მ.** რისამე ფასი კერძო ბაზარში ამა თუ იმ დროს; **ხ.** ვაჟა ფშაველა „... ნიფელი"; **ო.** მომღერალი ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის სიმღერაც ხიბლავდა არა მარტო ადამიანებს და ცხოველებს, არამედ ქვებსაც და კლდეებსაც; **ლ.** ძველებური ფრანგული ფულის ერთეული; **ო.** სახელმწიფო ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული; **დ.** სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ისოსის და შემდგომ გავგამელას ბრძოლებში დაამარცხა; **კ.** ოტო ბისმარკის ტიტული; **ვ.** თენგიზ აბულაძის ფილმი; **ი.** შამილის ტიტული; **რ.** სპორტის სახეობა, სადაც წინ მყოფი პარტნიორისთვის ბურთის ხელით გადაცემა არ შეიძლება; **ი.** უნგრული საავტომობილო ფირმა, რომელიც ავტობუსებით ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს; **ს.** პერიოდული სხდომები, რომლებსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები, სასამართლო და სამეცნიერო დაწესებულებები; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** ქართული წარმართული ღვთაება; **ლ.** ქალაქ გორში ჩამომდინარე ერთ-ერთი მდინარე; **ი.** ჟამთასვლის რომაული ღვთაება, რომელსაც ორი სახე აქვს. ერთი წარსულისაკენ იყურება და მეორე — მომავლისაკენ; **ტ.** ხის ჯიში, რომელზეც გამოთქმის მიხედვით ის ადამიანი ზის, რომელიც არაფრის ბაიბურში არ არის; **რ.** რა ერქვა კაპიტანი გრანტის ვაჟს; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კასკადი; **ვ.** ვრუბელი; **ი.** იარლიყი; **რ.** რევიზია; **ი.** ილიადა; **ს.** სალიერი; **პ.** პეშკოვი; **ა.** ავიცენა; **ლ.** ლაშა; **ი.** იკებენა; **ტ.** ტაისონი; **რ.** რაციონი; **ა.** არნოლდი; **თ.** თაობა; **ქ.** ქაბული; **ვ.** ვუალი; **ე.** ესკადრა; **ნ.** ნუარე; **ი.** ინცესტი; **გ.** გეიზერი; **ა.** არსენა; **ზ.** ზარალი; **ე.** ევალი; **თ.** თეორემა; **ი.** ირბისი; **ა.** ავაზაკი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სურვილში შეიცნობა კაცის რაობა.**

# „სადამი სადისტია, სადამი უნდა წავიდეს“



ყველა ერაყელი ლტოლვილი ბუშს უჭერს მხარს

Ერაყელები მთელ დასავლეთ ევროპაში არიან გაბნეულნი. ერაყიდან გაქცეული ქურთი ფატა ფარაი ამჟამად გერმანიაში, ქალაქ შარლოტენბურგში ცხოვრობს. ფატას ცალი მკლავი გამხმარი აქვს, მეორეზე — თითები წაწყვეტილი და აუტანელი ფანტომური ტკივილი ტანჯავს... „სადამს ეზიზღება ქურთები. ჩვენს ამოსახოცად სოფლები დანაღმა. მენაღმეების წასვლის შემდეგ მე და რამდენიმე მეგობარმა 15.000 ნაღმი განვმუხტეთ, მაგრამ ერთი აფეთქდა. მუცელი გამიგლიჯა, ნაწლავები გადმომცვივდა. ორი საათი მანქანაში ვიწექი და სისხლისგან ვიცლებოდი... მოგვიანებით ჩემი სახლიც დაბომბეს. ნანგრევებში 12 წლის ვაჟი დამეღუპა“, — ამბობს ფატა ფარაი.

ფარაი გერმანიაში გამოაპარეს, უმკურნალეს. ბედად გადარჩა. ის ერაყულ-ქურთული გაერთიანების წევრია. ამ გაერთიანების ვერც ერთი წევრი ვერ ივიწყებს ჰალაბოში აღმართულ გვამების ზვინებს — 1988 წელს აქ 5.000 კაცი გაზით მოწამლეს. ისეთი ცოდვა-ბრალი ტრიალებდა, რომ მშობლები ვერ უძლებდნენ მოწამლული შვილების წამებას და ტყვიებს ყიდულობდნენ დასახოცად.

ყველა ჰალაბოელი ერთ პირზე დგას: „სადამი სადისტია, იგი უნდა წავიდეს!“

ქურთების გარდა, ერაყიდან უამრავი ადამიანი გაიქცა: შიიტები, ასირიელები, ქრისტიანები, კომუნისტები, ინტელიგენცია. როცა ისინი საზღვარგარეთიდან თავიანთ ოჯახებში რეკავენ, გრძნობენ, რომ მათ საუბრებს უსმენენ... მათთვის ინტერნეტი მკვდარია, ლტოლვილებს ახლობლები თავიანთ ამბავს ერაყიდან კოდურად ატყობინებენ. მაგალითად, „საავადმყოფო“ — ნიშნავს ციხეს...

მთელ ქვეყანაში აპატიმრებენ გაქცეულთა ნათესავებს, იტაცებენ, აწამებენ, ბევრი უგზო-უკვლოდ იკარგება.

— ეს ომი გვაშინებს და გვაიმედებს კიდეც, — ამბობენ ერაყელი ლტოლვილები. მათ მწარედ ახსოვთ წამების ის ხერხები, რომლებსაც სადამი „ურჩების“ წინააღმდეგ იყენებდა.

— წამების ერთ სახეობას „შესაწვავი ქათამი“ ერქვა. ადამიანს სარზე მიაბამდნენ და ცეცხლზე ტრუსავდნენ, — ამბობს ისლამისტურ-ერაყული სათვისტომოს იმამი, — ქალებს შვილების თვალწინ აუპატიურებდნენ...

— ერთ პატიმარს წამებითაც რომ ვერ ამოაღებინეს ხმა, საკანში ცოლ-შვილი შეუყვანეს, — ამბობს ერთი ლტოლვილი, — მამის თვალწინ ჯერ ძუძუმწოვარა ჩვილს ესროლეს და როცა პატიმარმა კრინტი მაინც არ დაძრა, კიდევ ორი შვილი მოუკლეს. მერე ცოლს მოჰკვეთეს თავი, ბოლოს, მასაც.

ლტოლვილები ჰამბურგის მეჩეთში დადიან სალოცავად, ჰყვებიან საშინელ ამბებს, რომლებიც მათ თავს გადახდენიათ, საკუთარი თვალით უნახავთ ან სმენიათ.

Amnesty International-ი რამდენიმე წელია, აგროვებს დოკუმენტებს ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე. აქ შემზარავ ფაქტებს შეიტყობთ: 25 წლის უმ ჰაიდარს შუა ქუჩაში, შვილების თვალწინ, მოჰკვეთეს თავი მხოლოდ იმიტომ, რომ მის ქმარს შიიტობა ჰბრალდებოდა...

პროსტიტუციის ბრალდებით ბაღდადში თავი წააცალეს თხუთმეტ ქალს და თავები მათი სახლების წინ გამოფინეს...

ერთი საზღვარგარეთ გაქცეული გენერლის ოჯახი წამებით ამოწყვიტეს, წამების სურათები კასეტაზე გადაიღეს და გენერალს „ძღვნად“ გაუგზავნეს.

Amnesty International-ის დასკვნით, ერაყში ფართოდ არის გავრცელებული სასტიკი წამება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება და მას სისტემატურად იყენებენ პოლიტიკური პატიმრებისა და განსხვავებულად მოაზროვნეთა მიმართ. ცნობილმა საერთაშორისო ორგანიზაცია Human Righst Watch-მა დაადგინა, რომ შარშან ერაყში ჩატარდა აქცია, სახელწოდებით „ციხეების წმენდა“, რომელსაც უამრავი პატიმარი შეეწირა — ათასობით ადამიანი დახვრიტეს.

სადამის მმართველობის პერიოდში მილიონამდე ერაყელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და დაიღუპა — მათ რიცხვში არ შედიან ირანთან და ქუვეითთან ბრძოლებში დაღუპულები.

ბაღდადელი დესპოტი მხოლოდ ქურთულ სოფლებს როდი წვავს. მისმა რეჟიმმა, რომელიც თავს სოციალისტურს უწოდებს, ამოწყვიტა მორწმუნეები. სუნიტი სადამი მკაცრად გაუსწორდა სამხრეთელ შიიტებს.

— 1991 წელს შიიტები ტირანს აუჯანყდნენ. მაშინ ამერიკელებმა ისინი გაჭირვებაში მიატოვეს, — ამბობს სათვისტომოს იმამი, — სადამის სპეცდანიშნულების რაზმებს ცოცხალი არავინ დაუტოვებიათ. გვამები მზეზე დაყარეს. ოდესღაც აყვავებული მარშის მხარე ტანკებით გადათხარეს. 250.000 მცხოვრებიდან ცოცხალი 40.000-ღა გადარჩა. ათასწლოვანი სამოთხის ბაღი კი გაუდაბურდა...

ამის შემდეგ სადამმა წამების მეთოდები უფრო დახვეწა: ექიმებს „კრიმინალებისთვის“ ხელ-ფეხის ამპუტირება უბრძანა, კრიტიკოსებისთვის — ენის ამოძრობა, ცნობისმოყვარეებისთვის — ყურების დასხეპა, მოაზროვნეებისთვის კი შუბლზე X-ის ამოშანთვა...

— ბაღდადის ერთ-ერთ საავადმყოფოში ვმუშაობდი, — ამბობს ერთ-ერთი ლტოლვილი, — ძალიან შეგვაშფოთა ყურების დაჭრის შესახებ ბრძანების მიღებამ. ბრძანებას „დამნაშავეც“ მოაყოლეს. ექიმებს ამის გაკეთება არ უნდოდათ, მაგრამ ნაბრძანები ვინმეს ხომ უნდა შეესრულებინა!

ყველა ერაყელი ლტოლვილი ბუშს უჭერს მხარს. მათ ძალიან აღიზიანებთ მშვიდობის მოქადაგენი — ალბათ არ იციან, რა ხდება ერაყშიო, — ამბობენ.

— თხემით ტერფამდე მესამე სამყაროს ადამიანი ვარ და აშშ-ის მოწინააღმდეგე, მაგრამ სადამთან ომი აუცილებელია. ეს ოპერაციასავით არის, სადამი ბოროტებაა, რომელიც უნდა მოიკვეთოს. მე მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების იმედი მაცოცხლებს. დაბრუნება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუკი სადამს ჩამოაგდებენ და იქ მშვიდობა დამყარდება, — ასე ფიქრობენ ლტოლვილები.

*შტერნი №10*

# რუსეთი კიდევ იხილავს მეორე ჯოჰარს!

## როგორ ცხოვრობენ უცხოეთში მთავარ ჩეჩენ სეპარატისტთა ცოლები და ქვრივები



ალა დუდაევა

**ალა დუდაევა**. სტამბოლი. აქ, ბოსფორის ყურის ელიტურ რაიონში მდებარე სასტუმრო „მერიტში“ ჩერდებოდა იჩქერიის პირველი პრეზიდენტის მეუღლე, ალა დუდაევა (გათხოვებამდე ალევტინა კულიკოვა). ჯოჰარ დუდაევის დაღუპვის შემდეგ ალა ბაქოში დასახლდა, 4-ოთახიან ბინაში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობს. ხშირად სტუმრობს სტამბოლს, სადაც ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „მერიტის“ ნომერში დღე-ღამეში 200 დოლარს იხდის. ადრე, ქმრის დაღუპვამდე, წელიწადში 20 ათას დოლარს იხდიდა იქ ცხოვრებისთვის. ცხადია, არა — საკუთარი ჯიბიდან, ალბათ თურქი სპონსორები ეხმარებოდნენ. სტამბოლის „ჩეჩენთა სოლიდარობის კომიტეტი“, რომელსაც კარგა ხანს მეთაურობდა ალა დუდაევა, ამჟამადაც მოქმედებს და ჩეჩნებს ეხმარება.

**უდუგოვის ცოლი** ეგვიპტეში გაემგზავრა. მას შემდეგ, რაც რუსი დიპლომატების ზეწოლით მოვლადი უდუგოვს ოფიციალურმა თურქეთმა უარი უთხრა ქვეყანაში შესვლაზე, ამბობენ, რომ რამდენჯერმე მან მაინც მოახერხა (სხვის დოკუმენტებით) სტამბოლში თავისი ოჯახის მონახულება. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ეს პიროვნებაც პრესტი-



ლიდია რადუევა

ჟულ რაიონში ცხოვრობდა თავის მე-4 ცოლთან ერთად. ვილა, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული მოვლადი უდუგოვს, საკმაოდ ძვირიანია, მაგრამ, როგორც მისი დაცვის ყოფილმა წევრმა თქვა, ფულის გასაჭირი ბოევიკთა მთავარ იდეოლოგს არასოდეს ჰქონია — მხოლოდ ინტერნეტსაიტ „კავკაზ-ცენტრისთვის“ მას არაბები მილიონებს უხდიან. უდუგოვს საუდის არაბეთსა და ეგვიპტეში შეიხივით ხვდებიანო, — აღნიშნავს მცველი.

**ლიდია რადუევას,** სანდომიან, 35 წლის ქალს საგრძნობლად აბერებს ჭაღარა. იგი დარწმუნებულია, რომ მისი ქმარი ციხეში მოკლეს.

— თუკი თავისით გარდაიცვალა, რატომ მეუბნებიან, რომ მხოლოდ სამი წლის შემდეგ მომცემენ მის ნეშტს? არა უშავს, სამართალს მივაღწევ, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სასამართლოში ვუჩივლებ ყველას.

ლიდია შვილებთან — 6 წლის ზელიმხანთან და 5 წლის ჯოჰართან ერთად სტამბოლის გარეუბანში ცხოვრობს, 4-ოთახიან ბინაში, საკმაოდ მოკრძალებულად.

— ალბათ რუსეთში ფიქრობენ, რომ ოქროს ჭურჭლით ვსადილობთ, — ამბობს ლიდია, — ეს ბინა სალმანმა ჯერ კიდევ მეორე ომამდე შეიძინა. ამ ომის დაწყებისთანავე გადმოვედით. აქ ვცხოვრობდით ყველანი, სანამ სალმანი მისმა მტრებმა მოტყუებით ჩეჩნეთში არ ჩაიყვანეს. მეხმარებიან თურქები და ჩემი ორი ძმა. ერთი გერმანიაში ცხოვრობს, მეორე — ჰოლანდიაში.

როცა კორესპონდენტმა „ნორდ-ოსტის“ შესახებ ჰკითხა ლიდიას, — იცოდით თუ არა ტერაქტის შესახებო, ქალმა უპასუხა:

— არაფერი ვიცოდი და ამის გამო გული მწყდება. რომ მცოდნოდა, შაჰიდთა შორის მეც ვიქნებოდი.

— კი მაგრამ, რა ეშველებოდათ თქვენს შვილებს, ვინლა გაზრდიდა მათ? — ჰკითხა ჟურნალისტმა.

— ფეხზე ნათესავები დააყენებდნენ. შემდეგ კი დედ-მამის გამო შურს იძიებდნენ. რუსეთი კიდევ იხილავს მეორე ჯოჰარს!

**ჯენა ბასაევა,** შამილ ბასაევის პირველი და, როგორც ამბობენ, ყველაზე საყვარელი ცოლი, აფხაზეთის სოფელ ლიხნიდან იყო და იგი სულაც არ დაღუპულა ვედენოს დაბომბვისას, როგორც მაშინ გავრცელდა ხმა. ჯერ კიდევ პირველი ომის დროს, როცა ფედერალებმა მთებისკენ გარეკეს ბოევიკები და შამილმა ბუდიონოვსკისკენ აიღო გეზი, მან ცოლი აფხაზეთში გაგზავნა. სწორედ იქ არის ჯენა დღესაც, სრულიად ჯანმრთელი და უვნებელი.

**რუსლან გელაევს** ორი ცოლი ჰყავს, პირველი — ოფიციალური, **ლარისა,** ომსკელია. თავის დროზე რუსლანი ომსკში „საქმიანობდა“ და მომავალი მეუღლეც იქ გაიცნო. 1991-1999 წლებში ლარისა ჩეჩნეთში ცხოვრობდა, სოფელ კომსომოლსკში, შემდეგ ვაჟიშვილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

გელაევის მეორე ცოლი, ჩეჩენი, 2000 წელს საქართველოს პანკისის ხეობის სოფელ ომალოში დასახლდა.

ბანდიტთა ცოლების კიდევ ერთი თავშესაფარია არაბთა გაერთიანებული საამიროები. შარჯის რესპექტაბელურ რაიონში ცხოვრობენ

**მოვლადი უდუგოვის მეორე ცოლი,** აგრეთვე ოდესღაც ცნობილი **ხატაბის** ერთ-ერთი ქვრივი, რომელიც 14 წლისა იყო, როცა „სისხლიანმა არაბმა“ შეირთო.

**ახმედ ზაკაევის ცოლი, როზა** (ვორონეჟის ხელოვნების ინსტიტუტში ისინი ერთად სწავლობდნენ), ორ შვილთან ერთად ლონდონში ცხოვრობს. მას მეურვეობენ ბრიტანელი მსახიობი ვანესა რედგრეივი და ლტოლვილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი.

მიუხედავად მასხადოვისთვის მიცემული პირობისა, რომ ჩეჩნეთში დაბრუნდებოდნენ, არც ზაკაევი და არც მისი ოჯახი ინგლისიდან გამგზავრებას არ აპირებენ.

**ასლან მასხადოვის ცოლი კურამა** მშვიდად ცხოვრობდა ჩეჩნეთის ერთ-ერთ რაიონში, დიდ სახლში. შარშან ინგუშეთში გადავიდა, მაგრამ „ნორდ-ოსტის“ მოვლენების შემდეგ მალაიზიაში გაფრინდა თავის 23 წლის ვაჟიშვილთან, ანზორთან (იგი იქაური სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულია) და 19 წლის ქალიშვილთან, ფატიმასთან ერთად. კურამა მალაიზიაში შვილიშვილებს უვლის.



კურამა მასხადოვა

ფული, რომელიც ოდესღაც მასხადოვს ჩეჩნური ჯიჰადისთვის მისცეს, იჩქერიის პრეზიდენტის ოჯახმა წარმატებულად ჩადო მალაიზიის ეკონომიკაში.

*კომსომოლსკაია პრავდა №28*




# მედიცინა

## ასწავლეთ პაწიას კბილების გახეხვა!



ბავშვებს უყვართ მოზარდების მიბაძვა. ისარგებლეთ ამით. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ იხეხავთ კბილებს. უამბეთ მათ, რისთვის არის საჭირო კბილების გახეხვა დღეში ორჯერ. უყიდეთ ლამაზი, აუცილებლად რბილი კბილის ჯაგრისი და ლამაზი ჭიქა პირის ღრუში გამოსავლები წყლისთვის. ლამაზად შეუფუთეთ, სასურველია, დაამთხვიოთ რაიმე მნიშვნელოვან დღესასწაულს ან მოვლენას და გადაეცით ზარზეიმით. ეს იქნება მისი პირველი პირადი ნივთები. ბავშვი თავს იგრძნობს მოზრდილების სამყაროში. როცა თქვენი პაწია მოიზრდება და განასხვავებს, რისი ჭამა შეიძლება და რისი არა, უყიდეთ „გემრიელი“ კბილის პასტა და აუხსენით, რომ მისი გემო სასიამოვნოა. აუცილებლად წაიყვანეთ სტომატოლოგთან. ის ჩაუტარებს პროფილაქტიკურ დათვალიერებას და ეტყვის, სწორად როგორ გაიხეხოს კიჭები.

არ დაგავიწყდეთ, სტომატოლოგთან წელიწადში ორ-სამჯერ სტუმრობა.

***დანტისტი №4***

## ნაცემის ნაცვლად – ღორები...



მესამე ათასწლეულის დასაწყისს კაცობრიობა უამრავი დაავადებით შეხვდა. ძაღლებისა და კატების თვისება — დაიცვან პატრონები ინფარქტისა და ინსულტისაგან, — საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ღორებსაც გააჩნიათ სამკურნალო თვისებები. თავისი მხიარული და ალერსიანი ზნით მათ თამამად შეუძლიათ შეცვალონ კატები ალერგიით დაავადებულთათვის, გადაღლილობით შეურყვებულებს შინ მყუდრო გარემოს შეუქმნიან, სპეციალურად საამისოდ გაწვრთნილი ღრუტუნები კი, დაეხმარებიან პატრონებს სოკოების მოკრეფაში — ისინი ტყეში იოლად პოულობენ საჭმელად ვარგის სოკოებს. ასე რომ, ამერიკელი მსახიობის ჯორჯ კლუნის მეგობრობა გოჭთან, კაპრიზი არ ყოფილა.

***ექსპრეს-გაზეთა №10***

## ჯანმრთელობის, ახალგაზრდობისა და სილამაზის ელექსირი

ცნობილია, რომ შინაგანი ორგანოების (მათ შორის, კუჭ-ნაწლავის) არასწორი მუშაობა, ვიტამინების უკმარისობა, არაბალანსირებული კვება, სიგარეტი, უარყოფითად აისახება სახეზე და მოქმედებს სილამაზეზე. ამ დროს სახის კანი კარგავს ბუნებრივ, ჯანმრთელ ფერს, მოქნილობას, ფერმკრთალდება.

დიდხანს რომ შევინარჩუნოთ ახალგაზრდული და ჯანმრთელი იერი, გთავაზობთ **ახალგაზრდობის ელექსირს:** 1 ჩ/კ ლიმონის წვენს დაამატეთ 1 ჩ/კ თხევადი (ოდნავ შემთბარი) თაფლი და 1 ს/კ ზეთისხილის ზეთი.

მიიღეთ ყოველ დილით, უზმოზე. ვიტამინები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი და უჯერი ცხიმოვანი მჟავები არა მარტო აახალგაზრდავებს, არამედ აწესრიგებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.

***ოტდოხნი! №8***

## ანეკდოტი



ექიმთან:

– დაბრძანდით. რას უჩივით?

– რითაც უნდა დავბრძანდე, – იმას...




## ათი ოქროს წესი

**ადამიანმა გენეტიკური მონაცემებით 150 წელი უნდა იცოცხლოს, მაგრამ... ჩვენი სიცოცხლე მნიშვნელოვნად ხანმოკლეა. მაგალითად, იაპონელები 79 წლამდე ცოცხლობენ, ნიგერიელები და სომალელები ძლივს აღწევენ 49 წელს, ევროპელები — 60-65 წელს. სპეციალისტებმა, დღეგრძელთა გამოცდილებაზე დაკვირვებით, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, შეიმუშავეს ათი წესი:**

***1. ნუ ჭამთ მაძღრისად:*** თუ მძიმე, ფიზიკურ შრომას ეწევით, სრულიად საკმარისია მიიღოთ დღეში 2000 კილოკალორია, რითაც ხელს შეუწყობთ უჯრედების განტვირთვას და გააქტიურებას.

***2. მენიუ უნდა შეესაბამებოდეს თქვენს ასაკს.*** 30 წლის შემდეგ ქალს პირველი ნაოჭები გაუჩნდება ძალიან გვიან, თუკი ის რეგულარულად ჭამს კაკალს და დროდადრო — საქონლის ღვიძლს. 40 წლის ზევით, სასარგებლოა ბეტა-კაროტინი, რომელიც ძალიან ბევრია სტაფილოსა და სხვა ნარინჯისფერ და წითელი ფერის ხილსა და ბოსტნეულში. 50 წლის ასაკის შემდეგ უპირატესობა ენიჭება კალციუმს (უნარჩუნებს ძვლებს ფორმას) და მაგნიუმს (სჭირდება გულს). 40 წლის მამაკაცმა კი რეგულარულად უნდა მიიღოს სელენი, რომელსაც შეიცავს ყველი და თირკმელი. ეს მინერალი ხსნის სტრესს. 50 წლის შემდეგ უნდა მიეტანოს თევზს, რითაც დაიცავს გულსა და სისხლძარღვოვან სისტემას.

***3. ნუ იჩქარებთ პენსიაში გასვლას.*** ვინც არ მუშაობს, ასაკთან შედარებით, 5 წლით უფროსად გამოიყურებაო, — ამტკიცებენ მეცნიერები. მათივე აზრით, ზოგიერთი პროფესია ეხმარება ადამიანს ახალგაზრდობის შენარჩუნებაში. დღეგრძელთა შორის ყველაზე მეტია დირიჟორი, ფილოსოფოსი, მხატვარი და ღვთის მსახური.



***4. სექსი — ახალგაზრდობის ელექსირი.*** ადამიანი, რომელსაც კვირაში 2-ჯერ აქვს სექსი, თავის ასაკთან შედარებით 4 წლით ახალგაზრდულად გამოიყურება. სექსის დროს ორგანიზმში გამომუშავდება ბედნიერების ჰორმონი — ენდორფინი, რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას.

***5. ნურაფერზე გაიტეხთ გულს.*** ცნობილია, რომ ოპტიმისტები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე პესიმისტები.

***6. იმოძრავეთ.*** დღეში, თუნდაც რამდენიმე წუთი ივარჯიშეთ, ნებისმიერი სახის ვარჯიშის დროს გამოიყოფა ზრდის ჰორმონები, რომელიც საგრძნობლად მცირდება 30 წლის შემდეგ.

***7. იძინეთ ცივ ოთახში.*** ის, ვისაც 17-18°C ტემპერატურის პირობებში სძინავს, დიდხანს გამოიყურება ახალგაზრდულად, რადგან ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი ცვლილება დამოკიდებულია გარემოში არსებულ ტემპერატურაზე.

***8. შეეცადეთ, მიიღოთ, რაც შეიძლება მეტი დადებითი ემოცია.*** ზოგჯერ მიირთვით ტორტის დიდი ნაჭერი, გვიან, ღამემდე იმხიარულეთ მეგობრებში, იკითხეთ დეტექტივი და ა.შ.

***9. გაბრაზდით? ნუ ჩაიკლავთ გულში სიბრაზეს, გამოხატეთ.*** გამოუხატველი სიბრაზე ხელს უწყობს ბევრი დაავადების განვითარებას...

***10. აამუშავეთ რუხი უჯრედები.*** ამოხსენით კროსვორდები, ბევრი იკითხეთ, შეისწავლეთ უცხო ენები, დაითვალეთ გონებაში... აიძულეთ იმუშაოს ტვინმა, ამ დროს ადამიანი არა მარტო ინარჩუნებს ნათელ გონებას, არამედ ერთდროულად ააქტიურებს გულის, სისხლძარღვოვანი სისტემის მოქმედებასა და ნივთიერებათა ცვლას.

***ზდოროვიე №2***

## ჭინჭრის ციებიდან ალერგიამდე ერთი ნაბიჯია

კანზე ჭინჭრით დასუსხულ გამონაყართან მსგავსების გამო ამ დაავადებას ჭინჭრის ციება ეწოდება. ამ დროს კანი წითლდება, იწყება ქავილი, მაგრამ არ იცვლება გუნებაგანწყობილება. ჭინჭრის ციების მიზეზის დიაგნოსტირებაც და მკურნალობაც ძნელია. მას იწვევს ორგანიზმში ესა თუ ის დარღვევა. ხშირად ალერგიული რეაქცია ამა თუ იმ საჭმელზე, საგნებზე და ა.შ.

აი, ზოგიერთი მათგანი:

— საკვებ პროდუქტებზე დამატებული საღებავები, კონსერვანტები და არომატიზატორები, წამალი: ხშირად ასპირინი, ანტიბიოტიკები, საკვები პროდუქტები, ქრონიკული ინფექციები, სტრესები, კოსმეტიკური საშუალებანი.

ჭინჭრის ციების პირველივე ნიშნების დროს რეკომენდებულია:

**1.** უარი თქვათ იმ პროდუქტებზე, რომელთა მიღების შემდეგ გაყრით ტანზე;

**2.** არ მიიღოთ ცხელი აბაზანა და შხაპი, რადგან ქავილი ძლიერდება;

**3.** ჭინჭრის ციების და ქავილის ძირითადი სამკურნალო საშუალებაა ანტიჰისტამინური წამლები (არ მიიღოთ მანქანის მართვის დროს, რადგან ეს წამლები ადუნებს ყურადღებას);

**4.** ქავილის შესამსუბუქებლად კანზე წაისვით გულყვითელას, მენთოლის 1%-იანი ხსნარი ან სალიცილმჟავა;

**5.** თუ არ გიშველით ეს წამლები, მიმართეთ ექიმ-გასტროენტეროლოგს. შესაძლებელია, გამონაყრის მიზეზია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებანი;

**6.** სტრესის დროს მიიღეთ დამამშვიდებელი ჩაი: შეურიეთ ერთმანეთს თითო წილი კატაბალახა, პიტნა, გვირილა, კვლიავი, კამის თესლი. 2 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15-20 წთ. მიიღეთ თბილი ნაყენი 3-ჯერ დღეში (ღამითაც).

***ლიზა №13***

## შეკითხვა ექიმს

***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.***

**როგორც კი იწყება ამინდის ცვლილება, მტკივდება თავი. როგორ მოვიქცე? განსაკუთრებით მგრძნობიარე ვარ სიცივის მიმართ.**

***ერთგული მკითხველი ნინო ბაკაშვილი***

როდესაც ადამიანს თავის ტკივილი ეწყება ამინდის ცვლილებისას, ამ დამოკიდებულებას მეტეოპათია ეწოდება. მსგავსი რეაქცია ყველაზე ხშირად ვლინდება ხოლმე ძლიერ ქარზე, მაგრამ არანაკლებ გავლენას ახდენს ადამიანზე გარემოში წნევისა და ტენიანობის ცვლილება. მსგავსი თავის ტკივილი განსაკუთრებით აწუხებთ შაკიკით დაავადებულებს. ცივი ამინდი ტკივილის პროვოცირებას იწვევს, რადგან ასეთ დროს ვითარდება სისხლძარღვთა სპაზმი, ირღვევა სისხლის მიმოქცევა. ასეთ ადამიანებში თავის გადაცივებამ სერიოზულ გართულებებამდე შეიძლება მიგვიყვანოს — ზოგჯერ გულის შეტევაც კი ვითარდება. უნდა გახსოვდეთ, რომ ყოვლად დაუშვებელია თქვენთვის ცივ ამინდში თავმოხდილი სიარული, განსაკუთრებით დაბანილი, სველი თმით. ეფექტურია მეტეოპათიური მასაჟი. მგრძნობიარე წერტილებზე თავადაც შეგიძლიათ იმოქმედოთ, თუ მათზე მდოგვიანი წებოვანი ფირფიტის პატარა ნაჭერს დაიკრავთ. ეს წერტილებია: წარბის ზემოთ, თვალის ქვემოთ, ყურის უკან, საფეთქლებზე. თითებით შეეხეთ აღნიშულ ადგილებს და მოძებნეთ ყველაზე მტკივნეული წერტილი, რომელზეც უნდა დაიკრათ 0,5სმ დიამეტრიანი ფირფიტა.

## [illegible]

**მინდა ჩემი ამბავი წაიკითხოს ამირან სურგულაძემ... 15 წლის წინ მქონდა ძლიერი ასთმური შეტევები. ერთმა მედიცინის მუშაკმა მირჩია: 25 ცალ მიხაკს დავაყაროთ 15ჩ/კ შაქარი და დავასხათ 200 გ მდუღარე წყალი. მორევით გავადნოთ შაქარი, დავახუროთ და 12 საათის შემდეგ წამალი მზადაა. 4-5 დღის შემდეგ მიხაკები ამოვიღოთ. წამალი შევინახოთ გრილ ადგილას. მივიღოთ დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი (შეტევის დროს დამატებით 1 ჩ/კ). წამლის მიღების შემდეგ დაიწყება ბლანტი სითხის გამოყოფა და ნახველი ადვილად ამოიღება. 7-8 წელია შეტევა აღარ მქონია, წამალი ამჟამად მზად მაქვს ყოველი შემთხვევისათვის. სცადეთ, იქნებ თქვენც გიშველოთ.**

***პატივისცემით მ. ბეწუნაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** მიხაკის სახელით ცნობილი სანელებელი, რომელიც კულინარიაში გამოიყენება, მიხაკის ხის გამომშრალი კოკორია. შეიცავს 20% ეთერზეთს, რომლის მთავარი კომპონენტებია ევგენოლი და მთრთიმლავი ნივთიერებები. ცნობილია, რომ ჩინეთის იმპერატორის კარზე არსებობდა ჩვეულება: იმპერატორთან წვეულთ პირში გამუდმებით მიხაკი უნდა ჰქონოდათ, რათა თავისი უსუფთაო სუნთქვით არ წაებილწათ მბრძანებელი. მას შემდეგ მიხაკის ეთეროვანი ზეთი გამოიყენება, როგორც ანტისეპტიკური და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სტომატოლოგიაში. მიხაკის გამოყენების ჩვენებას წარმოადგენს: ინსულტის წინა და ინსულტის შემდგომი მდგომარეობები, მეხსიერების ასაკობრივი დაქვეითება, გაფანტული სკლეროზი. მას უნიშნავენ იმპოტენციის და ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. თვლიან, რომ მიხაკი განწყობილების ამაღლებას უწყობს ხელს. მიხაკის გამოყენება რეკომენდებულია ქრონიკული დაღლილობის, დაბალი წნევის, სასუნთქი სისტემის დაავადებათა და სხვა პათოლოგიების დროს. ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ ამ სანელებლის გამოყენება ყოველდღიურ კულინარიაში. მიხაკი უხდება ცომეულს, ტკბილეულს, ხორცს, თევზს, ბოსტნეულს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

***ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.***

ერაყის გარშემო

# მუშტის დრო დადგა?

**რუსეთის პრეზიდენტი ვლ. პუტინი:** — ომის დაწყების წინ ერაყი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა მეზობლებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის. თუ დავუშვებთ, რომ საერთაშორისო სამართალი მუშტის სამართალმა შეცვალოს, რომლის თანახმად ძლიერს ყველაფრის უფლება აქვს, თანაც მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ხერხის არჩევა შეუძლია, მაშინ მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ.

**აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში:** — ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ, ჩვენ დასახული ამოცანის შესრულებას გავაგრძელებთ — ერაყი უნდა გავწმინდოთ მასობრივი განადგურების იარაღისგან.

**დიეგო მარადონა:** — ადამიანებს ხოცავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დღეს ამ ყოყლოჩინა ბუშმა დაიყვირა: — ომი, ომი, ომიო! დღეს მათ ერაყი სჭირდებათ, ხვალ კოლუმბიას დაესხმებიან თავს, მერე არგენტინას, ურუგვაის. რაც უნდათ, იმას შვრებიან. ამერიკელთა მედიდურობას უნდა შევებრძოლოთ.

**ერაყის ინფორმაციის მინისტრი მუჰამედ საად ასაჰაფი:** — ერაყი ამერიკელ ტყვეთა მიმართ არ დაიცავს საერთაშორისო ნორმებს, რადგან ისინი დაქირავებული მკვლელები და სამხედრო დამნაშავენი არიან.

**რუსეთის არმიის გენერალი ვლ. ლობოვი:** — იუგოსლავიისა და ერაყის ბედს სხვა სახელმწიფოებიც გაიზიარებენ. არ მეეჭვება, რომ აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ჩუკოტკაზე. გულის სიღრმეში ამერიკელები ოცნებობენ იმაზე, რომ რუსეთმა სსრკ-ის ბედი გაიზიაროს და მაშინ აშშ მთელი ხმით გააცხადებს საკუთარ ინტერესებს.

*კომსომოლსკაია პრავდა №56*

ინდოეთი, პაკისტანი

# დელიმ და ისლამაბადმა რაკეტები გამოსცადეს

პაკისტანმა და ინდოეთმა პრაქტიკულად ერთდროულად გამოაცხადეს, რომ წარმატებით გამოსცადეს მცირე სიშორის რაკეტები. ინდოეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ რაკეტა „პრიტვი“ ქვეყნის აღმოსავლეთში, ჩანდიპურის პოლიგონზე გამოსცადეს. ცნობილი გახდა ისიც, რომ პაკისტანმა გამოსცადა იმავე კლასის რაკეტა „აბდალი“. ისლამაბადი ირწმუნება, — დელის წინასწარ შევატყობინეთ, რომ რაკეტები უნდა გამოგვეცადა, თუმცა ინდოეთის მხრიდან მსგავსი ინფორმაციის მიღება ჩვენი ხელისუფლებისთვის უსიამოვნო სიურ-



პრიზი გამოდგაო. არც ინდოელი სამხედრო დამკვირვებლები ელოდნენ, რომ ინდოელები რაკეტებს ერაყის ომის დროს გამოსცდიდნენ. მართალია, ამას არანაირი კავშირი არა აქვს ერაყის ომთან, მაგრამ ვფიქრობთ, დრო არასწორად შეირჩაო, — განაცხადა ინდოელმა სამხედრო მოხელემ.

ორი მეზობლის ურთიერთდაპირისპირება, რომლებსაც ახლა ბირთვული იარაღი აქვთ, 1947 წელს დაიწყო. მას შემდეგ ისინი სამჯერ შეებრძოლნენ ერთმანეთს, შარშან კი შეიარაღებული კონფლიქტის ზღურბლზე იდგნენ.

*ლენტა რუ*

# ახალი ბაბილონი



**აფრიალდება გაეროს დროშა ბაღდადის თავზე?**

ამერიკელები და ბრიტანელები რომ ერაყის ომს მოიგებენ, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ომის შემდგომ ერაყს ხომ მოვლა უნდა! მოკავშირეებს შესაბამისი გეგმა უკვე აქვთ: ქვეყნის აღსადგენად საჭირო თანხას ამერიკელ გენერალს მისცემენ, ერაყის ნავთობს — დასავლეთის კორპორაციებს, დემოკრატიულ ფასეულობებს კი — ერაყელებს.

სავარაუდოდ, ომის დამთავრების შემდეგ ერაყში 200 ათასი სამხედრო დარჩება, 6 თვის შემდეგ მათი რიცხვი 90-20 ათასამდე შემცირდება. საერთოდ კი, საოკუპაციო ჯარები ქვეყანაში 2 წელიწადს მაინც დაყოფენ და მათ გენერალი ტომ ფრენკი უხელმძღვანელებს. როცა მშვიდობა მთლიანად აღდგება, სამოქალაქო მთავრობას ამერიკელი არასამხედრო პირი ჩაუდგება სათავეში. ჰუმანიტარული საკითხების დარგში ადმინისტრატორის პოსტს გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ჯეი გარნერი დაიკავებს, რომელიც ჯერ კიდევ იანვარში პენტაგონმა ერაყის აღდგენითი სამუშაოების კურატორად დანიშნა. შემდეგ მას შეცვლის რომელიმე ცნობილი ამერიკელი მოღვაწე, რომელსაც დაევალება ერაყის მთავრობის ჩამოყალიბება.

ქვეყანა სამ სუბიექტად გაიყოფა: ცენტრალური (სადაც ძირითადად სუნიტები ცხოვრობენ), სამხრეთი (იქ შიიტები სჭარბობენ) და ჩრდილოეთი (ქურთები სახლობენ). ამ რეგიონებში გარნერს სამი თანაშემწე ეყოლება. ბუში-ბლერის გეგმის თანახმად, ქვეყნის მომავალ მმართველობაში ყველა მსხვილი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი შევა. ერაყი ფედერაცია გახდება, სადაც სადამის მმართველობის პერიოდში უფლებაშეზღუდული შიიტები და ქურთები უფლებებით სუნიტებს გაუთანაბრდებიან.

ბუშის გეგმით, ერაყის აღდგენაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ამერიკული კორპორაციები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული პენტაგონთან. საინტერესოა, რომ ვაშინგტონს გეგმაში არა აქვს სადამის ახლანდელი სახელისუფლებო ორგანოების — სამინისტროების, უწყებების, აგრეთვე რეგულარული არმიის დაშლა, ლაპარაკი მხოლოდ „კოსმეტიკურ რემონტზე“ შეიძლება იყოს.

მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ხელისუფლების მთავარი ორგანოა რევოლუციური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს სადამ ჰუსეინი — ის პრეზიდენტიცაა და უმაღლესი მთავარსარდალიც. ერთპალატიან ეროვნულ საბჭოში 220 დეპუტატიდან 165 სადამის პარტიის, „ბაასის“ წევრია. შეიძლება ითქვას, რომ მთელ ქვეყანას „ბაასელები“ მართავენ. ის, ვინც არ იზიარებს „ბაასის“ პრინციპებს, რეპრესირებულია ან ემიგრაციაშია.

ბუში-ბლერის გეგმის თანახმად, ერაყის ნავთობიც, უკვე გაიყვეს მოკავშირეებმა.

გაეროსაც აქვს ქვეყნის ომის შემდგომი მოწყობის გეგმა, ჰუსეინის დამხობის 3 თვის თავზე სურს ჩაერთოს ერაყის აღდგენაში, თუმცა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, — როგორ უნდა მივიღოთ ამ საქმეში მონაწილეობა, როცა აღდგენითი სამუშაოები სულ ამერიკულ კომპანიებს დაევალათო. ჩანს, აშშ იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს გაეროს, მით უმეტეს, რომ ევროკავშირმა განაცხადა, ერაყის დასახმარებლად ხელს არ გამოვიღებთ, თუ აღდგენითი სამუშაოები გაეროს ეგიდით არ ჩატარდებაო.

*იტოგი №11*

# USA-მ ულვაშა დაკარგა



სამხედრო ექსპერტები ბაღდადს მეორე მსოფლიო ომში დანგრეულ დრეზდენს ადარებენ და ამ „პოეტური“ შედარებისთვის პენტაგონის შეფის, რამსფელდის რისხვაც დაიმსახურეს — „ჩვენ ერაყში სიკვდილს კი არ ვთესავთ, მის გასათავისუფლებლად ვიბრძვითო“.

ამბობენ, ბაღდადზე პირველი დარტყმის სამიზნე რომელიღაც ერაყელი მოღალატის წყალობით გახდა ცნობილიო. სასახლეებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაბომბვა სიმბოლურიც იყო — ერაყელებს უნდა დაენახათ, რომ ახლოვდებოდა სადამის რეჟიმის აღსასრული. იმავდროულად, განადგურებული პოლიტიკური და სამხედრო ცენტრებიდან, ცხადია, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ვეღარავინ უხელმძღვანელებდა.

ძნელი სათქმელია, მიაღწია თუ არა აშშ-მა ამ მიზნებს. დღემდე არავინ იცის, სად არიან ჰუსეინი და მისი ვაჟები, უმაღლესი ხელმძღვანელობა. გაეროში ერაყის ელჩიც კი ვერანაირ მითითებებს ვერ იღებს სამშობლოდან. თეთრი სახლი კი იტყობინება, რომ ერაყიდან ჰუსეინის წასვლის პირობები იგივე რჩება. ბაჰრეინის მეფე ჰამადმა მას თავშესაფარი შესთავაზა, მაგრამ ბაჰრეინი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზაა და ცხადია, ჰუსეინი ამ წინადადებას ვერ მიიღებს. ვაშინგტონის მმართველ ელიტას შიშის ზარს სცემს კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი — ვაითუ, ჰუსეინი გაქრეს, უჩინმაჩინი — ბინ ლადენიც გვეყოფაო.

*მელორ სტურუა,*
*მოსკოვსკი კომსომოლეცი №70*

# ერაყამდე ბილეთი ძვირია

დსთ-ის ზოგიერთი ქვეყნის მოხალისეები მზად არიან ერაყში წასასვლელად, რათა შეებრძოლონ „ამერიკელ აგრესორებს“. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოხალისეები ბოლო 10-15 წლის მანძილზე ბევრ სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობდნენ. ახლა მსურველებს კიდევ ერთი საშუალება მიეცათ.

ერაყის ომის დაწყებისთანავე აზერბაიჯანში ლიბერალურ-სოციალისტურმა პარტიამ მოხალისეთა ჩაწერა დაიწყო. მათ პირდაპირ შესთავაზეს ერაყის ელჩს — 300 მოხალისეს გამოგიგზავნით ამერიკელების მოსაგერიებლადო, თუმცა ელჩმა, ჰალიბ აბდ ალ თამიმ საჯაროდ განაცხადა, — ბაღდადს მოხალისეთა დახმარება არ სჭირდებაო.

აზერბაიჯანში საზოგადოებრივი აზრი განსხვავებულია. მუსლიმანებს, რომელთა დიდ ნაწილს შიიტები შეადგენენ, სადამის რეჟიმის დამხობა სურთ, მაგრამ ერაყელ ხალხს მაინც მორალურ მხარდაჭერას უცხადებენ, თუმცა მეჩეთებში არავინ მოუწოდებს აზერბაიჯანელებს, ერაყის მხარეზე იბრძოლეთო.

ერაყის დასაცავად გამოვიდა და თანამემამულეებს ბრძოლებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა სომხეთის მეტად მცირერიცხოვანმა არიულმა პარტიამ. თუმცა მის მოწოდებას თითქმის არავინ გამოხმაურებია.

ბელორუსიის მოსახლეობაში ანტიამერიკული განწყობილება ნაკლებად შეიმჩნევა, თუმცა ზოგიერთი დამკვირვებელი ირწმუნება, რომ მოხალისე ბელორუსები ერაყელებთან ერთად ებრძვიან ამერიკელებს.

ათი უკრაინელიდან ცხრა მხარს არ უჭერს ამერიკელებს, მაგრამ უკრაინაში არის რამდენიმე ორგანიზაცია, რომლის წევრები იბრძოდნენ დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, ჩეჩნეთში. თუმცა ჯერჯერობით ერაყი მათ დახმარებაზე უარს ამბობს. გარდა ამისა, თუ აფხაზეთამდე ავიაბილეთებში 20-25 დოლარი უნდა გადაეხადათ, მშვიდობიანი კიევიდან ბაღდადამდე ბილეთი 2-2,5 ათასი დოლარი დაუჯდებათ.

*იზვესტია №67*

# 7 ქვეყანა მზადაა ნატოში შესასვლელად

ნატოს წევრი 19 ქვეყნის ელჩებმა მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატო მზად არის მიიღოს კიდევ 7 ქვეყანა. ცერემონიას ესწრებოდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვენიის, სლოვაკეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრები. ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა ხელმოწერის ცერემონიას გადამწყვეტი მომენტი უწოდა გაერთიანებული და თავისუფალი ევროპის მშენებლობაში. ეს გა-



ფართოება, რომელიც ყველაზე დიდია ნატოს ისტორიაში, ალიანსის საზღვრებში მოაქცევს ტერიტორიას ბალტიიდან შავ ზღვამდე. ამას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ტერორისტებთან საბრძოლველად მოკავშირეებს ეძებს. ნატოს მომავალი წევრები ერაყთან ომში დახმარებას შეჰპირდნენ აშშ-ს.

*ინტერფაქსი*

# დიქტატორებს იშვიათად ასამართლებენ

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური დიქტატორი, უგანდის პრეზიდენტი იდი ამანი, რომელთან სისასტიკით ახლოსაც ვერ მივა სადამ ჰუსეინი, თავის მსხვერპლს შესაჭმელად ნიანგებს უგდებდა. ახლა კი განცხრომით ცხოვრობს საუდის არაბეთში.

პატარა, ღარიბი აფრიკული ქვეყნის იმპერატორი ბოკასაც საკუთარ ლოგინში მოკვდა. დამხობილი კანიბალი ერთხანს ლიბიაში ცხოვრობდა, მერე პარიზის ახლოს, საკუთარ ვილაში. ალბათ ნოსტალგია რომ არ მოსძალებოდა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში არ დაბრუნებულიყო, გასამართლებას თავიდან აიცილებდა. სასამართლომ სიკვდილამდე პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა ამნისტიამ მალევე გაათავისუფლა და კარგა ხნის მერე ინფარქტით გარდაიცვალა.

ზაირის დამხობილი პრეზიდენტი მობუტუ მაროკოში გარდაიცვალა. ურიგოდ არც მას გაუტარებია ცხოვრება.

ფილიპინების ლიდერი ფერდინანდ მარკოსი ჰავაის კუნძულებზე იყო განდევნილი და იქვე გარდაიცვალა. პასუხი არც მისთვის მოუთხოვია არავის.

ეთიოპიის დიქტატორი მენგისტუ ჰაილე მარაბი ზიმბაბვეს მაშინდელმა პრეზიდენტმა მუგაბემ შეიფარა.



არც სისხლიანი პოლ პოტი მოხვდა განსასჯელის სკამზე და სადღაც, ჯუნგლებში გარდაიცვალა. მისი ოთხწლიანი მმართველობის დროს კამბოჯის მცხოვრებთა რაოდენობა რამდენიმე მილიონით შემცირდა. პოლ პოტის სიკვდილამდე მხოლოდ ცოტა ხნით ადრე, ამერიკელები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ დიქტატორი აუცილებლად უნდა გადაეცეს საერთაშორისო ტრიბუნალსო, მაგრამ ვერ მოასწრეს.

დასახელებული დიქტატორების გვერდით სადამ ჰუსეინი დილეტანტად გამოიყურება, მაგრამ ჩანს, ყველას მაგივრად მოუწევს პასუხისგება. შესაძლოა გენერალ ნორიეგას ბედი გაიზიაროს. პანამის ლიდერი ამერიკელებმა დაატყვევეს და 40-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

*პარი მატჩი*

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.
ყურადღება! მხოლოდ 10 აპრილამდე ფასდაკლება 50% საოფისე პროგრამებზე
მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.
შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

# არაკრიმინალური საკითხავი

## ანუ ვინ გადმოაგდეს მეოთხე სართულიდან...



ამ ცოტა ხნის წინ თბილისში ჭორი გავრცელდა — მე-16 სართულიდან ვილაც გადმოხტაო, ზოგი ირწმუნებოდა, კი არ გადმოხტა, მოკლეს და გვამი გადმოაგდესო... იყო ერთი დავა-განხილვა და ვარაუდების ცვენა... ბევრი დეტექტიური ისტორია შეითხზა და ხან ერთს ყვებოდნენ, ხანაც — მეორეს... სინამდვილეში არავინაც არ მოუკლავთ. თვითმხილველებმა კარგად იციან, რომ იმ კორპუსის წინ, საიდანაც ე.წ. „გვამი" გადმოაგდეს, რამდენიმე წყებად ეწყო უზარმაზარი მუყაოს კოლოფები. თვითმხილველებმა ისიც დაინახეს, როგორ შემოტრიალდა „უსულო სხეული", როგორ დაეცა ყუთებზე ზურგით. როგორ წამოხტა და როგორ გაემართა ისევ სახლისკენ, რათა კიდევ ერთხელ გადმოეგდოთ აივნიდან...

ეს შესავალი ბევრისთვის, ალბათ, გაუგებარი იქნება... სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით მარტივადაა... უბრალოდ, გადაღება მიმდინარეობდა და კასკადიორი გადმოხტა მე-4 სართულიდან — ეს მისთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს.

ვინც ქართული კინოს ისტორიას იცნობს, მან კარგად უწყის, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმს" მაღალი დონის კასკადიორები ჰყავდა და მათ ხშირად იწვევდნენ საბჭოთა თუ უცხოელი რეჟისორები... სწორედ ერთ-ერთი მათგანია ჩვენი წერილის გმირიც — **ოლეგ ოდიშელიძე**, რომელიც თავის ერთადერთ და უსაყვარლეს საქმიანობად კასკადიორობას მიიჩნევს.

— *თქვენ გადმოხტით ასეთი სიმაღლიდან?*

— დიახ. ტელეკომპანია „იმედში" დეტექტიურ სერიალს იღებენ, სადაც მარინა კახიანის გმირს კლავენ და მე-4 სართულიდან აგდებენ. ის „გვამი" მე ვიყავი...

— *ამ ტრიუკის შესრულებისას რა დამცავი მექანიზმი არსებობდა?*

— ქვემოთ 4-5 რიგად ელაგა მუყაოს უზარმაზარი ყუთები, რომლებზეც ბრეზენტი იყო გადაჭიმული. როცა „გადმომაგდეს", არაფერი რომ არ დამშავებოდა, ჰაერში ამოვტრიალდი და მოვახერხე ყუთებზე ზურგით დაცემა.

— *ეს რომ ვერ მოგეხერხებინათ?*

— არ მეშინოდა, მიჩვეული ვარ და აუცილებლად შევძლებდი...

— *სად შეისწავლეთ კასკადიორის ხელობა?*

— მე სპორტიდან მოვედი კინოში — ვიყავი ალპინისტი და ცხენოსანი...

— *სულ რამდენი კასკადიორია საქართველოში?*

— ხუთი-ექვსილა შემოვრჩით ამ საქმეს — დღეს ჩვენში ჩემ გარდა მოქმედი კასკადიორები არიან სერგო ხოჯაევი, ბადრი იობაშვილი, ვაჩიკ პაპოვიანი და ალექსანდრე ჯიხვაძე. მგონი, არავინ გამომრჩა...

— *დიდი ხანია ამ საქმიანობას მისდევთ?*

— კინოსტუდიაში მუშაობა 1980 წელს დავიწყე — უკვე 23 წელია.

— *თქვენი პირველი ფილმი თუ გახსოვთ?*

— ეს იყო ბუბა ხოტივარის „დემეტრე თავდადებული", რასაც მოჰყვა თემურ ბაბლუანის „ძმა"... მას შემდეგ არ გადაღებულა ფილმი, სადაც იყო ომი, ცხენი, ცეცხლი, ჩხუბი, მონაწილეობა რომ არ მიმეღო.

— *ყველაზე რთული ტრიუკი, რომელიც თქვენ შეგისრულებიათ...*

— ერთი იყო „არმენფილმში" რომელიღაც კინოსურათში, როცა ველოსიპედით შევეჯახე მანქანას, მეორე — ბატონ ოთარ კობერიძის ფილმში — ასეთი ეპიზოდია — გემზე პატარა ნავი ფეთქდება. მე ამ ნავში ვიჯექი და ცეცხლმოკიდებული ნავიანად 12 მეტრის სიმაღლიდან გადავვარდი წყალში.

— *ცეცხლის და ხანძრის დროს თავს როგორ იცავთ?*

— სპეციალური კოსტიუმები გვაქვს — ჩვენ თვითონვე გამოვიგონეთ და აზბესტის ნაჭრისგან შევკერეთ — მეხანძრეებს დავეკითხეთ, რა ქსოვილი უნდა აგვერჩია. საერთოდ, ყველანაირი აღჭურვილობა ძალიან პრიმიტიული გვაქვს.




— *თქვენს პროფესიას თუ გადასცემთ მომავალ თაობას?*

— გული მწყდება, რომ ცვლა არ მოდის, ახალგაზრდები ჩვენი საქმით ნაკლებად ინტერესდებიან. არადა, კინოსტუდიაში მშვენიერი ბაზა გვაქვს... თეატრალურ ინსტიტუტში ბატონი შოთა სხირტლაძე ასწავლიდა სასცენო მოძრაობას. მისი სტუდენტები ჩვენთანაც დადიოდნენ — მე და სერგო ხოჯაევი რიგრიგობით ვატარებდით გაკვეთილებს — ვასწავლიდით ცხენზე ჯდომას, ფარიკაობას, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა...

— *ცხენთან ერთად შესრულებული ტრიუკებიდან ყველაზე რთული რომელია?*

— პროფესიულ ენაზე ამ ტრიუკს „პადსეჩკა" ჰქვია ანუ გაჭენებული ცხენის ამოტრიალება. ცხენს წინა ფეხებზე ვაბამთ თასმებს, შემდეგ ვაწენებთ, ვითვლი რიტმს, როცა წინა ფეხებს მუცლისკენ მოხრის, თასმებს ვუჭერთ და ცხენიც ამოტრიალდება. რაც უფრო დიდია სიჩქარე, მით უფრო მეტ ბრუნს აკეთებს. სხვათა შორის, ეს ძალიან სახიფათო ტრიუკია. თუ დროზე ვერ მოახერხე ყურადღების მობილიზება, არ იჩქარე და ცხენს მარჯვნივ ან მარცხნივ არ მოექეცი, შეიძლება 300-400-კილოიანი პირუტყვი ზემოდან დაგეცეს და ხერხემალში გადაგტეხოს.

— *შიშის გრძნობა არ გეუფლებათ?*

— რა თქმა უნდა, გვეუფლება — უშიშრები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წვანან... სწორედ შიში გვაძლევს ყურადღების დაძაბვის და ძალის მოკრების საშუალებას.

— *თუ დაშავებულხართ ოდესმე?*

— შარშანწინ მერაბ სეფაშვილის კლიპის გადღებისას სიმაღლიდან გადმოვხტი, ყურადღება მოვადუნე, არასწორად დავხტი და ორი ნეკნიც მოვიტეხე. ერთხელ დავიწვი კიდეც.

— *ყველაზე მაღალი ადგილი, საიდანაც გადმომხტარხართ...*

— კიევში, „დოვჟენკოს" კინოსტუდიაში იღებდნენ „სისხლიან ქვებს", სადაც 18 მეტრის სიმაღლის კლდიდან გადმოვხტი.

— *თქვენ ფაქტობრივად მსახიობის დუბლიორი ბრძანდებით. თვითონ თუ მიუწვევიხართ რომელიმე რეჟისორს როლზე?*

— ერთხელ „ბელორუსფილმში" მიმიწვიეს ეპიზოდურ როლზე. მსახიობობა სულაც არ მხიბლავს — ტექსტის დაზეპირება და თამაში ჩემი საქმე არ არის — მე ტექნიკური მხარე უფრო მაინტერესებს.

— *ცხოვრებაში თუ გამოგდგომიათ თქვენი პროფესია...*

— გამომდგომია... ერთხელ მე და ჩემი მეგობარი მურმან ჩიჩუა ორთაჭალჰესთან მივდიოდით. უცებ შევნიშნეთ კლდეზე, საკმაო სიმაღლეზე, დაახლოებით 6 მეტრზე ბავშვი იყო დაკიდებული — ვერც ზევით ადიოდა, ვერც ქვემოთ ჩადიოდა. მურმანი დაზღვევაზე დავაყენე და კლდეზე ასვლა დავიწყე. ქვემოთ მოძრაობა შეჩერდა. ბავშვი ფრთხილად ჩამოვიყვანე და როცა გადავწყვიტეთ გაგვეგო, როგორ აღმოჩნდა კლდეზე, შეშინებული გაგვექცა — ალბათ ეგონა, დავტუქსავდით...

— *ჩხუბშიც გამოგიყენებიათ თქვენი პროფესია?*

— ფილმებში კი, ცხოვრებაში წყნარი ვარ და ვცდილობ, კონფლიქტები ავირიდო.

— *სხვა სამსახური თუ გაქვთ?*

— არანაირი. ევროპაში წავედი და ვერ გავჩერდი, მალევე უკან დავბრუნდი. იმედი მაქვს, სამუშაო გვექნება, აგერ „ტელეიმედმა" დაიწყო ფუნქციონირება, ფილმების გადაღებას იწყებენ რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიორგი შენგელაია და გოგა ხაინდრავა. ასე რომ, პერსპექტივა გვაქვს... გული მწყდება, დრო ასე სწრაფად რომ გარბის. უკვე 43 წლის ვარ, დიდი-დიდი 10 წელი ვიმუშაო... შემდეგ, კინოწარმოება თუ აეწყობა, ტრიუკების დამდგმელად დავრჩები სტუდიაში.

— *ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან თქვენს საქმიანობას?*

— შეჩვეულები არიან. ჩემი ბიჭი 19 წლის არის, კასკადიორობის მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენს... ხომ არ დავაძალებ? ყველას საკუთარი გზა აქვს...

— *თუ დაასახელებთ მსახიობებს, რომლებიც რთულ ტრიუკებს კასკადიორის გარეშე ასრულებენ?*

— ასეთ მსახიობს მე არ ვიცნობ. შეიძლება იოლ ილეთებს ასრულებენ, რთულ ტრიუკებზე კი აუცილებლად ჩვენ გვიწვევენ.

— *უცხოური ფილმების ყურებისას ალბათ ცნობთ კასკადიორის ნამუშევარს...*

— რა თქმა უნდა. იქ სხვანაირ ყურადღებას აქცევენ კასკადიორებს, სხვა პირობები და დაცვის მექანიზმები აქვთ. იღებენ 5-6 კამერით, სხვადასხვა რაკურსით...

— *სხვა სტუდიების კასკადიორებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?*

— ვმეგობრობთ „მოსფილმის" კასკადიორებთან. მათ მუშაობის განსაკუთრებული მანერა აქვთ — ძალიან ფრთხილობენ. მე ამ მეთოდს მივესალმები. თავი ყოველთვის უნდა დაზოგო. უნდა შეგეძლოს 5 დუბლი გადაიღო და ძალა კიდევ შეგრჩეს... დაუფიქრებლად არასდროს უნდა იმოქმედო. საერთოდ, სულელური არაფერი მომწონს.



# მეწარმეთა „ოსკარი" — ქართველ ფარმაცევტებს

ამ ცოტა ხნის წინ მეწარმეთა სამყაროში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა — გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ჩატარდა ევროპის ხარისხის 29-ე კონვენცია... ესპანელი მეცნიერების მიერ დაარსებული კონვენციის მთავარი ოფისი მადრიდში მდებარეობს, მაგრამ დაჯილდოების ცერემონიალი ევროპის სხვადასხვა ქალაქში ტარდება და მისი მთავარი პრიზი Arch of Europe (ევროპის თაღი) დაახლოებით ისევე მნიშვნელოვანია „მსოფლის ბიზნესმენებისათვის, როგორც კინოსამყაროსთვის — „ოსკარი". მასზე წარდგენილნი არიან ბიზნესის ყველა სფეროს წარმომადგენლები — ორგანიზაციების შერჩევა ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში — ხარისხისა და მენეჯმენტის მიხედვით. არსებობს შერჩევის სამსაფეხურიანი სისტემა. როგორც კონვენციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ისინი მთელ მსოფლიოში 9500 კორესპონდენტის მეშვეობით იძიებენ ინფორმაციას. პროდუქციის მწარმოებელი კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ შემუშავებულ 100 თეზისს. „ევროპის თაღის" არსებობის მანძილზე ამ პრიზით მხოლოდ ორი ქართული ღვინის კომპანიაა დაჯილდოებული — „ბაგრატიონი" და „სამება"... წელს კიდევ ორი ქართული საწარმო მიიწვიეს — დიდი სამშენებლო კომპანია „მონოლითმშენი" (რომელმაც ბამზე ნია გრუზინსკაია ააშენა) და აშშ-საქართველოს ერთობლივი ფარმაცევტული საწარმო „გამა". მთავარი პრიზით „ევროპის თაღით" ქართველი ფარმაცევტები დაჯილდოვდნენ. სწორედ ამ კონვენციის შესახებ ვესაუბრეთ კომპანიის ხელმძღვანელს — **გიორგი ვექუას**.

— *როგორ მოხვდით ამ კონვენციაზე?*

— ალბათ თავიანთი კორესპონდენტების მეშვეობით შეიტყვეს ჩვენი არსებობის შესახებ. თებერვლის შუა რიცხვებში მოგვივიდა წერილი, რომლითაც გვატყობინებდნენ, რომ ჩვენი პროდუქცია აკმაყოფილებს მათ 100 კრიტერიუმს და რომ დაჯილდოებულები ვართ სპეციალური ოქროს პრიზით. ამის შემდეგ გავემგზავრეთ დაჯილდოების ცერემონიალზე დასასწრებად. აღმოჩნდა, რომ იქ წარმოდგენილ საწარმოთა შორის ერთდერთი ფარმაცევტული კომპანია ვიყავით. ორდღიანი ღონისძიება დასრულდა დაჯილდოებით, რასაც გალავახშამი მოჰყვა.

— *რა პრიორიტეტით სარგებლობენ პრიზიორი კომპანიები?*

— მათ გზა ეხსნებათ მსოფლიო ბაზარზე, უფრო ადვილად ამყარებენ კონტაქტებს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან, კოლეგებთან. პრიზიორ კომპანიებს საშუალება ეძლევათ საკუთარ პროდუქციაზე ხარისხის ნიშნად გადაიტანონ პრიზზე ამოტვიფრული მედალი. ეს პრიზი ჩვენი ბიოგრაფიისთვის დიდი მონაპოვარია.

— *კიდევ რომელი ქვეყნის კომპანია იყო წარმოდგენილი დაჯილდოების ცერემონიალზე?*

— უამრავი ცნობილი მეწარმე და საწარმო სტუმრობდა ფრანკფურტს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ საკუთარი ქვეყნის დიპლომატიური კორპუსი ახლდათ თან, ჩვენ კი — არა. დავუკავშირდით გერმანიაში ჩვენი საელჩოს თანამშრომელს, ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს, რომელმაც ჩამოსვლაზე უსახსრობის გამო გვითხრა უარი.

— *რამდენად ცნობილია ქართული ფარმაცია მსოფლიოში?*

— ეს იყო პირველი გასვლა. ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბიზნეს-გამოცემის მთავარმა რედაქტორმა წარგვადგინა ტელემაყურებლების წინაშე და ჩემთან 10-15-წუთიანი ინტერვიუ გადაიცა ევროპის 8 ქვეყნის პირდაპირი ეთერით... ძირითადად საქართველოზე და ქართულ ფარმაციაზე ვსაუბრობდით...

— *ალბათ ძალიან შთამბეჭდავი იყო პრიზის გადაცემის მომენტი...*

— დაჯილდოების ცერემონიალზე ჩვენს მაგიდასთან მოხვდნენ მექსიკური ჯინსების მწარმოებელი ცნობილი კომპანიის და ეკვადორის პურის მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელები. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვიყავით, რომელსაც საკუთარი დროშა აღმოგვაჩნდა თან. როცა გამოგვაცხადეს და სცენაზე ავედით პრიზის მისაღებად, ამ სოლიდურმა ადამიანებმა ჩვენი დროშა აიღეს, მთელ დარბაზში დარბოდნენ და ყვიროდნენ Viva la Georgia... მართლაც ამაღელვებელი მომენტი იყო... გალა-ვახშამზე ერთ-ერთი მიმტანი — გოგონა მოგვიახლოვდა და ქართულად გამოგველაპარაკა. უკვე 10 წელია თურმე, რაც თბილისიდან წასულა გერმანიაში. არ ელოდა, რომ ამ დღესასწაულზე ქართველებს შეხვდებოდა... როცა გამოგვაცხადეს, პატარა ბავშვივით ცხარე ცრემლებით ატირდა და ჩვენკენ გამოიქცა... შემდეგაც, როგორც შეეძლო, სულ ჩვენს მაგიდას დასტრიალებდა თავს...

***გვერდი მოამზადა ეკა მახარაშვილმა***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 29 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1250 |
| ევრო | 2,2774 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3176 |
| რუსული რუბლი | 0,0677 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2391 |


600–750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0–25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

„ელიზაბეთის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Bilijardai" ექსკლუზიური წარმომადგენელი
Zeus
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
Bilijardai
1000 მეტი დასახელების
კონსულტაციები, გარანტია, დასადგმება, რემონტი, რესტავრაცია
Master
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

შპს „გეოკორი" აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ჩაუსტვინა, „ჩესტი“ აუღო და...



ჩემი მამიდაშვილი მიშიკო დღედაღამ მანქანაზე ოცნებობდა. ხელფასიდან ხელფასამდე ფეხით დადიოდა, დედმამისგან მიცემულ ფულსაც გროშკაპიკს არ აკლებდა და ბალიშის ქვეშ კუჭავდა. როგორც იქნა, შეხვდა სასურველი მანქანა, ფულიც დააძრო ბალიშის ქვეშიდან — იმდენი ჰქონდა, რამდენსაც მანქანის პატრონი ითხოვდა და აიხდინა სურვილი.

მანქანის შეძენამდე, „პროფილაქტიკის მიზნით“ მიშიკო ხშირად დგებოდა მძღოლებთან, ბირჟაზე, რომ მათი ჩვევები, მანერები, ინსპექტორებთან მოქცევის წესები აეთვისებინა. მძღოლები ხშირად ჰყვებოდნენ „საგმირო საქმეებს“, მაგ. ასეთს: „ჩამისტვინა ინსპექტორმა, გავაჩერე, გადავუხტი და რა გინდა შე ჩემათქვა? — ვუთხარი“. მეორე: „ჩამისტვინა, მოვიდა, ჩესტი ამიღო და — რატომ გამაჩერე შენი დედა-მეთქი?!“. და ასე შემდეგ.

დაჯდა მიშიკო ახალშეძენილ მანქანაზე, ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნად... და ასე სიხარულით, თვალგაბრწყინებული არ შევარდა პირდაპირ რეიდში?! დაუსტვინა ინსპექტორმა, აუღო „ჩესტი“ და გაღიმებული მიუახლოვდა: გადმოვიდა მიშკა, ხელში გასაღებს ატრიალებს და... ამ გაღიმებულ ინსპექტორს ყველაფერი ამოუტრიალა.

— რატომ გამაჩერე, შენი დედა... ბოლომდე დაუსრულა გინება.

ღიპიან ინსპექტორს ჯერ ყბა ჩამოუვარდა, მერე კი... მერე რა მოხდა, მიშიკომ ვერაფრით გაიხსენა...

***გიორგი ფალიანი, თბილისი***

## ღორია თუ გოჭი?



აღდგომა ახლოვდებოდა და ბორია ტკაჩენკომ (გაქართველებულმა უკრაინელმა) გადაწყვიტა გოჭი ეყიდა. გავიდა ბაზარში და ერთ საშუალო ზომის გოჭზე შეაჩერა არჩევანი, დაუწყო ვაჭრობა პატრონს:

— 56 ლარი — დაარტყა გამყიდველმა (ალბათ იმ მოსაზრებით, ლარს დავაკლებ და 55 ლარად მაინც გავყიდიო).

— რა ამბავია ამდენი... ასე პატარა გოჩი?! — სამართლიანად აღშფოთდა ბორია.

— რავა, ძვირია, თუ?

— ძვირია, აბა რა, პატარაა ნემეტანი.

— შენ, ბიძიკო, ამ სახელმწიფოში არ ცხოვრობ?

— კი.

— ხოდა, მიიხედ-მეიხედე, რას ჰგავს ხალხი — 30 კილოს იწონიან ერთიმეორეზე ამ გაჭირვებაში. ეს ადრე უშველებელი ღორი იყო, მარა გაჭირვებამ და უჭმელობამ (თან ყინვებიც დაერთო), დააპატარავა, გაახდომა და... დაგოჭდა, ბატონო!

***მურმან მერკვილიშვილი***

## მაღალი რომ ვიყო!..



ჩვენი კურსელი ჯემალ ჩირგაძე გვარს ამართლებდა, როგორც ბებიამისი იტყოდა, რა ექნა, მეტი არ გაიზარდა და... თუმცა გოგონები უყვარდა და გემოვნებაც არ ჰქონდა ურიგო. ხუმარასა და სიტყვამოსწრებულს, მიუხედავად მისი სიგრძე-სიგანისა, გოგონებიც წყალობდნენ.

კურსზე ერთი კოხტა და ლამაზი მეგრელი ნაზიბროლა გვყავდა — ვარსკვლავივით უციმციმებდა თვალები, ჰოდა, მას დაადგა თვალი ჩვენმა რომეომ და ერთ მშვენიერ დღეს გულიც გადაუშალა. პასუხი ცოტა ხანში მითხარიო, ზრდილობა გამოიჩინა და არ დააჩქარა. მაინც ვერ მოითმინა და მეორე დღეს, ლექციების შემდეგ, კარებში გაეჯგიმა. რა ექნა, კოლხ ასულს, როგორც მეგობარს, პატივს სცემდა და მისი მთლად მომდურება და დაკარგვა არ უნდოდა. ყოყმანი რომ შეატყო, ჯემალმა წარბები აწკიპა:

— რავა არ მოგწონვარ, თუ?

— კი, როგორ არა, მაგრამ ცოტა დაბალი ხარ და არ შემეფერები — ძლივს ამოთქვა გოგონამ.

— რაიო? — დოინჯი შემოირტყა განრისხებულმა რომეომ — მაღალი რომ ვიყო, შენ კი არ დაგიწყებდი ბრუალს, აგერ ლია ღამბაშიძეს შევიყვარებდი.

ლია ორმეტრიანი, კურსზე კი არა, მთელ საქართველოში ულამაზესი გოგონა იყო...

***ელდარ ფოფხაძე, თბილისი***

## დასამტვრევი „აპარატი“



ლეჩხუმის ერთ მაღალმთიან სოფელში ვცხოვრობ... წლიდან წლამდე აქაურებს სიმინდის, ლობიოსა და კაკლის გაყიდვით ძლივს გაგვაქვს თავი. ჭიპს ვიწყვეტთ და შვილებს ჭამა-სმას არ ვაკლებთ, მაგრამ ჩასაცმელ-დასახურავი ნამდვილად აკლიათ. და მაინც, მოკლედ რომ ვთქვა, შვილებს ქალაქელებზე მეტად ჩვენ ვაჩენთ. ყველაფერს აქვს საზღვარი — კაცს რომ ორი გოგო გყავს და მესამე რომ ბიჭი გინდა, ამას რა ლაპარაკი უნდა. ჰოდა, ჩვენი ერთი მეზობელი ორი პირმშვენიერი გოგო-...

ექოსკოპიის კაბინეტს ახლა. იქაურ ექიმზე არაკებს ჰყვებოდნენ, — ქალს შეხედავს თუ არა, იმწუთას გეტყვის, ბიჭი ეყოლება თუ გოგოო... მოკლედ, გასინჯა ამ სახელოვანმა ექიმმა ჩვენი გოჩას ცოლი და ბიჭიაო — დაასკვნა. ნამდვილადო? — დაეჭვდა გოჩა. — მაგას წყალი არ გაუვაო — ეჭვი გაუქარწყლა ექიმმა.

მოახლოვდა მშობიარობის დრო და ჯანმრთელობის შესამოწმებლად კიდევ ერთხელ ჩაიყვანა ქუთაისში ცოლი. ამჯერად სხვა ექიმი დახვდა, გასინჯა ქალი და გოჩას მიუბრუნდა — სქესი თუ იცით?

— მაგას რა ცოდნა უნდა — რიხიანად უპასუხა „ბიჭის“ ბედნიერმა მამამ — ბიჭია!.. ექიმმა თავი გადააქნია. დაეჭვებულმა გოჩამ თავისი ცოლი ისევ იმ ექიმს მიჰგვარა და როცა იმანაც უთხრა, გოგოაო, ატყდა გაწევ-გამოწევა.

— გამიშვი, ეგ შენი აპარატი უნდა დავამტვრიო — იქაჩება გოჩა.

— დასამტვრევი ჩემი კი არა, შენი აპარატია, ბიჭს ვერ აკეთებსო — ძალღონე მოიკრიბა ცოტა არ იყოს, შეშინებულმა ექიმმა.

გაცეცხლებულ გოჩას უეცრად ხარხარი...

# მკითხველის საყვარ... ანეკ...



სვანს მზის სათვალე აჩუქეს.

ორი დღის შემდეგ მინები მოხსნა — მზე... ვხედავო.

***მერაბ უძილაუ...***



სვანეთის თავზე მიფრინავს თვითმფრინავი. ერთი მგზავრი სტიუარდესას ეხვეწება:

— სთხოვე მფრინავს ცოტა დაბლა იფრინოს, ჩემს სოფელთან ჩავხტები.

სტიუარდესა შეეხვეწა, მაგრამ მფრინავმა უარი სტკიცა:

— გუშინაც მთხოვეს, მაგრამ ერთი ჩახტა და შვიდი ამოხტა!

***ნინო მაისურაძე, ამბროლაური***



— რაზე მუშაობს შენი რძალი?

— ენის სპეციალისტია.

— შე კაცო, შენ ის მითხარი, რა პროფესიისაა, თორემ ენის სპეციალისტი ყველა რძალია.

***ალეკო მიმინოშვილი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***





*როცა ცხოვრება მძიმდება, – სიცილი უფრო გვიხდება...*

**გაიღიმეთ ჩვენთან ერთად!**

## «ქუჩის ბიჭები» ქუჩაში ბრუნდებიან...

**— ამბობენ, რომ ზურა ხაჩიძეს „ქუჩის ბიჭებიდან“ წასვლა განუზრახავს. რას აპირებს ჯგუფიდან წასვლის შემდეგ, იმღერებს თუ არა სოლოს?**

***ანი მამულაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **ზურა ხაჩიძე**, „ქუჩის ბიჭების“ წევრი.



— სამწუხაროდ, ჩვენს მსმენელს გამოჰპარვია ის ფაქტი, რომ სოლო სიმღერა უკვე ჩავწერე. ჩვენი ჯგუფის დაშლის შესახებ გავრცელებული ხმა სიცრუეა. რომ გვნდომოდა, ადრევე დავიშლებოდით. „ქუჩის ბიჭებმა“ არაერთხელ ხომ განვაცხადეთ, რომ გვქონდა შემოქმედებითი პაუზა.

რაც შეეხება სოლო სიმღერას, ეს საკუთარი ძალების დამოუკიდებლად მოსინჯვის მცდელობა გახლდათ. სიმღერა ჩაწერილია და მისი პრეზენტაცია უკვე შედგა. ბიჭებიც აპირებენ სოლო სიმღერების ჩაწერას. დაშლილები რომ ვიყოთ, ხომ არ ჩავწერდით ახალ სიმღერას — „ჩვენს ქუჩაზე“, რომლის ტექსტისა და მუსიკის ავტორებიც ოთხივე, ანუ „ქუჩის ბიჭები“ ვართ. ორი დღეა, რაც დავასრულეთ სიმღერაზე მუშაობა. ჩვენი მსმენელი მალე გაეცნობა მას.

*რაკი ხშირად გვწერენ „ქუჩის ბიჭების“ ლაგოდეხელი „ფანები“, გული მათაც არ დავწყვიტეთ და ზურას ახალი კითხვით მივმართეთ:*

**— როდის აპირებთ საქართველოში ტურნეს მოწყობას და თუ ჩაბრძანდებით ლაგოდეხში?**

— დიდი სიამოვნებით გავემგზავრებოდი საგასტროლოდ ჩვენს რეგიონებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი მასშტაბური ღონისძიება არ გვაქვს დაგეგმილი.

ერთი სიტყვით, ჯგუფი არ აპირებს დაშლას და გაზაფხულის მოსვლასთან ერთად დიდ სითბოსა და სიხარულს ვუძღვნით მსმენელს.

## ნიანგი, რომელმაც დევისის თასი მოიგო...

**— მახსოვს, 10-15 წლის წინ მოდაში იყო ფირმა „ლაკოსტის“ სპორტული ტანსაცმელი. რადგან ფირმის ემბლემა ნიანგი იყო, მეგონა, ეს სიტყვა სწორედ „ნიანგს“ ნიშნავდა რომელიმე უცხო ენაზე. მეგობარმა ამიხსნა, თურმე ეს ცნობილი ჩოგბურთელის გვარი ყოფილა. თუ შეგიძლიათ, რაიმე გვაცნობოთ მის შესახებ.**

***მერაბ ქაშიბაძე***



— თქვენი მეგობარი არ ცდება. Lacoste — გახლავთ XX საუკუნის დასაწყისის უცნობილესი ფრანგი ჩოგბურთელის, რენე ლაკოსტის მიერ დაარსებული ფირმა, რომელიც სპეციალიზებულია კომფორტული, ლუქს-კლასის სპორტულ სამოსზე. ჩოგბურთელი დაიბადა 1904 წელს. 14 წლიდან თამაშობდა ჩოგბურთს და რამდენჯერმე მოიპოვა საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობების გამარჯვებულის ტიტული, ორჯერ მოიგო უიმბლდონი, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვა დევისის თასი. მას ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოგონებაც, რომელიც ასევე ჩოგბურთს უკავშირდება. სწორედ ლაკოსტმა შექმნა პირველი მეტალის ჩოგანი, მან შემოახვია ჩოგნის სახელურს რბილი ლენტი ბებერებისგან თავის დასაღწევად. გამოიგონა ბურთების ავტომატურად მიმწოდებელი მოწყობილობა. თამაშის განსაკუთრებული სტილის გამო, მას მეტსახელად „ნიანგი“ შეარქვეს. აქედან მოდის ფირმა Lacoste-ის სავაჭრო ნიშანი — ნიანგიც.

## ვისთვის – უფასო, ვისთვის – ფასიანი(!)

**— ბავშვთა პოლიკლინიკიდან მაცნობეს, რომ ვაქცინაცია, რომლითაც ბავშვი 18 თვის ასაკში იცრება, უნდა გაკეთდეს 12 მარტამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომიწევს 12 ლარის გადახდა. ჩემი შვილი 14 თვისაა. შეიძლება თუ არა ვაქცინაციის ჩატარება ვადაზე 4 თვით ადრე და რატომ მევალება 12 ლარის გადახდა. ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება 3 წლამდე ხომ უფასოა?**

***მანანა ნამორაძე***

კითხვაზე უპასუხებს **გია არბოლიშვილი**, ქალაქ თბილისის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, დედაქალაქის მთავარი ეპიდემიოლოგი.

— ვწუხვარ, რომ ხშირად მოქალაქეები შეცდომაში შეჰყავთ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს. ქალაქ თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკებში 3 წლამდე ბავშვთა ამბულატორიული მკურნალობა მართლაც უფასოა. მასში შედის იმუნიზაციის პროგრამაც. სახელმწიფო პროგრამის ეროვნული კალენდრით გათვალისწინებულ აცრებს აფინანსებს ფედერალური ბიუჯეტი, ხოლო დანარჩენს კი — მუნიციპალიტეტი. ასე რომ, ნურავინ შეეცდება მოქალაქეების მოტყუებას. ჩანს, პოლიკლინიკის თანამშრომლები, სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს არამიზნობრივად ხარჯავენ და 3 წლამდე ბავშვების მშობლებს ფულს სძალავენ. ყველა პოლიკლინიკაში გამოკრული უნდა იყოს იმუნიზაციის პროგრამის უფასო მომსახურების ნუსხა. სრული ინფორმაციის მოპოვება შეიძლება პოლიკლინიკის მთავარ ექიმსა და უბნის პედიატრთანაც. ისინი ვალდებულნი არიან, განუმარტონ მოქალაქეებს, რომელი აცრა როდის უწევს პატარებს. არც იმუნიზაციის გადავადების შემთხვევაში ევალებათ მოქალაქეებს ფულის გადახდა. სრული ინფორმაციის მისაღებად მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენს სამსახურს.

კომენტარი ვთხოვეთ **ლევან ბაიდოშვილსაც**, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს ეპიდემიოლოგიის დარგში.

— ბატონო ლევან, ვრცელდება თუ არა დედაქალაქის მოსახლეობაზე დაწესებული შეღავათები რეგიონებში?

— სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო აცრები, 3 წლამდე ბავშვებისთვის მთელ რესპუბლიკაში უფასოა, მაგრამ მაგალითად, წითელასა და ყბაყურის უფასო ვაქცინაცია არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ზოგიერთი ვაქცინა კერძო პირებს შემოაქვთ და, შესაბამისად, ზოგი აცრაც ფასიანი ხდება. ამიტომ რთულია დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, რადგან არ ვიცით, რა ვაქცინას გულისხმობს რესპონდენტი; გათვალისწინებულია თუ არა იგი სახელმწიფო პროგრამით და სხვ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა იმასაც კი ენიჭება, სად ცხოვრობს შეკითხვის ავტორი.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## გადამწყვეტი მატჩის წინ

**— შესაძლებელია თუ არა, საქართველოს რაგბის ნაკრები გავიდეს „ექვსთა თასის“ გათამაშებაში და რა არის საჭირო ამისათვის?**

***ლევან გოცაძე***

კითხვაზე უპასუხებს **გია კუზლაშვილი**, რაგბის კავშირის პრესცენტრის უფროსი.



— რთულია დღეს იმის განსაზღვრა, თუ როდის გახდება საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები „ექვსი ერის“ თასის გათამაშების მონაწილე. გამოთქმა „ექვსთა თასი“ არასწორია. მკითხველს ალბათ სურდა ეკითხა, სწორედ „ექვსი ერის“ თასის გათამაშების შესახებ. მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს რაგბის ნაკრებს რამდენიმე ეტაპი აქვს გასავლელი. შესაძლოა, ეს პროცესი ორ წელსაც გაჭიანურდეს. გარდა ამისა, საჭიროა გათამაშების მუდმივი წევრების: ირლანდიის, შოტლანდიის, ინგლისის, უელსის, საფრანგეთისა და იტალიის თანხმობა. გათამაშებას თითქმის 50-წლიანი ისტორია აქვს. მასში მონაწილეობენ მხოლოდ ის ეროვნული ნაკრებები, რომლებსაც „ექვსი ერის“ მუდმივი წევრები მისცემენ უფლებას. წესდებით მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ რა მიღწევები და წარმატებები აქვს გაწევრების მსურველს. ჩვენი გაწევრების საკითხი, ჯერჯერობით, უცნობია. მართალია, საკითხს კენჭი უყარეს, მაგრამ წევრთა აზრი ორად გაიყო: ნაწილი — მომხრეა, ნაწილი კი — წინააღმდეგი. ამჟამად ლაპარაკია რუმინეთის ნაკრების გაწევრებაზე. მას საკმაოდ დიდი წარმატებები აქვს, როგორც „ერთა თასის“ გათამაშებებში, ასევე მსოფლიო ჩემპიონატებზე. გარდა ამისა, რუმინეთის მორაგბეები საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალები არიან. თუმცა ამ მოთხოვნას, შესაძლოა, ჩვენი ნაკრებიც აკმაყოფილებდეს. „ერთა თასის“ მონაწილე ქვეყნებს (რუმინეთი, საქართველო, ესპანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი) შორის, რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებები საკმაოდ ძლიერი გუნდებია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენსა და რუმინეთს შორის მატჩის შედეგს. საქართველოს ნაკრები ერთხელ იყო „ერთა თასის“ მფლობელი, ხოლო რუმინეთმა კი იგი ორჯერ მოიპოვა.

## ბინ ლადენის ძმისწული პოპ-ვარსკვლავობაზე ოცნებობს

**— მართალია თუ არა, რომ №1-ელი ტერორისტის, უსამა ბინ ლადენის ძმისწული ამერიკაში ცხოვრობს და თან საკმაოდ პოპულარული მომღერალია?**



ყველას, ვინც საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერთან არის დაკავშირებული, როდი მოაქვს ბოროტება მსოფლიოსთვის. უსამა ბინ ლადენის ძმისწული ამერიკაში კი ცხოვრობს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ხშირი სტუმარია. თურმე ბაფა ბინ ლადენი ლონდონის საკლუბო სცენაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მეტიც, მრისხანე გვარის წარმომადგენელი ბრიტანეთში პოპ-კარიერის დაწყებას აპირებს.

ბაფა მადონას პროდიუსერთან, ნელი ჰუპერსა და ჯონ ბენსონთან მუშაობს ბრიტანული ჩარტების დასაპყრობად. ამბობენ, დამწყებ პოპ-ვარსკვლავს ერთი მილიონერი ეხმარებაო — სწორედ მისი პროტეჟეები ყოფილან ადრე კლაუდია შიფერი, კაილი მინოუგი და ელ მაკფერსონი.

პროფესიით იურისტმა ბაფამ, რომლის მამა ისლამი ბინ ლადენის ღვიძლი ძმაა, აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ უარი თქვა თავის ბიძაზე. ტერაქტის დროს ქალიშვილს ბინა ცნობილი ცათამბჯენის, ე. წ. ტყუპის ახლოს ჰქონია ნაქირავები. მას შემდეგ იგი ნიუ-იორკის პრესტიჟულ რაიონში, ნაითსბრიჯში დასახლებულა.

## «პირველი მერცხალი» ჰოლივუდიდან

**— „ანიდან ჰოეს“ რუბრიკით გავეცანი ჰოლივუდში ოქროს ვარსკვლავთან დაკავშირებულ ისტორიას. ბუნებრივია, დამებადა კითხვა: როდის დაარსდა თვით ჰოლივუდი და ამერიკული კინოსტუდიებიდან, რომელი იყო პირველი „მერცხალი“?**

***მადონა შონია***




— ჰოლივუდის ისტორია მე-19 საუკუნის დასასრულიდან იღებს სათავეს. იქ, სადაც დღეს უზარმაზარი კინოინდუსტრიაა, წარსულში მხოლოდ აუთვისებელი მიწა იყო. ჰოლივუდის, როგორც დასახლებული პუნქტის დაარსება, შემთხვევითობისა და უფრო მეტად კი, უძრავი ქონების ბიზნესით დაკავებული საქმოსნის, ჰარვი ჰენდერსონ უილკოქსის დამსახურებაა. ქალაქ ლოს-ანჯელესის მახლობლად უილკოქსმა მიწის ნაკვეთი იყიდა და პატარ-პატარა საცხოვრებელი კოტეჯების მშენებლობას მიჰყო ხელი. მალე კოტეჯები სარფიანად გაყიდა. დასახლებულ პუნქტს „ჰოლივუდ-ლენდი“ დაერქვა. ამ სახელწოდებასაც აქვს თავისი ისტორია. ერთხელ მატარებლით მგზავრობისას უილკოქსის მეუღლეს ვიღაც ქალბატონი დაემგზავრა, რომელიც თავის მამულზე, „ჰოლივუდ-ლენდზე“ გაუთავებლად ექაქანებოდა. თავმობეზრებულმა ქალბატონმა უილკოქსმა მამულის სახელწოდება კარგად დაიმახსოვრა და მოგვიანებით, სწორედ მისმა დაჟინებულმა თხოვნამ აიძულა მეუღლე დასახლებისთვის „ჰოლივუდ-ლენდი“ ეწოდებინა. 1903 წელს პუნქტმა ქალაქის სტატუსი მიიღო, ხოლო მოგვიანებით, 1910 წელს, ლოს-ანჯელესის გარეუბნად იქცა. ჰოლივუდის ამერიკის კინოინდუსტრიის ცენტრად გადაქცევა წინასწარ არავის დაუგეგმავს. უბრალოდ, საზოგადოების კინოსადმი მოჭარბებულ ინტერესს უკვალოდ არ ჩაუვლია და მოვლენებიც ბუნებრივად განვითარდა.

პირველი კინოსტუდია ჰოლივუდში 1911 წელს გაიხსნა, დაარსებიდან ერთ წლის შემდეგ მას „პარამაუნთ ფიქჩერზი“ დაერქვა. ოდნავ მოგვიანებით, ამერიკის აყვავებისა თუ აღორძინების 20-იან წლებში, კიდევ რამდენიმე კინოსტუდია დაარსდა. 1920 წელს ჩამოყალიბდა: „კოლუმბია ფიქჩერზი“, „უორენ ბრაზერსი“ (1923წ), „მეტროპოლიტენ-მაიერი“ (1924წ), მოგვიანებით კი „XX საუკუნე ფოქსი“ (1935წ) დაარსდა. ეს კომპანიები დღესაც წამყვან პოზიციებს ინარჩუნებენ ამერიკის კინოსამყაროში. რაც შეეხება ჰოლივუდის საფირმო, ანუ სასაქონლო ნიშანს — გორაკზე მოთავსებულ უზარმაზარ ფირნიშს — „ჰოლივუდი“, თავდაპირველად იგი თურმე წმინდა კომერციული, სარეკლამო თვალსაზრისით აღიმართა. მოგზაური ადვილად შეამჩნევდა წარწერას და შესაძლოა, ჰოლივუდშიც დასახლებულიყო. 40-იან წლებში წარწერის ნაწილი და, კერძოდ, სიტყვა „ლენდი“ ძლიერი შტორმის დროს დაზიანდა. ქალაქის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ქალაქისთვის სახელად მხოლოდ „ჰოლივუდი“ დაეტოვებინათ, რითაც ძალზე იოლად გადაჭრეს პრობლემა. ასე რომ, ჰოლივუდი ამერიკულ კინოსტუდიათა სათავედ ითვლება, მაგრამ რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ჰოლივუდში ამჟამად მხოლოდ უძველესი სტუდია — „პარამაუნთ ფიქჩერზია“ განლაგებული. დანარჩენი კინოსტუდიები მთელ ლოს-ანჯელესშია მიმოფანტული.

## მილოცვა

**შოთა უფლისაშვილს!**

ჩვენო საყვარელო ბაბულო! გილოცავთ დაბადების დღეს – 1 აპრილს. დაგვბერდი მრავალს, ჯანმრთელად, ბედნიერად, ხულკეო ბებიასთან ერთად. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ!

*ნათია, თაკო, თორნიკე, ნანული, გივი*

**ბელა და ჯანიკო ხარჩილავებს!**




რიცვე მარტში დაბადებულებს გილოცავთ დაბადების დღეს და გაზაფხულის დადგომას. ჩვენი მეგობრებისთვის ჯანმრთელობას, თქვენს შვილებთან – ლიანა და ლევანთან ერთად. ყოფილიყავით გაზაფხულივით [illegible] ნიერი, ზაფხულივით თბილი, შემოდგომასავით სავსე და ზამთარივით სპეტაკი.

*და სუქა; სიძე გელა; დისშვილები: ტასო და ბორიკო მარტყოფლიძეები*

## ბინები

იყიდება „დინამოს" სტადიონთან ახლოს, საკუთარი, 1-ოთახიანი სახლი, საცხოვრებელი ფართით – 100 კვ. მ, ეზო-ბაღით – 210 კვ. მ, [illegible] – 32 კვ. [illegible]. ფასი: $38.000. ტ: 34-52-33; 38-91-96 [illegible]

იყიდება საბურთალოს ცენტრში, ახალაშენებულ, 4-სართულიან სახლში ბინა, მე-4 სართულზე, მანსარდით, ავტოფარეხითა და სარდაფით. ტელ: 899 55-71-45. გელა

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას [illegible] AU-PAIR პროგრამით [illegible] ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

[illegible] ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

[illegible] ტელ: 34-02-38; 78-14-94 (საღამოს); 899 90-54-78

[illegible] ტელ: 899 11-57-48. ნათია

[illegible] 8 88 222 7-45-41

[illegible] ტელ: 93-57-79

## მომსახურება

[illegible] 899 15-49-21; http://gm.iatp.org.ge; alidat@gol.ge

[illegible] AU-PAIR [illegible] ტელ: 34-66-02; 91-19-61

[illegible] ქ. №117. ტელ: 91-21-80

[illegible] ტელ: 899 14-54-62

[illegible] ტელ: 76-01-33. გია

[illegible] 57-50-49; 899 91-46-36. [illegible]

[illegible] 79-50-12; 899 90-44-93. [illegible]

[illegible] $200. [illegible] ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. [illegible]

[illegible] №115, [illegible] №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89 [illegible]

[illegible] ტელ: 77-86-27

## მკურნალობა

[illegible] ტელ: 34-04-06; 34-62-51 [illegible] 13-16 სთ)

[illegible]

და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75. ლოგოპედიურ-ფსიქოლოგიური ცენტრი, ქ-ნი ინა კომახიძე

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 91-18-33

ლომთათიძე მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, წითელ ქარს, თმის ცვენას, სებორეას, ბუასილს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, თირკმლებს, პროსტატიტს, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტს, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, მეჭეჭების, პაპილომების მოშორებას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტ: 95-74-29

დიდთა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ვმკურნალობთ კანის დაავადებებს: ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, სებორეა, ეგზემა, სოკო. მის: მიცკევიჩის №29ა. ტელ: 39-18-24 (10-15 სთ); 39-80-50 (18 სთ-დან)

უროლოგიური და სექსუალური დაავადებების მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 91-18-33

## კურსები

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

## იყიდება

სასწრაფოდ იყიდება შავი ავტომანქანა „ბმვ-318", 1996 წლის გამოშვება, განბაჟებული, ავტომატური მართვის პულტით. ტელ. 30-78-06; 899-93-15-70

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

### თამარ ვაშაკიძის ხსოვნას!



22 თებერვალი – მეხის გავარდნას ჰგავდა გამაოგნებელი და შემზარავი ელდა – თამრიკო აღარ გვყავსო! 40 დღე გადის უშენოდ, 40 შენის ამოსვლა. რა შემძრწუნებელია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, რასაც ვერავინ, ვერასოდეს შეავსებს. რა სასტიკია რეალობა! როგორ მიატოვე შენი ერთადერთი ოცნება – შენი სალომე! შენზე ზრუნვაში დაღლილი დედა? რა ეშველება მათ? რა გვეშველება ჩვენ, შენს მეზობლებს და ახლობლებს, დას? შენ ხომ ჩვენი ერთადერთი იმედი იყავი, ამ გაუსაძლის სიტუაციაში ერთადერთი ნუგეში. შენ ხომ – არა უბრალოდ ექიმს, რომლისთვისაც ექიმის პროფესია თვითმიზანია, არამედ მოწოდებითად ექიმს, არასდროს დაგისვენია, არასდროს არავისთვის უარი არ გითქვამს დახმარებაზე. ღამეებს უთევდი სრულიად უანგაროდ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგომ დიდსა თუ პატარას, შემდეგ კი შენი გადარჩენილნი, გაოგნებულნი გითევდნენ დაუსვენებლად ყველა ბოლო ღამეს; მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან კი, თითქმის ბოლო ყვავილმა შენს სახლში გადმოინაცვლა...

არა, არავის ამ დაობლებულ კორპუსში არ სჯერა, რომ სამუდამოდ მიგვატოვე. იქნებ არც მიგვატოვე და სადღაც ახლოს ხარ, ვინ იცის? ალბათ ღმერთს დასჭირდა თამრიკო დეიდა, ასეთი კეთილი რომ იყო და წაიყვანაო, – ასეთი დასკვნა გააკეთეს შენმა პატარა პაციენტებმა, რომელნიც თვითონ ვიდრე არ დარწმუნდნენ, არ დაიჯერეს, რომ აღარ ჰყავდათ თამრიკო დეიდა. ალალი იყოს შენზე მათი უმანკო ცრემლი. ვინღა მოიკითხავს მათ ასე გულიანად: „გამარჯობათ, ბავშვებო, როგორა ხართ, ბავშვებო?" ვინღა დაინტერესდება – ხომ არაფერი აკლიათ ჩვენს შვილებს? აი ასეთი იმედი, კიდევ ერთი ღირსეული შვილი გამოაკლდა საქართველოს. განა ტყუილია – ლეკვი ლომისა სწორიაო... ერთი რამ გვაიმედებს, რომ ალბათ ასეთი ამაღლებული სულის, ასეთი დიდი ყოვლისმომცველი გულის სანაცვლოდ, წამებში დაიმკვიდრე ცათა სასუფეველი და კიდევ: შენს ამქვეყნიურ სიცოცხლეს უკვალოდ ხომ არ ჩაუვლია, რამეთუ ათასში ერთმაც კი შეიძლება ვერ დაიმკვიდროს ასეთი კეთილი, ამაღლებული, ულამაზესი და სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი ქალის რეპუტაცია, რომლის ერთი გავლაც კი ათ ქალად ღირდა, ერთი ღიმილი, ერთი სალამი... ასეთი ქალიშვილის აღმზრდელი დედის სახელი, როგორიც შენი სალომეა, გვჯერა რომ (ღვთის ნებით) ღირსეულად გაუძლებს ამ მოულოდნელ დარტყმას და გაიზრდება სასახელო ქალიშვილი, შენსავით ვაჟკაცური და ლამაზი სულის პატრონი. აქვს კი უფლება შენს შვილს, იყოს სხვაგვარი?

შენი ძმის გარდაცვალების შემდეგ სულ გაიძახოდი, ვერ გადავიტან ვასიკოს დაკარგვასო და წახვედი. მაშ, ნინომ რაღა ქნას, ორივე რომ დაგკარგათ? რითი ვანუგეშოთ იგი?

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ურომლისოდაც არსებობაც ვერ წარმოგედგინა. ღმერთს ვევედრებით, სასუფეველში შეგიძლვეს უფლის ანგელოზი! ნათელში იყავი! ილოცე შენი ქალიშვილისათვის, შენი საცოდავი დედისათვის, ჩვენთვის, რომ შევძლოთ და შენსავით ვაჟკაცურად გავუსწოროთ თვალი ამ დიდ ტკივილს, რასაც შენი კომპეტენტური, ალალი, ყოვლისმომცველი და ლამაზი თანადგომის გარეშე არსებობა ჰქვია...

ზოგიერთი ჩვენთაგანი ხომ შენთან შეხვედრის გარდაუვალი შესაძლებლობის იმედით იცოცხლებს, ნახვამდის.

*შენი მეზობლები*

### ბესიკ შოშიტაიშვილის გახსენება



პირველი დაბადების დღეა უშენოდ. ორმოცი დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და თან უდიდესი სიყვარული გაიყოლე. ყველანი ტკივილითა და მწუხარებით აღსავსე დატოვე და ახლა მხოლოდ შენი სულისთვის ლოცვა გვევალება.

ბესიკ, ნათელში იყოს შენი ნათელი სული.

*შენი თანაკლასელები*

### თენგო ჩაჩავას მონატრება



მეგონა, ამქვეყნად უამრავჯერ უნდა მომელოცა შენთვის დაბადების დღე. ამისათვის თითქოს ყველაფერი ხელს გიწყობდა, თითქოს დიდხანს უნდა გეცხოვრა – სიცოცხლით სავსეს და საქმიანს რამე თუ მოგერეოდა და დაგჯაბნიდა, ვერ ვიფიქრებდი. მაგრამ სამწუხაროდ, სიკვდილიც ვაჟკაცური გერგო – წამიერი.

31 მარტი შენი დაბადების დღეა. გილოცავ. რამხელა იმედი იყავი, რამხელა ტკივილი ხარ ახლა!

რამდენი რამე მოვიგონო, თენგო. შენ ისე შესაშურად ლამაზად იცხოვრე, ისეთი თბილი, ხელგაშლილი და კეთილი ადამიანი იყავი, რომ შენს ახლობლებს გაუნელებელი გულისტკივილი დაგვიტოვე. ჩემო უსაზღვროდ მონატრებულო თენგო, დაუვიწყარია შენი ხსოვნა. ღმერთმა ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს.

*შენი და*

### ბორის (გურამი) კიკიანის ხსოვნას!



დღეს დაასრულე სულეთისაკენ მიმავალი გრძელი და მძიმე გზა და მარადისობაში დაიდე ბინა. ჩვენთვის ეს ორმოცი დღე იყო უშენოდ ცხოვრებასთან შეგუების გაუსაძლისი პერიოდი. ძალიან გვიჭირს უშენოდ, გვაკლია შენი სითბო და ალერსი. გვაკლია შენი გამამხნევებელი სიტყვა. შენ ხომ მიგვაჩვიე იმას, რომ ოჯახური ცხოვრების ყველაზე მძიმე ტვირთი თავად გეტარებინა და თანაც ისე, რომ ჩვენთვის მისი სიმძიმე არ გეგრძნობინებინა. შენთან, ჩვენს უსაყვარლეს და უძვირფასეს ადამიანთან, სამუდამოდ განშორების საშინელი წუთებიც კი აარიდე ჩვენს თვალს. ლხინში მიმავალი კაცის უდარდელობით გახვედი სახლიდან... ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვიცხოვროთ შენი ცხოვრების მოგონებით და შენი ცხოვრების მაგალითით. ასევე გავზარდოთ შენი პატარა შვილიშვილები – თეიკო და დავითი, რომლებზეც მზე და მთვარე ამოგდიოდა. ჩვენი ნუგეში რწმენაა, რომ შენი სული ნათელში დაივანებს.

*შენი ოჯახის წევრები*

### კობა თეთრაძის ხსოვნას!



1 აპრილი მოდის, კოკო, შვილო. ამ დღესავით მატყუარა ყოფილა შენი სიცოცხლე. პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. მეთექსმეტე გაზაფხულს ვეღარ მოესწარი. მოვალთ შენს საფლავზე და მოგილოცავთ. ყველგან შენ გეძებ, შვილო, უსაშველოდ მენატრები. შენს თავს შენზე მოგონებები ვერ მიცვლის. ენატრები შენს ძმას კახოს, მამას, ბებო-პაპებს, ახლობლებს, კლასელებს, მეზობლებს, მაგრამ ყველაზე მეტად – შენს გულმოკლულ დედას, რომელიც მხოლოდ შენთან მალე მოსვლაზე ოცნებობს.

მიყვარხარ, მენატრები, ჩემო სიხარულო.

*შენი უბედური დედა, მამა, ძმა, ბებიები და პაპები*

### დალი ბაჩილავა-სუთიაშვილის ხსოვნას!



31 მარტი შენი გარდაცვალების მეორმოცე დღეა. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება. 45 წლის ასაკში დაასრულე ლაღი, კეთილი სიცოცხლე და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი ყველას, ვისაც ძალიან გვიყვარდი. სულ ჩქარობდი – თითქოს გრძნობდი, რომ ცოტა ხნით იყავი ამქვეყნად მოვლინებული. როცა მეგობრებისათვის ასე ძნელი ასატანია უშენობა, რით უნდა ვანუგეშოთ შენი გაუბედურებული მამა და შენი საყვარელი ქმარ-შვილი?! ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი სიყვარული დათესე. დიდმა სიყვარულმა დიდი მონატრება იცისო, და მართლაც, ყველას ძალიან გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ლალი, თამრიკო, როზა, ქეთინო, ნანი, მარინა, ნელი, ნელი*

### დალი ბაჩილავა-სუთიაშვილის ხსოვნას!



ჩვენო დალი, 31 მარტს ორმოცი დღე შესრულდა, რაც წახვედი ამ წუთისოფლიდან და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი. როგორ ელოდებოდი შენი თეონას სკოლის დამთავრებას და ბანკეტს, მაგრამ ვაი, რომ სიკვდილმა არ დაგაცალა. დედის სითბოს და დიდ ყურადღებას ჩვენ ვერასოდეს შევუვსებთ.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო.

*შენი თეონას მასწავლებელი, თანაკლასელები და მათი მშობლები*

### დათო ფიფიას მოგონება



ჩვენო დათო, უზომოა შენი მშობლებისა და მეგობრების მწუხარება. ახალგაზრდა, ნიჭიერი და ჯან-ღონით სავსე წახვედი ჩვენგან. უკანასკნელ ლექსში მშობლიურ ქალაქს ემშვიდობებოდი და აგიხდა კიდეც...

არასოდეს დაგვავიწყდება შენი ჭკვიანი თვალები, ერთგულო მეგობარო და მოსიყვარულე შვილო.

### ქეთინო გოგინაშვილს!

*დედის მონატრება*



დაბადების დღეს გილოცავ, შვილო ქეთინო! უკვე მესამედ მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე – 2 აპრილი. სიყვარულით და სიტკბოთი ნაქარგი, ულამაზესი ოჯახი გქონდა. ახლა კი ამ დღეს გლოვით, ცრემლებით და უდიდესი ტკივილით აღვნიშნავთ შენი ქმარ-შვილის საფლავთან. რა ტრაგიკული ბედისწერისა გვყოლიხარ, შვილო, უდანაშაულოდ, ვერაგულად რომ ამოგიწყვიტეს შენი თავი ქმარ-შვილით. ნეტავ ეკუნა მაინც დარჩენოდა ნუგეშად. უმძიმესია შენი მშობლების ხვედრი. ტყუილად ვართ ამქვეყნად. არარაობაა ეს ცხოვრება შენ გარეშე ჩვენთვის. ძნელია იმ დიდი ტკივილის და მწუხარების გადმოცემა, რასაც განვიცდით უშენოდ, შენთან წამოსვლის მოლოდინში. ვიტანჯებით უსასრულოდ, გვენატრები უსაზღვროდ ყველას, შვილო ქეთინო. შენით გამწარებულ დედას ნუგეშად მხოლოდ შენი საფლავი დარჩა. შენზე ლოცვით და შენთან მალე შეხვედრის იმედით გავლევთ ამ ტანჯულ წუთისოფელს მე და მამა. მსუბუქი ყოფილიყოს ნუკრიანის მიწა შენთვის, შვილო.

*დედ-მამა – თამარი, გიორგი*

### გურამ კუხალეიშვილის მოგონება



ჩვენო საყვარელო გურიკა! 40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი მოულოდნელი, ულმობელი ავადმყოფობის ამბავი, რამაც 4 თვეში შეიწირა შენი ლამაზი სიცოცხლე. სიზმარში გვგონია თავი, მაგრამ გვჯერა, რომ სამოთხეში ხარ შენი უსპეტაკესი სულის გამო. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. შენ ხომ ოჯახის შექმნაც ვერ მოასწარი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი და ლამაზი მოგონებები, ჩვენო კეთილო და ალალმართალო ბიჭო.

ღმერთმა ნათელი დაადგას შენს სულს!

*შენი დეიდა – ნინელი სანაია, ოჯახით*

### არჩევან გიგინეიშვილის მონატრება



მოვიდა ჩვენი ოჯახისთვის ავადმოსაგონარი 7 აპრილი, ხარება. ერთი წელი შესრულდა, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო მწუხარება. გვჯერა, რომ ჩვენს მონატრებას გრძნობ და ჩვენთან ხარ. უსაზღვროდ მოყვარულო, სამაგალითო, ულალატო მეუღლევ, მამავ, ბაბუავ: ვწუხვარ, რომ არ ვარ შენთან, მაგრამ რა ვქნა?! – ღმერთი არ მკლავს. ბუნებით ვაჟკაცს, მგრძნობიარე და სათუთი გული გქონდა. ჩვენი ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო და არის სტუმრისათვის. დახმარება არაფრით შემიძლია, გარდა იმისა, რომ შენს საფლავს არ მოვაკლებ ცრემლს, სანთელს და ყვავილებს. ვკოცნი შენი საფლავის ქვაზე, გაცივებულ სურათს. ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული და ბუმბულივით რბილი ყოფილიყოს შენთვის საყვარელი გულუხეთის მიწა.

*მეუღლე ლამარა მელქაძე, ოჯახი*

### ჯუმბერ ბუცხრიკიძის მონატრება



ჩვენო საყვარელო მამა, 30 მარტი შენი დაბადების დღეა, 70 წელი შეგისრულდებოდა. რა ბედნიერები ვიქნებოდით შენი ოჯახის წევრები, ეს საზეიმო თარიღი შენი თანდასწრებით რომ აღგვენიშნა, მაგრამ ვაი, რომ ამ დღეს შენს საფლავზე გვიხდება მოსვლა ანთებული სანთლებით, ყვავილებით და ცრემლიანი თვალებით. შენი ცხოვრების მანძილზე დიდი სიყვარული და სიკეთე დათესე, დიდმა სიყვარულმა კი, დიდი მონატრება იცის და მართლაც, ყველას ძალიან გვენატრება შენი ლამაზი, ღიმილიანი სახე. გაუსაძლისად ენატრები დედას, რომელსაც მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვე, ის მხოლოდ შენი სურათებით და შენზე მოგონებებით ცოცხლობს. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან ღიმილიანი, კეთილი და სითბოთი სავსე კაცის სახელი დატოვე. შენ ხომ შენი გულის სითბოს დაუნანებლად უნაწილებდი ყველა ახლობელს. ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენატრები, ყველას უჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, განსაკუთრებით კი – შენს შვილებს, ჩვენო ტკბილო და კეთილო მამა. შენი დიდი ოჯახი მუდამ ილოცებს შენთვის, მარად ნათელში გვიმყოფოს მაღალმა უფალმა შენი სული.

*შვილები: ვალერი, ლუიზა, ინგა ბუცხრიკიძეები*

### თამაზ ჭალელიშვილის მონატრება



შვილო თამაზ, ოცდათერთმეტი მარტი შენი დაბადების დღეა – 37 წლის გახდებოდი. ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა შენი სიცოცხლე. მიგვატოვე და მარადისობაში გადახვედი, ჩვენო საფიცარო, გაზაფხულივით მშვენიერო. აღარ გვიხარია გაზაფხული უშენოდ. პირველი დაბადების დღე შენ გარეშე – ტკივილიანი, ცრემლიანი. 36 გაზაფხული გყო ღირსეული ვაჟკაცის სახელის დასამკვიდრებლად. 36 ფოთოლი ჰქონია შენი სიცოცხლის ხეს, ისიც ისეთი ლამაზი. ყველა შენი ახლობელი სიყვარულით გიხსენებს და გილოცავს დაბადების დღეს. რა ბედნიერი მეგონე და რა უბედური ყოფილხარ, შვილო. ყოველი დღე შენზე მოგონებებით იწყება და მთავრდება. ყველაზე მეტად, დედის სათუთი გული დაიჩაგრა, რომელიც ყოველი მხრიდან გეფარებოდა, რომ არ ჩამქრალიყო შენი სიცოცხლის სანთელი, მაგრამ დედაზე ძლიერი შენი ბედისწერა აღმოჩნდა. ვაი, მოგიკვდეს დედა! როგორ მალე დაბნელდა შენი წილი მზე. უშენოდ არასოდეს ვიქნებით ბედნიერნი. თურმე შენ გვაგრძნობინებდი სიცოცხლის ძალას და ვაი, რომ სიკვდილის ძალაც შენ გვაგრძნობინე. გვენატრები, ჩემო საყვარელო შვილო, ძმაო, მეუღლევ, მამავ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური წილკნის მიწა.

*შენი გამწარებული დედა, დები და ცოლ-შვილი*

### ლერი აგაშენაშვილის ხსოვნას!



ლერი, ჩვენო დაუვიწყარი მეგობარო, სიცოცხლითა და სიყვარულით გაუმაძღარო, 1999 წლის 31 მარტს ჩაქრა შენი ცხოვრების ოცდამეთოთხმეტე საფეხური. გვიმძიმს მეგობრებს უშენობა, მწარეა იმ სიმღერების მოსმენა, რომლებსაც შენ ასე აღტაცებით მღეროდი. რითი ვანუგეშოთ შენი გამწარებული მშობლები, მოხუცი ბებია?! შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ, ჩვენ კი – შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და მონატრება. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული.

*შენი მეგობრები: რამაზ და ცირა შაბაშვილები*

### იმედი გიორგის ძე კიზირიას მონატრება



გავიდა ცრემლიანი და ტკივილიანი 3 წელი და 8 თვე. მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან, რითიც უსაზღვრო ტკივილი, სევდა და მწუხარება დაგვიტოვე. შენ მიერ გავლილი პატიოსანი და კეთილი გზა, შენი პაციენტებისადმი სიყვარული, მათზე მზრუნველობა და ყურადღება საკმარისია შენი სულის ასამაღლებლად, იმქვეყნიურ სასუფეველში. შენ იყავი კარგი მოქალაქე, კარგი ექიმი, ოჯახის კარგი და მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა. თითქმის ყოველდღე გნატრულობს შენი ერთადერთი შვილიშვილი – ანა. გვჯეროდეს, არასდროს დაგივიწყებს.

4 აპრილი შენი დაბადების დღეა, 65 წლის გახდებოდი. ყველანი მოვალთ შენს საფლავთან და ვაი, რომ უშენოდ, მეოთხედ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. ჩვენ ვლოცულობთ შენი სულისათვის. ჩვენ მიერ ანთებული სანთლები გზას გაგინათებს სასუფევლისაკენ. გვჯერებით, გვიყვარხარ, გვენატრები, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ მოგონება დარჩა შენზე.

*შენი ოჯახი*

### თამარ დანელია-ცაგარეიშვილის ხსოვნას!



29 მარტს 83 წელი შეგისრულდებოდათ. 2 აპრილს კი, მეორმოცე დღე იქნება თქვენი გარდაცვალებიდან. მთელი 50 წლის განმავლობაში მშობლიური ენისა და მამულის სიყვარულს უნერგავდით სოხუმელ, გალელ და ბანძელ მოსწავლეებს. თქვენ დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭეთ თითოეული მათგანის გულში. რადგან იყავით შესანიშნავი პედაგოგი, შესაშური პროფესიონალი, უკეთილშობილესი ქალბატონი, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ბებია. ვალმოხდილი შეუერთდით მარადისობას. წახვედით ისე უხმაუროდ, როგორც თქვენი მიწიერი ცხოვრება გაატარეთ – მოკრძალებულად, უპრეტენზიოდ, მაგრამ არა უჩინრად, რადგან დატოვეთ სიყვარული, სიკეთე.

გვჯერა, ღმერთი ნათელში გამყოფებთ და ცათა სასუფეველში დამკვიდრდება თქვენი უკვდავი სული.

*თქვენი მოსწავლეები: ნანი, მაია, ლონია, ზურიკო, გელა, გიგლა*



მეუღლე ნუკრი ტყეშელაშვილი; შვილები: ელენე, ავთანდილი; შვილიშვილები: ქეთინო, ელიკო სალარიძეები, ლაშა, სალომე შოშიტაშვილები; შვილთაშვილი სანდრო; სიძე ნოდარ შოშიტაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დურმიშხან ალექსანდრეს ძე სალარიძე**

*დაკრძალვა:* 3 აპრილს, ხუთშაბათს, 15 საათზე.

*მისამართი:* ვანის რ-ნი, სოფელი ზეინდარი.

**„კვირის პალიტრის"** რედაქცია თანაუგრძნობს ქ-ნ *ელენე სალარიძეს,* მამის

**დურმიშხან სალარიძის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე იგორი; შვილები: მედიკო და ვანიკო; დედა ჟენია, დეიდა მედიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლია შანავა-ქირია**

*დაკრძალვა:* 1 აპრილს, 16 საათზე.

*მისამართი:* ზუგდიდის რ-ნი, სოფელი ცაიში.



მეუღლე ლიანა; შვილები: ეკა, ნათია; შვილიშვილი თეა; სიძე კახა ბუცხრიკიძე; ძმა ვანო; ძმისშვილები: თემური, ხათუნა, მირიანი, გიორგი, მარიამი; ბიძა ილო; რძლები: ნანა, ნონა; ბიძაშვილები: დოდო, იამზე, გია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კუკური მირიანის ძე ნანობაშვილი**

*პანაშვიდი:* 1, 2 აპრილს;

*გამოსვენება:* ხუთშაბათს, 3 აპრილს, 14 საათზე.

*მისამართი:* ბოგდან ხმელნიცკის ქ. №155

ლამარა ჩხეიძე და ნელი ყოლბაია უღრმეს მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის *ლილი ვეკუას* ძმის

**ბებე ვეკუას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ხმა... მიღმა სამყაროდან...

ბატონი ბორისი დიდი მორწმუნე არ იყო, ღმერთს და ანგელოზებს ადამიანის მიერ შეთხზულ ზღაპრად მიიჩნევდა, მაგრამ ერთი უცნაური შემთხვევის შემდეგ იწამა ღმერთი და გულმხურვალე ქრისტიანი გახდა.

— 22 წლის რომ გავხდი, დანაზოგით მაგნიტოფონი ვიყიდე, რომელიც უცხო ხილი იყო ჩემს ახალგაზრდობაში.



ბიჭები იკრიბებოდნენ ჩემთან და ათას ექსპერიმენტს ვატარებდით, — მიამბობს ბატონი ბორისი, — მეგობარს ქორწილი ჰქონდა და მაგნიტოფონი ვათხოვე. როცა მომიტანა, მობოდიშებით მითხრა: — ჩემს ცოლს და მის მეჯვარეს თავიანთ სიმღერა ჩაუწერიათ. არ გეწყინოს, რომ ეს დაუკითხავად გააკეთეს, ახალ ბაბინას გიყიდით.

საწყენი, [illegible] რა იყო!.. როგორც [illegible], მაგნიტოფონმა ჩაწერა იმ ჩანაწერის [illegible], რომელიც საკმაოდ კარგი [illegible]

— გიტარის თანხლებით მშვენივრად მღეროდნენ გოგონები, მაგრამ... შუა ნაწილში სიმღერის ხმა შედარებით სუსტდებოდა და შიშინ-ხრიალში შორიდან ისმოდა მამაკაცის ხმა. სიტყვები ვერ გავარჩიე. მე და ჩემმა მეგობრებმა ფირი რამდენიმეჯერ დავატრიალეთ და როგორც იქნა, გავარჩიეთ: „ამ სახლში დიდი უბედურება დატრიალდება, თუ მის საძირკველში ჩამარხულ ძალადობის მსხვერპლს სასაფლაოზე არ გადაასვენებენ!..“

ვიფიქრეთ, რომ ვიღაცამ უკბილოდ და უადგილოდ იხუმრა. მაშინაც კი არ დავიჯერეთ სასწაული, როცა სიმღერა წავშალეთ და... ის ხმა დარჩა. ალბათ ფირი დაზიანდა-მეთქი და ბაბინა მაგიდის უჯრაში ჩავაგდე... არც გამახსენდებოდა, რომ არა იმ ჩემი მეგობრის ოჯახში დატრიალებული უბედურება: ჯერ ცოლი მშობიარობას გადაჰყვა, ბავშვი მაშინ კი გადარჩა, მაგრამ სამი წლისა კიბიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. ინფარქტით დაიხოცნენ ჩემი მეგობრის მშობლები, ფსიქიკურად დაავადდა და, თავად ავარიაში მოჰყვა და ცალი ფეხი დაკარგა. ამის შემდეგ გაახსენდა ვიღაცას ის უცნაური ჩანაწერი. მოვძებნეთ და... იგივე ფრაზა დაფიქსირდა...

ის სახლი ჩემმა მეგობარმა ქორწილამდე რამდენიმე თვით ადრე იყიდა ორმოციოდე წლის ქალისგან. სახლის მშენებლობის დროს იმ ქალის ქმარი მოულოდნელად გაუჩინარებულა. ქალი ამბობდა, რუსეთში გადაიხვეწა საყვარელთან ერთადო. მშენებლობა კი დაუმთავრებია, მაგრამ იქ ცხოვრება არ მოუნდომებია და გაუყიდია.

ჩემმა გამწარებულმა მეგობარმა ბულდოზერით სულ ამოატრიალა საძირკველი და ცაცხვს ტომარაში გახვეული ნეშტი ამოჰყვა... ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ იგი სახლის პატრონს ეკუთვნოდა. ბუნებრივია, მის ყოფილ ცოლს მიაკითხეს. მაშინვე აღიარა, — ქმარმა საყვარელთან მომისწრო და ჩემი საქციელი რომ არ გახმაურებულიყო, მოვკალით და საძირკველში ჩავფალითო... გამოირკვა, რომ ქალი სინდისის ქენჯნას შეეწუხებია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა.

— ბატონო ბორის, გამოდის, რომ თქვენმა მაგნიტოფონმა იმიერსამყაროდან შემოჭრილი გარდაცვლილის ხმა დააფიქსირა...

— ეს დამტკიცდა საბოლოოდ, მაგრამ ეს მხოლოდ 1997-ში გახდა შესაძლებელი, მომხდარიდან სამი ათეული წლის შემდეგ. ჩემი ვაჟი ამერიკაში, არიზონის უნივერსიტეტში, სწავლობს. წაიღო ჩვენი ბაბინა, კვლევა ჩაატარეს და დამტკიცდა, რომ ნამდვილად არამიწიერი ხმა იყო ჩაწერილი. მოგეხსენებათ, მეცნიერებმა სხვადასხვა დროს და ადგილზე დააფიქსირეს რადიოტალღებში შემოჭრილი არაამქვეყნიური ხმები და სერიოზული კვლევაც დაიწყეს. ამ მიმდინარეობას „ინსტრუმენტული ტრანსკომუნიკაცია“ ჰქვია.

...ჩემმა მეგობარმა მიატოვა ის ეზო-კარი. არავინ ეკარება იმ ნაკვეთს, — დაასრულა თხრობა ბატონმა ბორისმა.

„ინსტრუმენტული ტრანსკომუნიკაციის“ შესახებ ვცადე, სპეციალისტებისგან მიმეღო ახსნა-განმარტება, მაგრამ საქართველოში სერიოზულად არავინ მოჰკიდებია დღემდე ამ უცნაური მოვლენის შესწავლას. ზოგადად კი ყველამ იცის, რომ რაც მეტად დაიხვეწა ტექნიკა, უფრო ხშირად ფიქსირდება რადიოტალღებსა და მაგნიტურ ჩანაწერებში იმიერსამყაროდან შემოჭრილი ხმები — გარდაცვლილი წინაპრები მოსალოდნელი საშიშროების შესახებ აფრთხილებენ შთამომავლებს...

ყველაფერი კი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უკვდავება რეალობაა, გარდაცვალება კი სხვა არაფერია, თუ არა სულის მოგზაურობა სიცოცხლიდან... სიცოცხლეში!..

*ინგა ჯაყელი*

## ტბის ღმერთების მრისხანება



კამერუნელები რომ ცრუმორწმუნენი არიან, ეს ახალი ამბავი არ არის. მათი ბევრი მისანი ქვეყნის დიდი ტბების სანაპიროებზე ცხოვრობს. სწორედ ტბებთან დაკავშირებით ახდა შამანთა ბევრი წინასწარმეტყველება.

ერთი მისანი ნუოსის ტბის მახლობლად ცხოვრობდა და თანასოფლელებს ხშირად აფრთხილებდა — ტბის ღმერთს ზვარაკი შევწიროთ, თორემ განრისხდება და სოფელს წალეკავსო... არ უჯერებდნენ და აი, 1986 წელს, არავინ იცის, რატომ, ნუოსის ვულკანური ტბიდან მომწამლავი გაზი ამოიფრქვა, ორი ათასზე მეტი ადამიანი სასიკვდილოდ მოიწამლა, ათასობით პირუტყვი განადგურდა, მცენარეულობა მოიხაშმა.

ტბის გარშემო მდებარე ყველა სოფელი სასწრაფოდ გახიზნეს ქვეყნის სიღრმეში.

წელს კი ნუოსიდან 200 მილის დაშორებით მდებარე მონოუნის ტბასთან მცხოვრებმა მისანმა გააფრთხილა თანასოფლელები: — ტბის ღმერთი გაბრაზებულია და ჩვენს დასასჯელად ემზადებაო. სოფელი სასწრაფოდ გაიხიზნა. თუმცა რამდენიმე ოჯახმა ყურად არ იღო გაფრთხილება. ორიოდ დღეში ტბამ შხამიანი გაზი ამოაფრქვია და 37 „ურწმუნო“ გაგუდა.

კამერუნი შიშმა მოიცვა. ხელისუფლებამ ამერიკელ, ფრანგ და იაპონელ ექსპერტებს სთხოვა დახმარება. შედგა შერეული ექსპედიციები. მათ ნუოსისა და მონოუნის ტბები გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ საქმე ჰქონდათ არა გაბრაზებულ ღმერთებთან, არამედ მაგმასთან. ტბებიდან წყალი დედამიწის სიღრმეში ჩაედინება, სადაც გავარვარებული მაგმა მოძრაობს, მას კი მომწამლავი გაზები გამოეყოფა, რომლებიც წყალთან ერთად კვლავ ტბებში ბრუნდება, ფსკერზე კონცენტრირდება და ამოიფრქვევა.

მეცნიერებმა ტბების ფსკერზე სპეციალური სენსორები დააყენეს, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავთ მოწყობილობა. იგი მომწამლავი გაზების დასაშვები კონცენტრაციის მიღწევისას ივსება და გაზებს წყალთან ერთად ტბების ზედაპირზე ამოტყორცნის. აქ კი გაზი ჰაერში იფანტება, ვინაიდან კონცენტრაცია ასეთი გაზისა, მცირეა. მისი გაფანტვა ზიანის მომტანი არ არის და ეკოკატასტროფაც თავიდან არის აცილებული, თუმცა მისნებისთვის [illegible] — [illegible] ტბის, კიდევ [illegible] — ჩვენი ტბის ღმერთს გაბრაზებას [illegible]. ტბის ირგვლივ მცხოვრებლები ტბის [illegible] თითქმის ყოველდღიურად სწირავენ ზვარაკს და ამასთან ერთად, ბარგიც შეკრული აქვთ — ვაითუ, ტბის ღმერთმა დილით უგუნებოდ გაიღვიძოს, მერე? გამოკვლევის შედეგად მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ამოსაფრქვევად გამზადებული მაგმა დაცხრა მას შემდეგ, რაც მისნის თაოსნობით სოფელმა ტბის ღმერთს მსხვერპლი შესწირა, სიმღერებითა და ცეკვათამაშით დაატკბო და ულამაზესი თაიგულები მიართვა...

მეცნიერებმა ამ ფაქტის ახსნა ნამდვილად ვერ შეძლეს.

*ნიუზუიქი*

ჩვენ გვწერენ

## როგორ გადაარჩინა ტევტონმა ჯუჯამ შორეული თანამემამულე



ეს ამბავი გერმანული ჩამომავლობის ჩვენს თანამემამულეს შეემთხვა. მისი წინაპრები შორეული პრუსიიდან ჩამოასახლეს თითქმის საუკუნე-ნახევრის წინ. ფრაუ მარიას პაპის პაპაც კი საქართველოში დაიბადა, მაგრამ მთელ ოჯახს მაინც ჰქონდა სულიერი კავშირი შორეულ, ისტორიულ სამშობლოსთან. ყოველთვის იცავდნენ ძველპრუსიულ ტრადიციებს, თაობიდან თაობას გადასცემდნენ ლეგენდებსა და ზღაპრებს...

ფრაუ მარიას შვილები გაჭირვებამ მიმოფანტა. მარტა ქართველს ჰყავდა ცოლად და იმერეთის ერთ პატარა დაბაში ცხოვრობდა, ერიკი, ცოლ-შვილთან ერთად, გერმანიაში წავიდა სამუშაოდ, ვალტერი — ამერიკაში იყო. მოხუცი ქალი ვერ შეელია თავის ნაამაგარს და თბილისის გარეუბანში, პატარა, გოთური სტილით ნაგებ სახლში ცხოვრობდა, რომელსაც გარს ულამაზესი ბაღი ერტყა.

ფრაუ მარია ძალიან უყვარდათ მეზობლებს და არასოდეს ტოვებდნენ უყურადღებოდ. მოხუცი დღე-დღეზე ელოდებოდა იმერეთიდან შვილიშვილს, რომელიც სწავლის გაგრძელებას დედაქალაქში აპირებდა.

...ფრაუ მარიამ ნაშუაღამევს თავი ცუდად იგრძნო. იფიქრა, ვკვდებიო. გაჭირვებით გადაიწერა პირჯვარი და ხატებისკენ გაიხედა.

მოულოდნელად საწოლზე დასკუპული პატარა კაცუნა დაინახა, რომელმაც უთხრა, — მე მაკროჰოლემი ვარ, ნურაფრისა გეშინია, პრუსიიდან შენს გადასარჩენად მოვედიო...

ქალს მეტი აღარაფერი ახსოვს. თვალი დილით, რეანიმაციაში გაახილა.

როცა მომჯობინდა, უამბეს, რომ ძალიან უცნაურ გარემოებაში გადარჩა: მოხუცს სახლის კარი ღია დარჩენოდა. შემთხვევით გვიან დაბრუნებულ მეზობელს უფიქრია, ხომ არაფერი უჭირსო და შეუვლია, სასწრაფო დახმარების მანქანასაც იმ დროს გაუვლია მომაკვდავის სახლთან, საავადმყოფოშიც საუკეთესო ქირურგი დახვედრიათ, რომელიც თურმე იმ ღამით სოფელში აპირებდა წასვლას, მაგრამ რატომღაც გადაუფიქრებია. რაც მთავარია, საავადმყოფოს აფთიაქში აღმოჩენილა საჭირო დეფიციტური წამლები და შვილიშვილი, ანა-მარიაც, სწორედ იმ ღამეს ჩამოსულა...

გამოჯანმრთელებულმა ფრაუ მარიამ ყველას უამბო, თუ როგორ გადაარჩინა პრუსიელმა ჯუჯამ. თურმე ისინი ცაცხვის ფუღუროში ბინადრობენ. ძალიან კეთილები არიან, გაჭირვებულებთან მიაქვთ საჭმელ-სასმელი, მოხუცებულებს და დავრდომილებს სახლს ულაგებენ...

ფრაუ მარია ამბობს, მაკროჰოლემი იმიტომ დამეხმარა, რომ მე და ჩემს ოჯახს არასოდეს გვიღალატია წინაპართა ტრადიციებისთვისო...

*ელზა კობიძე*
*თბილისი*

## იდუმალი ფოტოობიექტივი



მჯერა, რომ ბუნება — დიდი ჯადოქარია და როდის რა სასწაულს მოგიმზადებს, ღმერთმა უწყის.

მე კი მსურს ეს „სასწაულები“ დავაფიქსირო ხოლმე. რაც შეეხება ბუნების სასწაულებს, მქონდა ბედნიერება, რამდენიმე მათგანი ფოტოზე დამეფიქსირებინა.

ერთხელ, ხურმის ხე გადავჭერი და საოცარი რამ ვიხილე. ჩვილი ბავშვის სხეული გამოისახა იმ გადანაჭერზე. სხეულის ცენტრში მკაფიოდ ჩანდა გული, — გვწერს ჩვენი მკითხველი **ო. ჭიჭილაშვილი** და გვთავაზობს თავის გადაღებულ ფოტოს.

### „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აზა გამოიცანი**
1) — ა); 2) — გ); 3) — ბ);
4) — ა); 5) — დ).

**II. რებუსი**
ქვეყანა ჩალით დახურული როდია.

**III.** ლიფტი.

**IV.** მე-3 და მე-6 ქვები ზედმეტია.


## იმოძრავეთ თავისუფლად „მუვ ფრი“-სთან ერთად

ართროზი უამრავ ასაკოვან ადამიანს აწუხებს, მაგრამ სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც 20-30 წლის ასაკშიც მუხლებში „ხრაშუნი“ შეინიშნება.

შემთხვევითი არ არის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი საუკუნე „სახსრების დაავადებებთან ბრძოლის ათწლეულით“ დაიწყო.

სტატისტიკური მონაცემებით, ძვალ-სახსროვან პათოლოგიებს შორის ყველაზე გავრცელებულს ართროზი წარმოადგენს. ამ დაავადების დროს ზიანდება სახსრებსშორისი ხრტილები – ორგანიზმის ბუნებრივი ამორტიზატორები, რომლებიც ღრუბლის მსგავსია: ჩვეულებრივ მდგომარეობაში ისინი სითხეს შეიწოვენ, ხოლო დატვირთვისას მას გამოყოფენ, რითაც სახსრის „დაზეთვას“ და ძვლების ერთმანეთთან შეხებისას მათ მსუბუქ „სრიალს“ უზრუნველყოფენ.

ხრტილი ნებისმიერ ბიძგზე, შეხებასა თუ დარტყმაზე რეაგირებს; ამ დროს ბოჭკოების ნაწილის დაზიანება – გარდაუვალია. ჯანმრთელ სახსარში მათი ახალი ბოჭკოებით ბუნებრივი შეცვლა ხდება. თუ ეს არ მოხდა, მაშინ სახსარი ამორტიზატორის დანაკარგს თავისი ზედაპირის სისქის მომატებით აკომპენსირებს – კიდეები დეფორმირდება და წარმოიქმნება ძვლოვანი წამონაზარდები – ოსტეოფიტები. პერსპექტივა არცთუ ისე სახარბიელოა; თუმცა არც უიმედო. სახსრების დაავადებათა წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლს ამერიკის ართრიტის ფონდი წარმოადგენს, რომელიც მათი მკურნალობის მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობს. ერთ-ერთ ამგვარ შემუშავებას – ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ნატურალური პრეპარატი „*მუვ ფრი*“ წარმოადგენს.

„*მუვ ფრი*“ პროტეოგლიკანების ჯგუფის შენაერთების საგანგებოდ შერჩეულ კონცენტრაციას წარმოადგენს, დამზადებულია სპეციალური ტექნოლოგიით და რეკომენდებულია ისეთი დაავადებების მკურნალობისთვის, როგორებიცაა: ართრიტი, ართროზი, სპონდილიტი, სპონდილოართრიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატოიდული პოლიართრიტი; ტრავმები, პოსტტრავმული მდგომარეობები; ნევრალგიები, ფიბრომიალგიები.

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“. ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899-10-99-20 (სამუშაო საათები: 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის ჩათვლით)

## გსურთ თქვენი ინტიმური ცხოვრება უფრო კომფორტული გახდეს?



- ხშირად გაქვთ კონფლიქტი მეუღლესთან (პარტნიორთან)?
- გაღიზიანებული გახდით?
- სამსახურში პრობლემები გაქვთ?
- სქესობრივი ურთიერთობის ფობია გაგიჩნდათ?
- და საერთოდ, თავს წარუმატებელ ადამიანად თვლით ან ფიქრობთ, რომ მთელი სამყარო თქვენს წინააღმდეგ შემობრუნდა?

სექსუალური ურთიერთობის სიჯანსაღე ცხოვრებისეული წარმატებების საწინდარია

ვეროქსინ 7 – წარმატება სიყვარულსა და კარიერაში!

კომპანია „ჯეოვიტი“ მზად არის, თქვენი ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესოს

R

# „ბრწყინვალე ინდივიდუალისტთა თაობას“ ამჯერად ირლანდიელებმა „გადაუარეს“




**საქართველო:** ლომაია, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქებაია (დემეტრაძე), ქინქლაძე (დიდავა), იაშვილი.

**ირლანდია:** გივენი, სტივენ კერი, ოში, ჰოლანდი, ბრინი, კენინგემი, კინსელა, კარსელი, დოჰერტი, დაფი, კილბეინი.

**მსაჯები:** კიროს ვასარასი, დიმიტრიოს ბაიზტსიდისი, დიმიტრის პაპანდოპულოსი.

**გოლები:** დაფი (18), კობიაშვილი (60), დოჰერტი (87)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მორიგი მარცხი იგემა — ამჯერად ირლანდიელებმა გადაუარეს შინ, როგორც ჩვენში უყვართ ხოლმე თქმა „ბრწყინვალე ინდივიდუალისტთა თაობას“. ბრიტანელებმა ჩვენებისგან განსხვავებით იცოდნენ რაც უნდოდათ, ისიც იცოდნენ, მიზნის მისაღწევად ბრძოლა და თავდადება რომ იყო საჭირო და მიზანსაც მიაღწიეს.

პირველად ბრიტანელებმა გამოიღეს ხელი — ჯერ კილბეინმა, მერე დაფმა შემოგვიტიეს. ორჯერვე ქართველთა დაცვა შეცდა, ჩვენი ნაკრების არც ერთი რგოლი არ ბრწყინავდა, მაგრამ თბილისის დინამოელი, გამოუცდელი მცველები ნამეტანს სცოდავდნენ. საყვედური არ ითქმის ჩვენი გუნდის მეკარის მიმართ — ლომაიამ არაერთხელ მოსწმინდა სირცხვილი საკუთარ მცველებს. ეს ბიჭიც გამოუცდელია, მაგრამ აშკარად თავდაჯერებით თამაშობდა.

პირველ ტაიმში ირლანდიელებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, ძელიდან ასხლეტილი ბურთი მეტოქის მცველების გარემოცვაში მყოფმა დემიან დაფიმ შეაგდო ჩვენს კარში. ეს მე-18 წუთზე მოხდა.

ჩვენს მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს მაინცდამაინც ოფიციალური, უპრინციპულესი მატჩების დროს ახსენდება ექსპერიმენტები. კი, ბატონო, შესაძლოა, გაჭირვებამ აიძულა გარკვეული ტაქტიკური სიახლეები, მაგრამ რა უნდოდა თემურ ქეცბაიას ცენტრფორვარდის პოზიციაზე? ეს 35 წლის კაცი ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო მცველებს რომ ვერ გაუმკლავდებოდა, არ უნდა ეფიქრათ ნაკრების მესვეურთ? მატჩამდე ორი დღით ადრე, ტრავმის გამო ჩივაძეს შოთა არველაძე გამოაკლდა, უდავოდ საუკეთესო ფორვარდი. ცხადია, ამით ნაკრების შემტევ ძალას ბევრი დააკლდა, მაგრამ მწვრთნელმა თავისი ალოგიკური გადაწყვეტილებით კიდევ უფრო შეასუსტა ეს პოტენციალი — ლევან კობიაშვილი უკან დასწია და შეტევებში ჩართვის საშუალება მოუსპო. ამის წყალობით, აიკლეს ჩვენი მარჯვენა ფლანგი ირლანდიელებმა. გიორგი ნემსაძეს კი, ალბათ, თავად ვერ გაეგო, რა უნდა ეკეთებინა — საყრდენიც იყო, გამთამაშებელიც და ცალკე გიორგი ქინქლაძე უშლიდა ნერვებს. ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ქინქლაძე პირველსავე ტაიმში უნდა შეეცვალათ და თუ შვეიცარიელებთან მომავალ მატჩში საერთოდ არ გამოიყვანენ მინდორზე, არა მგონია, ნაკრებმა იზარალოს. ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ ბოლო ორი თვეა, ქართველმა „ვარსკვლავთბიჭუნამ“ (ამ სტატუსს 30 წლისაც ვერ გასცდა) ინგლისის მეორე დივიზიონის „დერბიში“ გაიბრწყინა.

პირველად კარში ქართველმა ფეხბურთელებმა 30-ე წუთზე დაარტყეს. ჩვენი ნაკრები ისე უსისტემოდ თამაშობდა, იმდენად სუსტი იყო კავშირი თითოეულ რგოლს შორის, რომ ცხადი იყო — ირლანდიელებს ვერ დაამარცხებდნენ.

მეორე ტაიმში გამოფხიზლდნენ ქართველი ფეხბურთელები. ეს იმანაც გამოიწვია, რომ მინდორზე გიორგი დემეტრაძე შემოვიდა. „დემეს“ ბრძოლისუნარიანობა, ჟინიანობა საქვეყნოდაა ცნობილი და სწორედ მისი წაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას მოჰყვა გოლი. ლევან კობიაშვილმა ოცდახუთიოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ უპირატესობა ისევ ირლანდიელებმა მოიპოვეს. ბრიტანელები თავიანთ სტილში — ფლანგებიდან მაღალი პასებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. უხეშობამაც იმატა მინდორზე. ამ დროს მისწრება იქნებოდა მინდორზე ალეკო რეხვიაშვილი, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მწვრთნელმა კი ყოვლად გაუგებარი შეცვლა გააკეთა — გივი დიდავა შეუშვა მინდორზე. იმ მომენტისთვის უპირატესობა რომ გამოეგლიჯათ ხელიდან ბრიტანელთათვის, ამ მატჩს, მინიმუმ არ წააგებდა ჩვენი ნაკრები. იმ დროს გამართლებული იყო ვაბანკზე წასვლაც, ვთქვათ, მესამე ფორვარდი, მიხეილ აშვეთიაც გამოეყვანა მწვრთნელს. კინკილა ქულა მაინც არაფერს გვაძლევდა, ერთი ქულა ჩვენი სატურნირო მდგომარეობისთვის ვერანაირი შეღავათი ვერ იქნებოდა. წააგებდა ჩვენი ნაკრები და ჯანდაბას, ვიტყოდით — მწვრთნელმა მის ხელთ არსებული მთელი პოტენციალი გამოიყენა და რა მისი ბრალია, თუ ფეხბურთელებმა თამაში არ იციანო. არა! ჩივაძემ ვერც ამჯერად გარისკა! არც ახლა უღალატა ტრადიციას და ჩვეული ფრთხილი ტაქტიკით წააგო ეს შეხვედრა.

ირლანდიელები მიზანმიმართულნი უტევდნენ ჩვენებს. მაღალი ბურთების მოგერიებით დაღალეს ჩვენი მცველები და ლომაია, მაგრამ ბოლოს მაინც გაიტანეს — სწორედ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი აქცია გოლად დოჰერტმა — 2:1. ირლანდიელებმა 3 ქულა და ნუგეში წაიყოლეს სამშობლოში, ქართული ფეხბურთი კი უიმედოდ და გაურკვევლობის ბურუსში გახვეული დატოვეს.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჯერ ირლანდიელთა თავკაცი ბრაიან კერი გამოცხადდა. „კმაყოფილი ვარ შედეგით. ჩვენ ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა და მაინც მოვიგეთ, ჩემმა ფეხბურთელებმა ჩემი დავალება ზედმიწევნითი სიზუსტით არა, მაგრამ მაინც კარგად შეასრულეს. ჩვენთვის ფრეც კატასტროფა იქნებოდა. ამიტომ, ცხადია, მოხარული ვარ, რომ ამ ურთულეს მატჩში გავიმარჯვეთ“ — მხოლოდ ამის თქმა მოასწრო კერიმ, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წარმომადგენელი ოთარ გაბელია გამოჩნდა. მისი გამოჩენისთანავე მატჩზე აკრედიტებულმა ქართველმა ჟურნალისტებმა ერთხმად დავტოვეთ დარბაზი. ეს არ იყო პროტესტი გაბელიას მიმართ. ამ კაცს, რომელიც ნაკრებში მეკარეებს ავარჯიშებს, არას ვერჩით. საქმე ისაა, რომ ჩივაძე წაგებული მატჩის მერე ყოველთვის ერიდება ჟურნალისტებთან შეხვედრას, ნაკრები წააგებს და ხან რომელ თანაშემწეს გვიგზავნის და ხან — რომელს. როცა ნაკრები იგებს, მხოლოდ მაშინ უყვარს ბატონ საშას გაბადრული სახით მედიასთან საუბარი. მასმედია იგივე ხალხია, მწვრთნელს, რომელსაც ხალხთან გამოსაჩენი პირი არა აქვს, რა უნდა ნაკრების სათავეში! ფეხბურთი, მით უფრო, ქვეყნის ეროვნული ნაკრები ხალხისთვის არსებობს. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩივაძე დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს.

ქართული ფეხბურთის მართლაც ნიჭიერმა თაობამ სანაკრებო დონეზე თავის გამოჩენის ბოლო შანსი დაკარგა. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი დარჩა, ისე კალკულატორით ხელში რამდენიც გინდა თვალე და იანგარიშე ჯგუფიდან გასვლის ვარიანტები. ესენი ირლანდიაში, რუსეთში და შვეიცარიაში მომგები არიან? მეტი არაა, ჩვენი მტერი!

ჩივაძემ ნაკრები მეორედ მაშინ ჩაიბარა, როცა წინა შესარჩევ ტურნირში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდა გუნდს. მაშინ დაიწყო ექსპერიმენტები, მაშინ გამოეყენებინა სიახლეებისთვის დარჩენილი ოფიციალური მატჩები. არა! ჩივაძემ ისევ ძველი, ნაცადი ბიჭები მოკრიბა, ახალგაზრდებს გზა არ გაუხსნა ნაკრებში, სამაგიეროდ, უნგრეთისა და ლიტვის გუნდები დაამარცხა და ჯგუფში ჩარჩა მათთან ერთად. სამაგიეროდ, ხალხს თვალში ნაცარი შეაყარა — ნახეთ, ნაკრები აღმავლობის გზაზეაო და ახალ შესარჩევ ციკლს იმედით შევეგებეთ.

პრესკონფერენციაზე რომც გამოცხადებულიყო ჩივაძე, რაო, რას იტყოდა? შოთა არველაძე და კახა კალაძე მაკლდა და ამიტომ წავაგეო — განაცხადებდა. ირლანდიელებს ხუთი ფეხბურთელი აკლდათ და არველაძესა და კალაძეს ბევრად არც ერთი არ ჩამოუვარდება. ხალხნაკლულნი ჩამოვიდნენ და მოგვიგეს. ეს იმიტომ, რომ ბრაიან კერიმ, ჩანს, გაითვალისწინა საკუთარი წინამორბედის — მიკ მაკარტის შეცდომები, ჩივაძემ კი საკუთარ შეცდომებზე ვერ ისწავლა.

ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში. რაღა შორს წავიდეთ. ალბანელებმა რუსები გააბითურეს და 3:1 მოუგეს, ჩვენ კი იმ განახევრებულ, სისხლისგან დაცლილ გუნდთან ქულაც ვერ მოვიპოვეთ, რომელიც ალბანელთაგან ამ გაბითურებულმა რუსებმა გააბითურეს და 4:2 მოუგეს.

ერთი დეტალიც, ოღონდ ამაში ნაკრების ხელმძღვანელობა არ არის დამნაშავე. „ლოკომოტივის“ სტადიონზე უამრავი ნივთი ისროლეს ქომაგებმა. ტრიბუნიდან ნასროლი დანა გარი დოჰერტს მოხვდა. რა ექნა ამ კაცს, არ გაეტანა გამარჯვების გოლი? საქართველოს ნაკრები რა[illegible] არ უქნია ღმერთს, ეს რა დოჰერტის ბრალია? უეჭველია, ქომაგთა ამ უსაქციელობისთვის უეფა დაგვაჯარიმებს. ის ფული ისევ ქართულ ფეხბურთს მოაკლდება.

### X ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

*ჯაბა ლეონიძე*




AXIS

აქსისი

◆ 2 ოთახიანი 75 $მ^2$

◆ 3 ოთახიანი 110 და 130 $მ^2$

◆ 4 ოთახიანი 150-დან 220 $მ^2$-მდე

◆ დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით

◆ ჭერის სიმაღლე 3.24მ

◆ ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე – (იპოდრომთან)

◆ აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.

◆ ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მინისქვეშა სადგომი.

◆ შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ექნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com

# „სკუადრა აძურას“ ფლეი ოფი ემუქრება


იტალია — ფინეთი 2:0

შაბათს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ათივე ქვეჯგუფში გაიმართა მატჩები, რომელთა უმრავლესობა ლოგიკური შედეგით დასრულდა. თუმცა ტურს სენსაციების გარეშეც არ ჩაუვლია. ჯგუფში ევროპის ჩემპიონმა, საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა შინ მალტის ნაკრები გაანადგურა და უდანაკარგოდ ლიდერობს ჯგუფს, სავარაუდოა, რომ მეორე ადგილისათვის ისრაელი და კვიპროსი იბრძოლებენ, რომელთა შეხვედრაც ფრედ 1:1 დასრულდა ნიქოზიაში. რუმინულ ფეხბურთს რომ მძიმე დღე უდგას, რუმინეთის და დანიის ნაკრებთა შეხვედრის შედეგიც მოწმობს, სკანდინავიელებმა ბუქარესტში 5:2 მოუგეს „ყვითლებს“ და პირველ ადგილზე აინაცვლეს. ბოსნიელთა მიერ ლუქსემბურგის დამარცხება არავის გაჰკვირვებია. უაღრესად პრინციპული გახლდათ ჯგუფის ცენტრალური მატჩი ჰოლანდიისა და ჩეხეთის ნაკრებებს შორის. „ნარინჯისფერები“ შინ მხოლოდ ქულას დასჯერდნენ და სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა ამავე გუნდებს შორის პრაღაში გასამართ მატჩში გაირკვევა შემოდგომაზე. უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა პოლონეთის ნაკრებმა უნგრელებთან, V ჯგუფს ერთი გამოკვეთილი აუტსაიდერი ჰყავს სან მარინოს სახით. დანარჩენ ოთხ ნაკრებს არათუ ჯგუფიდან გასვლისათვის, ადგილისთვისაც კი შეუძლია ბრძოლა. დღის მთავარი სენსაცია V ჯგუფში დაფიქსირდა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტმა, გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა შინ ლიტვას ვერ მოუგო, თუმცა საეჭვოა, რუდი ფიოლერის გუნდს ეს ორი ქულა ჯგუფიდან გასვლის ფასად დაუჯდეს. გერმანელებს მხოლოდ შოტლანდია თუ შეეცილება პირველობას, ბერტი ფოგთსის გაწვრთნილმა „სქოთებმა“ შინ ისლანდიას აჯობეს და ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს ქულებით გაუტოლდნენ. ყველაზე დრამატული კიევში გამართული შეხვედრა გახლდათ, სადაც უკრაინელები 82-ე წუთამდე უგებდნენ ესპანეთის ნაკრებს, სტუმრებმა 8 წუთში ორი გოლი გაიტანეს, მასპინძლებმა კი მხოლოდ უკანასკნელ წუთზე შეძლეს ქულის გადარჩენა.


ჰოლანდია — ჩეხეთი 1:1

სომხეთისა და ჩრდილოირლანდიელთა მატჩი ჩვენმა მეზობლებმა მოიგეს და პირველი სამი ქულა ჩაიწერეს.

V ჯგუფში საინტერესო არაფერი მომხდარა. ინგლისმა ლიხტენშტაინს აჯობა, სლოვაკეთმა — მაკედონიას. მოულოდნელი გახლდათ ხორვატიის ნაკრების მიერ ბელგიელთა განადგურება, „წითელი ეშმაკები“ დიდი ანგარიშით უიშვიათესად აგებენ. X ჯგუფში ორივე შეხვედრა ლოგიკურად დასრულდა. უელსმა აზერბაიჯანს 4:0 მოუგო და 4 მატჩში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა, შეიძლება ისეც მოხდეს, ფინეთის მძლეველმა იტალიის ნაკრებმა ევრო 2006-ის საგზური ფლეი ოფში მოიპოვოს, ან სულაც ჩემპიონატის მიღმა დარჩეს.

ასე რომ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მოასპარეზე 50 ნაკრებიდან 6 გუნდი დარჩა, რომელსაც ქულაც არ მოუპოვებია: მალტა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, სან-მარინო, ანდორა და... მეექვსე გუნდის გამოცნობა წესით არ უნდა გაგიჭირდეთ.

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 29 მარტი

### I ჯგუფი

საფრანგეთი – მალტა 6:0
კვიპროსი – ისრაელი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 17:1 | 12 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

### II ჯგუფი

ბოსნია – ლუქსემბურგი 1:0
რუმინეთი – დანია 2:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:6 | 6 |
| ბოსნია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

### III ჯგუფი

ჰოლანდია – ჩეხეთი 1:1
ბელორუსი – მოლდოვა – 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბელორუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### IV ჯგუფი

პოლონეთი – უნგრეთი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### V ჯგუფი

გერმანია – ლიტვა 1:1
შოტლანდია – ისლანდია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### VI ჯგუფი

უკრაინა – ესპანეთი 2:2
სომხეთი – ჩრ. ირლანდია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| უკრაინა | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| სომხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ჩრ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

### VII ჯგუფი

ლიხტენშტაინი – ინგლისი 0:2
მაკედონია – სლოვაკეთი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მაკედონია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

### VIII ჯგუფი

ხორვატია – ბელგია 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ბელგია | 4 | 2 | 0 | 2 | 2:6 | 6 |
| ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 3 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### IX ჯგუფი

უელსი – აზერბაიჯანი 4:0
იტალია – ფინეთი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| სერბეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ფინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 1 |

# ყმაწვილებმა უფროსებს აჯობეს

საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიდად ვერ გაახარა ქართველი ქომაგები, მაგრამ უფროსების დარად რომ არ დასწყვიტა გული მათ, ესეც დიდი საქმეა. ირლანდიის ნაკრებთან ქართული ფეხბურთის მომავალმა ფრე — 1:1 გაახერხა.

უთუოდ წარმატებული უნდა ვუწოდოთ რევაზ არველაძის სანაკრებო-სამწვრთნელო დებიუტს. მისი გუნდი (ეროვნულ ნაკრებთან შედარებით) უფრო აზრიან, დალაგებულ ფეხბურთს თამაშობს. ნაკრებს მწვრთნელის ხელი ეტყობა და ეს კარგი ნიშანია. გამარჯვებაც შეეძლოთ ქართველ ყმაწვილებს. პირველსავე ტაიმში გაუძევა უნგრელმა არბიტრმა ირლანდიელებს რიდი. იმ დროს ჩვენი ბიჭები ახალაიას გოლის წყალობით უკვე იგებდნენ. გოლის გატანის არაერთი შანსი ჰქონდათ ქართველ ფეხბურთელებს, მაგრამ ზოგჯერ იღბალი ღალატობდათ, ზოგჯერ — საკუთარი ოსტატობა და გამოცდილება. ბოლო 10 წუთში შეძლეს კაცნაკლულმა ირლანდიელებმა მატჩის ბედის შემობრუნება — ჰანტმა გაათანაბრა ანგარიში.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ოდინდელ საფეხბურთო ჭეშმარიტებაში — არ გაიტან და გაგიტანენ!

# საქართველო — რუმინეთი 6:19

ქართველმა და რუმინელმა მორაგბეებმა კვირას უკვე იცოდნენ, რომ ევროპის ერთა თასი პორტუგალიის ნაკრებს ჰქონდა მოპოვებული (შაბათს პორტუგალიამ რუსეთს მოუგო და ერთა თასიც დაისაკუთრა), ამდენად ამ მატჩს მნიშვნელოვანი მოტივაცია მოაკლდა. თუმცა, მთლად უმოტივაციოდ არ დარჩენილან მეტოქეები — საქართველოს და რუმინეთის ნაკრებები ყოველწლიურად ერთმანეთში ათამაშებენ წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასს. ეს თასი შარშან რუმინელებმა მოუგეს ჩვენებურებს და ქართველებს დიდი სურვილი ჰქონდათ თასი თბილისში დაებრუნებინათ.

მატჩი საქართველოს ნაკრების შეტევებით დაიწყო, პალიკო ჯიმშელაძემ ორი ჯარიმით დააწინაურა კიდეც თავისიანები, მაგრამ მეტი ველარაფერი გაახერხეს ჩვენმა მორაგბეებმა. მათ რამდენიმე შეცდომა პირველსავე ტაიმში დაუშვეს და ერთ-ერთ მათგანს რუმინელთა ლელო მოჰყვა. სტუმრებს არც გარდასახვა გაუცუდებიათ და პირველ ტაიმში ისინი დაწინაურდნენ (7:6).

რუმინელთა უკანა ხაზი ფაქტობრივად უშეცდომოდ თამაშობდა, შესაბამისად ქართველები შეტევისას ბევრს სცოდავდნენ. ჯერ ზურაბ მჭედლიშვილის, მერე ბადრი ხეხელაშვილის შეცდომებით ისარგებლეს სტუმრებმა და ორჯერ დაალელოვეს საქართველოს ნაკრები. ქართველები ამ დროს საკმაოდ არაორგანიზებულად თამაშობდნენ. ამ ყველაფერს კი ლოგიკური დასასრული მოჰყვა: რუმინელებმა კიდევ ერთი ლელო გაიტანეს და მატჩსაც დაუსვეს წერტილი — 19:6. ასე გაიმარჯვეს სტუმრებმა, ევროპის ერთა თასის გათამაშებაშიც გადაგვასწრეს (მეორე ადგილზე გავიდნენ) და წმინდა ანთიმოზ ივერიელის თასიც შინ გაიყოლეს. საქართველოს ნაკრები კი ევროპის ერთა თასზე მხოლოდ მესამე ადგილს გამორჩა.





# შავ-თეთრი „ოსკარი"



ოსკაროსანი მარტინ რიჩარდსი პროდიუსერთან ერთად

წლევანდელი „ოსკარის" ცერემონია უდავოდ შევა ისტორიაში და არა მარტო იმიტომ, რომ საიუბილეო იყო, არამედ ერაყის ომის გამოც.

ბოლო კვირის მანძილზე ჭოჭმანობდნენ, ჩაეტარებინათ თუ არა ცერემონია. ამგვარი რამ „ოსკარის" ისტორიაში მისი არსებობის მანძილზე მხოლოდ 3-ჯერ მოხდა: 1938 წელს ეს დღესასწაული ერთი კვირით გადაიდო ლოს-ანჯელესში მომხდარი წყალდიდობის მიზეზით, 1968 წელს — ორი დღით, მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის გამო, ხოლო 1981 წელს — ერთი დღით, რადგან პრეზიდენტ რონალდ რეიგანს დაესხნენ თავს.

მსგავსი ცერემონიების გადატანას, თუნდაც ერთი დღით, დიდი ზარალი მოაქვს...

ბევრმა ნომინანტმა კინოვარსკვლავმა ცერემონიის წინა დღეს არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. ერთი საქმეა, ომის გამტყუნება სცენაზე გამოსვლის დროს, მეორე — პროტესტის ნიშნად უარის თქმა წლის ყველაზე ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობასა და ჯილდოზე. მაგალითად, **სალმა ჰაიეკმა** სოლიდარობა არ გამოუცხადა თავის სამშობლო მექსიკას, რომელმაც გაამტყუნა ეს ომი და იმედი გამოთქვა, — აშშ უსათუოდ გაიმარჯვებსო. უფრო თავშეკავებულ **ნიკოლ კიდმანს** ომთან დაკავშირებული პროგნოზი არ გაუკეთებია, მაგრამ განაცხადა, — ვეცდები, არ შევიმჩნიო, რომ მსოფლიოში რაიმე ხდებაო...

75-ე საიუბილეო „ოსკარის" მონაწილე ვარსკვლავებს თაყვანისმცემლების, ტელეკამერებისა და წითელი ხალიჩის მაგივრად, ყვავილწნულებით შემკული ლითონმაძიებლითა და ახლომახლო შენობების სახურავებზე ჩასაფრებული სნაიპერებით დახვდნენ. ჟურნალისტებს შეკითხვების უფლება არ ჰქონდათ, რათა იქვე, შესასვლელში, ანტისამხედრო მიტინგი არ გამართულიყო.

„ოსკარის" ზეიმს ნამდვილად აკლდა პოლ ნიუმენი, ლეონარდო დი კაპრიო, კეიტ ბლანშეტი, უილ სმიტი, პიტერ ჯექსონი, რომლებმაც პროტესტი გამოუცხადეს ომს.

**დასტინ ჰოფმანი, ჯიმ კერი და ბენ აფლეკი** ცერემონიაზე გამოცხადდნენ მტრედის გამოსახულებიანი პაციფისტური ნიშნებით, რომელიც გაავრცელა ჰოლივუდის მსახიობთა კავშირმა „გამარჯვება — უომრად".

ნომინანტების წარმდგენლებს ტექსტიდან გადახვევის უფლება არ ჰქონდათ, სამაგიეროდ, ლაურეატებმა დრო იხელთეს: ნავსი **კრის კუპერმა** გატეხა (მას „ოსკარი" მიენიჭა კ/ფ „ადაპტაციაში" მეორე პლანის როლის განსახიერებისთვის) და ყველას ფრთხილად უსურვა მშვიდობა. შემდეგ მექსიკელმა მსახიობმა **გაელ გარსიამ,** რომელმაც წარადგინა სიმღერა ფილმიდან „ფრიდა", მიკროფონში ჩასძახა, — ჩვენ ამ ომის წინააღმდეგნი ვართ და ფრიდაც მხარს დაგვიჭერდაო; დოკუმენტალისტმა **მაიკლ მურმა** ნამდვილი ბომბი ისროლა: „გრცხვენოდეს, მისტერ ბუშ!"

**„ჩიკაგომ"** (რეჟისორი მარტინ რიჩარდსი) ნავარაუდევი 13 ნომინაციის მაგივრად, 6 ოსკარი მიიღო და საუკეთესო ფილმად იქნა აღიარებული. ამავე ფილმში ქალის მეორე პლანის როლის შესრულებისთვის 9 თვის ფეხმძიმე **კეტრინ ზეტა-ჯონსმაც** „ოსკარი" დაიმსახურა, თან ჟურნალისტებს დაჰპირდა: დამაცადეთ, მალე კიდევ ერთ დუგლასს გავაჩენ და ისევ ვითამაშებ მიუზიკლშიო. სენსაციური იყო **რომან პოლანსკის „პიანისტის"** წარმატება. მართალია, თავად რეჟისორს ამერიკაში არ ჩაესვლება, რადგან 17 წლის წინ მცირეწლოვანის გაუპატიურებისთვის პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ სამაგიეროდ, მთავარი როლის შემსრულებელი **ედრიან ბროდი** გამოცხადდა და „ოსკარიც" მიიღო. ფილმში, „საათები", ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი **ნიკოლ კიდმანი** „ოსკარით" დაჯილდოებისას ცრემლებად დაიღვარა.

მართალია, ვარსკვლავები სამხედრო ფერებში არ გამოწყობილან, მაგრამ თვალში საცემ ჩაცმულობასა და გამომწვევ ფერებს მოერიდნენ. ცნობილ კუტიურიეთა სავალალოდ, მათ მიერ შექმნილი შედევრები ამჯერად გამოუყენებელი დარჩა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ განაწყენებული ჯორჯო არმანი და დონატელა ვერსაჩე ლოს-ანჯელესში არ ჩავიდნენ. იუველირებიც ასცდნენ თავიანთი ნაწარმის რეკლამირებას — სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად, მსახიობმა ქალებმა უარი თქვეს სარეკლამო ბრილიანტებზე და საკუთარ სამკაულებს დასჯერდნენ. მოდურმა მეწაღემ, სტიუარტ ვეიცმა მილიონნახევრიანი ფეხსაცმელი უკეთესი დროის მოლოდინში სეიფში შეინახა.



მთავარი ოსკაროსნები

ჰოლივუდელი ლამაზმანების სამოსის მოდური ხორცისფერი მუქმა ფერებმა შეცვალა. **ნიკოლ კიდმანი** და **ჯულია რობერტსი** ზეიმზე ელეგანტური შავი კაბებითა და მოსასხამებით გამოცხადდნენ, **მერილ სტრიპს** მოვერცხლისფრო-შავი კაბა ეცვა, ხოლო **კეტრინ ზეტა-ჯონსსა** და **ჰოლი ბერის** მუქი ყავისფერი და შინდისფერი. მხოლოდ აქა-იქ გაიელვებდა მხიარული ტონები. **ჯულიანა მური** მწვანედ იყო შემოსილი, ხოლო **რენე ზელვეგერი** წითელი კაბით იწონებდა თავს და 16-კარატიანი ლალის გულქანდა უბრწყინავდა ყელზე.

ცერემონიის საკონცერტო ნომრებს „ოსკარზე" ნომინირებული მსახიობები ასრულებდნენ, ერთადერთი — **ემინემი** არ ჩანდა. მას „მერვე მილიდან" უნდა შეესრულებინა სიმღერა, მაგრამ როგორც სჩვევია, დაავიწყდა ლოს-ანჯელესში ჩასვლა...

ორიგინალური სცენარისთვის „ოსკარი" მიენიჭა **პედრო ალმოდოვარს,** ხოლო საუკეთესო უცხოურ ფილმად აღიარეს გერმანული **„არსად, აფრიკაში"** (რეჟისორი კაროლინა ლინკე), რომელშიც მთავარ როლს ქართველი მსახიობი **მერაბ ნინიძე** თამაშობს.

მერე რა, რომ ამჯერად წითელი ხალიჩა მოკლე იყო და ვარსკვლავთა სამადლობელი — მოკრძალებული, მიუხედავად ყველაფრისა, ოქროს „ოსკარები" მაინც დარიგდა.



კეტრინ ზეტა-ჯონსი

# „ოსკარს" გილოცავთ, მერაბ!



გილოცავთ! — ზარი არ ჩერდებოდა მის ბინაში.

ქალბატონი მანანა (მერაბ ნინიძის დედა) ყურმილის აღებისთანავე მადლობას მოახსენებდა მილოცვისთვის...

წელს ქართველი კინომოყვარულებისათვის უმნიშვნელოვანესი წელია — ჩვენ ჩვენი, საკუთარი ოსკაროსანი გვყავს!

მერაბ ნინიძეს ეძინა, როცა ტელეფონის ზარმა მისი ფილმის გამარჯვება აუწყა. პირველი, რაც სიხარულთან ერთად დაეუფლა ქართველ მსახიობს, იყო განცდა — საქართველოში ძალიან გაუხარდებათ!!!

„ოსკარის" უცხოური საუკეთესო ფილმების ნომინაციაში, გარდა „არსად, აფრიკაში", წარდგენილი იყო ფილმები: „პადრე ამარის დანაშაული" (მექსიკა), „გმირი" (ჩინეთი), „უწარსულო ადამიანი" (ფინეთი) და „ზუ და ზო" (ნიდერლანდები).

სამწუხაროდ, „ოსკარის" გადაცემისას გადამღები ჯგუფის არც ერთი წევრი დარბაზში არ აღმოჩნდა. თუმცა, მათი ჩაუსვლელობა არ ყოფილა ომის წინააღმდეგ პროტესტი... შვილი მყავდა ავად და ამიტომ ვერ წავედი ამერიკაშიო, — განაცხადა ფილმის რეჟისორმა კაროლინა ლინკემ. „არსად, აფრიკაში" მერაბ ნინიძესთან ერთად მონაწილეობენ ჯულიან კოლერი, ლია კურსკა, მათეას ჰაბიში, სიდედე ინიულო და კაროლინ ეკერცი. თუკი რეჟისორმა ავადმყოფ ბავშვთან ყოფნა ირჩია, მსახიობმა ჯულიან კოლერმა მცირეწლოვანი ჯანმრთელი შვილები ვერ მიატოვა...

ასეა თუ ისე, ქართველებს პირველი ოსკაროსანი გვყავს.

მერაბი გახარებულია: ამბიციას — „ოსკარი" მიიღო ფილმმა მერაბ ნინიძის მონაწილეობით, აჯობა ამბიციამ — „ოსკარი" მიიღო ფილმმა, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ქართველი მსახიობი!

# „ოქროს ჟოლო"



ჟოლოსანთა ოჯახი

„ოსკარის" ცერემონიის წინა დღეს კალიფორნიის ქალაქ სანტა-მონიკაში ოცდამესამედ ჩატარდა „ოქროს ჟოლოს" ანტიპრემიების გადაცემა. ამ ღვარძლიანი ზეიმის ორგანიზატორებს, „ოსკარისგან" განსხვავებით, არც უფიქრიათ ერაყში ომის გამო ღონისძიების გადადება. „ოქროს ჟოლოს" კინოპრემია „კინომანიაკმა" ჯონ უილსონმა გამოიგონა. ეს გახლავთ ჟოლოს ნაყოფით შემკული მოოქრული კინოფირი, ხოლო პრემირებულთა ჯილდო 4 დოლარი და 89 ცენტია. „ჟოლოს" 11 ნომინაცია „ოსკარის" ნომინაციის პაროდიას წარმოადგენს.

*„2002 წლის ყველაზე ცუდი ფილმის"* კატეგორიაში **გაი რიჩის** სურათმა „წაღებულებმა" გაიმარჯვა. რიჩი კი ყველაზე ცუდ რეჟისორად დასახელდა. ამ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელმა, მისმა მეუღლემ, **მადონამ** *ქალის როლის* ნომინაციაში ჯილდო **ბრიტნი სპირსთან** გაიყო, რომლის დებიუტიც შედგა ფილმში „გზაჯვარედინზე", მადონამ „ჟოლო" *„მეორე პლანის ქალის როლის ყველაზე ცუდი შემსრულებლის"* ნომინაციაშიც დაიმსახურა. ბრიტნიმ — ყველაზე ცუდი სიმღერისთვის მიიღო „ჟოლო". *მამაკაცების* ნომინაციაში ყველაზე ცუდ მსახიობად **რობერტ ბენინი** აღიარეს, რომელმაც ფილმში „პინოქიო" მთავარი როლი ითამაშა. **ჯორჯ ლუკასი** კი ბოლოს „ვარსკვლავური ომებისთვის" დააფასეს და *ყველაზე ცუდ სცენარისტად* დაასახელეს.



ბრიტნი სპირსი



## №12 (338) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 716 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 304-მა ქალმა და 408 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ცნობილი ადამიანის შვილია დღეს ყველაზე პოპულარული და წარმატებული?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობის — 57,0%-ის აზრით, ცნობილ ადამიანთა მემკვიდრეთაგან დღეს ყველაზე პოპულარული მაკა ასათიანია. მხოლოდ 1,4%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. **6,97** საშუალო ქულით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დიზაინერი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ეკა კახიანია — ცნობილი მსახიობი მამის მსახიობი შვილი — საშუალო ქულაა 5,88. რესპონდენტთა 16,6% მიიჩნევს მას ყველაზე პოპულარულად და წარმატებულად.

საუკუნის მომღერლის — ნანის — გზის ღირსეული გამგრძელებელი — ეკა მამალაძე მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,13.

ჩვენი მკითხველების აზრით, მამუკა ჩარკვიანი, ცისანა სეფიაშვილი და ლაშა ბუღაძე, აქ ჩამოთვლილ ცნობილ ადამიანთა შვილებთან შედარებით, ნაკლებად პოპულარულნი არიან. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (40,3%) ლაშა ბუღაძეს ხვდა წილად და რეიტინგშიც 2,48 საშუალო ქულით ბოლო ადგილზეა.

საქართველოში შვილების პოპულარობაზე „პირდაპირპროპორციულად“ მოქმედებს მშობლების პოპულარობა, თუმცა, გამონაკლისებიც ბევრია. საინტერესოა, კითხვა რომ აქ ჩამოთვლილი შვილების მშობლების წარმატებულობასა და პოპულარობას ეხებოდეს, რეიტინგი მიიღებდა თუ არა ანალოგიურ სახეს — დაემთხვევა თუ არა შვილებისა და მშობლების რეიტინგები ერთმანეთს.




საპრიზოს ზუსტად ექვსი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 24 წლის **გიგა როზაძიძე,** 30 წლის **მანანა ქორჩიაშვილი,** 24 წლის **მარი ფასუაშვილი,** 20 წლის ქუთაისელი **ზურაბ კაპანაძე** და კასპელები — 40 წლის **ლელა ონიკაშვილი** და 40 წლის **გიორგი ჩადუნელი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 2 აპრილს, 17 საათზე.

## №13 (339) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ოლიმპიადაში*.

**№13 (339) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 2 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 3 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.**

თემა №13 (339) — პოლიტიკოსები

**რა მიგაჩნიათ პოლიტიკოსისათვის ყველაზე შეუფერებელ შეფასებად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№13(339) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კორუმპირებული | |
| 2 | პოპულისტი | |
| 3 | მერყევი | |
| 4 | არაკომპეტენტური | |
| 5 | გრანტიჭამია | |
| 6 | ამბიციური | |
| 7 | გაუწონასწორებელი | |
| 8 | არაეროვნული | |

### მკითხველის ოლიმპიადა

**ახლა რომ საარჩევნო ურნასთან იდგეთ, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?**

✓ ________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

### მკითხველის ოლიმპიადის შედეგები

**ყველაზე სიმპათიური თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსი**







| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 25,3% | 6. | გიორგი ბარამიძე | 4,7% |
| 2. | ირაკლი ბათიაშვილი | 12,5% | 7. | მაია ნადირაძე | 3,1% |
| 3. | შალვა ნათელაშვილი | 9,4% | 8. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 2,7% |
| 4. | გიორგი თარგამაძე | 9,0% | 9-10. | ედუარდ შევარდნაძე | 2,4% |
| 5. | ლევან გაჩეჩილაძე | 8,0% | 9-10. | მიხეილ სააკაშვილი | 2,4% |

მკითხველთა 0,4%-ს გაუჭირდა კონკრეტული პოლიტიკოსის დასახელება; 1,1% კი აცხადებს, რომ არც ერთი პოლიტიკოსი არ არის სიმპათიური.

*მკითხველის რეიტინგში 553-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

________________

________________

________________

________________

________________

თქვენი სახელი, გვარი ________

ქალაქი (რაიონი) ________



კობა ნარჩემაშვილი, კახა თარგამაძე

**„ფოტოანტიკვარში“ მონაწილე რესპონდენტთა 39%-მა სწორად ამოიცნო პატარას ვინაობა. მინიშნებამ — „მეამაყება, ვარ თბილისელი“, ამ ფოტოში თბილისის კოლორიტი — ოთარ რამიშვილი „აპოვნინა“ მკითხველებს.**

**18%-ს კი იგი სოსო პავლიაშვილში შეეშალა...**

**ასევე, დასახელდნენ — ზურა დოიჯაშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, მერაბ სეფაშვილი, კაკო ასათიანი, ვახუშტი კოტეტიშვილი და სხვები...**





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



ოთარ რამიშვილი, სამი წლის

## ფოტო განწყობისთვის



— მომაშორეთ ეს ნამცხვარი, დიეტაზე ვარ...

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



1/IV ●
ახალი მთვარე
მაგნიტური დღეებია:
4/IV 7-დან 9 საათამდე

# 1 მილიონი დოლარი კერძო კონცერტში



კერძო წვეულებებზე გამოსვლა შემკვეთებს საკმაოდ სოლიდური თანხა უჯდებათ. ყველაფერ ამაში კი, უითნი ჰიუსტონია დამნაშავე, რომელმაც 1986 წელს ბრუნეის სულთნის დაბადების დღეზე სიმღერისთვის მილიონი დოლარის ჰონორარი მოითხოვა. შემდეგ ბობ დილანმა თავის ვაჟთან — ჯეიკობთან ერთად კორპორაციულ საღამოზე დაუკრა 2 მილიონ დოლარად და მას შემდეგ წავიდა და წავიდა... მაგრამ, რეკორდი რა თქმა უნდა, დაამყარა მაიკლ ჯექსონმა, რომელსაც იმავე სულთანმა 3 გამოსვლაში 15 მილიონი დოლარი გადაუხადა. ამ ფონზე მილიონი დოლარი, რომელიც პოლ მაკარტნიმ მოითხოვა ამერიკელი ფინანსისტის რალფ უიტვორტისგან მისი ცოლის დაბადების დღეზე გამოსვლაში, ზღვაში წვეთია. ეს იყო მაკარტნის ცხოვრებაში პირველი კერძო კონცერტი. ჰონორარი მუსიკოსმა შესწირა საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც იბრძვის საქვეითო ნაღმების აკრძალვისათვის.

ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



ერთი მამაკაცი ჩივის მეორესთან:
— წარმოგიდგენია, შინ ვბრუნდები და ტახტზე მამაკაცის შარვალია მიფენილი. შევათვალიერე, ჩემი არ არის!
— მერე, რა უთხარი ცოლს?
— სჯობდა გეღალატა! ქურდობა როგორ იკადრე-მეთქი!..

* * *



პროკურორი: — განსასჯელმა ჩაიდინა დანაშაული არნახული გამჭრიახობით, სიმამაცითა და ფანტაზიით!..
განსასჯელი: — ტყუილად მაქებ, სულ ერთია, მაინც არ გამოვტყდები...



**თარაზულად:** 1. ფრანგი მწერალი, ავტორი მძაფრსიუჟეტიანი ისტორიული რომანებისა; 2. ამერიკელი მსახიობი, გოლდი ჰოუნის ქალიშვილი; 6. საკვების გარკვეული ნაწილი; 7. ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი პერსონაჟი; 8. ძველბერძენი მეიგავარაკე; 9. ახალი ტელეკომპანია საქართველოში; 10. მგალობელი ჩიტი; 13. 1917 წელს საბრძოლო ვითარებაში გამოყენებული მომწამლავი აირი; 16. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი; 18. საკოლექციო მარკების ჩასაწყობი ალბომი; 19. ჰიტლერის ხაზინადარი; 20. კულტურა ტომებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ პალეოლითის დასაწყისის ხანაში, რომელთა ძირითადი იარაღი ქვის იყო; 22. ნაბეჭდი მასალა გაზეთში; 23. ფრთოსანი მერანი ბერძნულ მითოლოგიაში; 27. ქრონიკული ინფექციური ავადმყოფობა, რომლითაც გოგენი იყო დაავადებული; 28. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 29. ნახშირბადისა და წყალბადის ატომების ჯგუფი, რომელიც ქმნის სასმელ სპირტს; 30. ნათურის შუქფარი; 31. ჭავჭავაძის პოემა.

**შვეულად:** 1. ქიმიური ელემენტი, რომლის სახელწოდება ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „ძლიერი“; 2. მძლავრი პროჟექტორი ხელოვნური განათებისათვის კინოსურათის გადაღების დროს; 3. ეს ქვეყანა, ამქვეყნიური ცხოვრება; 4. ქვედა საქსონიის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. ფარული საძრახისი ქმედების მოყვარული; 11. არტემიდას რომაული ოპონენტი; 12. ავეჯის განთქმული იტალიელი დიზაინერი; 14. კანის ალერგიული სინჯი ტუბერკულოზზე; 15. ოდისევსის მშობლიური კუნძული; 16. კორეული საავტომობილო ფირმა; 17. იაპონელი მწერალი; 21. ჰემოგლობინის შემცველი სისხლის წითელი ბურთულა; 22. ფირმა „Zippo“-ს განთქმული ნაწარმი; 24. დროის შუალედი ორ მოვლენას შორის; 25. გერმანელი პოლკოვნიკი, რომელმაც შეძლო დატუსაღებული მუსოლინის განთავისუფლება; 26. ბერძნული ანბანის საფუძველზე შქმნილი ერთ-ერთი პირველი სლავური ანბანი.

შეადგინა რამაზ ალანიამ




ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (13) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№13 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 3 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ©1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.